1557
1983

საეკლესიო ძიებანი

თბილისი 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

საენათმეცნიერო კრებული

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

4Г
81 21р
499.962.1+494.6
ს 157

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები ეძღვნება იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის სადღეისო საკითხებს.

კრებული განკუთვნილია ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სპეციალისტებისათვის.

საერდაქციო კოლეგია:

ა. არაბული, გ. ბურჭულაძე, თ. გვანცელაძე, გ. გოგოლაშვილი (მდივანი), მ. სუხიშვილი, ვ. შენგელია, ბ. ჯორბენაძე (რედაქტორი).

რეცენზენტები: გ. თოფურია
ო. კახაძე

Л 70100
m 608 (06) — 83

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983

ქ. ცაგარელის სახ. სსრ სახელმწიფო ენათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

1974 წლის სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ინიციატივით ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი სემინარი „საენათმეცნიერო საუბრები".

„საენათმეცნიერო საუბრების" სხდომებზე წაკითხული და დასაბეჭდად რეკომენდებული მოხსენებების საფუძველზე დღემდე გამოიცა ორი კრებული: „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები" 1978 წელს და „ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან" 1980 წელს.

წინამდებარე კრებული — „საენათმეცნიერო ძიებანი" — რიგით მესამეა. „საენათმეცნიერო საუბრების" სხდომებზე ბოლო ორი წლის მანძილზე წაკითხულ მოხსენებათაგან ამ კრებულისათვის შეირჩა ის ნაშრომები, რომლებშიც სათანადო დასაბუთებით გაანალიზებულია ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიისა და სტრუქტურისათვის სადღეისოდ არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. უთურგაიძე

(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში

ფუძის ზოგადი განმარტებიდან თუ გამოვალთ, ფუძე ეწოდება სახელის ფორმის იმ ნაწილს, რომელთანაც დაკავშირებულია სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა.

სახელის ფუძე და მისი ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება მარტივიც იყოს და რთულიც, ასე მაგალითად: ქუდ-ი ფორმაში **ქუდ-** ფუძე ფორმალური და სემანტიკური თვალსაზრისით მარტივია, რადგან **ქუდ-** აღარ დაიშლება შემადგენელ ელემენტებად არც ფორმისა და არც შინაარსის მიხედვით. ამის საპირისპიროდ **ქუდიან-** (ქუდიან-ი) რთული ფუძეა, იყოფა შემადგენელ ელემენტებად: რთულ **ქუდ-იან-** ფუძეში ორი ლექსიკურად და ფორმალურად განსხვავებული ელემენტი გვაქვს.

შესაძლოა რთულ ფუძეში წარმოდგენილი იყოს ისეთი ელემენტი, რომელსაც ლექსიკური ხაზით ფუძეში ცვლილება არ შეაქვს, ასე მაგალითად, **ორივე-**მ ფორმაში **ორივე-** ფუძის **-ი-** უთუოდ არაძირეული ელემენტია, როგორც **-ვე,** მაგრამ ფუძის ლექსიკურ მნიშვნელობაზე გავლენას ახდენს მხოლოდ **-ვე,** ფუძისეული **-ი-** კი მოკლებულია კონკრეტულ ლექსიკურ მნიშვნელობას, ამ შემთხვევაში იგი ფუძის ისეთივე ინგრედიენტია, როგორც |რ| ან |ო| ფონემები.

ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც წარმოქმნილი ფუძე მატერიალურად არ განსხვავდება პირველადი ფუძისგან, მაგალითად, ძველი ქართულის ზმნიზედა **მუნ** „იქ“ ამოსავალია მისგან წარმოქმნილი **მუნ-ი** „იქაური“ სახელისათვის, რომლის ფუძეა **მუნ-**. მატერიალურად პირველადი და ნაწარმოები ფუძეები არ განსხვავდებიან. მათ შორის განსხვავება მყარდება განაწილების (არანჟირების) მიხედვით: წარმოქმნილ ფუძეს აქ ბრუნვის ნიშანი **-ი** მოსდევს, რაც არ შეიძლება ჰქონდეს პირველად ფუძეს — ზმნიზედას. ანალოგიური წარმოება ხშირად გვხვდება ძველ ქართულშიც და დღესაც. მაგალითი: ახალი ქართულიდან **წინა** (წინა და უკან...) და წინა-∅ „წინ მდგომი“ (**წინა** კაცი უკანას ხიდია); შდრ. ამავე პარადიგმის წინა-მ, წინა-ს...

პირველადი ფუძიდან წარმოქმნილი ფუძის მიღება ხდება, მაშასადამე, წარმოქმნის ელემენტების დართვითა და ფუძის არანაყრობის წესის შეცვლით.

არანაყრების წესის შეცვლა იწვევს მორფემათა მნიშვნელობის ცვლასაც დერივაცია- ფლექსიის თვალსაზრისით, ასე მაგალითად: მ ი ს-გ ან ფორმაში -ის ბრუნვის ნიშანია (მ-ი ს-გან) და სახელის ფუძეში არ შედის; ივივე -ის ელემენტი მ ი ს ი ფორმაში წარმოქმნის ელემენტია და შედის ფუძის შემადგენლობაში (მ ი ს-ი).

ზოგიერთი ელემენტის ფლექსიური და დერივაციული მნიშვნელობით გამოყენება ქმნის დაეჭვების საფუძველს, თითქოს მტკიცე ზღვარი არ არსებობდეს ამ განსხვავებული რიგის ელემენტებს შორის (ა. შანიძე, 1973, გვ. 33, § 39). ამ ელემენტთა კვალიფიკაციას აღნიშნულ რიგთა მიხედვით ფუძის გამოყოფის თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა აქვს და საჭიროა მსჯელობა ფლექსიურ და დერივაციულ ელემენტთა მსგავსებასა და განსხვავებაზე და იმ პირობებზე, რომელთა არსებობაც განაპირობებს ერთი და იმავე ელემენტების ამა თუ იმ ფუნქციით გამოყენებას.

განვიხილოთ ბრუნვის ნიშანთა არანაყრება ქართულში. ბრუნვის ნიშანთა გრამატიკული იდენტიფიკაცია უნდა ხდებოდეს როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით: ბრუნვის ნიშნად გამოყოფილი მორფემა როგორც ფორმალურად, ისე გრამატიკული ფუნქციის თვალსაზრისით უნდა გამოხატავდეს ბრუნვას. ასეთი მიდგომის შედეგად ბრუნვის ნიშანთა არანაყრების წესი ქართული ენის ბრუნების სისტემაში შეიძლება წარმოვადგინოთ ერთი ღებულებით: ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი ს ა ხ ე ლ თ ა ფ ო რ მ ე ბ შ ი ე რ თ ი მ ე ო რ ე ს ა რ მ ო ს დ ე ვ ე ნ.

ავიღოთ რამდენიმე თეორიულად შედგენილი ფორმა, რ ო მ ე ლ თ ა, ა რ ს ე ბ ო ბ ა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ ა რ დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა ქ ა რ თ უ ლ შ ი და წარმოადგენს ზემოთ მიღებული ღებულების დადასტურებას. ქართულში შეუძლებელია სახელთა ასეთი ფორმები: კაც-ი-მა (სახ. და მოთხ.), კაც-მა-ი (მოთხრ. და სახ.), კაც-მა-ს (ა) (მოთხ. და მიც.), კაც-მა-ის (ა) (მოთხ. და ნათ.), კაც-მა-ით (ა) (მოთხ. და მოქ.) და სხვ.

მაგრამ ქართულში პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა ფორმები, რომლებშიც მარტივფუძიანი სახელების ბრუნვათა პარადიგმატული ანალიზის მიხედვით ბრუნვის ნიშნებად გამოყოფილი მორფემები აქ ერთიმეორის გვერდით გვხვდება, ასეთებია: გულ-**ად**-ი, პირობ-**ით**-ი, მ-**ის**-ი, სხვ-**ის**-მა, თავ-**ის**ა-ს, ამხანაგ-**ის**ა-მ, ამხანაგ-**ის**ა-ს და სხვ. აღნიშნულ ფორმებში, ჩვენ მიერ ზემოთ მიღებული ღებულების მიხედვით, ბრუნვის ნიშნის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ ფორ-

მათა ბოლოს წარმოდგენილი (ტერმინალური) ბრუნვის მორფემა, სხვა მორფემები კი, რომლებიც მარტივფუძიან სახელთა ბრუნების პარადიგმაში ბრუნვის ნიშნებად გამოიყოფა, აქ რეინტერპრეტირებულია წარმოქმნის ელემენტებად.

არსებული ლიტერატურის მიხედვით ზემოთ მოტანილი ზოგიერთი ფორმის მიმართ ეს დებულება სადავოა.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დავას არ იწვევს გულ-**ად**-ი, პირობ-**ით**-ი, მ-**ის**-ი, სხვ-**ის**-მა... ფორმებში მარტივ ფუძესა და ტერმინალურ ბრუნვის ნიშანს შორის მოთავსებული **-ად, -ით, -ის** მორფემათა ასეთი ინტერპრეტაცია — ისინი ყველას მიერ ჩათვლილია წარმოქმნის ელემენტებად (იხ. მაგალითად, ა. შანიძე, 1973, გვ. 110 და შემდეგ: §§ 153, 156); სადავო ხდება მხოლოდ სუბსტანციურ მსაზღვრელთა ფორმების სუფიქსთა კვალიფიკაცია: ზოგთა თვალსაზრისით სუბსტანციურ მსაზღვრელებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი წარმოქმნის ელემენტია (ამხანაგ-**ის**-∅ წიგნ-მა, წიგნ-მა ამხანაგ-**ის**-მ), მეორე თვალსაზრისით კი — ბრუნვის ნიშანი და ამის საფუძველზე ასეთ მსაზღვრელს ეწოდა „მართულ-შეთანხმებული". მართვა, მათი აზრით, გამოხატულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით, ხოლო შეთანხმება მისი მომდევნო ბრუნვის ნიშნით.

ჩვენთვის მეორე ვარაუდი მიუღებელია როგორც ბრუნვის ნიშანთა სინტაგმატური ქცევის თვალსაზრისით, ისე ამ ტიპის რთულ ფუძეთა პარადიგმატული ანალიზით: (1) როგორც განსაზღვრული მაგალითებიდან ჩანს, ბრუნვიან ფორმათა მთლიან სისტემაში, როდესაც ბრუნვის ნიშნის წინ სხვა ბრუნვის ნიშანი მოექცევა, ეს უკანასკნელი დება წარმოქმნის ელემენტად და, თუ მეორე ვარაუდის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამონაკლისად რჩება მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. სისტემის ეს კერძო დარღვევა დღემდე არავის აუხსნია, რადგან არაფერი უთქვამთ ნათესაობითი ბრუნვის სპეციფიკაზე, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ეს დარღვევა. ჩვენი აზრით, ასეთი სპეციფიკური თვისება ნათესაობით ბრუნვას არა აქვს; (2) ამავე დროს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი აღნიშნულ პოზიციაში ნაცვალსახელებთან, სხვა ბრუნვათა ნიშნების ანალოგიურად, ავლენს წარმოქმნის უნარს და გამონაკლისს არ ქმნის, ასეთებია მ-**ის**-ი, სხვ-**ის**-ი, თავ-**ის**-ი ფორმები, რომლებშიც **-ის** მორფემა ყველას მიერ მიჩნეულია წარმოქმნის ელემენტად, მსგავსად **-ად** (გულ-**ად**-ი) და **-ით** (პირობ-**ით**-ი) მორფემებისა არსებით სახელებში.

გავაანალიზოთ სუბსტანციური მსაზღვრელის ფორმები. საზღვრულის წინ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი არსებითი სახელი წარმოქმნილ მსაზღვრელად მიიჩნია აკაკი დავითიანმა. ჩვენ

მთლიანად ვიზიარებთ მის მოსაზრებას (ა. დავითიანი, 1973, გვ. 269—287). მას ამ საკითხთან დაკავშირებით სრულად აქვს მიჩნეული ქართულ ენათმეცნიერებაში არსებული ლიტერატურა, რაც გვათავისუფლებს ანალოგიური ოპერაციისგან. ქვემოთ წარმოდგენილ ჩვენს ანალიზში ზოგი რამის გამეორება გვიხდება ა. დავითიანის მსჯელობიდან, ჩვენი ზოგი მსჯელობა მოვლენას სხვა კუთხით უდგება (მაგ., ბრუნვის ნიშანთა არანჟირება ბრუნების ზოგადი სისტემის თვალსაზრისით, მორფონოლოგიური განსხვავება დერივაციული და ფლექსიური ელემენტების ცვლილებათა შესაბამისად) და გაფართოებულია საანალიზო მასალაც (ზმნიზედათა ადიექტივაცია). დებულებათა განმეორების შემთხვევაშიც სრული დამთხვევა არა გვაქვს იმ მხრივ, რომ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი მსაზღვრელი ჩვენთვის ფორმობრივ განსხვავებულია ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული სახელისგან (არამსაზღვრელისგან). ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, ყოველთვის თანდებულიანია და სხვ.

ვიდრე უშუალოდ არსებით სახელთაგან წარმოქმნილ მსაზღვრელთა წარმოებაზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ ნაცვალსახელებში ნათესაობითის **-ის** სუფიქსით ახალ ლექსიკურ ფორმათა წარმოქმნის მექანიზმი. სუბსტანციურ მსაზღვრელთა ანალოგიურ წარმოებაზე მსჯელობისას ეს არსებითი იქნება, რადგან გარკვეული გრამატიკული მიმართებით ნაცვალსახელი იგივეა, რაც არსებითი სახელი: არსებითი სახელები და ნაცვალსახელები ერთი პარადიგმის წევრებია ზმნასთან მიმართებით (**მე** ვაკეთებ, **შენ** აკეთებ, **ის**|კაცი აკეთებს) — „არსებითი სახელები, საერთოდ, მესამე პირის აღმნიშვნელი სიტყვებია“[1].

ასეთ ვითარებაში **-ის** მორფემის საშუალებით ნაცვალსახელთა წარმოქმნის მექანიზმი არსებით სახელზეც გავრცელდება, როგორც საზიარო პარადიგმის წევრზე (I — მე, II — შენ, III — კაცი, ხე...) და წმინდა ნაცვალსახელური პარადიგმის მესამე წევრის პარალელური ფორმაზე (III **ის**//კაცი, ხე, ქვა... **ის** აკეთებს//კაცი აკეთებს, **ის** დგას//ხე დგას...).

ყველა ნაცვალსახელი ნათესაობით ბრუნვაში თანდებულიანია. ქვემოთ ორ რიგში ერთიმეორის გვერდით მოგვყავს პირის ნაცვალსახელთა სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები (I რიგი) და ნათესაობითიდან ნაწარმოები წარმოქმნილი ნაცვალსახელები (II რიგი).

---

[1] ლ. კვაჭაძე, სახელთან ზმნა-შემასმენლის პირში მიმართების საკითხისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა IX რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1981, გვ. 27.

I	II
პირის ნაცვალსახელები	კუთვნილებითი ნაცვალსახელები (ნაწარმოები)
სახ. ბრ.	ნათ. ბრ.	
მე	ჩემ-	ჩემ-ი (შდრ. ჩემ-მა, ჩემ-ს...)
შენ	შენ-	შენ-ი (შდრ. შენ-მა, შენ-ს...)
ის	მ-ის-	მის-ი (შდრ. მის-მა, მის-ს...)
ჩვენ	ჩვენ-	ჩვენ-ი (შდრ. ჩვენ-მა, ჩვენ-ს...)
თქვენ	თქვენ-	თქვენ-ი (შდრ. თქვენ-მა, თქვენ-ს...)
ისი-ნ-ი	მა-თ-	მათ-ი (შდრ. მათ-მა, მათ-ს...)

ანალოგიური ვითარებაა სხვა ნაცვალსახელებთანაც:
თავ-ი (სახ. ბრ.) — თავ-ის (ნათ. ბრ.) — თავის-ი (კუთვნ. ნაცვალსახ. სახ. ბრუნვაში)
სხვა-∅ (სახ. ბრ.) — სხვ-ის (ნათ. ბრ.) — სხვის-ი (კუთვნ. ნაცვალსახელი სახ. ბრუნვაში).

რომელიმე სხვა-∅ განსაზღვრულ პირს გამოხატავს, რომლის **ნათესაობითი** სხვ-ის- (სხვ-ის-თვის), მსგავსად სხვა ბრუნვათა ფორმებისა, ლექსიკურად იმავე მნიშვნელობას ატარებს, რასაც სახელობითი ბრუნვის ფორმის ფუძე: **სხვა-∅** დახატა, **სხვა-**ს დაუხატა, **სხვ-**ის-თვის დახატა და სხვ. ანალოგიური ვითარებაა პირის ნაცვალსახელთა ფუძემონაცვლეობის დროსაც ბრუნების დროს: **მე** დამხატა, **ჩემ-**თვის დახატა; **შენ** დაგხატა, **შენ-**თვის დახატა; **ის** დახატა, **მა-**ს დაუხატა, **მ-**ის-თვის დახატა და სხვ. აქ განხილულ შემთხვევებში ნაცვალსახელთა ბრუნებასთან გვაქვს საქმე და, ბუნებრივია, ბრუნვათა შეცვლით სხვადასხვა წინადადებაში ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილება არ ხდება, როგორც ამას ადგილი აქვს არსებით სახელებში: კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის- (კაც-ის-თვის).

სრულიად განსხვავებული ვითარებაა II რიგის ფორმებში — აქ საქმე გვაქვს წარმოქმნასთან I რიგის ფუძეებზე დაყრდნობით, რაც არავის აეჭვებს დღეს. ეს გასაგებიცაა, რადგან ლექსიკური მნიშვნელობით ძალიან შორს დგანან **შენ** (შენ-თვის, შენ-გან) პირის ნაცვალსახელი და **შენ-**ი (შენ-ი ძმა, შენ-ი წიგნი) კუთვნილებითი ნაცვალსახელი, **სხვ-**ის- (სხვ-ის-თვის წიგნი დახატა) განსაზღვრებითი ნაცვალსახელი და **სხვის-**ი (სხვის-ი წიგნი დახატა) კუთვნილებითი ნაცვალსახელი. **შენ-** პირია ნათესაობით ბრუნვაში, ხოლო **შენ-**ი არის ის, რაც მეორე პირს „**შენ**“-ს ეკუთვნის; ასევე **სხვის-** (სხვ-ის-თვის მოვიტანე წიგნი) პირია, ხოლო **სხვის-**ი ის, რაც „სხვა“-ს ეკუთვნის (სხვის-ი წიგნი მოვიტანე).

მაშასადამე, პირის ნაცვალსახელს მნიშვნელობით უპირისპირდება, რაც პირის ნაცვალსახელის კუთვნილებაა, მათი აღრევა ლექსიკურად შეუძლებელია და არც ხდება თანამედროვე ქართულში. ჩვენ ეს ვრცელი მსჯელობა მოვიყვანეთ იმისთვის, რომ პარალელი გავავლოთ არსებით სახელებთან. ეს ანალიზი რომ გავიმეოროთ არსებით სახელებთან, რომლებიც „მესამე პირის აღმნიშვნელი სიტყვებია“ (ლ. კვაჭაძე), მივიღებთ სრულიად იდენტურ სურათს: ბავშვ-ი დახატა, ბავშვ-ს დაუხატა, ბავშვ-ის-თვის დახატა — საქმე გვაქვს ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის ფორმებთან. ბავშვ-ის- ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა, რომელიც უთუოდ საჭიროებს თანდებულს, მსგავსად პირის ნაცვალსახელებისა. მისგანაც ისევე წარმოიქმნება კუთვნილებითი სახელი, როგორც პირის ან სხვა ნაცვალსახელებისგან კუთვნილებითი ნაცვალსახელი.

ავიღოთ არსებითი სახელი ბავშვ-ი და მისი გამოსახატველი ნაცვალსახელი ის და განვიხილოთ წინადადებაში, სადაც ისინი წარმოდგენილი იქნება ნათესაობით ბრუნვაში: 1) მ-ის-თვის წიგნი მოიტანა, 2) ბავშვ-ის-თვის წიგნი მოიტანა.

ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს მესამე პირის სახელთან, რომელიც პირველ შემთხვევაში ნაცვალსახელით არის გამოხატული, ხოლო მეორე შემთხვევაში არსებითი სახელით.

როგორც მესამე პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან წარმოიქმნება კუთვნილებითი ნაცვალსახელი: მ-ის- — მის-ი. ისე მესამე პირის არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან წარმოიქმნება კუთვნილებითი არსებითი სახელი: ბავშვ-ის- — ბავშვის-∅:

(1[1]) მის-ი წიგნი მოიტანა (შდრ. (1)).

(2[1]) ბავშვის-∅ წიგნი მოიტანა (შდრ. (2)).

როგორც მ-ის- პირის ნაცვალსახელი (მნიშვნელობით „ის“, ლექსიკურად განსხვავდება მის-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელისგან (მნიშვნელობით „ის-ის კუთვნილი“), ასევე მესამე პირის არსებითი სახელი ბავშვ-ის (მნიშნელობით „ცირე ასაკის ადამიანი“) ლექსიკურად განსხვავდება ბავშვის-∅ კუთვნილებითი არსებითი სახელისგან (მნიშვნელობით „ბავშვის კუთვნილი“). მის-ი და ბავშვის-∅ თვისების გამომხატველი სახელებია. შეიძლება ჩვენი მსჯელობისთვის ხელისშემშლელად გვეჩვენოს ის, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები პრეპოზიციაშიც და პოსტპოზიციაშიც ბრუნვის ნიშნებით არის გამოხატული (მის-ი საქმე-∅, მის-მა საქმე-მ, მის-∅ საქმე-ს: საქმე-∅ მის-ი, საქმე-მ მის-მა, საქმე-ს მისა-ს და სხვ.), კუთვნი-

ლებითი არსებითი სახელები კი პრეპოზიციაში ბრუნვის ნიშნებს არ ირთავენ (ბავშვის წიგნ-ი, ბავშვის წიგნ-მა, ბავშვის წიგნ-ს და სხვ.). ეს სხვაობა გამოხატულების პლანისაა და არა გრამატიკული შინაარსისა: გრამატიკული შინაარსის მიხედვით მსაზღვრელი ბავშვის ყველა ბრუნვაში იმ ბრუნვის ნულოვან ალომორფს ატარებს, რომელ ბრუნვაშიც საზღვრული დგას. ეს ვითარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვაქვს მაშინაც, როცა ატრიბუტული მსაზღვრელი ხმოვანფუძიანია (პატარა-∅ ბავშვ-ი, პატარა-∅ ბავშვ-მა, პატარა-∅ ბავშვ-ს...) და ზოგიერთ ბრუნვაში მაშინაც, როცა მსაზღვრელი თანხმოვანფუძიანია (დიდ∅ ბავშვ-ს, დიდ-∅ ბავშვ-ად). ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე სუბსტანციური მსაზღვრელი, მსგავსად ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელებისა, პრეპოზიციაშიც ირთავდა ბრუნვის ნიშნებს მატერიალური გამოხატულებით: ბავშვისა-ჲ წიგნ-ი, ბავშვისა-მან წიგნ-მან, ბავშვისა-სა წიგნ-სა და სხვ. (შდრ. მცირე-ჲ ბავშვ-ი, მცირე-მან ბავშვ-მან, მცირე-სა ბავშვ-სა...).

ქართული ენა, მისი განვითარების გათვალისწინებით, ისწრაფვის იქითკენ, რომ მსაზღვრელი ნულოვანი ალომორფით იყოს გამოხატული, ხოლო ბრუნვისა და რიცხვის მატერიალური გამოხატვა მთლიანად საზღვრულზე გადავიდეს, მაგალითად, თუშურ კილოში, სადაც შეთანხმების არქაული ფორმები დღესაც გვხვდება, არსებითად დამკვიდრებულია თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული სახელების ნულოვანი ალომორფებით დაბოლოებული ფორმები ყველა ბრუნვაში, მსგავსად ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელებისა, მაგალითად: შავ-∅ ძროხა-ჲ, შავ-∅ ძროხა-მ, შავ-∅ ძროხა-ს, შავ-∅ ძროხ-ის, შავ-∅ ძროხ-ით და სხვ. უფროსი თაობის თუშთა მეტყველებაშიც დღეს ძირითადია მსაზღვრელ-საზღვრულის აქ წარმოდგენილი ფორმები.

ერთიც: რა თქმა უნდა, ატრიბუტულ მსაზღვრელს იმის გამო, რომ იგი ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში ან რომელსამე ბრუნვაში, უბრუნველი ვერ დაერქმევა, ე. ი. ფუძეს ვერ ვუწოდებთ მას (შდრ. ა. შანიძე, 1973, გვ. 85, § 123), რადგან ფუძე ლინგვისტური ანალიზის საჭიროებით გამოყოფილი ნაწილია სახელისა. რეალურ, მოქმედ ენაში ფუძე არ არსებობს, სახელი ყოველთვის რომელსამე ბრუნვაშია და ეს ბრუნვის ნიშანი შეიძლება ნულოვანი ალომორფით იყოს გამოხატული, როგორც, მაგალითად, სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან არსებით სახელებთან (ძმა-∅ მოვიდა, წყარო-∅ მოჩუხჩუხებს...) და სუბიექტური მეორე პირის ნიშანი ზმნებთან (∅-აკეთებ საქმეს, გუშინ გა-∅-თალე ფანქარი...)

ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელისა და პრეპოზიციური სუბსტანციური (კუთვნილებითი) მსაზღვრელის პარადიგმა ზემოთ

თქმულის საფუძველზე ბრუნების პარადიგმაში შემდეგნაირად იქნება წარმოდგენილი:

სახ.	პატარა-∅	ბავშვ-ი		მეგობრის-∅	ბავშვ-ი
მოთხ.	პატარა-∅	ბავშვ-მა		მეგობრის-∅	ბავშვ-მა
მიც.	პატარა-∅	ბავშვ-ს		მეგობრის-∅	ბავშვ-ს
ნათ.	პატარა-∅	ბავშვ-ის		მეგობრის-∅	ბავშვ-ის
მოქ.	პატარა-∅	ბავშვ-ით		მეგობრის-∅	ბავშვ-ით
ვით.	პატარა-∅	ბავშვ-ად		მეგობრის-∅	ბავშვ-ად
წოდ.	პატარა-∅	ბავშვ-ო		მეგობრის-∅	ბავშვ-ო.

ნულოვანი ალომორფები ყველა ბრუნვაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ, კერძოდ, იმ ბრუნვის ფუნქციას, რომელშიც საზღვრული დგას. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ნულოვანი ალომორფები ქართულში განპირობებულია პოზიციურად: როგორც კი მსაზღვრელი პოსტპოზიციაში მოექცევა, ბრუნვის ნიშანი მატერიალურადაც გამოჩნდება მოთხრობითსა და მომდევნო ბრუნვებში: ბავშვ-ი პატარა-∅, ბავშვ-მა პატარა-მ, ბავშვ-ს პატარა-ს... ბავშვ-ი მეგობრისა-∅, ბავშვ-მა მეგობრისა-მ, ბავშვ-ს მეგობრისა-ს და სხვ.

სახელობით ბრუნვაში საზღვრულიცა და მსაზღვრელიც ორივე შეიძლება ნულოვანი ალომორფებით წარმოგვიდგეს: პატარა-∅ ძმა-∅, მეგობრის-∅ ძმა-∅. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ აქ წარმოდგენილი ფორმები უბრუნველია შემდეგ წინადადებებში: პატარა ძმა მოვიდა: მეგობრის ძმა მოვიდა.

შეიძლება ისიც, რომ მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი მატერიალურად იყოს გამოხატული, საზღვრული კი ნულოვანი ალომორფით წარმოდგეს: დიდ-ი ზღვა-∅, ზღვა-∅ დიდ-ი და სხვ.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი ფორმებია, ე. ი. მსაზღვრელებია სახელზმნათა გვერდით ე. წ. „სუბიექტისებრი და ობიექტისებრი დამატებებიც“: მ ა მ ი ს დახატვა (მამას დახატავს) და მ ა მ ი ს ნახატი (მამამ დახატა).

სახელზმნათა ზმნურ კატეგორიებს (დრო, გვარი, ასპექტი) არავითარი კავშირი არა აქვთ სახელზმნებთან დაკავშირებულ აღნიშნულ სახელებთან. ამ სინტაგმებს შორის კავშირი მყარდება მხოლოდ სახელური კატეგორიებით (ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით), რომელთა გამოხატვის საშუალებები მათ ერთნაირი აქვთ. აქაც საქმე გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებასთან ბრუნვაში: მამის-∅ დახატვა-∅, მამის-∅ დახატვა-მ ...(შდრ. დახატვა-∅ მამისა-∅, დახატვა-მ მამისა-მ ...) და არა მართვასთან.

რაც შეეხება მსაზღვრელის მისწრაფებას — გადავიდეს ნულოვან ალომორფობაზე ბრუნების მთელს პარადიგმაში, ამის მიზეზი, გარდა

მორფონოლოგიური მოთხოვნილებებისა, არის თვით მსაზღვრელის ბუნება. მსაზღვრელი თვისების გამომხატველი დაქვემდებარებული წევრია სინტაგმისა და გრამატიკულად მთლიანად დამოკიდებულია იმ სიტყვაზე — საზღვრულზე, რომელსაც ექვემდებარება. თავად მას, როგორც თვისების გამომხატველ სიტყვას, არც რიცხვი სჭირდება, არც სქესი და არც ბრუნება — ყველაფერი ეს საზღვრული სახელისა აქვს მხოლოდ ფორმალური შეთანხმების საფუძველზე. სწორედ ამიტომ ფორმალურ შეთანხმებას ნულოვანი ალომორფებითაც ახერხებს. მით უმეტეს, თუ ნულოვანი ალომორფი ფონოლოგიურადაც იქნება გამართლებული (ვთქვათ, მ ც ი რ ე ი→მ ც ი რ ე ∅→მ ც ი რ ე — აქ ორი ხმოვნის თავმოყრაა ერთად, რაც ხდება მორფოლოგიური არანკირების საფუძველზე, არაბუნებრივია ქართული ენის ფონემატური სტრუქტურისათვის და მსაზღვრელის ნულოვანი ალომორფი ფონოლოგიურად არის შეპირობებული. იგივე შეიძლება ითქვას ხმოვანფუძიან მსაზღვრელზე წოდებით ბრუნვაში: მ ც ი რ ე ო→მ ც ი რ ე ვ→მ ც ი რ ე).

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მორფონოლოგიური ქცევის თვალსაზრისით ბრუნვის ნიშანი და წარმოქმნის ელემენტი ზოგჯერ განსხვავებულად იქცევიან, ასე მაგალითად, ვითარებითი ბრუნვის ისტორიულად დადასტურებული {-ად} მორფემა და ამავე ბრუნვის ნიშნის ფუნქციური რეინტერპრეტაციით მიღებული {-ად} წარმომქმნელი მორფემა ერთსა და იმავე პოზიციაში განსხვავებულ ფონეტიკურ თვისებებს ავლენენ თანამედროვე ქართულში. ავიღოთ ორი წინადადება ბუნებრივი ქართული მეტყველებიდან:

(1) გ უ ლ ა თ კაცს რკინა ჰქონდა

და

(2) გ უ ლ ა დ კაცს რკინა ჰქონდა

პირველ წინადადებაში გ უ ლ ა თ ფორმაში **-ათ** ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, სახელის ბოლოს დაყრუებული მჟღერი თანხმოვნით (ძველ ქართულში მხოლოდ **-ად** გვხვდება დღევანდელი **ათ**-ის ადგილზე). გ უ ლ ა თ ამ წინადადებაში უბრალო დამატებაა.

მეორე წინადადების გ უ ლ ა დ, რომელშიც **-ად** მორფემის /დ/ არ ყრუვდება, სინტაქსურად მსაზღვრელია. გ უ ლ ა დ ფორმა ამ წინადადებაში ნაწარმოები სახელის ფუძეა, რომელსაც მოსდევს მიცემითი ბრუნვის ნულოვანი ალომორფი და გრამატიკულად ჩაიწერება შემდეგნაირად: გულად-∅ მიცემით ბრუნვაში [-ს]~[∅] მიმართება ფონოლოგიურად არის შეპირობებული. სწორედ ასეთ მორფონოლოგიურ განსხვავებაზე მიუთითებდა ნ. ტრუბეცკოი რუსულ ენაში: „...существует большое различие между рядами звуковых чередований,

которые используются для парадигматического и деривационного формообразования»[1].

სახელთა ფორმების პარადიგმატული ანალიზის დროს ეს მორფონოლოგიური განსხვავება უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია უზუსტობა დერივაციული და ფლექსიური ელემენტების კვალიფიკაციისას, ასე მაგალითად, იმის გაბა, რომ წარმოქმნილი მესამედი, მეხუთედი, ტანადი... ფორმებში არ ყრუვდება წარმოქმნის {-ად} მორფემის [-ად] და [-დ] ალომორფები, ქართული ენისათვის ვითარებით (მიმართებით) ბრუნვაში ბუნებრივი ქართული მეტყველებისათვის დამახასიათებელი -ათ და -თ დაბოლოებები (ამხანაგ-ათ, ძმა-თ) არ არის მიღებული მართლწერის ნორმად აღნიშნულ ბრუნვაში[2]. ბრუნვის ნიშანთა ფორმალური და ფუნქციური კვალიფიკაციის დროს წარმოქმნის ელემენტთა (გინდაც ეს ელემენტი ბრუნვის ნიშნისგან იყოს მიღებული) ჩვენებაზე დამყარება გაუმართლებელია, რადგან ისინი სხვადასხვა პარადიგმებს განეკუთვნებიან.

იმის გამო, რომ ვითარებითი ბრუნვის ალომორფები ყველა პოზიციაში ყრუდ არის წარმოდგენილი (კაც-ათ, ყრუ-თ, კაც-ათა-ც, ყრუ-თა-ც), მხოლოდ ბრუნვის ფორმებზე დამყარებული ანალიზით სწორი იქნება ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ნიშნად სწორედ -ათ და -თ გამოვყოთ თანამედროვე ქართულ ენაში, -ად, -დ (გულ-ად-ი, მეორე-დ-ი) კი დარჩება წარმოქმნის ელემენტებად.

დავუბრუნდეთ სუბსტანციური მსაზღვრელის ფორმას. როგორც ზემოთ ვნახეთ, (1) -ის (ა) წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა უთანაბრებულო სახელთა მხოლობითი რიცხვის არატერმინალურ პოზიციაში. ანალოგიურად იმ ბრუნვის ნიშნებისა, რომელთაც სახელის მხოლობითი რიცხვის ფორმაში სხვა ბრუნვის ნიშანი მოსდევს: მეგობრის-∅ წიგნ-ი (ძვ. ქართ. მეგობრისა-ჲ წიგნ-ი); შდრ. ტანად-ი კაც-ი, პირობით-ი ნიშან-ი. აქ -ის (-ისა), -ად, -ით წარმოქმნის ელემენტებია. შეიძლება მივიღოთ დებულება: უთანდებულო სახელთა მხოლობით რიცხვში ტერმინალური ბრუნვის ნიშნის წინ ყველაფერი სახელის ფუძეს განეკუთვნება. (2) ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი ფუძეები ზედსართავად მოიქცევიან და სინტაქსურად მსაზღვრელის როლს ასრულებენ; (3) ზემოთქმული ეხება არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს, რომლებიც არსებითი სახელის როლს ასრულებენ. რიცხვით და ზედსართავ სახელებს შეეხება

---

[1] Н. С. Трубецкой, Некоторые соображения относительно морфонологии, კრებ. Пражский лингвистический кружок, М., 1967, გვ. 118.

[2] თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, 1970, გვ. 61.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მათი სუბსტანტივაცია (კარგის-∅ პატრონი, ორის-∅ პატრონ-ი).

ახლა რაც შეეხება თანდებულიან სახელებს: თუ თანდებული ფორმაში ტერმინალური ელემენტია, მაშინ ის ასრულებს თანდებულის როლს და სახელის ფუძეს არ განეკუთვნება, ხოლო თუ თანდებულს მოჰყვა ბრუნვის ნიშანი, თანდებული, მსგავსად ბრუნვის ნიშნებისა ამ პოზიციაში, წარმოქმნის ელემენტად რეინტერპრეტირდება: მ-ის-ებრ — მისებრ-ი, კაც-თა-გან — კაცთაგან-ი, მ-ის მიერ — მისმიერ-ი; ძველი ქართულიდან: მ-ის თანა — მისთანა-ჲ „მასთან მყოფი“ და სხვ. მ-ი-ს-ებრ-ი, კ-ა-ც-თ-ა-გ-ა-ნ-ი... ფორმებში თანდებულები და მათ წინ მდგომი ბრუნვის ნიშნები წარმოქმნის ელემენტებია.

მთის დიალექტების მ თ ა შ ი ი თ (ა), მ თ ა ზ ე ი თ (ა), მ თ ა ს თ ა ნ ი თ (ა) ფორმებში -ში, -ზე, -თან თანდებულები წარმოქმნის ელემენტებია, ბრუნვის ნიშანია **-ით** (ა), რომელიც წარმოქმნის ელემენტად იქცევა მაშინვე, როგორც კი მასაც დაერთვის ბრუნვის ნიშანი. გავაანალიზოთ ეს ფორმები; მთ-ით (ა) (მაგალითად, წინადადებაში: ბითითა მოვიდ „მთიდან მოვიდა“) ლოკალური მნიშვნელობის მქონე მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა — გამოსვლითი. ამ მნიშვნელობით მ თ ი თ ძველ ქართულშიც გვხვდება. მ თ ა შ ი ი თ (ა) უფრო რთული სემანტიკური მნიშვნელობის გამომხატველი ფორმაა. სალიტერატურო ქართულში მას ზუსტი შესატყვისი არ ეძებნება, დაახლოებით ნიშნავს ამას: „მთასთან და იქიდან“. ყველა ამ ფორმაში ბრუნვის ნიშანია **-ით** (ა) (გამოსვლითი ფუნქციით), ლექსიკური განსხვავება ფორმათა შორის მყარდება ფუძეებით, რომლებშიც ყოველ თანდებულს, რეინტერპრეტირებულს წარმოქმნის ელემენტად, შეაქვს გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ლექსიკური ნიუანსი. ფორმათა წარმოება შეიძლება განვაგრძოთ ისე, რომ თვით **-ით**(ა) ბრუნვის ნიშანი, რომელიც თანდებულს მოჰყვება, იქცეს წარმოქმნის ელემენტად; მ თ ა ზ ე ი თ ა-ჲ, მ თ ა ს თ ა ნ ი თ ა-ჲ. არსებითი სახელების გვერდით ესენი მსაზღვრელებია: მ თ ა შ ი ი თ ა-∅ ხე-ჲ, მ თ ა ზ ე ი თ ა-∅ ხე-ჲ, მ თ ა ს თ ა ნ ი თ ა-∅ ხე-ჲ (მსაზღვრელის სახ. ბრუნვის ნიშანი ხულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი, რადგან მსაზღვრელი ხმოვანფუძიანია; შდრ. მაგალითად, პატარა-∅ ხე-ჲ). მ თ ა შ ი ი თ ა ხე ნიშნავს ამას „მთაში მდგომი ხე“, მ თ ა ს თ ა ნ ი თ ა ჯ ე ვ რ „მთასთან არსებული ხევი“ და სხვ.

ხშირად ეს მსაზღვრელები სუბსტანტივაციას განიცდიან (როცა საზღვრული არ არის წარმოდგენილი) და მათ თითქმის ყველა ბრუნვაში ვხვდებით სრული მატერიალური გაფორმებით: მთაშიითა-ჲ, მთაში-

ითა-მ, მთაშიითა-ს... ჩვენ ასეთი ფორმები ნახური ენების გავლენის შედეგად მივიჩნიეთ თუშურში[1].

თუშური მთაზეითა-∅ ფორმის შინაარსობრივი შესატყვისი ხევსურულში არის მთაზედურ-ი. როგორც ხევსურული ფორმის **-ზედ-** ვეღარ ჩაითვლება თანდებულად წარმოქმნის **-ურ** სუფიქსის წინ, ასევე ვერც თუშური ფორმების **-ზე-** ჩაითვლება თანდებულად ზემოთ განხილულ ფორმებში. აქ საყურადღებოა ისიც, რომ თუშურ ფორმათა **-ით** (ა) სუფიქსს (მთაზეით**ა-ჲ**, მთასთანით**ა-ჲ**, მთაშიით**ა-ჲ**//მთაზეით-ი, მთასთანით-ი, მთაშიით-ი), რომელიც ამ ფორმებში წარმოქმნის ელემენტია თავისი ფუნქციით, ხევსურულში სწორედ წარმოქმნის **-ურ** სუფიქსი შეესაბამება (მთაზედ**ურ**-ი).

თანდებულიანი ფორმები: მთაში, მთაზე, მთასთან სინტაქსურად გარემოების როლში გამოდიან. სწორედ ამ გარემოებითი შინაარსის მოქცევა ხდება მსაზღვრელად ფორმათა ბოლოს დართული ბრუნვის ნიშნებით. ეს სიმპტომატურია — როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში. ჩვეულებრივია ზმნიზედათა (გარემოებათა) ადიექტივაცია სწორედ ბრუნვის ნიშნების დართვით. ძვ. ქართული: **აჭა** „აქ“ — **აჭა-ჲ** „აქაური“, თანა „თან“ (ზზ.) — თანა**ჲ** „თანმხლები“, შიგან „შიგ“ (ზზ.) — შიგან-ი „შიგნით მყოფი“ და სხვა; თანამედროვე ქართული: აქეთა (აქეთა და იქით) — აქეთა-∅ „აქეთ მყოფი“, იქითა (იქითა და იქით, — იქითა-∅ „იქით მყოფი“, წინა (წინა და უკან) — წინა-∅ „წინ მყოფი“, უკანა (უკანა და წინ) — უკანა-∅ „უკან მყოფი“. სუბსტანტივაციის შემთხვევაში ეს მეორადი ფორმები მსაზღვრელისა იბრუნვიან როგორც არსებითი სახელები: წინა-∅, წინა-მ, წინა-ს ... უკანა-∅, უკანა-მ, უკანა-ს („უკანამან წინა ნახა...“ „ვეფხისტყაოსანი“, 255,3) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ზმნიზედათა ადიექტივაცია ხდება მხოლოდ ბრუნვის ნიშნის დართვით, ყოველგვარი წარმოქმნის ელემენტის გარეშე. ზემოთ თქმული შეიძლება კვლავ გავიმეოროთ: მხოლობითი რიცხვის ფორმებში ბრუნვის ნიშნის წინ ყველაფერი (რა წარმომავლობისაც არ უნდა იყოს იგი) ფუძეს განეკუთვნება.

აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს სახელთა წარმოქმნის ზოგ თავისებურებაზე: (1) როცა ვითარებითი ბრუნვის ნიშანი წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა, ის კონკრეტულ ლექსიკურ ფუნქციას იძენს — გამოხატავს მქონებლობას: გულ-ად-ი „გულიანი“, „გულის მქონე“: (2) ზოგ შემთხვევაში კი ასეთი ტიპის წარმოქმნის ელემენტებისთვის კონკრეტული ფუნქციის მიკუთვნება თითქმის შეუძლებელია, ავიღოთ

---

[1] თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება. თბილისი, 1966, გვ. 77 და შემდეგ.

მაგალითად, ფორმები: პირობი-ით-ი, შემოქმედებ-ით-ი... ძალიან ძნელია წარმოქმნის **-ით** სუფიქსის კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობის განსაზღვრა, ვთქვათ ასეთი: პ ი რ ო ბ ი თ-ი „რაც პირობასთან არის დაკავშირებული“ ან შემოქმედებით-ი „რაც შემოქმედებასთან არის დაკავშირებული“ (შესიტყვებებში: პირობითი ნიშანი, შემოქმედებითი მივლინება). -ით სუფიქსისთვის შეიძლება გვეწოდებინა წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს სუფიქსი და ეს გამოეხმაურებოდა მოქმედებითი ბრუნვის **-ით** სუფიქსის ერთ-ერთ ფუნქციას — გამოსვლითობას, მაგრამ ფორმის ბოლოს დართული ბრუნვის ნიშანი (პირობით-ი) დაუნაწევრებელ მნიშვნელობას აძლევს მთელ ფუძეს განუყოფლად, რადგან საპირისპირო მნიშვნელობის ფორმები თითქმის არა გვაქვს ენაში, როგორც სხვა შემთხვევაში, მაგ.: ქუდ-იან-ი: უ-ქუდ-ო, წიგნ-ი: წიგნ-აკ-ი და სხვ. ამ სპეციფიკურ ფორმებში **ით** სუფიქსი უბრალოდ წარმოქმნილი ფუძის ინგრედიენტი ხდება და ფუძის დანარჩენ ნაწილთან ერთად ქმნის ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას, განსხვავებულს პირველადი ფუძის მნიშვნელობისგან. ასეთი ვითარების საუკეთესო ამსახველია ზმნათა პირიანი ფორმებისგან მიღებული წარმოქმნილი სახელები (წარმოქმნა ამ შემთხვევაშიც ხდება ბრუნვის ნიშნის დართვით 1): არ-ს — არს-ი, ღირ-ს — ღირს-ი, მ-რწამ-ს — მრწამს-ი და სხვ. რა თქმა უნდა, წარმოქმნილ ფორმებში S_3-ის **-ს** ან O_1-ის **მ-** აფიქსების კონკრეტული ლექსიკური ფუნქციის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია — ისინი ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით ცალკე არ გაიაზრებიან. ისინი ქართველი მეტყველის შეგნებაში ძირეულ მორფემასთან ერთად ქმნიან ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას და წარმოებული მნიშვნელობის ისეთივე ინგრედიენტებია, როგორც რომელიმე ძირეული ფონემა.

აღნიშნულ ზმნის პირიან ფორმათაგან წარმოქმნილ სახელთა მსგავსად, სრულიად შეუძლებელია რაიმე კონკრეტული ფუნქცია გამოვყოთ სახელთაგან წარმოქმნილ ძ ი რ ი თ ა დ-ი, გ უ ლ ი თ ა დ-ი ფორმების **-ით** და **-ად** ელემენტებისათვის — ისინი ძირეულ მორფემასთან ერთად ქმნიან ერთ განუყოფელ მნიშვნელობას.

ამ თვალსაზრისით მიუღებელია ჰ. ი. არონსონის ვარაუდი, თითქოს ქართულ ენაში ბრუნვის ნიშნის, როგორც ტერმინალური დაბოლოების, ცნება არ გამოდგება. სანიმუშოდ განხილულია ფორმა ქ ა ლ ა ქ თ ა გ ა ნ ი, სადაც **-თა** ბრუნვის ნიშანი არ არისო ტერმინალური[1]. როგორც ზემოთ ვნახეთ, ბრუნვის ნიშნის ფუნქციას ამ ფორმაში ასრულებს მხოლოდ ტერმინალური **-ი** სუფიქსი (ქალაქთაგან-ი), სხვა ელე-

[1] H. I. A r o n s o n, Towards a formal analysis of the Georgian declension, „General Linguistics“, 9(1969), გვ. 173.

მენტები ფუძის წარმომქმნელებია და არა ბრუნვის ნიშანი და თანდებული.

ახლა მრავლობითი რიცხვის ფორმათა შესახებ: უთანდებულო სახელთა ფორმებში ბრუნვის ნიშნის წინ ერთადერთი ფლექსიური მორფემა, რომელიც ფუძეს არ განეკუთვნება, არის მრავლობითი რიცხვის სუფიქსი: **-ნ, -ებ**[1] და **-თა**-ც, რამდენადაც ეს უკანასკნელი ითავსებს ორი ფლექსიური კატეგორიის (ბრუნვისა და რიცხვის) ფუნქციას.

სახელთა მრავლობითობის -ნ და -ებ სუფიქსები, მსგავსად პირთა მრავლობითობის -თ, -ენ სუფიქსებისა ზმნებში, სახელის ლექსიკურ მნიშვნელობას ვერ ცვლის: (1) პირი და რიცხვი სახელისა და ზმნის საზიარო ფლექსიური კატეგორიებია და ამიტომაც გვაქვს შეთანხმება წინადადების ამ ორ წევრს შორის[2]. ეს სიმპტომატურია—შეთანხმება წინადადების ამ ორ, თავისი ბუნებით დიდად განსხვავებულ, წევრს შორის მხოლოდ საზიარო ფლექსიური—გრამატიკული კატეგორიების მიხედვით ხდება. დერივაციული ელემენტები სახელისა არ აისახებიან ზმნაში გრამატიკულად; (2) ამავე დროს **-ებ** და**-ნ** სუფიქსებს, განსხვავებით წარმოქმნის ელემენტებისგან და მსგავსად ბრუნვათა ნიშნებისა, არა აქვთ შეზღუდვა სახელის ფორმებში, როდესაც სახელის ფორმას ვაყენებთ მრავლობით რიცხვში. წარმოქმნის ელემენტები კი სინტაგმატურ მიმართებაში ხასიათდებიან გარკვეული შეზღუდვით. ასე მაგალითად, ერთი ფორმის ფარგლებში შეუძლებელია, ერთი მხრით, ქონების **-იან, -ოსან**...სუფიქსები და, მეორე მხრით, უქონლობის **უ—ო, უ—ურ** კონფიქსები (მაგ., უქუდიანო და სხვ.). რადგან ისინი ერთი ზოგადი მნიშვნელობის (მქონებლობის) დაპირისპირებული სახეებია, მაგრამ წარმოქმნილ ფორმებთან თავისუფლად იხმარება ფლექსიური ბუნების ბრუნვის ნიშნები და მრავლობითობის **-ებ** და **-ნ** სუფიქსები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახელის ფორმათა ანალიზისას **-ებ** და **-ნ** ექცევა ფლექსიურ და არა დერივაციულ ელემენტთა რიგში. ამდენად, მსგავსად ბრუნვის ნიშნებისა, მათ სახელის ფუძეში ვერ შევიტანთ.

ახლა თვით **-ებ** და **-ნ** სუფიქსების სინტაგმატურ მიმართებებზე: საშუალ ქართულში და თანამედროვე დიალექტებშიც დადასტურებულია ფორმები, სადაც ეს სუფიქსები უშუალო თანამიმდევრობით არიან განლაგებული[3]. აი ეს ფორმებიც: მთებნი, ბაღებნი, კერპებ-

---

1 შდრ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 109.

2 ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრომი.

3 კ. დონდუა, О двух суффиксах множественности в грузинском. რჩეული ნაშრომები, I, თბილისი, 1967, გვ. 160; ნ. კოტინოვი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან, XVIII—XIXსს, თბილისი, 1973, გვ. 72; А. А. Глонти, О трех суффиксах множественности в грузинском, ВЯ № 6, 1980 და სხვ.

ნი, ბადიშნები და სხვ. მათ უწოდებენ ორმაგი მრავლობითის ფორმებსაც. სემანტიკური თვალსაზრისით „ორმაგი მრავლობითი“ აქ გაუმართლებელია, რადგან მნიშვნელობით ისინი უდრიან ცალმაგ (მხოლოდ ერთი სუფიქსით გამოხატულ) მრავლობითს. რაიმე განსხვავება შინაარსის პლანში „ორმაგი მრავლობითისა“ და „ცალმაგი მრავლობითის“ ფორმებს შორის არც არის და არც აღუნიშნავთ. ამის გამო აღნიშნული ფორმების კვალიფიკაცია, ჩვენი აზრით, ასეთი უნდა იყოს: ფორმებში, სადაც -ებ და -ნ მრავლობითობის სუფიქსები ერთიმეორის გვერდით გვხვდება, ერთი მათგანი კარგავს ამ ფუნქციას; ფუნქციადაკარგული -ებ ან -ნ იქცევა ფუძის ნაწილად, მრავლობითობის გამოხატვა ეკისრება მხოლოდ ბრუნვის ნიშნის წინ მდგომ მრავლობითობის სუფიქსს. სწორედ ამიტომ არ მოხდა რაიმე გრამატიკული ცვლილება -ებ-ნ -იან ღა -ნ-ებ -იან ფორმებში. ეს მოგვაგონებს იმ ვითარებას, რომელიც გვქონდა ნაწილაკიან ორიენტ ტიპის ფორმებში სახ. ბრუნვის ნიშნის ი-ს შესვლისას ფუძეში რაიმე კონკრეტული ფუნქციის გარეშე (იხ. ზემოთ) და ეს სრულიად ემთხვევა კარებები შემთხვევას, სადაც პირველი -ებ შეუერთდა ძირეულ მორფემას, მასთან ერთად შექმნა ახალი ფუძე ისე, რომ ლექსიკური ცვლილება არ გამოუწვევია და სალიტერატურო ქართულში მივიღეთ ერთი და იმავე მნიშვნელობის მარტივი და რთული ფუძეები: კარ- და კარებ-. ამ თვალსაზრისით სიმპტომატურია, რომ დასავლურ დიალექტებში, სადაც -ნ და -ებ სუფიქსები უშუალო მეზობლობაში გვხვდება ერთი ფორმის ფარგლებში (ბადიშ-ნ-ებ-ი), მრავლობითობის -ნ სუფიქსით ნაწარმოები არსებით სახელთა მარტივი ფუძეები (ცაც-ნ-ი, სახლ-ნ-ი...) აღარა გვხვდება, ხოლო იმ დიალექტებში, სადაც -ნ ჯერ კიდევ მოქმედია (მაგ., ქართლურში, კახურში, მთის დიალექტებში) -ებ და -ნ ან, პირიქით, -ნ და -ებ ერთი ფორმის ფარგლებში არ გვხვდება.

-ებ და -თ(ა) სუფიქსები ერთიმეორის გვერდით სახელთა ერთი ფორმის ფარგლებში გვხვდებოდა საშუალ ქართულშიც და დღესაც გვხვდება დიალექტებში: ხილებთა (მიცემითი ბრუნვა: „...ყოველთა ზედა ხეთა, ხილებთა და ბალახთა და ბუჩქებთა და ყვავილებთა“), ტურებთა (ნათესაობითი ბრუნვა: „ყმუილი ტურებთა მახლობლად სოფლებთა თუ ქალაქთა“) და სხვ.[1].

1960 წელს აღვნიშნავდით, რომ თუშურში „...ხშირად მოთხრობით ბრუნვაში დასმულ სახელს მრავლობითი რიცხვი ორმაგად ეწარმოება“[2]. მაგალითად მოტანილია ქალებთ, ოჯრებთ, ლეკებთ

---

1 ნ. კოტინოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

2 თ. უთურგაიძე, თუშური კილო, გვ. 32.

ფორმები (ქალებთ იციან „ქალებმა იციან“; ცხვარი ლ ე კ ე ბ თ ა გა-რეკეს „ცხვარი ლეკებმა გარეკეს“). მაგალითების გაზრდა შეიძლებოდა ნებისმიერი რაოდენობით. თუშურ დიალექტში ამათ პარალელურად არის ქ ა ლ ე ბ მ, ლ ე კ ე ბ მ... ფორმებიც, რომლებიც ნორმაა მთის სხვა კილოებისთვის.

ძველ ქართულში -თ(ა) სუფიქსი ერთდროულად გამოხატავდა ბრუნვასაც და მრავლობით რიცხვსაც. ბრუნვათა განსაზღვრა ხდებოდა ან თანდებულით (ხ ე თ ა ზ ე დ ა, ხ ე თ ა თ ჳ ს, მ ა თ გ ა ნ: „დღეთა მათგან... მოაქამდე“, მ. 11, 12) ან წინადადების კონსტრუქციით (კ ა ც-თ ა იხილეს სახლი: ჰრქუა მან კ ა ც თ ა და სხვ.).

მსაზღვრელის ფორმებში, როცა -თ(ა) წარმოქმნის ელემენტი იყო (სუბსტანციური მსაზღვრელი), მას ყოველთვის მოსდევდა ბრუნვის ნიშანი, რომელიც ხულოვანი ალომორფითაც გამოიხატებოდა პრეპოზიციაში (საქმე-ჲ კაცთა-ჲ, კაცთა-ჲ საქმე-ჲ...).

საშუალო ქართულის კ ა ც-ე ბ-თ ა ტიპის ფორმებში -ებ სიმრავლეს გამოხატავდა, ხოლო -თ (ა) საზიარო ბრუნვის ნიშნად რჩებოდა მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში. მისი ფუნქცია ისევ თანდებულებით ან წინადადების კონსტრუქციით იყო განსაზღვრული.

თუშურ კილოში კი, როშლის არქაიზმი, მსგავსად მთის სხვა კილოებისა, საშუალო ქართულს ვერ სცილდება, -ებ და -თ (ა) სუფიქსიან ფორმათა გრამატიკული მნიშვნელობა სხვანაირად იცვალა: -თ (ა) დარჩა -ებ-ის მომდევნოდ მხოლოდ მოთხრობით ბრუნვაში და მარტო მოთხრობითი ბრუნვის გამოხატვა დაეკისრა. -ებ-ის მომდევნოდ -თ(ა) სხვა ბრუნვებში აღარ გვაქვს და მრავლობით რიცხვში მივიღეთ ასეთი პარადიგმა:

სახ.	კაც-ებ-ი
მოთხ.	კაც-ებ-თ (ა) ‖ კაც-ებ-მ
მიც.	კაც-ებ-ს (ა)
ნათ.	კაც-ებ-ის (ა)
მოქ.	კაც-ებ-ით (ა)
ვით.	კაც-ებ-ად
წოდ.	კაც-ებ-ო

ეს არის გამოვლინება იმ ზოგადი კანონზომიერებისა, რომლის მიხედვით ერთი და იმავე კატეგორიის პარადიგმის ელემენტები უშუალო თანამიმდევრობით არ გვხვდება ერთი ფორმის ფარგლებში. როდესაც ამას ადგილი აქვს გამოხატულების პლანში, სემანტიკურად ერთ-ერთი რეინტერპრეტირდება: ბრუნვის ნიშნებიდან ფუძის უშუალოდ მომდევნო ბრუნვის ნიშანი გარდაიქმნებოდა წარმოქმნის ელემენტად

და უერთდებოდა ფუძეს, მრავლობითი რიცხვის ნიშნებიდან კი ფორმის ტერმინალური სუფიქსი იქცა ბრუნვის ნიშნად.

ბრუნვის ნიშანთა რეინტერპრეტაციის შემთხვევაში ხდება ფუძის ზრდა, ასევე ხდება სახელობითში მრავლობითი რიცხვის მრჩობლი ნიშნის ხმარებისას (კარებ-ებ-ი, მთებ-ნ-ი, ბადიშნ-ებ-ი), რადგან ბრუნვის ნიშანი თავის ადგილზეა და მრავლობითობის გაგებაში რაიმე ცვლილება არ ხდება, ხოლო **-ებ**-ისა და **-თ(ა)**-ს ერთდროული დართვის შემთხვევაში შესაძლებელი გახდა **-თ(ა)**-ს რეინტერპრეტაცია ბრუნვის ნიშნად, რადგან ბრუნვის ნიშნის ფუნქცია იმთავითვე ჰქონდა ამ სუფიქსს.

რადგან **-თ (ა)**-ს ერთდროულად ორი ფუნქციის გამოხატვა ევალებოდა და ამის გამო რიგ შემთხვევაში ხდებოდა მისი რეინტერპრეტაცია ბრუნვის ნიშნად მრავლობითის **-ებ** სუფიქსის მომდევნოდ, მას რეინტერპრეტაცია უნდა განეცადა ბრუნვის ნიშნის წინაც, კერძოდ, უნდა გამოეხატა მხოლოდ მრავლობითობა, მომდევნო ბრუნვის ნიშანი კი თავის ფუნქციას შეასრულებდა. ამის მაგალითად გამოდგება საშუალო ქართულის თვალთათ „თვალებიდან“ ბაგეთათ „ბაგეებიდან“ და მსგავსი ფორმები. აქ ბრუნვის ნიშანია ბოლო /-თ/ სუფიქსი — იგი მოქმედებითი ბრუნვის { -ით } მორფემის ალომორფია ხმოვნის მომდევნო (თვალ-თა-ჲთ→თვალ-თა-თ), **-თა** სუფიქსი აქ მხოლოდ მრავლობითობას გამოხატავდა. აქ მას აღარ რჩებოდა ბრუნვის გამოხატვის ფუნქცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებითი ბრუნვის /-თ/ ნიშანს ვეღარ დაირთავდა. თვალ-თა-თ გრამატიკულად იგივეა, რაც თვალ-ებ-ით „თვალებიდან“, **-თა**-ს და **-ებ**-ს ამ ფორმებში ეკისრებათ მხოლოდ მრავლობითობის გამოხატვა.

რაც ზემოთ ითქვა თანდებულიან ფორმათა შესახებ, ზოგადად იგივე ითქმება ნაწილაკიან ფორმათა შესახებაც: ნაწილაკი ფორმის დამოუკიდებელი ელემენტია, როდესაც იგი ტერმინალური ელემენტია: ორ-ი-ვე, ორ-მა-ვე, ორ-სა-**ვე**... ნაწილაკი ფუძის ნაწილად იქცევა ბრუნვის ნიშნის წინ: ორივე-∅, ორივე-მ, ორივე-ს ....

ლექსიკური მნიშვნელობით **ორ-** და ორივე- ფუძეები განსხვავებულია. ორივე- მეტ ლექსიკურ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე ორ- ფუძე და ეს მეტი ინფორმაცია ერთ შემთხვევაში ნაწილაკით გამოიხატა (ორ-ი-**ვე**, ორ-მა-**ვე**, ორ-სა-**ვე**...), მეორე შემთხვევაში კი სახელის ფუძით — ორივე - (ორივე-∅, ორივე-მ, ორივე-ს...).

ნაწილაკის ფუძესთან შერწყმა მოხდა სახელობითის **-ი** სუფიქსთან ერთად, რომელიც აგრეთვე იქცა ფუძის ნაწილად და დაეკარგა ბრუნვის ნიშნის ფუნქცია, რომელიც ორ-ი-ვე ფორმაში ჰქონდა (შდრ. მისი პარადიგმის სხვა წევრები (ორ-მა-ვე, ორ-სა-ვე...).

მიუხედავად იმისა, რომ ორ-მა-ვე და ორივე-მ ფორმებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ წინადადებაში, მორფოლოგიური ანალიზის დროს ისინი დიდად განსხვავდებიან: ორივე-მ ფორმაში -ვე ცალკე ელემენტად ვეღარ გამოიყოფა, -ვე ერთ საზიარო მნიშვნელობას ქმნის ფუძის დანარჩენ ნაწილებთან ერთად, როგორც მის წინ მდგომი სახელობითი ბრუნვისეული -ი, რომელიც ასევე იქცა ფუძის განუყოფელ ელემენტად. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ქართლ-კახურში დადასტურებული ცხრანივენი, სამნივენმა, ორთავენი ...ფორმები[1].

ცხრანივე-ნ-ი, ცხრათავე-ნ-ი ფორმებში იმის გამო, რომ მარტივი ფუძის მომდევნო მრავლობითობის -ნ, სახელობითი ბრუნვისეული -ი, ბრუნვისა და რიცხვის -თა ნაწილაკ -ვე-სთან ერთად ფუძის ინგრედიენტები გახდნენ, რიცხვის გამოხატვა დაეკისრა ფორმის ბოლოს წარმოდგენილ -ნ-ს, ხოლო ბრუნვისა — ტერმინალურ -ი-ს, რომელსაც სხვა ბრუნვებში შესაბამისი ბრუნვის ნიშანი ცვლის: ორთავე-ნ-ს, სამთავე-ნ-მა (იხ. გრ. იმნაიშვილისა და არ. მარტიროსოვის დასახელებული ნაშრომები). აქ არც ორმაგი მრავლობითობა გვაქვს და არც ორმაგი ბრუნება, რადგან ფუძის ნაწილად ქცეული ბრუნვისა და რიცხვის მორფემები მოკლებული არიან გრამატიკულ ფუნქციას.

დასკვნები

1. სახელის ფორმათა ტერმინალური ბრუნვის ნიშანი და მის წინ მდგომი რიცხვის ნიშანი ფლექსიური ელემენტებია და სახელის ფუძეში, რომელიც სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას ატარებს, არ შედიან (კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი. ამ ფორმათა ფუძეა კაც-).

2. სახელის ერთი ფორმის ფარგლებში თუ ერთზე მეტი ბრუნვის ნიშანია, რომლებადაც ისინი იდენტიფიცირდებიან მარტივფუძიან სახელთა პარადიგმატული ანალიზით, ბრუნვის ნიშნის ფუნქციას ატარებს ტერმინალური ნიშანი, სხვა /სხვები კი, გარდა მრავლობითობის სუფიქსისა, ფუძის ნაწილად მოიქცევა/ მოიქცევიან (გულად-ი, გულად-ებ-ი, გულად-ნ-ი; სხვის-ი, სხვის-ებ-ი, სხვის-ნ-ი; ამხანაგისა-Ø, ამხანაგის-ებ-ი, ამხანაგის-ნ-ი; ძირითად-ი, ძირითად-ებ-ი, ძირითად--ნ-ი და სხვ.).

3. სახელის ერთი ფორმის ფარგლებში თუ ერთზე მეტი რიცხვის ნიშანია, რომლებადაც ისინი იდენტიფიცირდებიან სახელთა პარადიგ-

---

[1] გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, თბილისი, 1974, გვ. 200; არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 74.

მატული ანალიზით, რიცხვის გამომხატველია ბრუნვის ნიშნის წინ მდგომი მრავლობითობის სუფიქსი, სხვა კი ფუძის ნაწილად მოიქცევა (კარებ-ებ-ი, ბადიშნ-ებ-ი, ორთავე-ნ-ი და სხვ.).

4. მრავლობითობისა და ბრუნვის გამომხატველი -თ (ა) სუფიქსი მრავლობითობის -ებ სუფიქსის მომდევნოდ მოიქცევა ბრუნვის ნიშნად (საშუალო ქართულის კაც-ებ-თა მოთხ., მიც., ნათ. და მოქ. ბრუნვებში და თუშურის კაც-ებ-თ (ა) მოთხრობით ბრუნვაში).

იგივე -თა სუფიქსი ბრუნვის ნიშნის წინ მოიქცევა მრავლობითობის სუფიქსად (საშუალო ქართულის თვალ-თა-თ „თვალ-ებ-ით").

5. მხლებლები — თანდებულები და ნაწილაკები მათ წინ მდგომ ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებთან ერთად მომდევნო რიცხვისა და ბრუნვის ნიშნების წინ, რომლებიც ფორმას აბოლოებენ, მოიქცევიან წარმოქმნის ელემენტებად და შედიან სახელის ფუძეში (კაცთაგან-ი, კაცთაგან-ნ-ი; მისებრ-ი, მისებრ-ნ-ი...).

6. ახალი ლექსიკური მნიშვნელობის ფუძის წარმოქმნა შეიძლება წარმოქმნის ელემენტების გარეშეც — ფუძის ანარჟირების ჩესის შეცვლით (მუნ „იქ" — მუნ-ი „იქაური", მუნ-ნ-ი „იქაურები").

7. ზემოთ წარმოდგენილ კონკრეტულ დებულებათა საფუძველზე ყალიბდება ზოგადი დებულება: ტერმინალური ბრუნვის ნიშნისა და მის წინ მდგომი რიცხვის ნიშნის წინ ქართული ენის სახელის ფორმაში ყველაფერი სახელის ფუძეს განეკუთვნება, მიუხედავად მათი წარმომავლობისა.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

1 ა. შ ა ნ ი ძ ე, 1973 — ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973.

2 ა. დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, 1973 — ა კ ა კ ი დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.

Ф. Г. УТУРГАИДЗЕ

К ОПРЕДЕЛЕНИЮ ОСНОВЫ ИМЕН В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Кроме специфических деривационных элементов, в производную основу имен, носящую лексическое значение, в определенных случаях входят также флективные элементы падежей и множественного числа, послелоги и частицы, реинтерпретированные в де-

ривационные элементы. Наконец, первичные основы могут изменяться по лексическому значению и без добавления к ним деривационных элементов — путем изменения способа аранжировки основ в формах имен.

На основе анализа именных форм для определения основы можно сформулировать одно общее положение: в формах имен перед терминальным окончанием падежа и стоящим перед ним суффиксом множественного числа все относится к основе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოვარდ ი. არონსონი
(აშშ, ჩიკაგოს უნივერსიტეტი)

ფუნქციის ფორმალური კორელატები ქართულ ბრუნებაში

ინგლისურიდან თარგმნა შ. აფრიდონიძემ

ერთ-ერთ ადრინდელ სტატიაში (Aronson, 1970) ჩვენ წარმოვადგინეთ ანალიზი ქართულ ბრუნვათა სისტემისა, რომელშიც თანამედროვე ენის ექვსი ბრუნვა ორ ჯგუფად დავყავით: პირდაპირ ბრუნვებად (მიცემითი, სახელობითი და მოთხრობითი), რომელთაც შეუძლიათ შეასრულონ წინადადების გრამატიკული სუბიექტის ფუნქცია, და ირიბ ბრუნვებად (ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი), რომელთაც არ შეუძლიათ ამ ფუნქციის შესრულება. პირველი ჯგუფის შიგნით მიცემითი, რომელიც შეიძლება გამოვიდეს სუბიექტის, პირდაპირი და ირიბი ობიექტების ფუნქციით, მივიჩნიეთ ყველაზე ნაკლებ მარკირებულად: სახელობითი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ფუნქცია, მიჩნეულია მიცემითზე უფრო მეტად მარკირებულად და მოთხრობითზე უფრო ნაკლებ მარკირებულად. ამ უკანასკნელს წინადადებაში მხოლოდ გრამატიკულ სუბიექტად შეუძლია გამოვიდეს. ირიბი ბრუნვები, პირდაპირთან შედარებით, უფრო მარკირებულად იყო მიჩნეული, რამდენადაც პირველებს სულ არ შეუძლიათ გრამატიკული სუბიექტის აღნიშვნა, მაშინ როცა უკანასკნელთ (პირდაპირებს) ეს შეუძლიათ. ირიბი ბრუნვების შიგნით ნათესაობითი მიჩნეული იყო ყველაზე ნაკლებ მარკირებულად, ვინაიდან ნომინალიზაციისას იგი შეიძლება იყოს გრამატიკული სუბიექტის ან პირდაპირი ობიექტის ტრანსფორმაცია. მოქმედებითი კიდევ უფრო მარკირებულადაა მიჩნეული ნათესაობითთან შედარებით, რამდენადაც ანალოგიურ ვითარებაში იგი შეიძლება გამოვიდეს, როგორც იარაღის აღმნიშვნელი გრამატიკული სუბიექტის ტრანსფორმაცია, და არა როგორც პირდაპირი ობიექტის მონაცვლე: ვითარებითი ყველაზე მარკირებულადაა მიჩნეული, ვინაიდან მას არ შეუძლია ნომინალიზაციისას სუბიექტის მონაცვლედ გამოსვლა.

ეს ანალიზი არ ეფუძნება იმ ინვარიანტული საერთო მნიშვნელობის (Gesamtbedeutung) კვლევას (Jakobson, 1971 : 23-5), რომელიც

მოცემული ბრუნვის ხმარების ყველა შემთხვევაში გვაქვს და რომელიც გამოიყენება ამ ბრუნვის სხვა ბრუნვათაგან განსასხვავებლად. იგრძნობოდა, რომ Gesamtbedeutungen-ზე დამყარებული ანალიზი მოგვცემდა იმავე იერარქიულ სტრუქტურას.

წინამდებარე სტატიის მიზანია დაბეჭდოს მიმართება ბრუნვათა ფორმალურ მარკირებასა და მათს სემანტიკურ შინაარსს შორის თანამედროვე ქართულში. ეს ცდა ეფუძნება იმის რწმენას, რომ ენას აქვს უნივერსალური ტენდენცია გრამატიკული და დერივაციული კატეგორიების ფორმალური მარკირებისა, რამაც, სემანტიკური ოპოზიციების სისტემის გვერდით და მის გასაძლიერებლად, უნდა შექმნას იერარქიულად აგებული სისტემა. კერძოდ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ, რაც უფრო მარკირებულია მოცემული კატეგორია, მით უფრო მეტად გვიჩვენებს იგი ფორმალურ ნეიტრალიზაციას. ქართულ ბრუნებაში ჩანს იმის ტენდენცია, რომ უფრო მეტად მარკირებული ბრუნვები იწარმოებოდეს ნაკლებ მარკირებულისგან, და არა პირუკუ: სახელდობრ, ძირითადი ფორმა უფრო მოგვაგონებს ყველაზე ნაკლებ მარკირებულ ბრუნვას, ვიდრე მეტად მარკირებულს. რამდენადაც ოპოზიციის არამარკირებულ (ან ნაკლებ მარკირებულ) წევრში არსებული განსხვავებანი ნეიტრალიზებული ჩანს მარკირებულ კატეგორიებში (Greenberg, 1966 : 27), ამ კრიტერიუმის გამოყენება შეიძლება ბრუნვათა ურთიერთობის წარმოდგენილი თეორიის შესამოწმებლად. მარკირებულობის სხვა პოტენციური ფორმალური კორელატები (Greenberg, 1966 : 25-31) გულისხმობს ბრუნვათა ტენდენციას, ჰქონდეთ ნულოვანი დაბოლოება (ან დაბოლოების ნულოვანი ვარიანტი, რომლის ძირითადი ფორმა არ არის ნულოვანი), რათა უფრო ნაკლებ იყვნენ მარკირებულნი, ვიდრე ნამდვილადფიქსიანი ბრუნვები, ტენდენციას სინკრეტიზმისადმი, კერძოდ, სემანტიკური ოპოზიციების ფორმალურ ნეიტრალიზაციას, როგორც სემანტიკურ ოპოზიციათა იერარქიის სისტემის ამსახველს და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ბრუნებაში სემანტიკურ ოპოზიციათა იერარქიის ფორმალური კორელატების კვლევას აძნელებს უპირატესად აგლუტინაციური ბუნება ბრუნვის ნიშნებისა, საერთოდ სინკრეტიზმის უქონლობა და იმ ბრუნვის ნიშანთა უქონლობა, რომელთა ძირითადი ფორმა ნულოვანია.

ფორმალურად ყველაზე ნათლად მარკირებულია სემანტიკური ოპოზიცია პირდაპირ და ირიბ ბრუნვებს შორის (Aronson, 1969 : 181-2). ორი მორფონემიკური ალტერნაცია — კვეცა და კუშშვა — გამოყენებულია ალტერნანტი ხმოვნების მქონე პირდაპირ და ამ ხმოვანთა არმქონე ირიბ ბრუნვათა გასარჩევად. პირდაპირი ბრუნვების ნიშნები ძირითადად მონოფონემურია (სახ. -ი, მიც. -ს, მოთხრ. -მ, თანხმოვანთა შემდეგ -მა); ირიბ ბრუნვათა ნიშნები უპირატესად დი-

ფონეტურია (ნათ. **-ის**, მოქმ. **-ით**, ხმოვანთა შემდეგ **-თი**, ვით. **-ად**). რამდენადაც ოპოზიცია პირდაპირ და ირიბ ბრუნვებს შორის სავსებით ნათლადაა მარკირებული სემანტიკურადაც და ფორმალურადაც, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ თითოეული ქვეჯგუფის შიგნით ჩვენ მიერ ნავარაუდევი სემანტიკური მარკირების ფორმალურ კორელატთა ძიებაზე.

ძირითადი ფორმის განსაზღვრა. ჩვენს სემანტიკურ ანალიზში მიცემითი მივიჩნიეთ ყველაზე ნაკლებ მარკირებულ ბრუნვად, ხოლო სახელობითი — უფრო მეტად მარკირებულად. ამ მიდგომას ის ნაკლი აქვს, რომ რამდენადმე კონტრინტუიტიურია. ტრადიციულად სახელობითი არის სახელის საწყისი ფორმა ლექსიკონში და, ამდენად, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ძირითადი ფორმა, რომლიდანაც ყველა სხვა ფორმაა სავარაუდებელი.

მაგრამ გარკვეული ჯგუფის ქართულ სახელთა სახელობითი ბრუნვა არ იძლევა საკმარო მონაცემებს ყველა დანარჩენი ფორმის გამოსაცნობად. ეს ეხება იმ სახელებს, რომელთაც ფუძე **ი** ხმოვანზე უთავდებათ. ამ კლასის ზოგიერთი წევრისათვის, როგორიცაა ჟოკეი, ჩაი, ტრამვაი და ა. შ., წინასწარ სავარაუდებელია ის ფაქტი, რომ ბოლოკიდური **ი** სახელის ფუძის ნაწილია, და არა სახელობითის ნიშანი, რამდენადაც სახელობითის ნიშანი ხმოვანთა შემდეგ ნულოვანია; ნებისმიერი ხმოვნიანი თანამიმდევრობა სახელობითში მთლიანად ფუძისეული უნდა იყოს, და არა ბრუნვისნიშნისეული. როცა სახელობითის ფორმა თავდება ასე — თანხმოვანი + **ი**, ვერ ვიტყვით, ეს **ი** ფუძის ნაწილია, თუ სახელობითის დაბოლოება. შდრ.: ტაქსი, ჩილი, ჟიური, იანკი, ვისკი, დენდი, ჟალუზი, და: ლექსი, ხილი, ციური, ბანკი, რისკი, დივიდენდი, ბუზი. თუმცა სახელობითში ამ ორ ჯგუფს შორის არავითარი განსხვავება არა ჩანს, მიცემითსა და მოთხრობითში ისინი აშკარად განსხვავდებიან: ტაქსის (ტაქსიმ), ჩილის (ჩილიმ), ჟიურის (ჟიურიმ), იანკის (იანკიმ), ვისკის (ვისკიმ), დენდის (დენდიმ), ჟალუზის (ჟალუზიმ); მათ უპირისპირდება: ლექსს (ლექსმა), ხილს (ხილმა), ციურს (ციურმა), ბანკს (ბანკმა), რისკს (რისკმა), დივიდენდს (დივიდენდმა), ბუზს (ბუზმა). პირველ ჯგუფში (რომელიც შეიცავს მხოლოდ გვიანდელ ნასესხობებს) ბოლოკიდური **ი** ფუძის ნაწილია, ხოლო სახელობითის ნიშანი ნულია; მეორე ჯგუფში ფუძე თავდება თანხმოვანზე, ხოლო **-ი** სახელობითის ნიშანია.

ოპოზიცია განსაკუთრებით ძლიერია საკუთარ სახელებში. შდრ. შემდეგი ბოლოხმოვნიანი ფუძეები: გივი (მიც. გივი-ს), გიორგი (გიორგი-ს), ქიშვარდი (ქიშვარდი-ს), ლავრენტი

(ლავრენტი-ს), აღათი (აღათი-ს), ლილი (ლილი-ს), დავით-ი შემდეგი ბოლოთანხმოვნიანი ფუძეები: დავით-ი (მიც. დავით-ს), დანიელ-ი (დანიელ-ს), ოთარ-ი (ოთარ-ს), ლუარსაბ-ი (ლუარსაბ-ს), ელისაბედ-ი (ელისაბედ-ს) (გიგინეიშვილი, 1970 : 75-86).

ზემოჩამოთვლილი მონაცემების საფუძველზე ნათელია, რომ სახელობითი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთ ბრუნვად, რომელიც მოგვცემდა საკმაო ინფორმაციას პარადიგმის ყველა დანარჩენი ფორმის გამოსაცნობად, და, ამდენად, მას არ შეუძლია იყოს სახელის ძირითადი ფორმა. როგორც მიცემითი, ისე მოთხრობითი გვაძლევს აუცილებელ ინფორმაციას ი-ზე და თანხმოვნებზე გათავებულ ფუძეთა განსასხვავებლად[1]. ისმის კითხვა: ამ ბრუნვათაგან რომელი მივიჩნიოთ ფორმალურად ნაკლებ მარკირებულად? თუ შევისწავლით არსებით სახელთა ჯგუფების ბრუნებას, ვნახავთ, რომ მიცემითში გვექნება ის ფორმა, რომელიც იდენტურია ძირითადი ფორმისა:

სახ.	გოდორ-ი	ვაშლ-ი
მოთხრ.	გოდორ-მა	ვაშლ-მა
მიც.	გოდორ-	ვაშლ-ს

სახ.	სულ-ი	და გულ-ი
მოთხრ.	სულ-მა	და გულ-მა
მიც.	სულ-	და გულ-ს

(Tshenkéli, 1958 : 50-1; გიგინეიშვილი, 1970 : 158-60).

მიცემითი ერთადერთია პირდაპირ ბრუნვებს შორის, რომელსაც აქვს ფორმალური, აუცილებელი, სინტაქსურად განპირობებული ოპოზიცია მაერთებელი **და** კავშირის წინ ხმარებულ ე. წ. „გრძელ **-ს-ა** ფორმასა“ და **-ს** ფორმას შორის, რომელიც ყველა დანარჩენ შემთხვევაში გვხვდება[2]. ამრიგად, მიცემითს აქვს ფორმალურად მარკირებული

---

1 მართალია, რომ ი-ზე გათავებული (და უკვეცელი ბოლოხმოვნიანი) ფუძის მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები ომონიმებია. და, თუმცა გვაქვს ინფორმაცია, რომ მოცემული ფორმა მიცემითია, ყოველთვის შესაძლებელია მისი ძირითადი ფორმის განსაზღვრა. ზედაპირული ომონიმია ამ ორ ბრუნვას შორის ირღვევა ტაქსის ტიპის ფორმათა მორფემულ ანალიზში; მიცემითში გვაქვს ტაქს-ა-ს, ხოლო ნათესაობითში — ტაქს-ი-ს, სადაც ფუძეს ეკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი (Aronson, 1969 : 177, სქოლიო 15).

2 აქ მხედველობაში არ არის მიღებული ა-ს ავტომატური დართვა ნებისმიერ ბოლოთანხმოვნიან ფორმაზე, როცა მას -ა, -ც ნაწილაკები და გარკვეული თანდებულები ახლავს. ეს მოვლენები არ შემოიფარგლება ოდენ არსებითი სახელით.

ოპოზიცია, რომელიც შეიძლება ნეიტრალიზებულად ჩაითვალოს სახელობითსა და მოთხრობითში. შდრ. ეს ფორმები შემდეგ პარადიგმებში:

სახ.	კაც-ი,	ქალ-ი	და შვილ-ი
მოთხრ.	კაც-მა,	ქალ-მა	და შვილ-მა
მიც.	კაც-ს,	ქალ-ს-ა	და შვილ-ს

რამდენადაც მოსალოდნელია, რომ ნაკლებ მარკირებულ ფორმას პოტენციურად მეტი ქვეოპოზიციები ექნება, ვიდრე მეტად მარკირებულს, ეს საბუთი მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ მიცემითი ნაკლებ მარკირებულია სახელობით ან მოთხრობით ბრუნვებთან შედარებით.

პირდაპირი ბრუნვები თავისთავად ყოველთვის საკმარისი არ არის მოცემული ნომინალური ფორმის ძირითადი ფორმის დასადგენად. ეს სწორია, რადგან ყოველთვის იოლი არ არის განვსაზღვროთ, დაექვემდებარება თუ არა მოცემული ფუძე კვეცის ანდა კუმშვის მორფონემიკურ ალტერნაციას მხოლოდ პირდაპირი ბრუნვების საფუძველზე (ეს ალტერნაციები განპირობებულია როგორც ფონოლოგიურად, ისე გრამატიკულად). ვინაიდან კუმშვა სამივე ირიბ ბრუნვაში ხდება, როგორც ზემოთ ამ ბრუნვათაგანი მოგვცემს საჭირო ინფორმაციას. მაგრამ აუცილებელი არ არის ფუძეს ბოლოკიდური ხმოვანი მოეკვეცოს ყველა ირიბ ბრუნვაში, ამდენად, ამ ალტერნაციამ შეიძლება მოგვცეს გარკვეული საფუძველი ფორმალური იერარქიის დასადგენად.

შდრ. შემდეგი პარადიგმები:

სახ.	კატა	ბიცოლა
მოთხრ.	კატამ	ბიცოლამ
მიც.	კატას	ბიცოლას
ნათ.	კატის	ბიცოლას
მოქმ.	კატით	ბიცოლათი
ვით.	კატად	ბიცოლად.

ვითარებითში ოპოზიცია კვეცად ფუძეებსა (კ ა ტ ა) და უკვეცელ ფუძეებს (ბ ი ც ო ლ ა) შორის ნეიტრალიზებულია, ასე რომ, ეს ბრუნვა არ მოგვცემს აუცილებელ ინფორმაციას იმის განსასაზღვრავად, თუ მოცემული სახელის რომელ კლასს განეკუთვნება იგი. ევენე ითქმის ე-ზე გათავებულ ფუძეებზე; შდრ. კვეცადი ფუძე მ ო წ ა ფ ე და უკვეცელი ფუძეები ე ლ ე ნ ე და ქ ე ლ ე: ვით. მ ო წ ა ფ ე დ, ე ლ ე ნ ე დ, ქ ე ლ ე დ; ნათ. მ ო წ ა ფ ი ს, ე ლ ე ნ ე ს, ქ ე ლ ე ს; მოქმ. მ ო წ ა ფ ი თ, ე ლ ე ნ ე თ ი, ქ ე ლ ე თ ი.

ნათესაობითს, განსხვავებით დანარჩენი ბრუნვებისაგან, მოეპოვება ე. წ. „ორმაგი“ ანუ „დერივაციული“ ბრუნება, რომლის დროსაც იგი

გვხვდება დამოუკიდებლად (საზღვრულის გარეშე), ან საზღვრულის მიმართ პოსტპოზიციაში. ამ კონსტრუქციაში ნათესაობითი ახდენს სინტაქსური ფუნქციის მქონე იმ ბრუნვის მარკირებას, რომელშიც იგი დგას (დამოუკიდებლად ხმარებისას), ან ბრუნვაში ეთანხმება თავის საზღვრულს (როცა პოსტპოზიციურია). ნაწარმოები ნათესაობითი თანხმოვანფუძიანებთან გრძელი **-ის-ა** ფორმის იდენტურია ყველგან, გარდა მიცემითისა, სადაც მისი დაბოლოებაა **-ის-ა-ს** (ვითარებითისა და წოდებითის ფაკულტატური ფორმებია, შესაბამისად, **-ის-ად** და **-ის-ა-ვ**). მაგრამ, როცა დერივაციული ნათესაობითი ნაწარმოებია ბოლოხმოვნიანი უკვეცელი ფუძისაგან, გვაქვს სამი ბრუნვის პარადიგმი: ნანათესაობითარი სახელობითი **-ის-ი**, ნანათ. მიც. **-ის-ა-ს**, ნანათ. ვით. **-ის-ად** (დიდი **ი**-ს ხმარება მიუთითებს ამ ხმოვნის კვეცაზე უკვეცელი ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის შემდეგ; არის წოდებითის ფორმაც: **-ის-ა-ვ**). რამდენადაც ენას აქვს უნივერსალური ტენდენცია მით უფრო მეტი ჰქონდეს დერივაციული შესაძლებლობები, რაც უფრო მეტია არამარკირებული კატეგორია, ნათესაობითისგან (მაგრამ არა ვითარებითის ან მოქმედებითისგან) ნაწარმოებ ბრუნვათა ფორმების არსებობა ფორმალური და სემანტიკური კორელატია ნათ. ბრუნვის სემანტიკური არამარკირებულობისა ქართულ ირიბ ბრუნვებში.

სინკრეტიზმი. არსებით სახელთა ბრუნებაში სინკრეტიზმის ერთადერთი შემთხვევა გვხვდება ბოლოხმოვნიან უკვეცელ ფუძეთა მიცემითსა და ნათესაობითში (ყველაზე ნაკლებ მარკირებულ პირდაპირ და ირიბ ბრუნვებში, შესაბამისად). მაგ., მიც., ნათ. ბ ი ც ო ლ ა-ს, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო-ს, კუ-ს და ა. შ. მაგრამ სინკრეტიზმს იგივე ფუძეები აშკარად გაურბიან მოქმ. და ვით. ბრუნვებში. ასეთ ფუძეებში მოქმედებითის დაბოლოებაა **-თი**, და არა მოსალოდნელი **-თ** (**—ით**). ვითარებითში გვაქვს მოსალოდნელი **-დ—ად**. მაგრამ ბოლოკიდურ პოზიციაში ვითარებითის **დ** გამოითქმის როგორც **თ** (ყრუ ა.პირატი). ასე რომ, მოქმედებითის სპეციალური **-თი** ნიშნის ფუნქცია უნდა გამოარიცხავდეს სინკრეტიზმის შესაძლებლობას. შდრ. ვით. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ (ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო თ), მოქმ. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო თ ი, და არა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო თ.

ბოლოხმოვნიან მსაზღვრელთა ბრუნებაში სრულიად მოშლილია სხვაობა ბრუნვებს შორის. თანხმოვანფუძიანებში სინკრეტიზმი არამარკირებულ პირდაპირ ბრუნვებს შორის არა გვაქვს; მაგ., მიც. თ ე თ რ-ს ახლ-ს, სახ. თ ე თ რ-ი ს ა ხ ლ-ი, მოთხრ. თ ე თ რ-მ ა ს ა ხ ლ-მ ა. მარკირებულ ირიბ ბრუნვებში სინკრეტიზმი გვაქვს ნათ. და მოქმ. ბრუნვებს შორის: ნათ. თ ე თ რ-ი ს ა ხ ლ-ი ს, მოქმ. თ ე თ რ-ი ს ა ხ ლ-ი თ. ეს ორი ბრუნვა, რომლებსაც შეუძლია მოგვევლინოს გრამატიკული სუბიექტის ტრანსფორმაციად ნომინალიზაციისას,

უპირისპირდება ვითარებითს, რომელიც ნულოვან დაბოლოებას იღებს: თეთრ- სახლ-ად. ეს გვაძლევს საინტერესო სინკრეტიზმს ყველაზე ნაკლებ მარკირებულ მიცემითსა და ყველაზე მეტად მარკირებულ ვითარებითს შორის, რომელთაგან არცერთს არა აქვს ნამდვილი ნიშანი მსაზღვრელის ფორმაში (შდრ. მიც. თეთრ- სახლ-ს, ვით. თეთრ- სახლ-ად). ამ პარადოქსს ორმაგი საფუძველი შეიძლება დაეძებნოს: ერთი მხრივ, ნულოვანი ნიშნის არსებობა ყველაზე ნაკლებ მარკირებული ბრუნვის — მიცემითისათვის — მოსალოდნელია. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ქართულში პირდაპირ ბრუნვათა ნიშნებს აქვთ წმინდა გრამატიკული ფუნქცია, მაშინ როცა ირიბ ბრუნვათა ნიშნები შეიძლება ასრულებდნენ როგორც მაწარმოებელი, ისე დერივაციული სუფიქსების როლს. ირიბ ბრუნვათაგან ვითარებითი ყველაზე სუსტია გრამატიკულად და ძლიერი — დერივაციული თვალსაზრისით. სახელურ ფორმათაგან ზმნისართების ერთ-ერთი საერთო საწარმოებელი მოდელია ყველა გრამატიკული დაბოლოების გაქრობა. მაგ., შემდეგ—შემდეგი, ძალიან, ძლიერ—ძალიანი, ძლიერი, ხანდახან—შდრ. ხანი და ა. შ. ამგვარად, სახელის შიშველი ფუძის დაკავშირება ვითარებითის გაგებასთან ქართულში რეალურია და იგი შეიძლება ასახოს მსაზღვრელად ამ შიშველი ფუძის ხმარებამ ვითარებით ბრუნვასთან.

ნულოვანი ნიშნები: ორ ბრუნვას აქვს მორფონემიკურად განპირობებული ნულოვანი ვარიანტი. ესენია: სახელობითი, სადაც ძირითადი -ი ნიშანი ხმოვნების შემდეგ ნულოვანი ხდება (მაგ., ქართველ-ი, მაგრამ საქართველო-, მამა-, მოწაფე-, გოგო)[1], და მიცემითი, სადაც ძირითადი -ს ნიშანი ნულოვანი ხდება -ში, -ზე თანდებულთა წინ, ხოლო თანხმოვანფუძიანებში — -თან თანდებულის წინ. მაგალითები: მიც. წიგნ-ს, მაგრამ წიგნ-ში, წიგნ-ზე, წიგნ-თან (შდრ. ბოლოხმოვნიანი ფუძეები: მიც. მაგიდა-ს, მაგიდა-ში, მაგიდა-ზე, მაგრამ მაგიდა-ს-თან). შენიშნეთ, რომ ამგვარ თანამიმდევრობებს ფონოლოგია შესაძლებელს ხდის, რაც აქ გამორიცხულია. შდრ. მამა- და ჩაი-, (სზ) ლექსზე ფორმაში (←ლექს-ზე), (სშ) ლექსში ფორმაში (←ლექს-ს-შ) და (სთ) ლექსთან ფორმაში (←ლექს-ს-თან). მაშასადამე, ნამდვილ ნიშანთა ნულოვანი ვარიანტები გვხვდება ორ, ყველაზე ნაკლებ მარკირებულ ბრუნვასთან. მაგრამ, როცა მიცემითს ერთ-ერთი ზემოჩამოთვლილი თანდებულთაგანი დაერთვის პრეპოზიციულ მსაზღვრელთან შეხამებაში, მას ფორმალურად ორი ნულოვანი ნიშანი ექნება, მაშინ რო-

---

[1] შენიშნეთ, რომ ზოგ ქართულ დიალექტში, როგორიცაა თუშური, ღაცულია ძველქართული -ი ნიშანი, ი-ს ვარიანტი ხმოვნების შემდეგ; მაგ., ციხე-ი. ლიტერატურული ფორმაა ციხე-.

ცა მსაზღვრელიან სახელობითს მხოლოდ ერთი ნულოვანი ნიშანი აქვს. შდრ. მიც. თეთრ-∅ წიგნ-∅-ში, მაგრამ სახ. თეთრ-ი კიდა-∅[1].

ფორმა და ფუნქცია ძველ ქართულში: ბრუნვათა ურთიერთობის სისტემა ძველ ქართულში ახალი ქართულის სისტემისაგან განსხვავდება ფორმალურად და, ალბათ, სემანტიკურადაც. ძველ ქართულში უფრო მარკირებულ მრავლობითში იყო მხოლოდ ორი, ფორმალურად მარკირებული ბრუნვა: სახელობითი (-ნ-ი დაბოლოებით) და არასახელობითი (-თ ან -თა დაბოლოებით). ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მიცემითის, მოთხრობითისა და ნათესაობითის სინკრეტიზმს. მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები მრავლობითის პარადიგმში არ გვხვდებოდა და სრულიად აშკარად და ძლიერად იყო მარკირებული ძველ ქართულში, ისევე როგორც თანამედროვე ენაში.

რამდენადაც სინკრეტიზმს ველოდებით უფრო მეტად მარკირებულ, და არა ნაკლებ მარკირებულ ფორმებში (Greenberg, 1966 : 27), ფორმალური ოპოზიციების უქონლობა მიც., მოთხრ. და ნათ. ბრუნვებს შორის ძველ ქართულში მოწოდებულია გვაჩვენოს, რომ ეს ბრუნვები მარკირებული იყო არამარკირებულ სახელობითთან მიმართებით, და გვაძლევს ჩვენ მიერ თანამედროვე ქართულისათვის ჩამოყალიბებული სისტემისაგან სრულიად განსხვავებულ სისტემას. სახელობითის მნიშვნელობის საკითხი ქართულ ბრუნვათა სისტემაში (განსაკუთრებით, მოთხრობითსა და მიცემითთან ურთიერთობისას) მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ენაში ერგატიულობის საკითხთან. ჩვენ უკვე ვცადეთ სხვაგან გვეჩვენებინა (Aronson, 1970), რომ არც თანამედროვე და არც რომელიმე ისტორიული პერიოდის ქართული არ შეიძლება მივიჩნიოთ ერგატიული სტრუქტურის მქონე ენად. მაგრამ (როგორც უკვე შევეცადეთ გვეჩვენებინა ჩვენს მომავალ სტატიაში), ენას მოეპოვება შინაგანი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ენის ყველაზე ადრეულ საფეხურებს (დადასტურებულ ხელნაწერებამდე), შესაძლოა, აშკარად ახასიათებდა ჭეშმარიტად ერგატიული სტრუქტურა. თუ ეს ასე იქნებოდა, არც ის აღმოჩნდებოდა მოულოდნელი, რომ სახელობითი (უკეთ, აბსოლუტივი) იქნებოდა ყველაზე ნაკლებ მარკი-

---

[1] იაკობსონი (Jakobson, 1960 : 270) დამაჯერებლად განსაზღვრავს ნულოვანი ნიშნების მნიშვნელობას სემანტიკური მარკირების სისტემისათვის: „საერთოდ, ენის „ხატებრივი სიმბოლოები" ავლენს მეტად მკაფიოდ გამოკვეთილ უნივერსალურ მიდრეკილებას. ამგვარად, გრამატიკულ კორელაციაში ნულოვან აფიქსს უყოყმანოდ ვერ მივაკუთვნებთ მარკირებულ კატეგორიას, „არანულოვან" (რეალურ) აფიქსს კი — არამარკირებულს... მოკლედ, ენა მიისწრაფვის თავიდან აიცილოს ყოველგვარი პიაზმი, ერთი მხრივ, არამარკირებულ და მარკირებულ კატეგორიათა წყვილსა და, მეორე მხრით, ნულოვან და არანულოვან აფიქსთა წყვილს (ან მარტივ და რთულ გრამატიკულ ფორმათა) შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული ბრუნვა, რომელსაც შეეძლო მოეხდინა პაციენსის (გარდამავალ კონსტრუქციებში), აგენსისა (ზოგიერთ გარდაუვალ კონსტრუქციაში) და იმ შემთხვევათა მარკირება, რომლებშიც აგენს/პაციენსის ოპოზიცია ნეიტრალიზებულია („საშუალ ზმნებში“) (იხ. Gotab. 1969). ამრიგად, სახელობითის, როგორც ძველი ქართულის ყველაზე ნაკლებ მარკირებული ბრუნვის, ფორმალურმა შესწავლამ შეიძლება წარმოგვიდგინოს იმ ადრეული საფეხურის ნაშთი, როცა გარდამავალ ზმნებს ნამდვილი ერგატიული კონსტრუქცია მოეპოვებოდათ.

ლიტერატურა

Aronson, Howard I. 1969. Towards a formal analysis of the Georgian declension. General Linguistics, 9, 173-184.

Aronson, Howard I. 1970. Towards a semantic analysis of case and subject in Georgian. Lingua, 25, 291-301.

Golab, Zbigniew. 1969. Subject as a linguistic category. General Linguistics, 9, 1.

გიგინეიშვილი, ივ., რედ. 1970. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული. თბილისი: მეცნიერება.

Greenberg, Joseph H. 1966. Language universals with special reference to feature hierarchies (Janua linguarum, 59). The Hague: Mouton.

Jakobson, Roman. 1966. Implications of language universals for linguistics. Language universals, 2nd ed., ed. by Joseph H. Greenberg, 263-278. Cambridge, Mass.: M. I. T. Press.

Jakobson, Roman. 1971. Beitrag zur allgemeinen Kasuslehre. Selected writings of Roman Jakobson, vol. 2,23-71. The Hague: Mouton.

Tschenkéli, Kita. 1958. Einführung in die georgische Sprache, vol. I. Zürich: Amirani.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გესარიონ ჯოჯიშვილი
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა დაპირისპირების პრინციპისათვის ქართულში

1

მოქმედებითი და ვნებითი ერთმანეთის მიმართ კონვერსიულ ფორმებად გაიგება: მოქმედებითი ფორმობრივ ამოსავალია შესაბამისი ვნებითისათვის (ა-კეთ-ებ-ს : ა-კეთ-ა→კეთ-დ-ებ-ა, მალ-ავ-ს→ი-მალ--ე-ი-ს: ი-მალ-ებ-ა...). გამონაკლისს ქმნის ე. წ. უნიშნო (მესამე ტიპის) ვნებითი, რომელიც თვით ხდება ამოსავალი წარმოების დროს შესაბამისი მოქმედებითისათვის (თბ-ებ-ა: გა-თბ-ა→ა-თბ-ობ-ს). ასეთი კვალიფიკაცია ეძლევა ხსენებულ წარმოებას იმ გრამატიკულ სისტემაში, სადაც გვარის სამი ფორმა (მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი) გამოიყოფა და იმ სისტემაშიც, სადაც გვარი დინამიკურ ფორმებს უკავშირდება და მის მხოლოდ ორ (მოქმედებითსა და ვნებითს) ფორმას ასახელებენ.

მოქმედებითისაგან შესაბამისი ვნებითი თავსართ-ბოლოსართების დართვით იწარმოება. უნიშნო ვნებითის შემთხვევაში კი, პირიქით, მოქმედებითის ფუძის გაფორმება ხდება შესაბამისი ფორმანტებით.

ამის მიხედვით ვნებითის სამი ყალიბი გამოიყოფა:

ა) პრეფიქსიანი (ი-მალ-ებ-ა, ე-მალ-ებ-ა...)

ბ) სუფიქსიანი (თეთრ-დ-ებ-ა...)

გ) უნიშნო (თბ-ებ-ა...)

შესაბამისად, გამოყოფილია ვნებითის ნიშნები: პრეფიქსები ი- და ე-, სუფიქსი -დ.

2

ვნებითის ყალიბთა და სპეციფიკურ ნიშანთა გამოყოფას ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს.

ვნებითის ნიშნად ი- პრეფიქსს ჯერ კიდევ ანტონ კათალიკოსი ვარაუდობდა: „შემოქმედებითნი ზმანი (. . .) ივნებითებიან ნიშნისა ამის

მიერ ი“. იმავდროულად ანტონი ცდილობს ენებითისათვის ნიშანდობლივი ყალიბის დადგენასაც და მიაჩნია, რომ „ენებითმან ბმნამან მიიღოს ებ მარცუალიცა და ცბ“[1].

იოანე ქართველიშვილმა აწმყოში ენებითის ყალიბისათვის ნიშანდობლივ ფაქტად დაადასტურა -ებ-ი დაბოლოების მქონებლობა[2].

ე. ჩუბინაშვილის „მოკლე ქართულ გრამატიკაში“ აღნიშნულია, რომ ენებითი გვარის ზმნები მიიღება მოქმედებითისაგან ვჰ-, ვა-, ვუ- პრეფიქსების ვი- პრეფიქსით, ვ-, ვა-, ვი- პრეფიქსების ვი- პრეფიქსით და მ-, მა-, მი- პრეფიქსთა მე- პრეფიქსით შეცვლის საშუალებით. ამით იგი არსებითად მიუახლოვდა ე- პრეფიქსიანი ენებითის გამოყოფას. ენებითისათვის ნიშანდობლივ დაბოლოებად მიჩნეულია -ი, -ვი (ვიბანავი) და -ები (ვიზომები). აგრეთვე -დები (შენდები)[3]. უკანასკნელ შემთხვევაში არსებითად -დ სუფიქსიანი ენებითის ყალიბია მინიშნებული.

ძველ ქართველ გრამატიკოსთაგან გვარის რაობას განსაკუთრებით ღრმად ჩასწვდა პ. კვიცარიძე. მან გამოყო ენებითის კუმულატიური ფორმები ვ-ე-კელ-ე(ვ)-ინ-ებ-ი ტიპისა, „საშუალ“ გვარს უწოდა უფრო შესაფერისი სახელი — „მდგომარეობითი“, ნათლად და სხარტად წარმოაჩინა გვარის ლინგვისტური ბუნება: „ფრაზა — ჴონადირემ ირემი მოკლა — შეგვიძლია ასე გადავასხვაოთ: ირემი მოიკლა მონადირისგან. აზრი ერთი და იგივე არის, თუმცა პირველის ფრაზის შემოქმედებითი (მოქმედებითი) ზმნა მეორეში ენებითად იქცა. სხვაობა მხოლოდ წინადადების სინტაქსშია: პირველის წინადადების საუბნი (ქვემდებარე) მეორეში დამატებად იქცა“[4].

უფრო მოგვიანებით ეს საკმაოდ მართებული აზრი ასე გამოითქვა: მოქმედებითი და ენებითი გვარის ფორმათა დაპირისპირების შემთხვევაში „იცვლება განხილვის თვალსაზრისი, პროცესის რეალური შინაარსი კი ერთი და იგივეა“[5]. ბოლო ხანებში კი ამავე აზრის ასეთ გამოხატვას რჩეობენ ზოგიერთ შემთხვევაში: „მოქმედებითი და ენებითი გვარის დროს ერთი და იგივე სიტუაცია სტრუქტურა რეალიზებულია ნაირგვარი ზედაპირული სტრუქტურით“.

ენებითის პრეფიქსებსა (მართალია, პირის ნიშანთაგან გამოუყოფ-

---

1 ქართული გრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885, გვ. 177.

2 იოანე ქართველიშვილი, ქართული გრამმატიკა, თბილისი, 1815, გვ. 54.

3 Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, С.-Пб. 1855, стр. 17—18.

4 ქართული სწორმეტყველება, სასიკეთო სახელმძღვანელო, პირველი წიგნი, შედგენილი პ. კვიცარიძის მიერ, თბილისი, 1886, გვ. 111—114.

5 არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 276-277.

ლად: **ვი-, ვე-, მე-**) და **-ებ-ი** დაბოლოებაზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას არ. ჭუთათელაძე[6].

თ. ჟორდანიას დაკვირვებათაგან ცნობილია იმის შემჩნევა, რომ ვნებითის ყალიბს უნარი შესწევს გამოხატოს „სამუდამო ნიშანი". ანუ ჩვეულებითი, დამახასიათებელი მოქმედება სუბიექტისა: **მიწა იფშხვნება** (ანუ: **ნიჭის თვისებაა ფშხვნა**), **ზე ითლება, ძაღლი იკბინება** და ა. შ.[7].

სილ. ხუნდაძემ შენიშნა, რომ ვნებითის ყალიბით შეიძლება გამოიხატოს აქტიური მოქმედებაც: „ჩემი ძმა კარგ ამბებს იწერება" ნიშნავს: „ჩემი ძმა კარგ ამბებს გვწერს"[8]. ვნებითის განხილვისას სქოლიოში ამ ფაქტს აღნიშნავდა თ. ჟორდანიაც[9].

ნ. მარმა, რომელმაც არაბული გრამატიკის კვალობაზე ქართული მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები ოთხ (მოგვიანებით — ხუთ) ნაყად (ჯგუფად) დაყო, ვნებითისათვის ოთხი ყალიბი ივარაუდა: უნიშნო (**ვწყრ-ებ-ი**), **ი-** პრეფიქსიანი (**ვ-ი-წერ-ებ-ი, ვ-ი-ცხად-ებ-ი**), **ე-** პრეფიქსიანი (**ვ-ე-ცხად-ებ-ი**) და **-დ** (||-ნ) სუფიქსიანი (**ვ-ცხად-დ-ებ-ი**). გამოყოფილ ფორმანტებს, ყველა ჩვენების მიხედვით, ნ. მარი ნაყის და არა ვნებითის ნიშნებად მიიჩნევს. ამიტომაც **ვ-ი-სმ-ევ** და **ვ-ი-წერ-ებ-ი** ფორმებს, მართალია, იგი კი განარჩევს როგორც მოქმედებითსა და ვნებითს, მაგრამ მიაკუთვნებს ერთსა და იმავე ნაყს, რომლის ნიშნადაც ასახელებს **ი-** პრეფიქსს.) ნეტავ: ნ. მარმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ **ი-** პრეფიქსი „ზმნას ანიჭებს უკუქცევითობის მნიშვნელობას ანდა უფრო მკვეთრად გამოხატავს მისი შინაარსის სუბიექტურ აღქმას". აქ ივარაუდება როგორც **ვ-ი-წერ, ვ-ი-წუხ-ებ**, ასევე: **ვ-ი-წერ-ებ-ი, ვ-ი-ბრუნ-ებ-ი** ტიპის ფორმები[10]. რაც შეეხება **ე-** პრეფიქსს, ნ. მარი მას **ა-** და **ი-** პრეფიქსების ფონეტიკური ურთიერთზემოქმედების შედეგად მიიჩნევდა[11].

თავდაპირველად ის, რაც შემდგომ ვნებითის პრეფიქსებად გამოიყო, ა. შანიძემ დაახასიათა როგორც ქცევის ნიშნები (ადრე იგი გა-

---

6 არ. ჭუთათელაძე, პირველ-ღაწყებითი ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1907, გვ. 81; მისივე: ქართული ზმნების კლასიფიკაცია, ტფილისი, 1887, გვ. 7, 29.

7 თ. ჟორდანია, ქართული გრამმატიკა, ტფილისი, 1889, გვ. 61.

8 სილ. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1917, გვ. 57.

9 თ. ჟორდანია, ხსენებული ნაშრომი, გვ. 66.

10 Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, стр. 137.

11 ნ. მარი, ხსენებული ნაშრომი, გვ. 138.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყოფდა ქცევის რვა ფორმას[12], შემდეგ ხუთს[13] ნაცვლად მოგვიანო სამისა[14]). რაც შეეხება -დ (||-ნ←||-ენ) სუფიქსს, მის ოდინდელ დანიშნულებად ნასახელარ ზმნათა წარმოება აღინიშნა[15], თუმცა, როგორც გაირკვა, ეს ფორმანტები ზმნისგანაც აწარმოებდნენ ახალ ზმნას: **დუმ-ს→და-დუმ-დ-ა||და-დუმ-ნ-ა**[16]. არსებობს სხვა მოსაზრებაც: **-დ||-ენ** (→-ნ) აწარმოებდა ნამყო დროს და მხოლოდ შემდეგ, გადაადგილების ნიადაგზე, იქცა ვნებითის ნიშნებად[17].

ამჟამად მიღებულია ის დებულება, რომელიც ვნებითის მაწარმოებლებად ასახელებს **ი-** და **ე-** პრეფიქსებსა და **-დ** სუფიქსს.

3

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: არის კი ზემოაღნიშნული ფორმანტები ვნებითის ფორმათა მაწარმოებლები ქართულში? სხვაგვარად: რა პრინციპითაა დაპირისპირებული მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები ქართულში, აქვს კი ამ დაპირისპირებაში რაიმე არსებითი მნიშვნელობა იმას, რასაც ბოლოდროინდელი კვალიფიკაციით ვნებითის ნიშნებს ვუწოდებთ?

4

ამ თვალსაზრისით ქართული ზმნების განხილვისას რამდენიმე ფრიად საყურადღებო ფაქტი იჩენს თავს.

ა) ავიღოთ შეპირისპირება:

ი-მალ-ავ-ს — ი-მალ-ებ-ა.

ი-მალ-ავ-ს ფორმაში **ი-** სათავისო ქცევის ნიშნად მიიჩნევა, **ი-მალ-ებ-ა** ფორმაში იგივე **ი-** ვნებითის ნიშნად გამოიყოფა.

წინააღმდეგობა კიდევ უფრო ძლიერდება II სერიაში: **და-ი-მალ-ა მან ის** — მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევაა, ქცევის ნიშანია **ი-**; **და-ი-მალ-ა ის** — ვნებითის ფორმაა, მისი ნიშანია **ი-**.

---

12 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 36—37, 50—51, 79; მისივე; ნასახელარი ზმნები ქართულში, თხზულებანი. I, თბილისი, 1957, გვ. 36-37.

13 ა. შანიძე. ქართული ზმნის საქცევი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, ტფილისი, 1926, გვ. 312-333.

14 ა. შანიძე. ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფილისს, 1930, გვ. 104.

15 ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, თხზულებანი, 1, 1957, გვ. 37.

16 ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, მნიმკი-ს მოამბე, V-VI, თბილისი, 1940, გვ. 536.

17 ფ. ერთელიშვილი, **-დ||-ნ** (-ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, თბილისი, 1960,

რატომ არის მატერიალურად და პოზიციურად, ასევე თავისი ქმედებისა და თვისების მიხედვით იდენტური ორი **ი-** პრეფიქსი სხვადასხვა მორფოლოგიური ღირებულებისა?

სინამდვილეში, როგორც ჩანს, უნდა ვილაპარაკოთ ამ ორივე ფორმისათვის საერთო — უკუქცევითობის — კატეგორიაზე, ოღონდ ერთ შემთხვევაში გარდამავალ უკუქცევითობაზე (**ი-მალ-ავ-ს**), მეორე შემთხვევაში — გარდაუვალზე (**ი-მალ-ებ-ა**).

ამ ვარაუდს თვით ხსენებულ ფორმათა ურთიერთმიმართების არსიც ადასტურებს.

რა აერთიანებს სემანტიკურად ამ ფორმებს?

— უკუქცევითობის სემანტიკა: ორივე ფორმა რეფლექსივს გამოხატავს.

რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?

— ის, რომ ერთ შემთხვევაში სუბიექტისადმი მოქმედების შედეგის უკუქცევა ხდება, მეორე შემთხვევაში კი — თვით უშუალოდ მოქმედებისა. ამის გამო პირველი ზმნა (**ი-მალ-ავ-ს**) აქტივად გაიგება, მეორე (**ი-მალ-ებ-ა**) — პასივად.

ამრიგად, ზემოხსენებულ მიმართებაში უკუქცევითობა ზოგადი (გამაერთიანებელი) საკლასიფიკაციო ნიშანია, გვარი კი შიგა დიფერენციებას ახდენს, კერძოობითი ნიშნის როლში გამოდის.

ანალოგიისათვის შდრ.: **უ-თბ-ობ-ს** — **უ-თბ-ებ-ა** ტიპის მიმართება — **უ-** ორივე შემთხვევაში საობიექტო ქცევის ნიშანია. ორივე შემთხვევაში **უ-** ფორმანტს ერთი და იგივე კვალიფიკაცია ეძლევა და სრულიად სამართლიანადაც. მაგრამ ეს მართებული თვალსაზრისი ყველა შემთხვევაში ბოლომდე გატარებული არ არის.

ბ) ანალოგიურად დადგება საკითხი იმ მიმართებისათვის, რომელშიც **ე-** პრეფიქსიანი ფორმები მონაწილეობენ:

ე-ძებ-ს — ე-ძებ-ნ-ებ-ა

პირველი მოქმედებითია. ამკარად გამოიყოფა **ე-** პრეფიქსი (შდრ. მასდარი: **ძებ-ნ-ა**, ზმნა: **ძებ-ნ-ი-ს**), მაგრამ მისი სემანტიკა დაუდგენელია. მეორე ფორმა ვნებითია და **ე-** პრეფიქსი ვნებითის ნიშნად არის გამოყოფილი.

რატომ, რა ლოგიკური ან ლინგვისტური პრინციპითაა პირველ შემთხვევაში **ე-** პრეფიქსი „უფუნქციო“, მეორე შემთხვევაში კი — ვნებითის ნიშანი?

მართალია, ივარაუდება, რომ **ე-** პრეფიქსიანი ვნებითი ისტორიულად უკავშირდება **ე-** პრეფიქსის შემცველ მოქმედებითი გვარის

ზმნებს [18], მაგრამ ამ მართებულ თვალსაზრისს რატომღაც მხარდაჭერა არ მოუპოვებია.

გ) ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი მიმართება:

ი-წერ-ებ-ა — ე-წერ-ებ-ა.

პირველი ე. წ. **ი-** პრეფიქსიანი ვნებითია, ერთპირიანი, მეორე — **ე-** პრეფიქსიანი, ორპირიანი. პირველი ნეიტრალურია, მეორე — საობიექტო ქცევის ფორმებს უტოლდება სემანტიკურად გარკვეულ შემთხვევაში (თუმცა ყოველთვის — არა!).

და აი, სწორედ ამ შემთხვევაში იჩენს თავს ყველაზე რელიეფურად ვნებითის ფორმათა ამგვარი განაწილებისათვის ნიშანდობლივი წინააღმდეგობა.

რა აერთიანებს ამ ფორმებს?

— უეჭველია, რომ ვნებითობის სემანტიკა!

რა განასხვავებს?

— ის, რომ ერთი აბსოლუტურია (მიუმართავია), მეორე — რელატიური (სხვა პირზეა მიმართული).

ახლა ფორმობრივ მსგავსება-განსხვავებაზეც უნდა ითქვას.

რა აქვთ საერთო ფორმობრივ ამ მონაცემებს?

— ყალიბი.

რა აქვთ განსხვავებული?

— ერთადერთი რამ — ფორმანტები: პრეფიქსები **ი-** და **ე-**.

ამრიგად,

1) სემანტიკურად იდენტურია ვნებითობის ფუნქცია, ფორმობრივ — ყალიბი. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ იდენტური სემანტიკის გამოხატვა იდენტურ, საერთო ფორმობრივ მონაცემს ეკისრება, ანუ: ვნებითობის სემანტიკას ამ შემთხვევაში გამოხატავს ყალიბი, ე. ი. ის, რაც საერთო აქვს ორივე ფორმას.

2) სემანტიკურად განსხვავებულია ის, რომ ერთ შემთხვევაში მიუმართავი, ხოლო მეორე შემთხვევაში ობიექტზე მიმართული მოქმედება გამოიხატება. მასალობრივ განსხვავებულია **ი-** და **ე-** ფორმანტები. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ამ ფორმანტებით გამოიხატება შესაბამისი სემანტიკური განსხვავება: **ე-** გარკვეული დანიშნულების ობიექტის მქონებლობაზე მიუთითებს, **ი-** — უკუქცევითობას გამოხატავს. ამიტომაცაა, რომ პირველი (**ე-** პრეფიქსი) რელატიური სემანტიკის გამომხატველ ფორმებში გვხვდება, მეორე (**ი-** პრეფიქსი) — მი-

---

[18] ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 300-301; ლ. ნოზაძე, **ინ-ენიანი** ვნებითის ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში, იკე, IX-X, თბილისი, 1958, გვ. 134.

უმართავი სემანტიკისა: სუბიექტს უბრუნდება თავისივე მოქმედების შესაბამისად — კონსტრუქციაში ერთი (სუბიექტური) პირია.

დ) რა აერთიანებს და რა განასხვავებს სემანტიკურად და ფორმობრივ შემდეგ წყვილებს:

ე-პირ-ებ-ა — ჰ-პირ-დ-ებ-ა

ე-მორჩილ-ებ-ა — ჰ-მორჩილ-დ-ებ-ა

ი-უანგ-ებ-ა — უანგ-დ-ებ-ა

ი-თვრ-ებ-ა — თვრ-ებ-ა

ე-ცხად-ებ-ა — ცხად-დ-ებ-ა

ე-მძიმ-ებ-ა — მძიმ-დ-ებ-ა და ა. შ.?

უეჭველია, რომ აერთიანებს ვნებითობის სემანტიკა (ვნებითობა აქ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავიგოთ წმინდა პასივობად).

განასხვავებს კი სხვა — მეტნაკლებად წარმოჩენილი — ფუნქციები.

ფორმობრივ ყველა მათგანს ერთი და იგივე ყალიბი აქვს, განასხვავებს ფორმანტები.

მაშასადამე, ვნებითობა იდენტური ყალიბით გამოიხატება, ყველა სხვა (დამატებითი) ფუნქცია — შესაბამისი ფორმანტებით.

რაა ეს განსხვავებული ფუნქციები?

ივარაუდება, რომ:

ი- გამოხატავს უკუქცევითობას (რეფლექსიურობას),

ე- მიანიშნებს გარკვეული დანიშნულების ობიექტური პირის მჭოწებლობაზე,

-დ აღნიშნავს გარდაქცევითობას (ეს სემანტიკა პირველად ა. შანიძემ გამოყო).

გასათვალისწინებელია ვნებითის შემდეგი ტიპის პარალელური ფორმათა არსებობაც:

ა-დიდ-ებ-ს — დიდ-დ-ებ-ა/ე-დიდ-ებ-ა .

ა-პატარავ-ებ-ს — პატარავ-დ-ებ-ა/ე-პატარავ-ებ-ა

ა-ცეკვ-ებ-ს — ა-ცეკვ-დ-ებ-ა/ე-ცეკვ-ებ-ა

ა-თამაშ-ებ-ს — გა-თამაშ-დ-ებ-ა/ე-თამაშ-ებ-ა...

რა არის ამ შემთხვევაში მიზეზი ვნებითის პარალელურ ფორმათა არსებობისა (დიდ-დ-ებ-ა — ე-დიდ-ებ-ა...)?

ამის მიზეზი არავითარ ეჭვს არ იწვევს:

ორივე ვნებითია იმის გამო, რომ იდენტური ყალიბი მოეპოვება.

განსხვავება კი ის არის, რომ **-დ** სუფიქსიანი ფორმა გარდაქცევის (ტრანსფორმირების) სემანტიკას გამოხატავს, **ე-** პრეფიქსიანი ფორმები — მიჩნევითობას, ან ზოგადად: გუნება-განწყობას.

ამრიგად, უეჭველ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ ვნებითობის (ანუ: ამ შემთხვევაში საერთო) სემანტიკის დიფერენცირება ხდება სხვადა-

სხვა ნიშნის (ფორმანტის) მქონებელ ფორმებში. მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა ვნებითობის ფუნქციის შეუღლება სხვადასხვა ფუნქციასთან. ამოსავალი (ბაზისური) სემანტიკა (ვნებითობა) გამოიხატება ყველა ამ ფორმისათვის საერთო რამით — ყალიბით. სხვაობის გამომხატველებად შესაბამისი ფორმანტები გვევლინებიან.

აქედან გამომდინარე, ვნებითის სხვადასხვა ფორმისათვის სხვადასხვაგვარი სემანტიკური სტრუქტურა ივარაუდება, რომელთაც საერთო ექნებათ ბაზისური (ვნებითობის) სემანტიკა:

ი-წერ-ებ-ა = დინამიკა + გარდაუვალობა + უკუქცევითობა.

იმ შემთხვევაში, როცა სახელის ფუძეა ამოსავალი, დამატებით შემოდის ინსტრუმენტატივის სემანტიკაც: **ი-ბარ-ებ-ა** = დინამიკა + გარდაუვალობა + უკუქცევითობა + ინსტრუმენტატივი.

დუმ-დ-ებ-ა = დინამიკა + გარდაუვალობა.

სახელადი ფუძის შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილი იქნება გარდაქცევითობის სემანტიკა: **წითლ-დ-ებ-ა** = დინამიკა + გარდაუვალობა + გარდაქცევითობა.

თბ-ებ-ა = დინამიკა + გარდაუვალობა.

ორი ფორმა საერთო სემანტიკური სტრუქტურისა აღმოგვაჩნდა: **დუმდება** და **თბება** (**-დ** სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითები) გამოხატავს: დინამიკა + გარდაუვალობა. ხერხდება მათი დიფერენცირებაც.

-დ სუფიქსიანი ფორმა, ჯერ ერთი, იმით განსხვავდება უნიშნო ვნებითისაგან, რომ სახელადი ფუძის შემთხვევაში დამატებით გარდაქცევითობის სემანტიკის გამოხატვის უნარს იძენს (რაც გამოირიცხება უნიშნო ვნებითის შემთხვევაში).

გარდა ამისა, როგორც ეს ზოგიერთ ძველ გრამატიკაშიც იყო აღნიშნული, **-დ** სუფიქსიან ფორმებს უნარი შესწევთ გამოხატონ მოქმედების დაწყებითობის სემანტიკა (verba inchoativa)[19]. **წითლ-დ-ებ-ა** = გაწითლებას იწყებს (შდრ. **თბ-ებ-ა** = თბილი ხდება, ათბობენ: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", ტ. IV).

და მაინც სხვაობა მინიმალურია. ენაში საერთოდ არის დამოწმებული სხვადასხვა სემანტიკური სტრუქტურის მქონე ვნებითის ფორმების ფუნქციური ნეიტრალიზაციის შემთხვევები, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ნაირგვარი წარმოების ვნებითის ფორმებს შორის სავარაუდებელი ფუნქციური სხვაობის ნიველირებას, მათ ერთმანეთთან სემანტიკურ დაახლოვებას.

5

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

ვნებითობის სემანტიკა მორფოლოგიურად გამოიხატება შესაბამისი

---

19 იხ., მაგალითად, მ. ჯანაშვილი. ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1908, გვ. 108.

ყალიბით. ე. წ. ვნებითის ნიშნებს, როგორც ზმნური ფუძისათვის დამახასიათებელი სიუხვობის ფუნქციის მიმნიჭებელთ, ან თუნდაც როგორც პასიურობის გამომხატველებს, ასე ვთქვათ, ფრიად პირობითი ხასიათი აქვს. ანუ: **ი-ხატ-ებ-ა, ე-ხატ-ებ-ა, თეთრ-დ-ებ-ა** ზმნები იმიტომ კი არ არიან ვნებითები, რომ **ი-, ე-** და **-დ** ფორმანტები მოეპოვებათ, არამედ იმის გამო, რომ გარკვეული ყალიბითა და კონსტრუქციით უპირისპირდებიან შესაბამის მოქმედებითებს, ხსენებულ ნიშნებს კი თავთავისი სხვა ფუნქცია მოეპოვებათ.

ამის გათვალისწინების გარეშე აუხსნელი დაგვირჩება:

ა) რატომ გვაქვს **ი-** პრეფიქსი მოქმედებითშიც და ვნებითშიც,

ბ) თუ **ე-** ვნებითის ნიშანია, მაშინ რა კვალიფიკაცია მივცეთ მოქმედებითის ფორმებში დამოწმებულ **ე-** პრეფიქსს: **ე-ძებ-ს||ე-ძი-ებ-ს, მი-ვ-ე-ც, გა-ე-კეთებინ-ა?**

6

ამრიგად, მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა დამაპირისპირებლად გამოიყო ორი ფაქტორი: მორფოლოგიური ყალიბი და კონსტრუქცია. ეს ორი ფაქტორი მოქმედებს არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ, არამედ როგორც ორი ურთიერთშემავსებელი მონაცემი.

მართლაც:

ა) ვნებითისა და მოქმედებითის მორფოლოგიური ყალიბები ყველაზე უფრო მკვეთრად განსხვავდებიან I სერიაში:

ვ-ი-მალ-ავ — ვ-ი-მალ-ებ-ი/ვ-ი-მალ-ვ-ი

ვ-უ-მალ-ავ — ვ-ე-მალ-ებ-ი/ვ-ე-მალ-ვ-ი

ვ-ა-თეთრ-ებ — ვ-თეთრ-დ-ებ-ი

ვ-ა-თბ-ობ — ვ-თბ-ებ-ი...

კონსტრუქციული სხვაობა აქ მინიმალურია: **ვ-ი-მალ-ავ** ნე მას, მაგრამ: **ვ-ი-მალ-ებ-ი** (ნესამე პირში: **ი-მალ-ავ-ს ის** მას, მაგრამ: **ი-მალ-ებ-ა ის**). ეს სხვაობაც აღარა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა ვნებითის ყალიბით აქტიური მოქმედება გამოიხატება და კონსტრუქციაში ობიექტური პირი შემოდის; შდრ.: მოქმედებითი: **მეგობარი წერ-ს წერილს** — ვნებითი: **მეგობარი ი-წერ-ებ-ა წერილს.**

ამის საპირისპიროდ:

ბ) ვნებითისა და მოქმედებითის კონსტრუქციები ყველაზე მკვეთრად განსხვავდებიან II სერიაში:

და-ი-მალ-ა მან ის — მოქმედებითია, მაგრამ:

და-ი-მალ-ა ის — ვნებითი.

ეს მაშინ, როცა მორფოლოგიურ ყალიბებს შორის განსხვავება ამ შემთხვევაში ან სულ არ არის (**და-ი-მალ-ა**), ან მინიმალურია (**გა-ა-თბ-ო — გა-თბ-ა, გა-ა-წითლ-ა — გა-წითლ-დ-ა...**).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, იმ შემთხვევაში, როცა მორფოლოგიურ ყალიბს დაპირისპირების აღნიშვნის მაქსიმალური დატვირთვა აქვს, კონსტრუქცია მინიმალურ როლს ასრულებს ამ დაპირისპირებაში. და, პირიქით, როცა მორფოლოგიური ყალიბები მინიმალურად ან სულ არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, დაპირისპირების წარმოჩენას მაქსიმალურად კისრულობს კონსტრუქცია.

ეს ფაქტი მრავალმხრივ ყურადსაღებია. იგი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მორფოლოგიურ და სინტაქსურ საშუალებებს ერთი და იგივე დანიშნულება აქვთ ენაში და მათი დაპირისპირება ფრიად პირობითი მოვლენაა.

7

ორიოდე სიტყვა მოქმედებითისა და ვნებითის სემანტიკური დაპირისპირების შესახებ.

გვარის ფორმათა სემანტიკური განმარტების ყველაზე გავრცელებული ვარიანტი ჯერ კიდევ დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებაში“ იღებს სათავეს. ამის მიხედვით, მოქმედებითია ის ზმნა, რომელიც გამოხატავს სუბიექტის მიერ ჩადენილ აქტიურ მოქმედებას. ვნებითია ზმნა, რომლითაც გამოიხატება სუბიექტის მიერ განცდილი მოქმედება. ანუ: აქტივის დროს სუბიექტი მოქმედებს, პასივის დროს სუბიექტი განიცდის ამ მოქმედებას. **„მუშა სახლს აშენებს“ — „სახლი შენდება მუშის მიერ“** — ამ დეფინიციის ქრესტომათიული ნიმუშია.

მაგრამ ენაში ამგვარი სწორხაზოვანი სხვაობა მოქმედებითისა და ვნებითის ფორმებს შორის ერთეულია და არც მოხმარებას სიხშირის მიხედვით არის გამორჩეული.

ეს არის ენის მუმიფიცირებულ ფორმათა ანალიზის კლასიკური ნიმუში. მაგრამ ენა მისსავე დინამიკაში უნდა იქნეს შესწავლილი და ამგვარი მიდგომა მრავალი ფაქტის ახლებურ გააზრებას მოითხოვს.

ეს მოთხოვნა ადრევე იქნა შენიშნული, რაც გახდა კიდეყაც მიზეზი გვარის ფორმათა ადეკვატური კვალიფიკაციის ძიებისა.

ამ ძიებამ ჯერჯერობით გვარის განსაზღვრის ორი საინტერესო ცდა მოგვცა.

ერთის შესახებ (რომ გვარის ფორმების დროს იცვლება განხილვის თვალსაზრისი, ხოლო პროცესის რეალური შინაარსი ერთი და იგივე რჩება) ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამ განმარტების მოდიფიკაციას წარმოადგენს ბ. ჰავრანეკის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრა: გვარის ფორმათა დაპირისპირების დროს იდენტური აზრობრივი შინაარსის (ანუ: იდენტური საგნობრივი მნიშვნელობის) ფარგლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იცვლება ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართება სუბიექტისა ან, საერთოდ, წინადადების კონსტრუქციის მიმართ[20].

მეორე განსაზღვრა ა. ხოლოდოვიჩს ეკუთვნის, რომელმაც განასხვავა დიათეზა და გვარი. დიათეზა განიმარტება როგორც სემანტიკური დონის მონაცემების (სუბიექტისა და ობიექტის) მიმართება სინტაქსური დონის მონაცემებთან (ქვემდებარესა და დამატებასთან), ანუ: დიათეზა არის მიმართებათა სქემა სემანტიკური და სინტაქსური დონეების ერთეულებს შორის. გვარი კი განისაზღვრება როგორც ზმნურ ფორმაში გრამატიკულად მარკირებული დიათეზა. მარტივად ეს ასე გამოიხატება: **„იანმა მოკლა პანი“** — აქ ერთმანეთს თანხვდება სუბიექტი და ქვემდებარე, ერთი მხრივ, და ობიექტი და დამატება, მეორე მხრივ; მაგრამ: **„პანი მოიკლა იანის მიერ“** — აქ უკვე სხვაობა გვაქვს: „პანი“ არის სემანტიკურად ობიექტი, მაგრამ სინტაქსურად ქვემდებარეა, ხოლო „იანის მიერ“ სემანტიკურად სუბიექტია, მაგრამ სინტაქსურად უკვე დამატების როლში გამოდის. ეს არის დიათეზა. თავის მხრივ, დიათეზა, რომელიც ზმნაში შესაბამისი მორფოლოგიური ინვენტარით აღინიშნება, იქნება გვარის კატეგორია[21]. ანალოგიური ხასიათის მინიშნება გვარის კატეგორიის რაობაზე ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში კარგა ხანია არსებობს.

ორივე შემთხვევაში გვარის განმარტების უთუოდ საინტერესო ცდებთან გვაქვს საქმე, როცა აშკარად ჩანს, რომ გვარის კატეგორია მარტოოდენ აქტივისა და პასივის ურთიერთობაზე არ დაიყვანება.

8

არის კი საერთოდ აქტივისა და პასივის თვალსაზრისით დაპირისპირება გამოხატული გვარის ფორმებს შორის?

თუკი ავიღებთ შემდეგი ტიპის მიმართებებს:

მწერალი წერს წიგნს — წიგნი იწერება მწერლის მიერ,
მუშა აშენებს სახლს — სახლი შენდება მუშის მიერ,
დანა ჭრის პურს — პური იჭრება დანით,
სიცხე ახმობს ბალახს — ბალახი ხმება სიცხისგან,

უეჭველია, რომ აქ გვაქვს ის კლასიკური შემთხვევა, როცა აქტიური და პასიური სუბიექტის დასახელება არ ძნელდება.

მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში კი მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა ამგვარი ფუნქციური განაწილება სავსებით შეუძლე-

---

[20] B. Havránek, Genera verbi v slavanských jazycich, 1, Praha, 1928; 2, Praha, 1937.

[21] А. А. Холодович, Проблемы грамматической теории, Ленинград, 1979, с. 279—280, 284.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი ხდება: **მალ-ავ-ს** და **ი-მალ-ებ-ა, ა-ლაპარაკ-ებ-ს** და **ე-ლაპარაკ-ებ-ა, ა-პირ-ებ-ს** და **ჰ-პირ-დ-ებ-ა** და სხვა მრავალი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთმანეთის მიმართ აქტივისა და პასივის ფორმები.

სემანტიკური ანალიზის ერთ-ერთი საშუალებაა სემანტიკური პერიფრაზირება, რის კარგ ნიმუშს განმარტებითი ლექსიკონები იძლევიან. ამის მიხედვით აშკარად წარმოჩნდება ამა თუ იმ ფორმის სემანტიკური სტრუქტურა. აი, როგორ არის ახსნილი **მალ-ავ-ს** და **ი-მალ-ებ-ა** ფორმები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

მალავ-ს — ფარულად ინახავს; ისე ინახავს, რომ ვერ ნახონ, ფარავს, არ აჩენს; არ ამხელს, არ ამჟღავნებს, საიდუმლოდ ინახავს.

იმალებ-ა — ისე ეწყობა, რომ ვერ იპოვონ; ფარული, უჩინარი ხდება; თავს აფარებს (რასმე).

ამის მიხედვით უკვე ნათელია, რომ **მალ-ავ-ს** და **ი-მალ-ებ-ა** ფაქტობრივ ორივე არის აქტიური მოქმედების გამომხატველი ფორმა, რომ აღარაფერი ვთქვათ **ა-ლაპარაკ-ებ-ს** და **ე-ლაპარაკ-ებ-ა, ა-პირ-ებ-ს** და **ჰ-პირ-დ-ებ-ა** და სხვა მისთანა ფორმებზე.

მაშ, რა განასხვავებს ამ წყვილეულთა შემადგენელ ფორმებს ერთმანეთისაგან?

სემანტიკურად — განხილვის, აღნიშვნის თვალსაზრისი,

სინტაქსურად — ნაირგვარი კონსტრუქცია,

მორფოლოგიურად — ნაირგვარი ყალიბი.

9

ამა თუ იმ ფორმის სემანტიკური სტრუქტურა ყოველთვის კონკრეტულ კონტექსტში დგინდება. ამიტომაც ყოველი ფორმობრივი დაპირისპირების სემანტიკური სტატუსი ლაბილურია, მთლიანად კონტექსტითაა შეპირობებული. აი, ერთი ნიმუში ამისა:

ა) **კარგი წიგნი კარგი მწერლის მიერ იწერება** — გამოხატულია გარდაუვალი დინამიკური მოქმედება, ზმნა პასიურ მოქმედებას გადმოსცემს;

ბ) **მეგობარი ქალაქიდან კარგ ამბებს იწერება** — გადმოიცემა დინამიკური მოქმედება, სემანტიკურად — გარდამავალთან გატოლებული, ზმნა აქტიურ მოქმედებას გამოხატავს;

გ) **კარგი წიგნი ცუდ წიგნზე ძნელად იწერება** — გადმოიცემა კარგი წიგნის თვისება, ზმნა ფაქტობრივ სტატიკას, თვისობრიობას გამოხატავს.

შეიძლება დავასკვნათ: გვარის ტრადიციული განსაზღვრა მთელი სისრულით არ ასახავს ენაში რეალურად არსებულ ვითარებას.

ერთი და იგივე ფორმობრივი მიმართებანი ენაში ხშირად ნაირგვარ მნიშვნელობებს გამოხატავენ კონტექსტის შესაბამისად.

ენის თეორიაში ეს ფაქტი ადეკვატურად უნდა აისახოს.

Б. А. ДЖОРБЕНАДЗЕ

ПРИНЦИПЫ ПРОТИВОПОСТАВЛЕНИЯ ФОРМ ДЕЙСТВИТЕЛЬНОГО И СТРАДАТЕЛЬНОГО ЗАЛОГОВ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. Традиционный принцип противопоставления форм действительного и страдательного залогов не отражает реально существующего положения в грузинском языке. Не учитывается тот неоспоримый факт, что в языке одними и теми же формальными взаимоотношениями в зависимости от контекста часто выражаются различные значения.

2. Формы действительного и страдательного залогов противопоставляются в основном не по принципу актив-пассив, а по следующим показателям: а) формально — моделями, б) синтаксически — конструкциями, в) семантически — различными отношениями к выражению одного и того же явления.

3. Наличные в формах страдательного залога форманты выражают не семантику пассивности (как это обычно считается), а грамматические значения возвратности, трансформативности и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გოგოლაშვილი

(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

სუბიექტური მესამე პირის -ს, -ა, -ო სუფიქსთა განაწილებისათვის ახალ ქართულში

1

ახალ ქართულში სუბიექტური მესამე პირის მხოლოობით რიცხვს სამი სუფიქსი აღნიშნავს: -ს, -ა, -ო. თითოეულ მათგანს გამოყენების მკაცრად განსაზღვრული სფერო აქვს. ერთი და იმავე ზმნის ერთსა და იმავე ფორმასთან არ ხდება მათი თავისუფალი მონაცვლეობა[1].

-ს, -ა, -ო სუფიქსები, ერთი შეხედვით, განაწილების თვალსაზრისით რთულ სურათს ქმნიან. ჩვენთვის საარწმუნოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც -ო ბოლოსართი -ა'საგან არის მიღებული: „ასოსავალი ფონეტიკური ვითარება იყო (ვ'ს მეზობლობა). მავრამ შემდეგ -ო ანალოგიის მიხედვით სხვა ზმნებსაც გაუჩნდათ -- ყველგან ა'ს ადგილას"[2]. რადგან ეს ასეა, ვისაუბრებთ -ა და -ს სუფიქსთა განაწილების საფუძველზე და შემდეგ შევეცდებით ვაჩვენოთ, რა შემთხვევაში გამოვლინდება -ო სუფიქსი -ა'ს ადგილას.

2

სამეცნიერო ლიტერატურაში -ს და -ა სუფიქსთა განაწილების საფუძვლად მორფოლოგიური პრინციპია მიჩნეული. ზმნის გვარისა და მწკრივის კატეგორიათა მიხედვით ამ სუფიქსთა განაწილების სურათია

---

1 სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ -ა და -ო სუფიქსთა თავისუფალ მონაცვლეობაზე: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 430; ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 60. ვფიქრობთ, დარგა//დარგო ტიპის პარალელური ფორმების არსებობა -ა და -ო სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობის მკლედი არ არის; ეს ფორმები სხვადასხვა პარადიგმის წევრებია. იხ. ჩვენი: „შერეული პარადიგმები ნამყო ძირითადის წარმოებაში", ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 35-38.

2 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. I, 1950, გვ. 053.

წარმოდგენილი ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებ-ში“[3]. საკითხს სპეციალურად განიხილავს ა. ონიანი[4]. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ლაც არის აღწერილი ყველა ის შემთხვევა, სადაც განსახილველი -ა და -ს სუფიქსები გამოვლინდება. შედეგი ასეთია: „აღნიშნული ალომორფები არსებითად მწკრივთა მიხედვით ნაწილდებიან“[5]. აწყო-მყოფადის მწკრივებში ეს წესი არ აღმოჩნდა საკმარისი — ერთსა და იმავე მწკრივში გვხვდება როგორც -ა, ასევე -ს. საჭირო გახდა დამატებითი წესების შემოტანა: ზმნის გვარის, სუბიექტის ბრუნვაცვალებადობისა თუ უცვლელობის, თემისა თუ მწკრივის ნიშანთა გათვალისწინებით[6]. ამგვარი კელევა შესაძლებლობას იძლევა სრულად აღიწეროს ყველა ის შემთხვევა, სადაც ხდება -ა და -ს სუფიქსთა გამოვლენა, მაგრამ დასკვნა — „აღნიშნულ ალომორფთა გამოვლენას განაპირობებს არა ფონოლოგიური გარემოცვა, არამედ რომელიმე მორფოლოგიური კატეგორია (მწკრივი, კილო, გვარი...)“[7] — საღავოდ გვეჩვენება, რადგან არ ხდება ერთი რომელიმე პრინციპის ბოლომდე გატარება ამ სუფიქსთა განაწილების საფუძვლად. როგორც აღნიშნული იყო, მწკრივთა მიხედვით განაწილება არ იძლევა ამომწურავ პასუხს: სუბიექტის ბრუნვაცვალებადობა თუ უცვლელობაც არ არის გადაწყვეტი (-ს გვაქვს ორივე შემთხვევაში), -ი სუფიქსის მომდევნო პოზიციაშიც ორივე სუფიქსი დასტურდება (იწვ-ი-ს, მაგრამ აფენ-ი-ა...); -ავ თემის ნიშანთან, მართალია, გვხვდება მხოლოდ -ს, მაგრამ სხვა თემის ნიშნები ამგვარ ჩვენებას არ იძლევიან. მედიოპასიურ ზმნებთანაც ორივე სუფიქსი შეიძლება შეგვხვდეს (დევ-ს, წევ-ს, მაგრამ უნდ-ა, სჭერ-ა...).

ამდენად, ამგვარი პრინციპის მიხედვით შეიძლება მოხერხდეს აღწერა -ს და -ა სუფიქსთა გამოვლენის შემთხვევებისა, მაგრამ ახსნა, როგორც ჩანს, შეუძლებელია.

მიუთითებენ იმასაც, რომ „ფაქტობრივ ასეთივე ვითარებაა ძველ ქართულშიც: S_3 მორფემის /-ს/, /-ა/, /-ო/, /-ნ/, /-დ/ ალომორფების განაწილება მორფოლოგიურ პრინციპს ემყარება“[8]. მართალია, აღნიშნულ სუფიქსთა განაწილებისათვის ძველ ქართულში თითქოს მართებული ჩანს მორფოლოგიური პრინციპის მისადაგება, მაგრამ ეს ფაქტი ამჟამინდელ ვითარებას ვერ აგვიხსნის. უფრო სწორად, ძველ ქართულში სუბიექტური მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუფიქსთა განაწილების წესებს ვერ გავავრცელებთ ახალ ქართულზე, რადგან

---

3 ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 423 და შმდ.
4 ა. ონიანი, დასახ. ნაშრ.
5 იქვე, გვ. 57.
6 იქვე, გვ. 58-59.
7 იქვე, გვ. 170.
8 იქვე.

პრინციპული სხვაობა არსებობს სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემის თვალსაზრისით ძველსა და ახალ ქართულს შორის.

3

სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა ძველ ქართულში ამგვარი სახით წარმოგვიდგება:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
-დ	-ედ
-ს	-ენ/-ან/-ნ
-ს	-ეს
-ა	
(-ო)	

ამ აფიქსთა რაობის, მათი ფუნქციებისა და მხოლოობითისა და მრავლობითის ფორმანტთა ურთიერთშესაბამისობის შესახებ მრავალჯერ ყოფილა მსჯელობა. ამ საკითხებთან დაკავშირებით აზრთა საგრძნობი სხვადასხვაობაც არის. ჩვენთვის არსებითი ის არის, რომ ყველა მათგანი ძველ ქართულში ერთიმეორის გვერდით თანაარსებობდა და სუბიექტურ მესამე პირს აღნიშნავდა. ქართული სალიტერატურო ენის თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია ნათლად გვიჩვენებს ამ სისტემის ცვლილების სურათს:

მხოლოობით რიცხვში გამოყენების არეს იფართოებს -ს სუფიქსი და იჭერს იმავე ფუნქციით აღჭურვილი -ნ და -დ ფორმანტების ადგილს. იმავდროულად -ს სუფიქსის ადგილს რიგ შემთხვევაში -ა სუფიქსი იკავებს (დინამიკურ გარდაუვალ ზმნათა აწმყოში).

მრავლობით რიცხვში გამოყენების არეს იფართოებს ნარიანი მაწარმოებლები, კერძოდ -ენ სუფიქსი. -ედ ფორმანტი დაიკარგა, ხოლო -ეს სუფიქსის გამოყენების არე დავიწროვდა: თუ ძველ ქართულში იგი აღნიშნავდა სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვს უწყვეტელსა და წყვეტილში ყველა ტიპის ზმნასთან, ახალ ქართულში -ეს სუფიქსი მხოლოდ წყვეტილში გამოიყენება მოქმედებითი და საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებთან.

ამრიგად, სისტემის ცვლის ტენდენცია ასეთია: მხოლოობით რიცხვში თანხმოვანსუფიქსთაგან -ს გაბატონდა, მრავლობითში — -ენ სუფიქსი იჩენს ამგვარ მიდრეკილებას. ეს ტენდენცია ამჟამად იმერულ დიალექტში წარმოგვიდგება დასრულებული სახით: აქ -ეს სუფიქსი გარდამავალ ზმნათა წყვეტილში -ენ'მა შეცვალა (გააკეთ-ენ, ააშენ--ენ...). -ენ იჭერს -ან სუფიქსის ადგილსაც (ტირი-ენ, მოდი-ენ...).

ახალი ქართულის მარტივი სისტემა ძველი ქართულის რთული სისტემის ადგილს იჭერს. აქედან გამომდინარე, ახალი სისტემის წევრთა

ფუნქციური დატვირთვაც, მათი გამოყენების სფეროც იცვლება. ყოველივე ეს კი უფლებას გვაძლევს განსხვავებულად მივუდგეთ ამ აფიქსთა განაწილების საკითხს ძველსა და ახალ ქართულში. ვვარაუდობთ, რომ განაწილების საფუძველი განსხვავებული იყო ძველი ქართულისათვის.

რა არის საფუძველი სუბიექტური მესამე პირის **-ს** და **-ა** სუფიქსთა განაწილებისა, შესაძლებელი არის თუ არა მათი გამოვლენის ყველა შემთხვევას შორის რაიმე საერთო ნიშნის დაძებნა? ვფიქრობთ, კი.

4

სუბიექტური მესამე პირის **-ს** და **-ა** სუფიქსთა გამოვლენისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს საყრდენი მორფემის თვისობას[9]. ახალ ქართულში ფაქტობრივ სუბიექტური მესამე პირის ნიშნის საყრდენი მორფემა ყველა შემთხვევაში მარცვლოვანია. საყრდენი მორფემა შეიძლება იყოს როგორც ძირეული (**წერ**-ს, **დრეკ**-ს...), ასევე სუფიქსური (აკეთ-**ებ**-ს, ხატ-**ავ**-ს...). სუფიქსურის შემთხვევაში შეიძლება იყოს ოდენხმოვნიანი (გააკეთ-**ო**-ს...) და ხმოვნისა და თანხმოვნის შემცველიც (თამაშ-**ობ**-ს...). როცა ვამბობთ, რომ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საყრდენი მორფემის თვისობას, ვგულისხმობთ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობას.

აქ, რა თქმა უნდა, დადგება საკითხი იმის შესახებ, რომ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობა არის საფუძველი სუფიქსთა გამოვლენისა, თუ თვითონ სუფიქსებია საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობის მიზეზი. სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარადაც იხსნება ეს საკითხი: „თვით ეს ალომორფები აპირობებენ ძირეული მორფემის ნარისახეობას და არა ძირეული მორფემის ფონოლოგიური აგებულება ამა თუ იმ ალომორფის (/ს-/-ს ან /-ა/-ს) გამოვლენას“[10]. მხოლოდ სუბიექტური მესამე პირის მხოლოობითი რიცხვის ფორმები ამ საკითხის გადასაწყვეტად, ვფიქრობთ, არ გამოგვადგება, რადგანაც ამ შემთხვევაში საკითხის ორივეგვარად დასმა შეიძლება (ა. **წერ**- უკუმშველია და იმიტომ დაირთავს **-ს**'ს, ბ. **-ს** რომ დაერთვის, იმიტომ არის უკუმშველი).

ერთსაც შევნიშნავთ. როცა ვსაუბრობთ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობაზე, ვგულისხმობთ

---

9 საყრდენს ვუწოდებთ იმ მორფემას, რომელსაც უშუალოდ დაერთვის ჩვენთვის საინტერესო, ამ შემთხვევაში სუბიექტური მესამე პირის, ნიშანი.

10 ა. ონიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

პროცესს ერთი პარადიგმის ფარგლებში. მაგ.: **-ავ** თემისნიშნისეული ხმოვანი საერთოდ შეიძლება გაუჩინარდეს (ხატ-ვ-ა←ხატ-ავ-ა). მაგრამ აწმყო-მყოფადის ფორმებში სრული სახითაა წარმოდგენილი ყოველთვის ახალ ქართულში და, ამდენად, ამ ფორმებზე მსჯელობისას ვამბობთ, რომ **-ავ** თემისნიშნისეული ხმოვნის თვისობა არ არის ნულთან მონაცვლეობა.

5

საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობის ძირითადი საკონტროლო საშუალება ჩვენთვის სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის ფორმებია: აკეთ-**ებ**-ენ, ხატ-**ავ**-ენ, თამაშ-**ობ**-ენ, ჭრ-**ი**-ან, ყ-**ოფ**-**ენ** ფორმებში საყრდენი მორფემისეული ხმოვანი არ მონაცვლეობს ნულთან, სხვა შემთხვევაში იგი ნულთან მონაცვლეა:

ვაკეთებდ-**ი** — აკეთებდ-**ენ** (←აკეთებდ-ი-ენ)
ავაშენ-**ე** — ააშენ-**ეს** (←ააშენ-ე-ეს)
მოვ-**კალ** — მო-**კლ**-**ეს**[11]

ამ თვალსაზრისით სირთულეს ქმნის კავშირებითების მაწარმოებელთა თვისობის საკითხი. არა გვაქვს შემთხვევა, რომ კავშირებითების **-ა**, **-ე**, **-ო** მაწარმოებლებს ხმოვნით დაწყებული სუფიქსი დაერთოდეს[12]. ამ შემთხვევაში საკითხი შეიძლება სხვაგვარად დაისვას.

6

ოდენხმოვნიან სუფიქსთა ნულთან მონაცვლეობა არ არის ტოლფასი თანხმოვნის შემცველი სუფიქსისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობისა. გარკვეული მორფოლოგიური დანიშნულების თანხმოვნის შემცველი სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვა არ ქმნის საშიშროებას სათანადო ფუნქციის მიჩქმალვისას — თანხმოვნითი ელემენტი (resp. უხმოვნო ალომორფი) ამ დანიშნულებას ასრულებს. შდრ.: ძველი

---

11 „მოვკალი“ ტიპის ზმნებში -ი ელემენტს არ მივიჩნევთ საყრდენ მორფემად, რამდენადაც იგი მორფოლოგიური ოდენობა არ არის. მისი თავისუფალი მონაცვლეობა ნულთან (**მოვკალი//მოვკალ**) ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს. განსხვავებულ ოდენობად გვესახება ის -ი ელემენტი, რომელიც თავისუფლად არ მონაცვლეობს ნულთან (ავშენდ-ი, გავთბ-ი...). იხ. ჩვენი: „ნამყო ძირითადის წარმოება ახალ ქართულში“. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1980.

12 სადავოდ მიგვაჩნია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ კავშირებითის ფორმებში სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობის **-ნ** სუფიქსი **-ენ** სუფიქსის უხმოვნო ვარიანტია (მოკლა-ნ→მოკლა-ენ). იხ. ჩვენი: „მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის ნარიან მაწარმოებელთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის“, სმამ, ტ. 86, № 1, 1977.

ქართ. მოვკლ-ენ/მოკლ-ნ-ა. სხვაგვარი ვითარებაა ოდენხმოვნიან აფიქსთა შემთხვევაში: მისმა გაუჩინარებამ შეიძლება გამოიწვიოს სათანადო ფუნქციის მიჩქმალვა, რადგან აღარ გვაქვს ფორმაში იმ ფუნქციის მატარებელი ელემენტი და დაკარგული ხმოვანსუფიქსის კომპენსაცია არ ხდება[13].

ოდენხმოვნიანი სუფიქსის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობის ძირითადი პირობა, ჩვენი აზრით, ამ აფიქსთა ფუნქციური დატვირთვაა. ოდენხმოვნიანი სუფიქსი შეიძლება მონაცვლეობდეს ნულთან იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცვლეობა ფორმის შინაარსის ცვლას არ გამოიწვევს და თუ ხმოვნის სავარაუდო დაკარგვა ფორმის შინაარსის ცვლას გამოიწვევს, დაკარგული ხმოვანსუფიქსის ფუნქცია გაუჩინარდება, ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა არ მოხდება: **დედოფალ-ა, ჭრიჭინ-ა** ფუძეთა ბოლოკიდური ხმოვანსუფიქსი ფორმაწარმოებისას არ იკვეცება იმიტომ, რომ აღარ მოხდებოდა გარჩევა **დედოფალ-, ჭრიჭინ-** ფუძეთა სათანადო ფორმებთან; ხოლო **მე-თევზ-ე** ტიპის ფუძეთა ბოლოკიდური ხმოვანსუფიქსი იკვეცება, რადგან ამ ფონეტიკური ცვლით მიღებული ფორმა არ გაიგივდება ამოსავალ ფუძესთან: **მე-თევზ-ის/თევზ-ის**...

კავშირებითის მაწარმოებელთა დაკარგვა კავშირებითის ფუნქციის გაუჩინარებას გამოიწვევდა: I კავშირებითის ფორმა უწყვეტელთან გაიგივდებოდა, მეორე კავშირებითისა — წყვეტილთან. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ კავშირებითების **-ა, -ე, -ო** სუფიქსთა მორფოლოგიური დანიშნულება შეაპირობებს იმ ფაქტს, რომ ისინი ნულთან არ ნონაცვლეობენ. უფრო სწორად, ლოგიკურად მათი ნულთან მონაცვლეობა გამორიცხულია.

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სუბიექტური მესამე პირის **-ს, -ა, -ო** სუფიქსები კი არ შეაპირობებენ საყრდენი მორფემის ფონოლოგიურ სახეს, არამედ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის თვისობა ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობისა არის განმსაზღვრელი პირობა ამ სუფიქსთა გამოვლენისათვის, მათი განაწილების საფუძველი.

7

-ს და **-ა** სუფიქსთა განაწილების შემთხვევათა ანალიზი ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: **სუბიექტური მესამე**

---

13 ხევსურული დიალექტი დაკარგული ხმოვანსუფიქსის კომპენსაციას მაჰვილით ახდენს.: იხ. ა. არაბული, მახვილი ხევსურულში, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მასალები, ქუთაისი, 1978, გვ. 12.

პირის **-ა** სუფიქსი გამოვლინდება ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველ საყრდენ მორფემასთან:

მოვ-კალ — მო-კლ-ა←მო-კალ-ა,

გავაკეთ-ე — გააკეთა←გააკეთ-ე-ა. ხოლო **ს**- სუფიქსი გამოვლინდება ნულთან არამონაცვლე ხმოვნის შემცველ საყრდენ მორფემასთან: აკეთ-ებ-ს, ხატ-ავ-ს, ააშენ-ო-ს...[14]

8

საინტერესოა **-ია** დაბოლოების მქონე სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის **-ა** სუფიქსის საკითხი.

როგორც ცნობილია, მკვლევართა ერთი ჯგუფი **-ა** ბოლოსართს პირის ნიშნად მიიჩნევს (იმავე ოდენობად, რაც გააკეთ-ა ფორმაშია); ხოლო ზოგი მკვლევრის აზრით, **ა** დაბოლოება **არს** მეშველი ზმნის ნაშთია. ვფიქრობთ, საკითხს გადაწყვეტს იმის გარკვევა, **ია** დაბოლოებას (გაუკეთებ-ია...) მივიჩნევთ **იეა** დაბოლოებიდან (გაუკეთებ-იე-ა) დომდინარედ, თუ არა. თუ **ია←იეა**'საგან, მაშინ **-ა** პირის ნიშანი იქნება, რამდენადაც საყრდენი მორფემა ამ შემთხვევაში ნულთან მონაცვლე **-ე** გამოდის. თუ **ია** დაბოლოება არ ვარაუდობს ამოსავლად **იეა**'ს, მაშინ **ა** მეშველი ზმნის ნაშთი იქნება: წინააღმდეგ შემთხვევაში, ნულთან არამონაცვლე **ი**'ს მომდევნო პოზიციაში მოსალოდნელი იყო სუბიექტური მესამე პირის **-ს** სუფიქსი. ამდენად, საკითხს — **-ა** პირის ნიშანია თუ მეშველი ზმნის ნაშთი — გადაწყვეტს იმის გარკვევა, თუ რა არის საყრდენი მორფემა ამგვარ ფორმებში.

9

დასასრულ, ერთი საკითხის შესახებ: რა შემთხვევაში გვაქვს **-ო** სუფიქსი **-ა** სუფიქსის ადგილას.

-ო სუფიქსი წყვეტილში **-ა** სუფიქსის ნაცვლად იმ შემთხვევაში გამოვლინდება, როცა ზმნის ფუძე არის უმარცვლო, ხოლო წყვეტი-

---

14 მ. კრავეიშვილისა და გ. ნახუცრიშვილის წიგნში „ქართული ენისა და წერაკითხვის თვითმასწავლებელი ინგლისურის მცოდნეთათვის" (II ნერია, თბილისი, 1972 წ.) სუბიექტური მესამე პირის **-ს**, **-ო**, **-ა** სუფიქსთა განაწილების ასეთი წესია წარმოდგენილი: „სამივე პირში თანხმოვანზე ან ხმოვანზე დაბოლოებული ზმნები დაირთავს **-ს** მორფემას. ე'ზე დაბოლოებული ზმნები პირველ და მეორე პირში და შეკუმშულფუძიანი ზმნები მესამე პირში **ო**-ს დაირთავს, სხვა ზმნები **ი ა** ბოლოსართს დაირთავს" (გვ. 38). მიუხედავად იმისა, რომ აქ ჩვენთვის ზოგი რამ სადავოა, ეს წესი მაინც საინტერესოდ გვეჩვენება იმ თვალსაზრისით, რომ სუფიქსთა განაწილების საფუძვლად ზმნური ფუძის სტრუქტურაა მიჩნეული.

ლის მაწარმოებელია -ე სუფიქსი: ვა-ჭ-ე მივე-მხრ-ე
ა-ჭ-ე მიე-მხრ-ე
ა-ჭ-ო მიე-მხრ-ო

ამ ორი პირობიდან ერთ-ერთის უგულვებელყოფა საკმარისია იმისათვის, რომ -ო სუფიქსი არ გამოვლინდეს. გამონაკლისების ახსნა ხერხდება.

Г. Б. ГОГОЛАШВИЛИ

К РАСПРЕДЕЛЕНИЮ СУФФИКСОВ ТРЕТЬЕГО ЛИЦА СУБЪЕКТА -S, -A, -O В НОВОГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. S_3 в новогрузинском языке представлен суффиксами -s, -а и -о, каждый из которых имеет свою область применения: там, где встречается один из них, не может быть другой.

2. Решающее значение в распределении суффиксов -s, -а- и -о имеет структура опорной морфемы, при этом не имеет значения, является эта морфема корнем или суффиксом.

3. Суффикс -а присоединяется к слоговой редуцируемой опорной морфеме; -s употребляется при неслоговой или нередуцируемых слоговых опорных морфемах.

4. Суффикс -о встречается только в аористе при корневых опорных морфемах тогда, когда показателем аориста и в первом и во втором лицах субъекта является окончание -е.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. გეგუჩაძე

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მწკრივთა შესაძლო თანამიმდევრობისათვის ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ შემასმენლებად ყველა მწკრივის ფორმა შეიძლება შეგვხვდეს. ეს შემასმენლები, ჩვეულებრივ, ერთი და იმავე მწკრივის ფორმით არის ხოლმე წარმოდგენილი: ან ყველა აწმყოა (ხტის და ჭიხვინებს, ძუა-ფაფარს შლის, გარბის, გამორბის მარტოკა მინდვრად: აკაკი, 8, 122, 123), ან ყველა უწყვეტელი (ტიროდა ქალი და წუწუნებდა ქმრის ჯიუტობის გამო: დ. კლდ., 14, 22), ან ყველა მყოფადი (უსაქმო კაცი მალე მოდუნდება, დალაჩრდება, გამძორდებაო: მ. ჯავ., IV, 173, 24), ან ყველა წყვეტილი (კაჭკაჭი აფრინდა და გაშორდა იქაურობას: ვაჟა, VI, 31, 15), ან ყველა I თურმეობითი (...ერთ დროს აქ ადამიანს უცხოვრია, უმოქმედია, ცდილა თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, უშენებია, უმამულებია აქაურობა: ე. ნინ.., 13, 355) და ა. შ.

მაგრამ შესაძლოა ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა მწკრივით გამოხატული ზმნა-შემასმენლებიც გვქონდეს: წყვეტილითა და უწყვეტლით (ისევ კარგ გუნებაზე დადგნენ ყველანი და წინანდებურად სიამოვნებდნენ: დ. კლდ., 14, 121), აწმყოთი და მყოფადით (ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელ წიფელს, აიტუზება იმის გვერდით და ღმუის: ვაჟა, 12, 355), II კავშირებითითა და მყოფადით (ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმენდება ხოლმე: ილია, 7, 120), II თურმეობითითა და უწყვეტლით (ამ დროს შორი-ახლო ხარ-ირემი გამოჩენილიყო და გულმოდგინედ უგდებდა ყურსა ფრინველთა მღერას: ვაჟა, 12, 380) და ა. შ.

განვიხილოთ თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე.

I. ერთგვარ ზმნა-შემასმენლებად აწმყოს მწკრივის ფორმები გვაქვს. შეერთება ძირითადად კავშირიანია, უფრო იშვიათად — უკავშირო.

ცხენს მიაჭენებს ხან აქ, თუ ხან იქ და ჯარასავით დატრიალებს გარს (აკაკი, 8, 119); გარეთ ქარი ღუღუნებს, ხან ფუსტვენს, ხან თითქოს წუწუნებს (ვაჟა, VI, 24, 7); ამ ადგილებში კაცის გული ხარობს, თავისუფლებას ჰგრძნობს და სიამოვნებით უჭვრეტს მთვარის ნაზს სხივებს (ალ. ყაზ., II, 127); ბრეგვაძეები ერთმანეთს აღარაფერს ანებებენ და ჭიჭყირობენ, დავიდარაბობენ, ჩხუბობენ დილიდან საღამომდე, ჰკლავენ ერთმანეთს (დ. კლდ., 14, 94).

გვაქვს შემთხვევა, როდესაც აწმყოს მწკრივით გამოხატული ზმნა-შემასმენლის (თუ შემასმენლების) გვერდით მყოფადის, წყვეტილისა და I თურმეობითის მწკრივით წარმოდგენილი ზმნა-შემასმენლებია:

1) აწმყო+მყოფადი:

მიდის ერთხელ ბიჭი ქალაქში, წინდები მიაქვს, გაიხედავს და დაინახავს... (რ. ინან., ჩიტ. 210);

2) აწმყო+I თურმეობითი:

ალექსანდრე კი უკვე ვაჟკაცობაში შედის, წვერი გაუშვია (მ. ჯავ., IV, 11, 3);

3) აწმყო+წყვეტილი:

ჯერ მე გამოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კვირა ვიყავი დედასთან[1] (ვაჟა, 12, 330).

II. ერთგვარ შემასმენლებად ნამყო უწყვეტლის მწკრივით გადმოცემული ზმნის ფორმებია. შეერთება კავშირიანიც შეიძლება იყოს და უკავშიროც.

ილხენდნენ და გაჰკიოდნენ ერთხმად მრავალჟამიერსა (აკაკი, 8, 84); ხმელის წიფლის ტოტები ამაყად დედამიწას სცემდენ, ასკდებოდენ (ვაჟა, 12, 353); ციცია ფართხალებდა დაუპატიჟებელი კაცის მკლავებში, იგრიხებოდა, ცახცახებდა (ალ. ყაზ., II, 85); ისინი სწყევლიდნენ, ლანძღავდნენ, ცეცხლით ამობუგვას უქადოდენ უნათლოშვილების სახლობას (ე. ნინ., 13, 345); მე ხან წინ მივუძღოდი ჩემს მეუღლეს, ხან კი უკან ვრჩებოდი (რ. ინან., ჩიტ. 150);

ნამყო უწყვეტლის მწკრივით გადმოცემული ზმნა-შემასმენლის გვერდით შერწყმულ წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს მყოფადის ხოლმეობითის, წყვეტილის, I თურმეობითისა და II თურმეობითის ფორმებიც, აგრეთვე, აწმყოსიც.

---

[1] ეს წინადადება შესაძლოა უკავშირო რთულ კვეწყობილადაც იქნეს მიჩნეული, რომელშიც მაქვემდებარებელ კავშირად რადგან ივარაუდება და მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებაა გამოხატული.

1) უწყვეტელი+ხოლმეობითი:

საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაეხვეოდა ხოლმე მუხლებში (ვაჟა, 12, 336); ...ისა თრთოდა, კანკალებდა, ხან გაცივდებოდა, ხან ცეცხლსავით აინთებოდა (ალ. ყაზ., II, 74); ხნიერი ქალი ხან „უიმეს“ იძახდა, ხან შეჰკივლებდა გაოცებული, ხან აჩუმებდა თავის ძმისწულს, ხან რას ამბობდა... (დ. კლდ., 14, 138); ბიჭი... აღარცა ჭამდა, აღარცა ლაპარაკობდა, ხან ოსურაულს შეხედავდა, ხან დუდუნას მამას (რ. ინან., ჩიტ. 30);

2) უწყვეტელი+წყვეტილი:

ბავშვი კარგა ხანს მადიანად ჭამდა ძუძუს, შემდეგ გაძღა და ახლა ეტიტინებოდა დედას თავის გაუგებარ ენაზე (ე. ნინ., 13, 387), კლდე ხმას არ იღებდა, ჩემს ხვეწნა-მუდარას ყური აღარ უგდო (ვაჟა, VI, 27, 21); სოლომანი დღემდე კარგად ეპყრობოდა ჯორსა და დღეს კი ტყუილუბრალოდ ამდენი ცემა-ტყეპა მიაყენა (დ. კლდ., 14, 66);

3) უწყვეტელი+I თურმეობითი:

...კაცი... ეიღაც ნაცნობს ელაპარაკებოდა და ამიტომაც არც კი დაუნახავს მის წინ მოსეირნე ყმაწვილი კაცები (ე. ნინ., 13, 270, 3); გამარჯვებული მამვალი ახლა მხიარულად მიაჩაჩაქებდა საღამოზე ჯორს თავის სახლისაკენ და ერთხელაც არ უთქვამს წყრომის სიტყვა თავის დაუღალავი ამხანაგისათვის (დ. კლდ., 14, 75).

4) უწყვეტელი+II თურმეობითი:

როჭოები და შურთხები გაოცებით შეჰყურებდნენ კაუკაჭს, არ ენახათ არასდროს და სიცილით იხოცებოდნენ მის ხმაზე (ვაჟა, VI, 35, 13); ამაზედ ფიქრობდა გაგი რამდენსამე ხანს და გადაწყვეტილება ვერა მიეღო-რა (ალ. ყაზ., 11, 26); ...ნე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა (ილია, 7, 119);

5) უწყვეტელი+აწმყო:

გუშინდელი პეტერბურგის გარდასულ დიდებას ელვარე შარავანდედს ადგამდა და დღესაც ადგამს მისი გარეუბნები.

III. ერთგვარ შემასმენლებად აწმყოს კავშირებითის ფორმით გამოხატული ზმნები გვაქვს:

ვფხიზლობდე, მუდამ ვშრომობდე...

შესაძლოა აწმყოს კავშირებითის გვერდით iI თურმეობითის ფორმით გადმოცემული ზმნა-შემასმენელიც ვეგონდეს:

ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყვე დაჩაგრულების მცველადა (ვაჟა, 12, 45);

IV. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ შემასმენლებად ხშირად მყოფადის მწკრივის ფორმები გვაქვს. შეერთება კავშირიანიც შეიძლება იყოს და უკავშიროც.

...ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ...სურნელობას მივაფრქვევ არემარეს (ვაჟა, 12, 337); მარილი ...ცოტას დაგწვავს, მაგრამ სისხლს მაშინვე შესწყვეტს და დაბეჟილს ხორცსაც მოშუშავს (ალ. ყაზ., II, 132); წაგესევით ამოდენა კაცი და სულ ნიორ-წყლად გაქცევთ (ე. ნინ., 13, 50); ...ქვეყანაში ნუ გამომაჭენებთ, ნუ შემარცხვენთ..., ქალს ნუ მიმიტოვებთ (დ. კლდ., 14, 70); უსაქმო კაცი მალე მოდუნდება, დალაჩრდება, გამძორდებაო (მ. ჯავ., IV, 173, 24);

ერთგვარ შემასმენლებად მყოფადის მწკრივით გადმოცემული ფორმის გვერდით ვხვდებით აწმყოსაც და წყვეტილსაც (ბრძანებითი კილოსია!)

1) მყოფადი+აწმყო:

თმებს გადაიყრის ნაკადი, ცისაკ დაიწყებს ცქერასა, შაჰყურებს გაოცებული შავის ღრუბლების მღერასა (ვაჟა, 12, 13); ზამთრობით მგელი...აიტუზება იმის გვერდით და ღმუის (ვაჟა, 12, 355); ხმელი წიფელი ამოიკვნესებს ღრმა კვნესით და არც ავად, არც კარგად ყურს არ ათხოვებს ამ ამაყ ცქერაროთ, მაგრამ „ადგილის დედის“ ზღაპარს კი ყურს უკდებს (ვაჟა. 12. 353); აავსებს ქალი სურას, ტილოს საცობს გაუკეთებს, დაიწვენს მხარზე და მიდის ჩუმი დუდუნით (რ. ინან., ჩიტ., 44); ქალი მოსახვევს უკან გადაიწევს და ...თმას ისწორებს საფეთქლებთან (რ. ინან., ჩიტ. 42);

2) მყოფადი+წყვეტილი:

ნურც დაიშრიტებით, იდინეთ, იწანწკარეთ (ვაჟა, VI, 9, 23);

V. ერთგვარ შემასმენლებად ხშირად გვხვდება მყოფადის ხოლმეობითით გადმოცემული ზმნათა ფორმები. შეერთება ორივე სახისა გვაქვს.

ღამეს იქ გავატარებდი და მეორე დილას... დავეშვებოდი თავ-ქვე სანადიროდ (ილია, 7, 137); დაანთებდენ ბუხარში ცეცხლს, ბუხრის წინ გაგიშლიდენ შვლის ტყავს და დაგვსვამდენ ზედ (აკაკი, 8, 360); აიმიზეზებდა რალაც უმნიშვნელო საბაბს, მოავლებდა მელანიას თმაში ხელს, დასცემდა მიწაზე და ამოიყრიდა ჯავრს (ე. ნინ., 13, 398); ...ყენი იმ სამელნეში ბატის ფრთას ჩასჩრიდა, ქაღალდის ნაგლეჯზე ფირმანს დაჯღაბნიდა და გლეხს მიუგზავნიდა (მ. ჯავ., IV,

14, 23); დაჯდებოდა მეზღაპრეც, ჩაახველებდა, ყელს ჩაიწმენდდა, მოხალვათდებოდა (რ. ინან., ჩიტ. 9);

მყოფადის ხოლმეობითთან ერთად ერთგვარ შემასმენლებად ხშირია ნამყო უწყვეტლის მწკრივით გადმოცემული ფორმები.

1) ხოლმეობითი+უწყვეტელი:

პატრონები... ხან გვერდზე გადაწვებოდნენ და წვრილ ქვიშას იტაცებდნენ დედამიწიდან, ხან უკან გადიზნიქებოდნენ და მიწას ბეჭებსა სცემდნენ (ალ. ყაზ., II, 107); ელისაბედი დედის სიტყვებზე მორცხვად თავს ჩაღუნავდა და ხმას არ იღებდა (ე. ნინ., 13, 381); ჯავრშემოწოლილი პლატონი ხან დაჯდებოდა, ხან მოუსვენრად დადიოდა ოთახში (დ. კლდ., 14, 112). ხან გადასწყვეტდა, ხან ისევ მეტ გაფრთხილებას ურჩევდა თავისთავს (დ. კლდ., 14, 130);

VI. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ შემასმენლებად ყველაზე ხშირად წყვეტილის მწკრივის ზმნის ფორმები გვხვდება. ამ ფორმით შესაძლოა გამოიხატოს თხრობითი კილო და ნამყო დრო, არაიშვიათად — ბრძანებითი კილო და მომავალი დრო. შეინიშნება, რომ ერთმანეთის გვერდით ნახმარი ფორმები მხოლოდ ერთი ზნიშვნელობისანი არიან (ან თხრობითისა და წარსულის, ან ბრძანებითისა და მომავლისა). გვერდიგვერდ ნახმარ ფორმებს სხვადასხვა მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეთ.

ა) წყვეტილი (თხრობითი კილო, წარსული დრო):

შევსხედით ცხენებზე და წამოვედით სტეფანწმინდიდამ (ილია, 7, 128); დეზი ჰკრა მერანს, მიატრიალა, ერთი შეჰკივლა და გააჭენა (აკაკი, 8, 122); ირემი მოვარდა გაჩქარებით, დაეწაფა ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძღა (ვაჟა, 12, 341); ელგუჯამ გაჰხედა ამ სურათებს და გული აუძგერდა (ალ. ყაზ., 11, 21); ქრისტინე დაჯდა მდინარის პირას და დაუწყო ყურება წყალს (ე. ნინ., 13, 227, 4); ყოველივე აირია, აიშალა, ამოძრავდა (დ. კლდ., 14, 146). მარაბდელმა სამჯერ შემოუარა წრეს და შედგა (მ. ჯავ., 19, 21); პოეტმა ეს ყველაფერი ...საქართველოს უძღვნა და ამით კიდევ უფრო განადიდა იგი (თ. ჭილ., წერილ., 33);

ბ) წყვეტილი (ბრძანებითი კილო, მომავალი დრო):

სტაცეთ ამ წუწკს ხელი, ბიჭებო! მოხადეთ ქუდი, გააძვრეთ ჩოხა, შემოხსენით... ქამარი, გახადეთ ფეხს და მიაკარით ხეზეო! (აკაკი, 8, 360); ძალნო ბუნებისანო, ჰოგროვდით ჩემთან, მოისმინეთ მუდარა ჩემი... მიეშველეთ, მტირალნი გააცინეთ, მშიერი გააძღეთ, თქვენს ძალასა და

მადლსა! (ვაჟა, VI, 9); ცოლ-შვილი დაარჩინე, ფოშტის ფულები დაიხადე... გზის სამუშაოზე წადი, სადარაჯოთ წადი! (ე. ნინ., 13, 352); შეიყვანეთ სახლში და დააწვინეთ ქვეშაგებში (დ. კლდ., 14, 46); ჩქარა ცხენიდან ჩამოდი და იარაღი დაჰყარე! (მ. ჯავ., IV, 271, 17);

შერწყმულ წინადადებაში წყვეტილით გადმოცემული ხმნა-შემასმენლის გვერდით შეიძლება შევხვდეთ აწმყოს, ნამყო უწყვეტელს, მყოფადის ხოლმეობითს, I თურმეობითს, II თურმეობითს. საანალიზო მაგალითებში წყვეტილი ნახმარია თხრობითი კილოს წარსული დროის მნიშვნელობით.

1) წყვეტილი+აწმყო:

ეს ხალხი გაიფანტა სხვადასხვა ადგილებში და აქამდისაც ისევ ხელგაშლილები დადიან (ალ. ყაზ., 11, 9); ჩვენ შინაყმებს გადასახადი დაადვეს და ნაჩალნიკის ბრძანებით ოჯახს უხიბავენ (ე. ნინ., 13, 22); მისმა ჭირისუფალმა მე ჩამაბარა მისი თავი და მარინეს ამბავს ყოველთვის მეკითხება (დ. კლდ., 14, 24); იქ კი დალლა ვიგრძენი, დავჯექი, წყალი დავლიე, პური ამოვიღე, ვჭამ (რ. ინან., ჩიტ., 118);

2) წყვეტილი+უწყვეტელი:

დავუგდე ყური ამ აფიცერს და გულში კი ვფიქრობდი (ილია. 7, 122); ახალგაზრდა... გაჭაჩეს და სატუსაღოში ქუთაისისკენ უპირებდნენ გაგზავნას (აკაკი, 8, 351); ვასილი... ნიკვზის ქვეშ იჯდა და ონისიმეს ელაპარაკებოდა (დ. კლდ., 14, 42); დალაგდნენ, ბაირაღებს გაჰყვნენ და რიხიანად გაჰკიოდნენ მგზავრულს (მ. ჯავ., IV, 28); რიყიდან დედუნას მამა ამოვიდა, ცხენს მოუძღოდა, იმ კაცს მიუახლოვდა, რაღაცა უთხრა (რ. ინან., ჩიტ., 26);

3) წყვეტილი+ხოლმეობითი:

დედამისი პელაგია მოუსვენრად იყო, ხანდახან შემოირბენდა ოთახში და ისევ მალე სადღაც გაქრებოდა (დ. კლდ., 14, 76);

4) წყვეტილი+I თურმეობითი:

სპირიდონმა გარკვევით გაიგონა ეს სიტყვები..., მაგრამ მხოლოდ ერთი ზანტად გადმოხედა ტარიელს, ხმა არ გაუცია (ე. ნინ., 13, 305); ირაკლი... გაკვეთილის შემდეგ გაიპარა და სკოლაში ბარე ხუთი დღე აღარ გამოჩენილა (არჩ. სულ., 87, 20); ბიჭი სულ იდგა და იდგა, არც ერთხელ არ გამოუხედავს დედუნასაკენ (რ. ინან., ჩიტ., 31);

5) წყვეტილი+II თურმეობითი:

გალავნის კარებთან რამდენიმე შეიარაღებული ყმაწვილი ბიჭი იდგა და თავიანთ შეკაზმული ცხენების სადავეები უნაგირის ტახ-

ტებზედ შაეყარათ (ალ. ყაზ., II, 106); საბრალო წიფელი... ამად ნაყად იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა ასცილებოდა (ვაჟა, 12, 353);

რაც შეეხება ბრძანებითი კილოსი და მომავალი დროის მნიშვნელობით ნახმარ წყვეტილს, მის გვერდით შერწყმულ წინადადებაში ვხვდებით ასევე ბრძანებითი კილოს მნიშვნელობით ნახმარ მყოფადის მწკრივს[1] (ნუ ნაწილაკიან აკრძალვით ბრძანებითს).

წყვეტილი+მყოფადი:

მზეო, ყოვლის არსის ნუგეშო, გაათბე, გაახარე ყველა შენის მადლიანის სხივით... ნუ დასწვავ, ნუ დაჰგვალავ, ნუ გააფუჭებ კაცის და ბუნების მარჯვენის ამაგს (ვაჟა, VI, 9, 29); მომიტევეთ, ნუ მიძრახავთ ჩემს უზრდელობას (დ. კლდ., 14, 54);

VI. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ შემასმენლებად გვაქვს II კავშირებითის ფორმები: მათ შეიძლება ჰქონდეთ როგორც კავშირებითი, ისე ბრძანებითი კილოს მნიშვნელობა, დრო ორივე შემთხვევაში მომავალია. შეერთება ერთგვარი წევრებისა, ჩვეულებისამებრ, კავშირიანია ან უკავშიროდ.

ნათქვამი მთელს ერს მოახვიოს თავზე, მთელს სომხობაზე გადაიტანოს (ილია, 7, 98, 7); ვანჩქლიოთ, ერთად ვანჩქიოთ ცრემლის წყარონი მწარენი (ვაჟა, 12, 17, 22); ან ვისახელოთ, ან გავწყდეთ ომში პირველად ჩასვლაზე (ვაჟა, 12, 17, 22); დროა განზე გადგნენდა გზა დაგვითმონ (მ. ჯავ., IV, 30, 9); სახლს დავადგათ, წითელი ქეშტით გადავხუროთ, ეზოც კარგად შემოვღობოთ (რ. ინან., ჩიტ., 43);

II კავშირებითის გვერდით შერწყმულ წინადადებაში შეიძლება შევხვდეთ მყოფადის მწკრივსაც:

ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმენდება ხოლმე (ილია, 7, 120);

VIII. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ შემასმენლებად I თურმეობითის ფორმები გვაქვს.

რამდენი დასნეულებულა, დამახინჯებულა (აკაკი, 8, 373); ერთ დროს აქ ადამიანს უცხოვრია, უმოქმედია,

---

[1] გვაქვს შემთხვევა ბრძანებითი კილოს მნიშვნელობის მქონე წყვეტილთან თხრობითკილოიანი მყოფადის ხმარებისა: ახა, მოიხედეთ აქეთ და თქვენ იხილავთ მას: თ. ჭილ., წერილ., 69. თუ ამ მაგალითს თანწყობილად მივიჩნევთ („თქვენ" ქვემდებარე განმეორებულია), ეს მაინც არღვევს წესს (ორივე ფორმა ბრძანებითი არ არის!), რამდენადაც უქვემდებაროდაც შეიძლება მისი არსებობა: მოიხედეთ აქეთ და იხილავთ მას. შეიძლებოდა აღგვედგინა თითქოს ნაგულისხმევი დამოკიდებული წინადადება (თუ მოიხედავთ, თუ ასე მოიქცევით...), მაშინ საანალიზო ფორმები ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მთავარ ნაწილში აღმოჩნდებოდა დაქვემდებარებული ნაწილით გათიშული: მოიხედეთ აქეთ და, თუ ასე მოიქცევით, თქვენ იხილავთ მას...

ცდილა თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. უშენებია, უმამულებია აქაურობა (ე. ნინ., 13, 355); პლატონს კაცის-შვილობა მოუკლავს, არ დაუჩეხია, არ უეშმაკნია ჯერეთ... არ უქურდნია, არაფერი მოუპარავს, არაფერი არავისთვის არ წაურთმევია (დ. კლდ., 14, 149); სამი ქართველი მოკუზულა და ცხენის ზურგს დაჰკვრია (მ. ჯავ., 19, 32);

I თურმეობითის გვერდით ვხვდებით აწმყოსა და წყვეტილსაც.

ა) I თურმეობითი+აწმყო:

...იქ სისხლი და ცრემლი დაღვრილია და იღვრება (ვაჟა, VI, 26, 21); იგი... შემდგარა პოლსაპოშკებზე, ატლასის კაბა ჩაუცვამს, თავზე თუმნიანი ქუდი დაუხურავს და პარპაშობს (ე. ნინ., 13, 329); ალექსანდრეს წვერი გაუშვია, საქართველოს მარშლობას უმიზნებს (მ. ჯავ., IV, 11, 3); ბევრი განათლებული და ჭკვიანი კაცი ყოფილა და არის იქაო (ე. ნინ., 13, 40). სადღაც ჩაუცეცხლიათ და ცოლაკას სიმღერისათვის არიან მოსულები (ჭ. ამირ., 802).

2) I თურმეობითი+წყვეტილი:

მთელი ღამე არ დასძინებია სოლომანს და იყო ერთ მოუსვენრობაში (დ. კლდ., 14, 78);

IX. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ შემასმენლებად მოსალოდნელია II თურმეობითის ფორმებიც.

ქორს ბუდე დაესაკუთრებინა, გაეფართოებინა, მსხვილი წინწკარებით გაესხვაფერებინა (ვაჟა, 12, 367): ერთ ზამთრის ღღეს ცა ძალზედ შეჭმუხვნილიყო, გაბადრულიყო და არემარე მთლად შავად მოებურა (ალ. ყაზ., II, 160): მელანია წამომდგარიყო ლოგინიდან, ჩვეულებრივად შემოედვა თავზე ხელი და ნიდაყვი დაებჯინა... ზანდუკზე (ე. ნინ., 13, 390): ქართველ მილიციელთა ერთი ჯგუფი მოეხსნათ და გიორგი კუშტნელის მეთაურობით არლოელისათვის მიეცათ (მ. ჯავ., 19, 15): ელისაბედი ჩუქურთმებიან დედაბოძთან ჩაკრეფილიყო, შემოხვეოდა გაშავებული ნაჯაფი ხელებით, თავიც ზედ მიედო, მიეხუტებოდა და... ასე ამოსვლოდა სული (რ. ინან., ჩიტ., 241):

II თურმეობითის გვერდით შერწყმულ წინადადებაში ეხვდებით უწყვეტელსა და წყვეტილსაც.

1) II თურმეობითი+ნამყო უწყვეტელი:

ზეცად აღეპყრათ სამთავეს თვალნი, საქართველოსკენ იშვერდნენ ხელსა და შეერთებით, ხმაშეწყობილად ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა (აკაკი, 8, 138); დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე, მოეხუჭა თვალები და ნისკარტიდან ცინგლი ჩამოს-

დიოდა, მხრები საცოდავად ჩამოეშვა (ვაჟა, 12, 333); ამ დროს შორიახლო ხარირემი გამოჩენილიყო და გულმოდგინედ ცგვებდა ყურს ფრინველთა მღერას (ვაჟა, 12, 380); წიფელი სხვა ხეებს ბევრით მაღლა ასცილებოდა და თავის დიდრონ ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურებოდა თავს მთელ ტყეს (ვაჟა, 12, 353); მთიბელი დედაკაცები და კაცები შემოსხდომოდნენ ცეცხლს გარშემო და... ელოდნენ საჭმლის მომზადებას (ალ. ყაზ., 11, 18):

2) II თურმეობითი+წყვეტილი:

სვავს კი უმსგავსოდ ჩამოეშვა ჩინჩახვი, მოეკუმა ნისკარტი, გაეფართხა მხრები და თეთრს ტომარასავით იდვა ბოკვის ტოტზე (ვაჟა, 12, 389):

როგორც ვხედავთ, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ერთმანეთის გვერდით ერთი და იგივე ან სხვადასხვა, მაგრამ ერთი დროის გადმომცემი მწკრივებია ნახმარი. მაშასადამე, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ზმნა-შემასმენელთა ერთი დროის ფარგლებში შეთანხმების ძირითად წესს შერწყმული წინადადებაც უჭერს მხარს.

შერწყმულ წინადადებაში ერთმანეთის გვერდით შესაძლოა სხვადასხვა დროის გამომხატველი მწკრივებიც შეგვხვდეს (ახლანდელისა და მომავლის, წარსულისა და მომავლის...), მაგრამ უმეტესად ხერხდება მათი ახსნა და ერთ დროზე დაყვანა (ასეთ შემთხვევაში უპირატესად „ზოგადი აწმყოა“ ხოლმე ნახმარი, რომელიც ითავსებს სხვა დროის მნიშვნელობასაც, ან მყოფადი გვხვდება ჩვეულებრივ განმეორებადი მოქმედების მნიშვნელობით, ან 1 თურმეობითს აქვს ე. წ. „შედეგობითი აწმყოს“ გაგება და ა. შ.)[1].

ძალზე იშვიათია ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა დროის მნიშვნელობის მქონე მწკრივები (ისიც მხოლოდ გამოსახატავი შინაარსის შესაბამისად).

შემოკლებანი:

ილია, 7 — ი. ჭავჭავაძე, ჩვენი საუნჯე, ტ. 7, თბ., 1960.
აკაკი, 8 — ა. წერეთელი, ჩვენი საუნჯე, ტ. 8, თბ., 1960.
ვაჟა, VI — ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1964.
ვაჟა, 12 — ვაჟა-ფშაველა, ჩვენი საუნჯე, ტ. 12, თბ., 1961.
ალ. ყაზ. II — ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1948.

[1] ამ საკითხებზე სხვადასხვა დროს გვქონია საუბარი, ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ყაზ. 11 — ა. ყაზბეგი, ჩვენი საუნჯე, ტ. 11, თბ., 1960.
დ. კლდ. 14 — დ. კლდიაშვილი, ჩვენი საუნჯე, ტ. 14, თბ., 1961.
ე. ნინ. 13 — ე. ნინოშვილი, ჩვენი საუნჯე, ტ. 13, თბ., 1961.
მ. ჯავ. 19 — მ. ჯავახიშვილი, ჩვენი საუნჯე, ტ. 19, თბ., 1961.
მ. ჯავ. IV — მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1961.
რ. ინან., ჩიტ. — რ. ინანიშვილი, „ჩიტების გამომზამთრებელი", თბ., 1978.
არჩ. სულ. — ა. სულაკაური, ლექსები — მოთხრობები, თბ., 1977.
თ. ჭილ. წერილ. — თ. ჭილაძე, წერილები. თბ., 1978.
ჭ. ამირ. — ჭ. ამირეჯიბი, „დათა ჯუთაშხია", თბ., 1978.

Л. Г. ГЕГУЧАДЗЕ

К ВОПРОСУ О ПОСЛЕДОВАТЕЛЬНОСТИ ФОРМ ГЛАГОЛЬНЫХ РЯДОВ В ПРЕДЛОЖЕНИИ С ОДНОРОДНЫМИ СКАЗУЕМЫМИ

Резюме

В статье рассмотрены возможные варианты последовательности глагольных рядов в предложениях с однородными сказуемыми.

Однородные сказуемые могут передаваться всеми формами глагольного ряда. Однако предпочтение отдается одним и тем же рядам: все однородные сказуемые переданы формами ряда либо настоящего, либо прошедшего несовершенного, либо будущего, либо II сослагательного, или же I результативного и т. д.

Наряду с этим возможны и соотношения различных форм рядов однородных глаголов-сказуемых, таких, как, например, настоящего — с будущим или I результативным, прошедшего несовершенного — с пермансивом, прошедшим несовершенным, I и II результативными, II сослагательного — с будущим, I результативного — с прошедшим совершенным, II результативного — с прошедшим несовершенным и т. д. Всего рассмотрены 33 варианта возможных сочетаний глагольных рядов однородных сказуемых.

Выясняется, что в абсолютном большинстве примеров однородные сказуемые передают одно и то же время даже в тех случаях, когда они выражены различными формами рядов. Так что и данный тип предложения поддерживает общую закономерность согласования глаголов-сказуемых в пределах одного времени, выявленную анализом гипотактических конструкций.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუქია აფრიდონიძე

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

იდიომი და იდიომურობა

იდიომის ცნების განმარტებათა სიჭრელე განსაკუთრებით კარგად ასახავს აზრთა სხვადასხვაობას ორი, ერთმანეთთან დაკავშირებული მომენტის — ლექსიკალიზაციისა და ხატოვანების (მეტაფორულობის) გამო. ამ უკანასკნელს უკავშირდება ექსპრესიული ფუნქციაც.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ იდიომურობის ენობრივი საფუძვლის ძიებისას თუმცა ექსპრესიული ფუნქცია არ გამოირიცხება, მაგრამ ვერც დავეყრდნობით მას. ცნობილია, რომ ექსპრესიულობაზე უარყოფითად მოქმედებს ხმარების სიხშირე, რადგან ხშირი ხმარება ცვეთს ენობრივ ერთეულს (ჩვენს შემთხვევაში, გამოთქმას). მაგალითად, თუ ამ კუთხით შევხედავთ ყველას მიერ და ყველა პარამეტრით იდიომად მიჩნეულ „ყურის გდებას“, განსაკუთრებით, მის იმპერატიულ ფორმას — „ყური მიგდე“! — ექსპრესიულობის ნიშნით მას ვერ დავახასიათებთ, რადგან ყოველდღიური ხმარებისაგან ივი საკმაოდ გაცვეთილია, შესაძლოა, მეტადაც, ვიდრე მისი სინონიმები: გამიგონე, მომისმინე... მაშასადამე, ექსპრესიულობა არც აბსოლუტური ნიშანია და, როგორც საზომიც — სუბიექტურია. ზუსტ, ობიექტურ კრიტერიუმად ივი ვერ გამოდგება.

თუ ხატოვანება-მეტაფორულობა მხოლოდ სემანტიკურ-სტილისტიკურ მხარეს ითვალისწინებს, ლექსიკალიზაციის ცნება სემანტიკურ შინაარსთან ერთად გრამატიკულსაც იტევს. იგულისხმება სემანტიკური დაუშლელობა ფრაზეოლოგიზმისა და მის მიერ წინადადების წევრის ფუნქციის შესრულება.

სპეციალურ ლიტერატურაში არცთუ იშვიათად ვხვდებით მსჯელობას სემანტიკურად ბუნდოვან კომპონენტებზე, რომლებიც განაპირობებენ ან ხელს უწყობენ იდიომურობის შექმნას (შ. ბალი, ე. ავრიკოლა). ცხადია, ამის აღიარება საფუძველს ურყევს ხატოვანება-მეტაფორულობას, როგორც იდიომის არსებით ნიშანს, რადგან ივი ყველა იდიომისათვის აბსოლუტური ვერ იქნება. მართლაც, მეტაფორულობაზე იქ და მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა მნიშვნელობა გასაგებია. სხვა-

ნაირად რომ ვთქვათ, გადატანით ხმარება მხოლოდ გასაგები მნიშვნელობისა შეიძლება. უფრო რომ განვაზოგადოთ სემანტიკური ბუნდოვანების ცნება, უნდა ვთქვათ: იდიომურობის შექმნას ხელს უწყობს ასემანტური ერთეულის მონაწილეობა იდიომში. სიტყვა „ასემანტური“, ცხადია, აბსოლუტურად არ უნდა გვესმოდეს: ასემანტურობის ჩვენეული გაგება გულისხმობს, რომ ამა თუ იმ ენის მატარებელი კოლექტივისათვის ცალკე აღებული ლექსემები სინქრონიაში გაუგებარია. ჩვეულებრივ, ეს ისეთი ნასესხები სიტყვებია, რომლებიც ფიქსირებულია მხოლოდ გარკვეულ სიტყვებთან გარკვეული ფორმით და თავისუფალ შესიტყვებებში არ მონაწილეობს, ე. ი. იდიომური კონტექსტის გარეშე მსესხებელ ენაში არ ფუნქციონირებს. ესენია ქართულისათვის: ა ბ უ ჩ ი (აბუჩად აგდება), ი ხ ტ ი ბ ა რ ი (იხტიბარს არ იტეხს), ა ი ნ უ ნ ი (აინუნშიც არ აგდებს), ს ი ქ ა (სიქა გააცალა) და მისთ. ამ მხრივ იდიომი ერთგვარად გვაგონებს ტოპონიმის ვითარებას. ტოპონიმიკურ ლიტერატურაში ცნობილი დებულების მიხედვით, ასემანტურობა ხელშემწყობი ფაქტორია ტოპონიმიკუროპისა[1]. საცნაურია, რომ პოლისემიის თავიდან ასაცილებლად ტოპონიმიც, ანთროპონიმიც, საერთოდ, საკუთარი სახელი ცდილობს რამდენადმე უჩვეულო ფორმის მიღებას, ყოველ შემთხვევაში, განმსგავსებას ამოსავალი აპელატივისაგან.

ამ მსგავსების გამო ბუნებრივია, რომ ფრაზეოლოგიზმს იდიომურობას სძენს აპელატივის დონეზე გაუგებარი ყოველგვარი ონომა — საკუთარი სახელი — ადამიანისა თუ გეოგრაფიული. მაგალითად: ა ქ ი ლ ე ვ ს ი ს ქ უ ს ლ ი, ი უ დ ა ს ა მ ბ ო რ ი, მ ა მ ა ა ბ რ ა მ ი ს ბ ა ტ კ ა ნ ი, ქ რ ი ს ტ ე ს ტ ი რ ი ლ ი, ქ რ ი ს ტ ე ს პ ე რ ა ნ გ ი, ნ ო ე ს კ ი დ ო ბ ა ნ ი, ს ე მ ი რ ა მ ი დ ა ს ბ აღ ე ბ ი, დ ა მ ო კ ლ ე ს მ ახ ვ ი ლ ი, პ რ ო კ რ უ ს ტ ე ს ს ა რ ე ც ე ლ ი, ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ს გ ო დ ო ლ ი, ე დ ე მ ი ს ბ აღ ი და მისთ. ესენი, ჩვეულებრივ, ბიბლიური თუ მითოლოგიური გამოთქმებია, მსაზღვრელ-საზღვრულის სინტავმით გამოხატული.

იდიომის მიღებული განმარტების თანახმად, იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს[2]. იდიომთა შედგენილობის თვალსაზრისით, ამ განმარტებიდან, პირველ ყოვლისა, ის გამომდინარეობს, რომ კომპონენტებს აქვთ კიდეც გარკვეული მნიშვნელობა, რომელიც მომხმარებლისათვის მეტნაკლებად გასაგებია. ფართო აზრით, ყველა მეტყველების ნაწილს აქვს რაღაც მნიშვნელობა, მაგრამ

---

[1] В. М. Мокиенко, Закон «относительной негативности» и региональная топонимика, Вопросы топономастики, № 5; Ученые записки, № 114, Серия филологическая, вып. 18, Свердловск, 1971, გვ. 79.

[2] ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. თბ., 1961, გვ. 40.

ეს უკანასკნელი ფუნქციურ სიბრტყეს უფრო ვარაუდობს, ვიდრე ცნებითს მნიშვნელობას. სპეციალური, ვიწრო აზრით კი ამოსავალია სწორედ ნეიტრალური ცნებითი მნიშვნელობა, რომელიც აუცილებელი, თუმცა არა საკმაო პირობაა იდიომურობისათვის. მხოლოდ ნაცვალსახელებისა და დამხმარე სიტყვების მეშვეობით იდიომის შექმნა არ წარმოიდგინება, რადგან ნაცვალსახელის ფუნქცია მითითებითია და არა აღმნიშვნელი. მითითებითი სიტყვის მიერ გადატანითი მნიშვნელობის შეძენა კი თითქმის გამორიცხულია: გადატანითი მნიშვნელობა მხოლოდ აღმნიშვნელ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს. ამიტომაა, რომ ენაში მზად არსებული და ფორმითაც შეზღუდული ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: გარდა ამისა, მით უფრო, მით უმეტეს, მიუხედავად ამისა, სხვათა შორის, თავის მხრივ და მისთ., იდიომებად ვერ ჩაითვლება. ისინი მრავალ ენაში თითქმის ამავე სახით მოიპოვებიან და სხვა ენებზე უმტკივნეულოდ (თუმცა არა ყოველთვის) თითქმის სიტყვასიტყვით ითარგმნებიან, ამიტომ ყველგან შედარებით უფერულ და უსახო შეხამებებს ქმნიან. მათი უმეტესობა ჩართულებში მონაწილეობს, ჩართულები კი თავისებური ფორმულებია, რომლებსაც შეიძლება სინონიმი არც გააჩნდეთ (უმეტესად ასეც არის) და, მაშასადამე, როგორც ხშირად ერთადერთები, დაახლოებით ტერმინოლოგიური გამოთქმების ფუნქციით იხმარებოდნენ. ტერმინოლოგიურობა კი ხელს უშლის იდიომის შექმნას: იდიომს — პოტენციურად მაინც — ნეიტრალური სინონიმი უნდა მოეპოვებოდეს (სხვაობა შესიტყვების ფორმის მქონე ტერმინსა და იდიომს შორის კარგად აქვს ნაჩვენები ა. თაყაიშვილს[3]). სხვაგვარად მისი იდიომად ყოფნა ყოვლად წარმოუდგენელია. მაშასადამე, დგება სინონიმურობის ნიშნის შემოტანის აუცილებლობის საკითხი.

ავიღოთ ორი ფრაზეოლოგიზმი: გული წაუვიდა და გული მოუვიდა. ორივე იდიომადაა მიჩნეული, თუნდაც იმიტომ, რომ ორივე ერთი და იმავე კომპონენტებისაგან შედგება — განსხვავებას მხოლოდ მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინები შეადგენს. მაგრამ პირველი უფრო „ობიექტური“, ტერმინოლოგიური ხასიათისაა, ადამიანის, ასე ვთქვათ, კლინიკურ მდგომარეობას აღნიშნავს, მეორე კი მხოლოდ ემოციის აღმნიშვნელია და იხმარება გაბრაზდა, გაგულისდა, განრისხდა ზმნების სინონიმად. სინონიმები პირველსაც მოეპოვება (გული შეუწუხდა, გონება (გრძნობა) დაკარგა...), მაგრამ ობიექტურობის თვალსაზრისით ერთნაირი ღირებულებისანი არიან, მათგან გული წაუვიდა, შესაძლოა, რამდენადმე სასაუბრო იერს ატარებდეს.

---

3 ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, ჟბ., 1961, გვ.

იდიომურობის ხასიათს წარმოშობს (ან ხელს უწყობს) ენობრივი ნორმის, ჯეზუსის ყოველგვარი სახის დარღვევა — როგორც გაღმეტებები, ტავტოლოგია და ჰიპერბოლიზაცია, ისე მათი საპირისპირო მოვლენა — ელიფსი ანუ გამოტოვება. ა. თაყაიშვილი, როცა ესკვლობს გამოთქმის მოტივაციის შესახებ, სამართლიანად მიუთითებს, რომ იდიომისათვის არ არის აუცილებელი სათანადო რეალიის არსებობა (მაგ., (პირ(ს) კატა ეცა, ფეხები არ მომჭამო, ასი ყურიგამოიბა). ამგვარად, ტავტოლოგიებად აღიქმება შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: საკუთარი (ჩემი) თვალით ვნახე, თავისი ყურით გაიგონა, თავისი ფეხით მივიდა, საკუთარი ფეხით მივედი და მისთ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ გამონათქვამებში ორმაგი ტავტოლოგიაა: წმინდა ინფორმაციული თვალსაზრისით ორივე სახელი — საზღვრული არსებითია და მსაზღვრელი ზედსართავიც (ან კუთვნილებითი ნაცვალსახელი) ზედმეტია, რადგან მოცემული სუბსტანტივები სათანადო ზმნების მიმართ თითოეულ შემთხვევაში ერთადერთი და ბუდმივია, ასევე ლოგიკურად ერთადერთია მსაზღვრელიც საზღვრულის მიმართ (წარმოუდგენელია სხვისი ყურით გაგონება, სხვისი თვალით დანახვა ანდა სხვისი ფეხით სიარული).

ჰიპერბოლიზაცია ძირითადად რიცხვით სახელებთან ანდა ირეალური საგნებისა თუ მოვლენების გამომხატველ სიტყვა-თქმებთანაა დაკავშირებული. მაგ., ფრაზეოლოგიზმში „ასი ყურის/თვალის გამობმა“ მსაზღვრელ-საზღვრული ასი ყური თავისთავად ჰიპერბოლიზებულ სახეს წარმოადგენს[4], რაც უზრუნველყოფს გამოთქმის იდიომურ ელფერს.

ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როცა ატრიბუტული მსაზღვრელები გარკვეულ არსებითებთან შეხამებისას ხარისხის მნიშვნელობას იძენს და მხოლოდ და მხოლოდ პრეპოზიციურად ეკავშვება საზღვრულს, რითაც იდიომურ ხასიათს ანიჭებს მთელს გამოთქმას. ასეთი მსაზღვრელებია ზედსართავი ნამდვილი და მისი სინონიმები.

შევადაროთ ერთმანეთს ორი ნეიტრალური დეფინიცია: „ეს ნამდვილი ამბავია“ და: „ეს ამბავი ნამდვილია“. მეორე წინადადებაში წევრები ისეა გადანაცვლებული, რომ პირის ნაცვალსახელი ჩვენებითად ქცეულიყო, მსაზღვრელი კი — შედგენილი შემასმენლის სახელად

---

4 ასევე ჰიპერბოლიზებულია სიხშირე-სიმრავლე რიცხვით სახელებში: ასი, ათასი, ორმოცდაათი, მილიონი და მისთ. (მაგ., მილიონჯერ მითქვამს, ათასჯერ გაგიმეორე და ა. შ.). სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა-თქმების შესახებ იხ. ც. კალაძის ნაშრომი „საზღვრულის რიცხვი გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ სახელებთან“ (ხელნაწერი).

ნაწილად. ორივე წინადადება ლოგიკურადაც და გრამატიკულადაც მართულია და ფაქტიურად ერთსა და იმავე ინფორმაციას შეიცავს.

ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: „ის ნამდვილი ანგელოზია (//ეშმაკია//ყაჩაღია...)“. მოვახდინოთ ამ წინადადების ანალოგიური მოდიფიკაცია. მივიღებთ: „ის ანგელოზი (ეშმაკი, ყაჩაღი...) ნამდვილია“. ახალი წინადადება თუმცა სინტაქსურად სწორია, გამართულია, სემანტიკურად სულ სხვა ინფორმაციას შეიცავს, არა იდენტურს წინამავალთან. წინადადება — „ის პირწავარდნილი ყაჩაღია“ — მოდიფიცირებისას სრულ უაზრობას მოგვცემს: „ის ყაჩაღი პირწავარდნილია“. ანალოგიურად, შდრ.: „ის ასლი მამაა“ და: „ის მამა ასლია“.

ასეთივე „დაბმული“ პოზიციით ხასიათდება ანალოგიური შინაარსის არსებითი სახელი განსახიერება, რომელიც მართულ სახელს მოსდევს. შდრ. „ის ანგელოზის (//ჯოჯოხეთის) განსახიერებაა“ და: „ის განსახიერება ანგელოზისაა (//ჯოჯოხეთისაა)“, ანდა: „ის ეშმაკის ფეხია“ და: „ის ფეხი ეშმაკისაა“.

მაშასადამე, გამოიკვეთა ერთი კანონზომიერება: თუ მსაზღვრელ-საზღვრულის ერთ-ერთი კომპონენტი ირეალური, არამატერიალური საგნების (ღმერთი, ეშმაკი, ანგელოზი, ჯოჯოხეთი, სამოთხე...) ანდა განყენებული ცნებების (ბედნიერება, უბედურება, სასწაული, ჭირი...) აღმნიშვნელია, ეს სახელები ადიექტივის ფუნქციით აღიჭურვებიან (მათი აღსანიშნი საგნების რომელიმე თვისების განზოგადების შედეგად), ხოლო მათი მსაზღვრელები (ძალიან/ძალზე, მეტად, ფრიად...) ხარისხის ფუნქციას იძენენ. ასეთი მსაზღვრელებია: ნამდვილი, ფრთაშესხმული, ასლი, განხორციელებული, პირწავარდნილი და ა. შ.

მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის შემთხვევაში იდიომურობისათვის აუცილებელი და საკმაო პირობაა სიტყვათა წყობის უცვლელობა და კომპონენტთა შეუცვლელობა, ე. ი. გრამატიკული და სემანტიკური დაუშლელობა.

ავიღოთ სიტყვათშეხამებები: გულისყური და ვონების თვალი. მათი ინვერსია — ყურიგულისა და თვალიგონებისა — უაზრობას მოგვცემს, თვით ამ ლექსემათა შეხამება კი თითქოს მოულოდნელი იყო: გულიც და ყურიც სხეულის ორკანოებია — ერთმანეთთან გარეგნულად დაუკავშირებელი. იდიომის ეფექტი სწორედ ამ მოულოდნელმა შეხამებამ მოგვცა. შდრ., ასევე, გამოთქმები: სიტყვის ძალა და სიტყვის კაცი. პირველ გამოთქმაში („გამოთქმას“ ვხმარობთ შესიტყვების მნიშვნელობით) ინვერსია პრინციპულად შესაძლებელია (დასაშვებია): ძალა სიტყვისა, მეორეში კი — არა: კაცი სიტყვისა — უაზრობაა. მაშასადამე, სინტაქსუ-

რი ყალიბის სტაბილობა, თავის მხრივ, ლექსიკურ-სემანტიკური ფაქტორებითაა განპირობებული[5].

თუ თავისუფალ შესიტყვებაში საზღვრული უსულოთა ჯგუფს განეკუთვნება, მსაზღვრელი ნებისმიერია — სულიერიცა და უსულოც (აქედან გამომდინარე, საზოგადოცა და საკუთარიც). მაგ., ადამიანის ფეხი, მაგიდის ფეხი. მაგრამ, თუკი საზღვრული სულიერთა ჯგუფს განეკუთვნება, მსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ სულიერს (ანდა გასულიერებულს) უნდა აღნიშნავდეს. მაგ., თავმჯდომარის შვილი, სამშობლოს//მამულის შვილი (აქედან — მამულიშვილი). ე. ი. თავისუფალ შესიტყვებებში შეიძლება: ა) უსულო ისევ უსულოს ან სულიერს განეკუთვნებოდეს, ანდა ბ) სულიერი სულიერს განეკუთვნებოდეს. მაგრამ არ შეიძლება სულიერი უსულოს განეკუთვნებოდეს[6]. აქ კი ენობრივი ნორმის თვალსაზრისით სრულიად შეუძლებელ შეხამებას ვიღებთ, რაც ხელსაყრელი პირობაა იდიომურობის წესაქმნელად. სწორედ ამიტომაა, რომ გამოთქმა „სიტყვის კაცი" — „პირიანი, თავისი სიტყვის ამსრულებელი კაცის" მნიშვნელობით — უთუოდ იდიომურია.

სიტყვათა წყობის უცვლელობა იმითაცაა შეპირობებული, რომ საზღვრული კაცი თუმცა სინტაქსურად მმართველი სიტყვაა, ლექსიკურად დამოკიდებულ ღგომარეობაშია — აფიქსის როლს ასრულებს (ეკვივალენტურია მ- პრეფიქსისა, მიმღეობებსა და ნაწარმოებ სახელებში), სემანტიკური, აზრობრივი მახვილი კი მართულ მსაზღვრელზე მოდის. საინტერესო ისიცაა, რომ ეგევე მართული მსაზღვრელი ატრიბუტულის მნიშვნელობას იძენს, კითხვაც სათანადო დაესმის: რა კაცია? როგორი კაცია? პასუხი: სიტყვის კაცია (ე. ი. პირიანი კაცია). მაშასადამე, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი აქ თითქოს სიტყვაწარმოებითი ფუნქციითაა აღჭურვილი.

როგორ და რატომ მოხდა, რომ ატრიბუტული მნიშვნელობის მქონე სახელი გენიტიური ფორმით მოგვევლინა? რატომ შეიქმნა ასეთი უცნაური შეხამება?

ავიღოთ სიტყვა კაც-ის მონაწილეობით შექმნილი სხვა გამოთქმა: **მაგის კაცი არა ვარ**, რაც ნიშნავს: მაგის (მაგ საქმის) გამკეთებელი (კაცი) არა ვარ. ცხადია, რომ პირველ წინადადებაში ელიფსთან გვაქვს საქმე: გამოტოვებულია მიმღეობა, რომელიც მოქმედების ჩამდენს აღნიშნავს. საზღვრული **კაცი** ფაქტიურად კომპენსა-

---

5 ა. თაყაიშვილი, როგორც ჩანს, ყველა შემთხვევის გაერთიანშეზღუდულებამ მიიყვანა სიტყვათა წყობის, როგორც არსებითი ნიშნის, უარყოფამდე (არაბსოლუტურობის მოტივით). იხ. ა. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 21

6 ნივთიერების სახელები მხედველობაში არ მიიღება, რადგან ისინი სულიერსაც უსულოდ აქცევენ (მაგ., ხის კაცი, შდრ., რუს. деревянный человек).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციაა ელიპტირებული მიმღეობისა და ძირითადი (ლოგიკური) აქცენტიც „მსაზღვრელებზეა“ გადატანილი.

ელიფსის შედეგია ასევე იდიომური გამოთქმა თავისი გაიტანა (//გაიყვანა). რომელშიც ნაკლული წევრია საზღვრული, ზმნა-შემასმენლის ობიექტი — სიტყვა, ნათქვამი... ასეთივე მსაზღვრელნაკლული გამოთქმაა **„პირში ნაწილი არ ჩასვლია“**, სადაც კომპონენტი ნაწილი შემოკლებული ფორმაა „წმინდა ნაწილისა“ (რომელიც ზიარებასთანაა დაკავშირებული)[7].

მაშასადამე, იდიომურობისათვის ხელშემწყობი პირობაა როგორც გამოხატვის სიჭარბე, ისე ნაკლულევანება — ელიფსი, რომელსაც პოტენციურად ორაზროვნობა წარმოქმნის.

ორივე ეს საპირისპირო საშუალება არანეიტრალური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, მეტადრე, მხატვრული ლიტერატურისათვის (შდრ. სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ამგვარი „უკიდურესობებით“ არ გამოირჩევა — საშუალო, ნეიტრალურ სტილს ირჩევს).

ექსპრესიული ფუნქციის მქონე ერთსიტყვიანი (უკეთ, ერთფუძიანი) ერთეულები ხშირად მეტაფორულ სიტყვებადაა კვალიფიცირებული. ასეთი გაგება ფაქტიურად პოლისემიას გულისხმობს. ამოსავალია ამა თუ იმ სიტყვის თავდაპირველი ნომინაციური — პირდაპირი მნიშვნელობა. ასეთია, მაგალითად, გოგრა (ამოსავალი მნიშვნელობაა — ბაღჩეული მცენარე, გადატანითი — თავი).

ახლა განვიხილოთ სინონიმური მნიშვნელობის მქონე ზმნური ერთეულები: გახევება, გაშეშება, გაქვავება (=ერთ ადგილზე უძრავად გაჩერება). თუ უკანასკნელ მაგალითში შეიძლება ამოსავალი, თუმცა ამჟამად მეტად იშვიათად ხმარებული, მნიშვნელობაც დავინახოთ (გაქვავება=ქვად ქცევა), პირველი ორი მაგალითი ამგვარ ორაზროვნობას მოკლებულია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გახევება და გაშეშება ერთადერთი მნიშვნელობით იხმარებიან, ეს ერთადერთი მნიშვნელობა ხატოვანია, ექსპრესიულია, და არა ნეიტრალური — ოდენ ნომინაციური. ე. ი. გახევდა არასდროს არ ნიშნავს „ხედ იქცა“, ან გაშეშდა — „შეშად იქცა“. ამ მნიშვნელობით ისევ აქ მოყვანილი შესიტყვებები უნდა ვიხმაროთ, და არა ცალფუძიანი გახევდა, გაშეშდა ფორმები. მაშასადამე, პოლისემია ამ შემთხვევებში არა გვაქვს, არამედ არის ერთადერთი — იდიომური მნიშვნელობა: „ერთ ადგილზე/უძრავად დარჩა“. სემანტიკურ შეზღუდვას ემატება ფორმის შეზღუდვაც — უზმნისწინო ფორმებს ეს მნიშვნელობა ვერ იგუებს. აქედან გამომდინარე, აწმყოს წრის ნაკეთები, ჩვეულებრივ, არა გვხვდება (*ხევდება, *ხევდებოდა,

---

7 ბიძ. ფოჩხუა, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 291.

*შ ე შ დ ე ბ ა, *შ ე შ დ ე ბ ო დ ა...). მხოლოდ ზმნისწინიან ფორმებში გაცხადებული იდიომური მნიშვნელობა: გ ა ხ ე ვ ე ბ ა, გ ა ხ ე ვ ე ბ უ ლ ი, გ ა ხ ე ვ დ ა, გ ა ხ ე ვ დ ე ბ ა... (ასევეა გ ა შ ე შ ე ბ ა ხმნის სათანადო პარადიგმები). შევადაროთ მათ ამ მხრივ ნეიტრალური სინონიმი გ ა ჩ ე რ ე ბ ა: ჩ ე რ დ ე ბ ა, ჩ ე რ დ ე ბ ო დ ა...

ამ თვალსაზრისით იგივე შეიძლება ითქვას გ ა შ რ ა ზმნაზედაც, რომლის პირდაპირი, ამოსავალი მნიშვნელობა ყველა ფორმის საშუალებით გადმოიცემა, იდიომური კი მხოლოდ ზმნისწინიან ფორმას იწყობს, ისიც, არა ყოველგვარს (მაგ., მასდარს: გ ა შ რ ო ბ ა). შდრ., ერთი მხრივ, პოლისემიური გ ა შ რ ა, გ ა შ რ ა ლ ი და, მეორე მხრივ, მონოსემიური შ რ ე ბ ა, შ რ ე ბ ო დ ა... ამას ისიც ემატება, რომ შეზღუდულია მოცემული ზმნის გვარიც და გარდამავლობაც. იდიომური მნიშვნელობა ვერ იგუებს გარდამავალ, მოქმედებითი გვარის ფორმებს (ა შ რ ო ბ ს, გ ა ა შ რ ო), აგრეთვე, რელატიურ გარდაუვალ, ვნებითი გვარის ფორმებს (უ შ რ ე ბ ა, გ ა უ შ რ ა...).

ფრაზეოლოგიზმებში ხშირად მონაწილეობს აბსტრაქტული სახელებისა და ზმნებისაგან შედგენილი შესიტყვებები, რომელთა საერთო მნიშვნელობა მინიშნებულია თვით აბსტრაქტულ სახელებში: მაგ., მ ო თ მ ი ნ ე ბ ი ს ფ ი ა ლ ა ა ე ვ ს ო = ვ ე ღ ა რ მ ო ი თ მ ი ნ ა: შ ი შ მ ა ა ი ტ ა ნ ა = შ ე ე შ ი ნ დ ა და მისთ. ასე რომ, სრულ ლექსიკალიზაციასთან აქ საქმე არა გვაქვს. ზმნები ძირითადად პირიანობის აფიქსთა მაგივრობას ეწევა (ვ. ვინოგრადოვი მათ „ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს“ უწოდებს). მაგრამ იდიომურობასა და მის ხარისხზე მაინც შეიძლება ვილაპარაკოთ. ეს ხარისხი დიდად არის დამოკიდებული თვით ამ ზმნების სემანტიკასა და შეხამების უნარზე. ასე, მაგალითად, თანახმად ბ. ფოჩხუას დებულებისა, ა რ ი ს ზმნა სემანტიკითაც ნეიტრალურია და არსებითად ყველა სახელთან იძლევა შეხამებას[8], (ჩვენ დავძენდით: ყველა სრულმნიშვნელოვან, და ზოგჯერ დამხმარე სიტყვასთანაც). შეიძლებოდა დაგვესახელებინა თანდებულიანი ერთეულების ამ ზმნასთან შერწყმის მაგალითები: ჭ კ უ ა ზ ე ა რ ა რ ი ს, ძ ა ლ ა ზ ე ა და მისთ. ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ ამ ზმნის მონაწილეობა იდიომებში მინიმალურია, მით უმეტეს, რომ მისი გრამატიკული შეზღუდვაც მინიმალურია.

მაგრამ, თუკი შეხამებულია საპირისპირო სიბრტყეთათვის დამახასიათებელი აღმნიშვნელი სიტყვები, იდიომურობის ხარისხი მატულობს. მაგ., თუ აბსტრაქტულ სახელებთან შეხამებულია ისეთი ზმნები, რომლებიც კონკრეტული საგნებისათვის დამახასიათებელ მოქმედებას აღ-

---

[8] ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 288.

ნიშნავენ, განსაკუთრებით, მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ვიზუალური და აკუსტიკური მომენტების გამომხატველი ზმნები. მაგ., შდრ. სიჩუმე ჩამოვარდა/ჩამოწვა და: სიჩუმეა, სიბნელე ჩამოწვა და: სიბნელეა. წყვილთა პირველი ცალები იდიომურია, მეორენი — არა.

ქართულში ცნობილია რამდენიმე ზმნა, რომლებიც სუბიექტის ან ობიექტის რიცხვის მიხედვით სხვადასხვა ფუძეს გვიჩვენებენ: ზის — სხედან, აბია — ასხია, აგდებს — ყრის და მისთ.

იდიომებში აღნიშნული წესი მეტნაკლებად ირღვევა და ამ გზით მოცემული ზმნების შემცველი შეხამებანი თავს აღწევენ ომოფორმულობას — გარეგნულ მსგავსებას თავისუფალ შესიტყვებასთან. სწორედ ამით აიხსნება შემდეგი ფორმები: თავის მტვრევა (თავის ტეხის პარალელურად), აბუჩად აიგდო (ობიექტის მრავლობითობის დროსაც), ასი ყური გამოიბა (და არა გამოისხა. შდრ. „ტყემ მოისხა ფოთოლი"), მშრალზე დასვა ისინი (და არა დასხა).

განსაკუთრებით საინტერესოა სულიერთა და უსულოთა აღმნიშვნელი ზმნების სპეციფიკური ხმარება ე. წ. ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში, რომელთა გამიჯვნა იდიომთაგან ძალზე ჭირს: მაგ., შიმშა (// კანკალმა // ცახცახმა //თრთოლამ // სიცივემ // ბრაზმა) აიტანა.

ყველა აქ ჩამოთვლილი სახელური კომპონენტი გრძნობის ან შეგრძნების გამომხატველი სიტყვებია, მაშასადამე, იგულისხმება სულიერი საგანი. გრამატიკულ სუბიექტადაც ეს სახელებია წარმოდგენილი: ყველაზე ხშირად ერგატივში გვხვდება. ობიექტად რომელიმე სულიერი ივარაუდება, უპირატესად — ადამიანი, და მის აღმნიშვნელ სახელთან უნდა გვეხმარა არა აიტანა, არამედ აიყვანა, მაგრამ ფრაზეოლოგიზმებში მოცემული ზმნა ამ ტიპის სახელებთან სულიერთა განცდის პასიურობის მაჩვენებლადაა წარმოდგენილი. საინტერესოა, რომ სტილისტიკური ელფერის მიხედვით ნეიტრალური, ინტენსიური მნიშვნელობის ზმნებიც პასიური ფორმებით გამოიხატებოდა: აკანკალდა, აცახცახდა, შეეშინდა, შესცივდა, გაბრაზდა და მისთ. გამონაკლისია აკანკალა, შეაჟრჟოლა ტიპის ფორმები, მაგრამ ესენიც ყოველ შემთხვევაში ერთპირიან ფორმებს წარმოადგენენ.

---

9 ლექსიკური მნიშვნელობის სტაბილიზაციის პირობებისათვის იხ. შ. აფრიდონიძე, ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებები და ლექსიკური მნიშვნელობა, საქ. სსრ მეც. აკად. მოამბე, 87, № 3, 1977, გვ. 749-752.

საინტერესოა, რომ ზემოაღნიშნულ ფრაზეოლოგიზმებში აქტიური სუბიექტის, უკეთ, სუბიექტის აქტიურობის აღსანიშნავად აიტანა ზმნა აყვანა ზმნით იცვლება. მაგ., „გიორგი მოთმინებიდან გამოიყვანა ამ ამბავმა“ (გრამატიკულად გიორგი ობიექტია) — ნიშნავს: „გიორგიმ ვეღარ მოითმინა ეს ამბავი“ (გიორგი სუბიექტია).

სხვათა შორის, ფრაზეოლოგიზმს შიშმა აიტანა რუსულში მოეპოვება მეტნაკლებად ზუსტი ეკვივალენტი страх берёт. განსხვავება შეზღუდვებშია: ქართულში უსრული ასპექტის ფორმები (აწმყოს წყების ნაკვთები) არ იხმარება (*შიშს აქვს), რუსულში კი — პირუკუ: სრული ასპექტის ფორმები არ იხმარება (*страх взял). მაგრამ იდიომურობის ხარისხი ქართულ გამოთქმაში უფრო მარკირებულია: სულიერი ობიექტისათვის შეუფერებელი — ატანა ზმნა იხმარება. მაშინ როცა რუსული берёт ზმნა თანაბრად იხმარება როგორც სულიერი, ისე უსულო ობიექტის მიმართ.

სხვა შემთხვევაში შეზღუდვის წესები ეხება დრო-კილოთა ფორმებს. მაგ., თავი მოაქვს, თავი მოჰქონდა, მაგრამ არა: *თავი მოიტანა/თავს მოიტანს, თავი მოუტანია. იდიომი აქ მხოლოდ ერთ ფუძეს იგუებს.

რიგ შემთხვევაში შეზღუდულია ასპექტი: ჭურში ზის/იჯდა, მაგრამ არა: *ჭურში ჩაჯდა. ანალოგიურია ტყემალზე ზის/იჯდა, მაგრამ არა: *ტყემალზე დაჯდა/შემოჯდა.

შეიძლებოდა მრავალი სხვა შეზღუდვის დასახელებაც...

ზემოთქმულის გათვალისწინებით, იდიომის ჩვენეული განმარტება ასე გამოიყურება:

იდიომი არის სემანტიკურად დაუშლელი და გრამატიკულად შეზღუდული გამოთქმა, რომელიც შეიცავს ერთ აღმნიშვნელ სიტყვას მაინც და ამა თუ იმ ტერმინის სინონიმად იხმარება.

დასასრულ:

შესიტყვებათა მრავალი განსხვავებული კრიტერიუმი არსებობს (შ. ბალისა, ვ. ვინოგრადოვისა, ბ. ლარინისა, ე. აგრიკოლასი; ჩვენში — ა. თაყაიშვილისა და სხვ.). ამის მიხედვით, კლასიფიკაციაც მრავალგვარია: არსებობს ვ. ვინოგრადოვის (და მის კვალზე, ა. თაყაიშვილის) სამწევროვანი, აგრიკოლას ექვსწევროვანი კლასიფიკაცია და ა. შ. ჯგუფების რაოდენობრივ მრავალფეროვნებას მასალის დაუდევარი ხასიათი განსაზღვრავს: ლექსიკის შედარებით სწრაფი ცვალებისა და, შესაბამისად, სიტყვათა შორის არსებული კავშირების მობილობის გამო თავისუფალ შესიტყვებასა და იდიომს შორის გარდამავალი საფეხურები ივარაუდება. სინქრონიაში ეს საფეხურებიც და მათი გამოყოფის კრიტერიუმებიც ძნელი მოსახელთებელი ჩანს. ამიტომ კვლევის პერსპექტიულობის გათვალისწინებით ანგარიშგასაწევი გვეჩვენება ბ. ფოჩხუას

მიერ გენეტური თვალსაზრისის[10] რეკომენდება, რაც გულისხმობს თავისუფალ შესიტყვებასა და იდიომს შორის მოქცეული მასალის თავმოყრასა და განლაგებას ისტორიის ვერტიკალზე.

Ш. Т. АПРИДОНИДЗЕ

ИДИОМА И ИДИОМАТИЧНОСТЬ

Резюме

В статье пересмотрены некоторые положения о понятии идиомы и ее основных признаках (экспрессивная функция и др.). Вместе с тем, рассмотрены случаи нарушения языкового узуса. Устанавливается, что созданию идиоматичности, т. е. идиоматичного характера фразеологической единицы способствуют как всякого рода «излишества» в плане выражения — тавтология, гиперболизация, так и противоположное им явление — эллипсис, а также асемантичность одного из компонентов фразеологизма, определенные грамматические (морфологические и синтаксические) ограничения и др.

На основе анализа отмеченных лингвистических факторов, способствующих созданию идиоматичного значения, дается следующая формулировка идиомы: идиома является семантически неразложимым и грамматически связанным выражением, содержащим по крайней мере одно обозначающее слово и употребляемым в качестве синонима того или иного термина либо терминологического выражения.

---

[10] ბ. ფოჩხუა. დასახ. ნაშრ., გვ. 300.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. კიკნაძე

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ერთი ენობრივი ტენდენციის შესახებ თანამედროვე ქართულში

(ზოგი მწერლის ენის მიხედვით)

ყოველი ცოცხალი ენა ცვალებადია. ცვალებადია სალიტერატურო ენაც. სამწერლო ენას ნორმა აქვს, რომელიც ასევე ცვალებადია. სალიტერატურო ენის ნორმის დადგენაში ანგარიში ეწევა „მწერალს, პრესის მუშაკს... საერთოდ სამწერლო ენის მომხმარებელთა ფართო წრეს“[1]. ამიტომ ბუნებრივია, თუ ჩვენი ყურადღება მიიპყრო თანამედროვე ქართულში და კერძოდ, ქართველ მწერალთა ნაწერებში საკმაოდ მომძლავრებულმა ერთმა ენობრივმა ტენდენციამ.

საკითხი ეხება მესამე პირის დამატებებისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებას თანამედროვე ქართულში.

ზეპირ მეტყველებაში, აბიტურიენტთა ნაწერებში, არაიშვიათად რესპუბლიკურ პრესაშიც და ზოგიერთი მწერლის ენაში ღღეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ობიექტის რიცხვის -თ სუფიქსით აღნიშვნა გარკვეული ტიპის ზმნებში (იგულისხმება ინვერსიული ზმნები). ეს ფაქტი ახალი არ არის, ენაში იგი კარგა ხანია შენიშნულია და მკვლევართა მიერ სათანადოდ ინტერპრეტირებულიც, თუმცა ყოველთვის ერთნაირად არა[2].

---

1 არნ. ჩიქობავა. სალიტერატურო ენა და ნორმა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეორე, თბილისი, 1979, გვ. 10.

2 საკითხის ირგვლივ იხ.: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973; მისივე: გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 7, თბილისი, 1961. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი, 1968. ვ. თოფურია, ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ № 3, თბილისი, 1967. დ. მელიქიშვილი, „მიჰკირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ № 4, თბილისი, 1978.

არნ. ჩიქობავას თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ და სტატიაში „მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“ გამოწვლილვით აქვს შესწავლილი ეს საკითხი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ზმნის პირიან ფორმაში აღინიშნებოდა მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დასმული რეალური ობიექტის (ისევე, როგორც სუბიექტის) მრავლობითობა (-ნ, -ენ, -ან სუფიქსებით), ხოლო მიცემითში დასმული სამივე პირის რეალური ობიექტის (ისევე, როგორც სუბიექტის) რიცხვი კი აღუნიშვნელი რჩებოდა. დროთა ვითარებაში სურათი შეიცვალა: ნარ-იანი სახელობითი ებ-იანმა შეცვალა. ზმნის შეთანხმება ებ-იან სახელობითთან დაიწყო იმ შემთხვევებიდან, სადაც სახელობითი რეალურ სუბიექტად გვევლინება და აღნიშნავს ყველაზე აქტიურ სუბიექტს, ადამიანს, შემდეგ კი ვრცელდება საერთოდ მოქმედებითი გვარის ზმნებზე.

მიცემითში დასმული სახელის ზმნასთან რიცხვში შეთანხმების შემთხვევები ძეგლებში დადასტურებულია XVI ს-დან.[3] ცვლილება სამსავე პირში მოხდა, მხოლოდ არათანაბარი და არა ერთი და იმავე მიზეზის გამო. მიცემითის მრავლობითში დასმული სახელის ზმნაში გამოხატვის ისტორიას სპეციალური სტატია მიუძღვნა ივ. ქავთარაძემ.[4]

მესამე პირში ცვლილება გამოიწვია სახელის ფუნქციამ. ზმნამ აღნიშნა ისეთი სახელის მრავლობითობა, რომელიც რეალურ სუბიექტზე, მოქმედ პირზე მიუთითებდა. ასეთი მიცემითი კი ინვერსიულ ზმნებთან გვაქვს.[5]

თუ სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ძალის შესუსტების მიზეზია: ა) ნარ-იანი სახელობითის შეცვლა ებ-იანით და ბ) მიცემითის გაძლიერება, ამ უკანასკნელის სინტაქსური უფლებების ზრდა თავისი მხრით განსაზღვრა: ა) ზმნის ფუძის შინაარსმა და ბ) ანალოგიის მოქმედებამ (არაინვერსიულ ზმნებში: გითხრათ თქვენ).

---

3 ა ნ ტ. ქ ი ზ ი რ ი ა, ქვემდებარე და დამატება ახალ ქართულში, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრ. V, თბილისი, 1953, გვ. 25.

4 ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, მიცემითის მრავლობითში დასმული სახელის გამოხატვის ისტორიისათვის ზმნაში, საიუბილეო კრებული, ალ. ბარამიძეს, დაბადების 70 წლისთავზე, თბილისი, 1974, გვ. 225—230.

5 დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით მოქმედებით გვარის ზმნებში ინვერსიისათვის საფუძველი არ არსებობს. რეალური სუბიექტი აქტიურია და არ ეკუთვნის ადვილად პოზიციას ირიბ ობიექტს. ინვერსიას იწვევს პასიური სუბიექტის არსებობა. ამიტომ იჩენს ინვერსიის ტენდენციას დღეს ვნებითი გვარის დინამიკური ზმნები (ეხატებათ მათ მომავალი), მაგრამ იგივე არ ითქმის დინამიკურ ვნებითზე, რომელსაც აქტიური სუბიექტი აქვს (ემალება ის მათ), ამ პროცესის გრამატიზაცია თავდაპირველად სტატიკურ ზმნებში მოხდა. იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 89—92.

დღეს ზმნას რიცხვში ითანხმებს რეალურად აქტიური პირი, ლოგიკური სუბიექტი, ისტორიულად გრამატიკული ობიექტი, მიცემით ბრუნვაში დასმული, რომელიც ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებდა და ვერ ითანხმებს გრამატიკული სუბიექტი, სახელობით ბრუნვაში დასმული, რომელსაც ისტორიულად ჰქონდა უნარი ზმნის რიცხვში შეთანხმებისა.

თანამედროვე ქართულში ირიბ დამატებასა (მიცემითში დასმული სახელი) და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით შემდეგი ურთიერთობაა: ირიბი დამატება პირველი პირისა შემასმენელს ითანხმებს რიცხვში;

მაგალითები: ...ორი თხა მყავს, რძე არ მოგვაკლდება (ირ. უგულ. 32).

კაკალი აღარ იზრდება, სახლს აღარვინ გვიშენებს (რ. ჭეიშ. 6).

ის გულიანი სიცილ-ხარხარი ვასილ ინოკენტის ძემ გაგვაწყვეტინა (თ. ჩალაურ. 51).

ირიბი დამატება მეორე პირისა ითანხმებს შემასმენელს რიცხვში, თუ ქვემდებარე არ არის შეთანხმებული შემასმენელთან:

მაგალითები: დაექადნა,...ციხეში ჩაგსვამთო (ქ. გოგიავ. 10).

სხვასაც ბევრს გასწავლით და იმასაც გიჩვენებთ, მოგებულ ლუდს ერთიანად რომ გადავუშვებ (თ. ჩალაურ. 51).

მაგრამ, საკმარისია ქვემდებარე იყოს შემასმენელთან რიცხვში შეთანხმებული და მეორე პირის ირიბი დამატების რიცხვი ზმნაში აღარ აღინიშნება.

მაგალითები: ისე შეგშინდით, ქვეგონა, თავს გაგიხეთქავდნენ ყველას (რ. ჭეიშ. 28).

ცხვირი რომ გაგეყოთ გარეთ, სულ ქვით აგიჩრელებდნენ გვერდებს (თ. ჩალაურ. 42).

ხომ აგიხსნეს როგორც იყო, მეტი რალა გინდათ? (რ. ინანიშ. 47).

მესამე პირის დამატებასთან რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა: ქართულში უმეტეს შემთხვევაში რიცხვში შეთანხმება არ არის.

მაგალითები:

თხელ, გამჭვირვალე ფარდებს აწვებოდა და აქანავებდა ნიავი (რ. ჭეიშ. 18).

ღელა კი შვილებს მოუთმენლად ელოდა (რ. ჭეიშ. 35).

სამპირიან ზმნაშიც მესამე პირს ირიბი დამატების მრავლობითობა არ აღინიშნება.

მაგალითები:

გაუშალე ლოგინი ბიჭებს... მოისვენონ (რ. ინანიშ. 30).

მეც გავუშვირე ხელი ჯარისკაცებს (თ. ჩალაურ. 62).

კედელთან მდგომმა ბიჭებს რაღაც ს თ ხ ო ვ ა (თ. ჩალაური. 48).

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართული მწერლობის ენაში არის ტენდენცია მესამე პირის ირიბი დამატების შემასმენელთან რიცხვში შეთანხმებისა, მაშინაც კი, როცა ზმნა არაინვერსიულია და რეალური ობიექტის ზმნასთან შეთანხმება თითქოს გაუმართლებელი ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ირიბი ობიექტის მრავლობითობის -თ სუფიქსი დიალექტური ყე//კე ნაწილაკის (მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობაზე რომ მიუთითებს) ფუნქციის მქონეა.[6] ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსული ზოგი მწერლის ენაში (ს. შანშიაშვილი, ეკ. გაბაშვილი...), თუმცა არც დასავლელი მწერლებისათვის არის უცხო (დ. კლდიაშვილი).[7]

სამპირიან ზმნაში ერთი პირი ყოველთვის ირიბია, მიცემითში დასმული. თანამედროვე ქართული მწერლობის ენაში მომძლავრდა სამპირიანი ზმნების ირიბი ობიექტის -თ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები.

მაგ.: ...ადრე თუ გვიან დიდ, ღონიერ თითებს მაინც ჩ ა ს ჭ ი დ ე ბ დ ა თ ვაჟა და, აღზევებულნი, ათასჯერ გაიმეორებდნენ ნელა, დამარცვლით (გ. დოჩანაშ. 273)

...აღტაცებისაგან თავბრუს დ ა ა ხ ვ ე ვ დ ა თ კიდევ ერთი ღვთის წყალობა... (გ. დოჩანაშ. 274)

...რიხით გ ა მ ო უ ც ხ ა დ ა თ პაპა კარლსონმა (თ. ჩალაურ. 51)

ამ დროს ვიღაც აყლაყუდა წ ა მ ო ა დ გ ა თ თავს და სიცილით მოკვდა (ჯ. ქარჩხ. 136)

ასეთი ნიმუშები განსაკუთრებით ხშირია ო. ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“.

მაგ.: სამაგიეროდ, ათწლიანი დუმილი ერთბაშად, ერთ ღამეში დ ა ა ვ ი წ ყ ა თ (გვ. 3).

ქიშმიშს არ ჩ ა უ ყ რ ი დ ა თ მუჭში (გვ. 51)

— ისე უნდა მოქცეულიყვნენ, როგორც მაიორი უ კ ა რ ნ ა ხ ე ბ დ ა თ (გვ. 80).

---

6 ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში,... გვ. 276, მ ი ს ი ვ ე, ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოღიკის, ურთიერთობის თვალსაზრისით, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, I—II, თბილისი, 1923-24, გვ. 32—67.

7 ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე მიუთითებს, რომ ირიბი ობიექტის რიცხვის გამომხატველი -თ II -ყე ნიშნები სათანადო შემთხვევაში პირდაპირი ობიექტისა და რეალური სუბიექტის მრავლობითობასაც გვიჩვენებენ. დასახ. ნაშრომი, გვ. 230.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტის რძესაც არ აკლებდათ (გვ. 97).

თავს თუ გაუყადრებდით, უნდა ეამაყათ კიდეც (გვ. 80).

[ბელურებს] გულუხვობა და სიკეთე აიძულებდათ სულ ერთი ცის ქვეშ ტრიალს, ავიწყებდათ სხვა ქვეყნების არსებობას და არწმუნებდათ, მხოლოდ აქ რომ იყო მათი ადგილი (გვ. 98).

სხვა თუ არაფერი, დაუკითხავად ვერავინ მოუკაკუნებდათ შუაღამისას (გვ. 110)

უპოვიათ, მაგრამ აღარც ბოშა ანებებდათ და აღარც იმას სდომებია მშობლებთან დაბრუნება (გვ. 119).

[დამღა]... წარამარა ახსენებდათ, რომ ერთის ცოლსა და მეორის დედას ადრე... სხვა ცხოვრებით ეცხოვრა (გვ. 138).

გიჟი მამალი რაღაცას ანიშნებდათ (გვ. 140)

უცხო ძია, რომელმაც თავი გაუყადრათ... მათი ჭკუისა გახდა (გვ. 149).

მართლა აუჩუყათ გული პატარძლის სიგამხდრემ (გვ. 151),

საათის ხმა... ერთხელ კიდევ ახსენებდათ (გვ. 162),

აღათია ფეხებს უბაკუნებდათ და უყვიროდათ (გვ. 167),

ტანმა უგრძნოთ, ერთი გზითა და ერთი მიმართულებით რომ არ მიდიოდნენ (გვ. 167),

„კარგით, გეთაყვათ, რა ამბავში ხართო“ — ხანდახან გამოსძახოდათ აღათია მეორე ოთახიდან (გვ. 174).

ამაფორიაქებელ მხურვალებას... აფრქვევდათ გაოფლილ სახეებში (გვ. 17),

პაპამ კი, ქამარი მოუნაცვლათ და ორივემ ერთდროულად შეჰყვირა (გვ. 175),

თითქოს პაპა ლახტობანას ეთამაშებოდათ (გვ. 175),

...ვისაც მოეპრიანებოდა, ის ჩაუპარტყუნებდათ თავში (გვ. 180),

[ის] მათ დაამშვიდებს, ცოტა ხნით მაინც, ერთი ორი დღით გაუხანგრძლივებთ უსაფუძვლო იმედს (გვ. 192),

ეგე, ხომ ხედავთ, რა უყოთ თქვენმა უპრაგონო ლაპარაკმა (გვ. 198),

ისხდნენ.. სანამ... ქალბატონი ჯუფანა არ მოუკაკუნებდათ (გვ. 202),

ნიკოც ნამუსს უნახავდათ (გვ. 203).

სამპირიან ფორმათაგან ამ რომანში შეგვხვდა: გაანებებდათ, აიძულებდათ, უბორკავდათ, აბიჯებდათ, შეაჩერათ, უპირებდათ, უქარ-

წყლებდათ, ჩამოუტანათ, უმოწმებდათ, უფასებდათ და ბევრი სხვა მათი აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

კაუზატივის ფორმა მხოლოდ ერთხელ დადასტურდა:

იმიტომაც შემოჰკრეს ტაში, იმიტომაც იყვირეს, გაუმაოჯოს ყველა პატიმარსო, რადგან ნიკოს ვეღარავინ გააგდებინებთ ხელიდან (გვ. 238),

ასევე ერთი ნიმუში აღმოჩნდა გ. დოჩანაშვილის მოთხრობებში:

მაშინ ოცდაოთხი წლისანი იყვნენ, ადრე თუ გვიან ის უცნაური შიმშილი მაინც აპოვნინებდათ დედის ძუძუს (გვ. 273).

თუ შუალობითი კონტაქტის (კაუზატიურ) ფორმებში მოქმედების რეალური შემსრულებელი ირიბი ობიექტია და ამით თითქოს დაცულია იგივე პირობა, რაც ინვერსიულ ზმნებში,[8] ამასვე ვერ ვიტყვით დანარჩენ სამპირიან ფორმებზე.

ზმნის შინაარსიდან თუ გამოვალთ, მოქმედების რეალურ შემსრულებლად არაკაუზატიურ ფორმებშიც შეიძლება აღმოჩნდეს მიცემითში დასმული ირიბი ობიექტი; მოვიყვანთ ო. ჭილაძის რომანიდან პატარა მონაკვეთს:

„....მადლობლები იქნებოდნენ, საეროდ თუ გაანებებდათ თავს, არ ჩაერეოდა მათ საქმეებში, არ ჩაითრევდა ომებსა და ამბოხებებში, არ აიძულებდათ გაზეთებისა და პროკლამაციების კითხვას, დააცლიდათ ერთი ხელი საცვლის გაცვეთას, მშვიდად შეაჭმევდათ ერთ ჯამ შეჭამანდს და მშვიდად ჩაიყვანდათ გლეხურ, ბარაქიან საფლავებში“ (გვ. 205).

მოცემულ ტექსტში მიცემითში დასმული ობიექტი ახლავს ზმნებს: გაანებებდათ, აიძულებდათ, დააცლიდათ, შეაჭმევდათ და ჩაიყვანდათ. აქედან უკანასკნელი (ჩაიყვანდათ ის მათ) ორპირიანი, გარდამავალი ზმნაა, დანარჩენი ოთხი კი სამპირიანია. ყოველ მათგანს შეეწყობა მიცემითში დასმული სახელი — ირიბი ობიექტი მესამე პირისა. ვნახოთ რის საშუალებას იძლევა ზმნის შინაარსი, რომელი პირი შეიძლება მივიჩნიოთ რეალურ შემსრულებლად.

1. გაანებებდათ ის მათ თავს — აქ რეალურად მოქმედი, ვინც თავს ანებებს, სუბიექტია (ის), მათ ირიბი ობიექტია და მისი მრავლობითობაა ზმნაში გამოხატული. უღლება პირების მიხედვით ასე წარმოგვიდგება: გაგვანებებდა ის ჩვენ, გაგანებებდათ ის თქვენ, გაანებებდათ ის მათ („თავი გაანება“ დღეს იდიომაა).

2. აიძულებდათ ის მათ კითხვას. ზმნის შინაარსიდან თუ ამოვალთ, რეალური შემსრულებელი მოქმედებისა, ე. ი. გაზეთების და

[8] დ. მელიქიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 88.

პროკლამაციების წამკითხველი თუ მკითხველი, არის ირიბი ობიექტი (მათ), თუმცა ამ მოქმედების შესრულებას მას სუბიექტი (ის) ანდობლებს. თვით ზმნის შინაარსიც (აიძულებდათ), და არა ფორმა, მიუთითებს ამაზე.

3. დააცლიდათ ის მ ა თ მას (საცვლის გაცვეთას). ზმნა სამპირიანია, არაკაუზატიური ფორმაა, ზმნის შინაარსის მიხედვით საცვლების გამცვეთი, ე. ი. შემსრულებელი მოქმედებისა რეალურად ირიბი ობიექტია, რომლის რიცხვია გამოხატული ზმნის ფორმაში.

4. შეაჭმევდათ — ისტორიულად კაუზატივია -ევ-ინფიქსით ნაწარმოები. თუმცა თანამედროვე ქართულში შუალობითი კონტაქტის გაგება ამ ზმნაში შესუსტებულია (და ამიტომაც მის გვერდით იხმარება შეაჭმევინებს), მაგრამ ზმნის შინაარსის (და ფორმის) მიხედვითაც ნათელია, რომ მოქმედების რეალური შემსრულებელი აქ ირიბი ობიექტია.

რასაკვირველია, დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ირიბი ობიექტის აქტიურობაა (რაც ზმნის შინაარსიდან ჩანს) რიცხვში შეთანხმების საფუძველი, არ შეგვიძლია, რადგან მთელ რიგ ზმნებში მიცემითში დასმული სახელის რიცხვი -თ სუფიქსით არის წარმოდგენილი, თუმცა ზმნის შინაარსი ამას ხელს არ უწყობს. ასეთია ო. ჭილაძის რომანში

მაგ.: მათ არავინ ა ბ ი ჯ ე ბ დ ა თ ფეხს (გვ. 208),

მამის სიკვდილის ამბავი ერთმა ავაზაკივით სიტყვაძვირმა კაცმა ჩ ა მ ო უ ტ ა ნ ა თ (გვ. 285),

ის უ მ ო წ მ ე ბ დ ა თ და უ ფ ა ს ე ბ დ ა თ ნამუშევარს (გვ. 287),

თავისი ხელშეუვალობაც დ ა უ მ ტ კ ი ც ა თ (ხალხს) (გვ. 390).

ორპირიან გარდაუვალ ზმნებში ირიბი ობიექტის შემასმენელთან რიცხვში შეთანხმების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში გადაწყვეტილია იმისდა მიხედვით, როგორი ტიპის გარდაუვალ ზმნებთან გვაქვს საქმე. ჩვენ აქ მხოლოდ ნიმუშების ჩვენებით დავკმაყოფილდებით:

უცებ იმათ ღრმად მოხუცებული, წელში მოხრილი ბერიკაცი შ ე უ ე რ თ დ ა თ (გ. დოჩანაშ. 296),

...კმაყოფილების ტაშით გამოხატვა ასეთ ნაღდ... ბერიკაცებს არ შ ე ე ფ ე რ ე ბ ო დ ა თ (გ. დოჩანაშ. 298),

ხომალდებით იცოდნენ მოსვლა, ზურგის ქარი ე ხ მ ა რ ე ბ ო დ ა თ, დიდი კოცონი მშვენივრად ჩანდა და ნაპირზე ისე გადმოდიოდნენ, ფეხიც არ უ ს ვ ე ლ დ ე ბ ო დ ა თ (გ. დოჩანაშ. 389),

თვალში ა კ ლ დ ა თ მოხდენილი ბიჭი გოგოებს (გ. დოჩანაშ. 394),

დ ა ე ქ ა დ ნ ა თ პაპა კარლსონი (თ. ჩალაურ. 51).

ნიმუშების სიუხვით გამოირჩევა ო. ჭილაძის დასახელებული რომანის ენა:

მაგ.: ...მიხმარება თუ ჭირდებოდათ, პირველი მაიორი უნდა მიხმარებოდათ. (გვ. 6),

საკუთარი ფეხით რომ სწვეოდათ ხელმწიფის ტოლა კაცი (გვ. 18),

...პაპა იქით ექაჩებოდათ (გვ. 167),

ჯერ კიდევ მოუტეხავმა ტყავმა ჰაერი წივილით გახია და იატაკზე დაყრილ ბავშვებს მდუღარესავით გადაესხათ (გვ. 175),

იცინოდა... არარსებულის, წარმოდგენილის გასაგონად, ტყუილუბრალოდ რომ არ ჩასაფრებოდათ ის (მათ) (გვ. 405),

...ახია ნიკოზე, თვითონ ჩაუვარდათ პირში (გვ. 238),

წვიმა კი, თქარათქურით მოსდევდათ უკან (გვ. 276),

ქვეყანა ...დიდებს ეკუთვნოდათ (გვ. 166),

ძნები ალარ მეგობრობდნენ მასთან, ის კი არა, ძალით თუ არ გაებლანდებოდათ, ვეღარც კი ამჩნევდნენ (გვ. 179).

მიცემითში დასმული პირდაპირი დამატება პირველი პირისა, ყოველთვის ითანხმებს შემასმენელს რიცხვში და სათანადოდ წარმოდგენილია გვ- პრეფიქსით.

მაგ.: — მაშ ერთად წაგვასხამენ ირანში (ირ. უგულ. 127),

— ღმერთს რომ ვეცოდებოდეთ, ამათ ხელში არ ჩაგვაგდებდა (ირ. უგულ. 182),

მეორე პირის პირდაპირი დამატება შემასმენელთან რიცხვში შეთანხმებისას ანგარიშს უწევს ქვემდებარეს: თუ ქვემდებარე არ ითანხმებს შემასმენელს, პირდაპირი დამატების რიცხვი ზმნაში წარმოდგენილია -თ სუფიქსით:

მაგ.: — ღმერთს ვფიცავ, უვნებლად მიგიყვანთ ფასანაურში (ირ. უგულ. 158),

თქვენ რომ ნამდვილი გაჭირვება შეგხვდეთ, მაშინ რალას იზამდით? (რ. ინანიშ. 19),

მესამე პირის პირდაპირი დამატება ჩვეულებრივ არ ითანხმებს რიცხვში შემასმენელს.

მაგ.: ...დიდები უფრო ვიბევრე დავიუცხოვე (რ. ჭეიშ. 10),

ტუჩები მოიწმინდა, გააპურჭყა... (რ. ჭეიშ. 43).

მაგრამ მიცემითის სინტაქსური ძალა თანამედროვე ქართულში აქაც იჩენს თავს. ო. ჭილაძის რომანის ენაში ასეთი ნიმუშები დადასტურდა:

...რისთვის სჯიდათ ღმერთი (გვ. 112),

მამლის გაუთავებელი კივილი ახალისებდათ (გვ. 140),

[მხურვალება] ასევე ჭრელი ძალით იზიდავდათ თავისკენ (გვ. 174),

მშვიდად ჩაიყვანდათ გლეხურ, ბარაქიან საფლავებში (გვ. 207),

შეამჩნიეს ალექსანდრე რომ უსმენდათ და აპამპულებდნენ (გვ. 225),

უღიმოდათ ზოსიმე მღვდელი (გვ. 295),

ოთახში მყოფთა ჩრდილებიც აფრთხობდათ (გვ. 298),

ჭოტი აფრთხილებდათ, გაემზადეთო (გვ. 313),

თითქოს უხილავ თოკებზე ეკიდნენ და ჰაერი ამოძრავებდათ თავის ნებაზე (გვ. 403),

წინასწარვე გაეგო, ხელის გასასვრელადაც რომ არ ღირდნენ ესენი, სანამ ახლოს მიუშვებდათ და სანამ თვითონ დარწმუნდებოდნენ ამაში (გვ. 405).

უბრალო აღიარებაც კი — მაშინვე შეთქმულებად აქცევდათ იმ კაცის წინააღმდეგ (გვ. 97).

როგორც ვხედავთ, მიცემითში დასმული სახელი მესამე პირისა, რეალური სუბიექტი იქნება ის, თუ რეალური ობიექტი, თანამედროვე ქართულში ცდილობს დაიმკვიდროს შემასმენელთან რიცხვში შეთანხმების უფლება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ო. ჭილაძის რომანის ენაში ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა მეტად მნიშვნელოვანმა გარემოებამ: სახელობით ბრუნვიანმა პირდაპირმა დამატებამ ზოგჯერ გამოავლინა ისეთივე თვისება, როგორიც მიცემითმა — შეითანხმა რიცხვში შემასმენელი. მართალია, მაგალითების სიუხვე არ შეინიშნება, მაგრამ ფაქტის აღუნიშვნელობაც არ შეიძლება.

მოვიყვანთ ჩვენს მიერ შემჩნეულ ნიმუშებს:

1. მარტო თათრის შიშმა კი არ შეაჩერათ, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, რა აჯობებდა (გვ. 3).

2. თათრის ზლუქუნმა სისხლი გაუყინა აივანზე დარჩენილებს, შეაძრწუნათ. შეაწუხათ ამ ღამის ცხოველურმა, ძაღლის ყმუილის მსგავსმა ხმამ (გვ. 30).

3. რაც მაიორისა და გიორგას უეცარი დამეგობრების მიზანი ამოიცნეს, არა მარტო გაახარათ ამ მიზანმა, არამედ... (გვ. 34).

4. საკუთარ სახლში ბაბუამ სახრით დალახათ, როგორც მონები სტამბოლის ბაზარზე (გვ. 176).

5. მიგორავდნენ ფერდობზე, სანამ ბუჩქმა არ შეაჩერებდა (გვ. 220)

6. ალექსანდრემ მუქთად დააძღოთ (გვ. 238)

7. სიყვარულმა აამაღლათ (გვ. 429)

ფაქტია, რომ დასახელებულ მაგალითებში მესამე პირის სახელობითის მრავლობითობაა გამოხატული ზმნაში. რით შეიძლება აიხსნას ეს? ვფიქრობთ ო. ჭილაძის ენობრივი სტილის თავისებურებით. ამდაგვარი ნიმუშები არ შეგვინიშნავს მის პირველ რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და ამდენად დამახასიათებელი ნიშანია საანალიზო ნაწარმოების ენობრივი სტილისა.

არნ. ჩიქობავა თავის გამოკვლევაში[9] აღნიშნავს, რომ ებ-იანი სახელობითი ობიექტად ხმარებისას ზმნას არ ითანხმებდა, არც ახლა ითანხმებს და ცვლილებას არც მომავალში უნდა ველოდეთო. როგორც ვხედავთ, ქართული ენა ამ მხრივაც დიდ შესაძლებლობებს ავლენს და თუ მწერალი ამ შესაძლებლობას იყენებს, ეს მისი ინდივიდუალური სტილის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს. მართლაც ო. ჭილაძე, თავის ამ რომანში საგანგებოდ ცდილობს მესამე პირის ობიექტის მრავლობითობა -თ სუფიქსით გამოხატოს, ეხება ეს მიცემით თუ სახელობით ბრუნვას, ასეთი შესაძლებლობა კი მაშინ ჩნდება, როდესაც ზმნის ფორმა ობიექტური ნიშნებით იწყება, ე. ი. ობიექტური წყობა გვაქვს. ობიექტური წყობის ზმნების მესამე პირში თავისუფალია ადგილი ობიექტის მრავლობითობის -თ სუფიქსისათვის. ენა, იმისდა მიუხედავად, რეალური შემსრულებელია თუ არა ეს ობიექტი, მის რიცხვს გამოხატავს.

ვნახოთ ეს თვითონ ტექსტის ანალიზზე.

„დუხაბორის ქალი ჯერ იცინოდა, ჯერ ისიც ყვებოდა ბავშვებს და სველი, გაწურული ტილოთი იგერიებდა, ისე, ყასიდად, რაც თამაშობაში აყოლას უფრო გავდა, ვიდრე მოგერიებას. ბავშვები ამას გრძნობდნენ და უარესად ეტანებოდნენ კაბაზე. „კარგით, გეთაყვათ, რა ამბავში ხართო“, — ხანდახან გამოსძახოდათ აღათია მეორე ოთახიდან, მაგრამ ბავშვებს აღარაფერი ესმოდათ, დუხაბორი ქალის ხითხითის მეტი, ვერაფერს ხედავდნენ მრგვალი, აღაჟღაჟებული, სულელურად მომღიმარი სახის გარდა, და ერთი სული ჰქონდათ როგორმე მისწვდენოდნენ, საღმე მაინც მოეკიდათ ხელი აკოწწიალებული კაბისათვის; სიჭრელესთან ერთად, უცნაურ, ამაფორიაქებელ მხურვალებას რომ აფრქვევდათ გაოფლილ სახეებში და ასევე უცნაური, ასევე ამაფორიაქებელი და ასევე ჭრელი ძალით იზიდავდათ თავისკენ;

---

9 არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, I, წიგნში: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი, 1968, გვ. 272.

ბავშვები გაიოფლნენ, ქოჩრები გადაეგლისათ, თვალები გაუდიდდათ, გაუბრწყინდათ და ახლა მათი სიცილ-კისკისი უფრო და უფრო ემსგავსებოდა რომელიღაც მტაცებელი ცხოველის გაღიზიანებული ღეჭვების ღრენასა და წკავწკავს“ (გვ. 174—175).

ასეთი მოზრდილი პასაჟის მოყვანა იმისთვის დაგვჭირდა, რომ უფრო ადვილად მივყოლოდით მწერლის აზრთა მდინარებას. „ბავშვები“, რომელიც ქვემდებარე, სუბიექტია ზმნებთან „გრძნობდნენ და ეტანებოდნენ“, მომდევნო წინადადებებში ჩვენთვის საინტერესო ზმნებთან: გეთაყვათ, გამოსძახოდათ, აფრქვევდათ, იზიდავდათ — რეალური ობიექტია. თქმა იმისა, რომ მწერალი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან ქვემდებარე — დამატებას ან, რომ ეს ფორმები მისთვის მხოლოდ ამ სახით არის მისაღები (გარდა გ ე თ ა ყ ვ ა თ ფორმისა, რომელიც კარგა ხანია სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია, როგორც ზრდილობის ფორმა), არ იქნებოდა, ალბათ, მთლად სწორი. ჩვენი აზრით, ო. ჭილაძე სპეციალურად მიმართავს ამ სტილისტიკურ ხერხს, კარგად იყენებს ენის შესაძლებლობას.[10] მისი წინადადებები საკმაოდ რთულია შედგენილობის მიხედვით და ვრცელი, რაც რთული წინადადების დასაწყისში ქვემდებარეა, შემდგომ დამატებად გვევლინება. ამას ისიც ემატება, რომ ყოველი წინადადების წევრი ხშირად გავრცობილია სხვადასხვა სახის განკერძოებით. მხატვრული ხერხების — ეპითეტების, მეტაფორული თქმების, ჰიპერბოლების და, განსაკუთრებით, გავრცობილი შედარებების სიუხვე ისე განავრცობს ხოლმე და ზრდის წინადადებას, რომ ბოლოში ჩასულ მკითხველს შეიძლება დაავიწყდეს კიდეც რაზე ან ვისზე იყო დასაწყისში საუბარი. და აი, ასეთ დროს ობიექტის -თ სუფიქსის გამოყენება მწერალს (და მკითხველსაც) აძლევს საშუალებას ყურადღება გაამახვილოს მისთვის საინტერესო საკვანძო და გამუდმებით მხედველობის არეში ჰყავდეს იგი. ზოგჯერ მოულოდნელ ფორმას განაპირობებს გვერდით მდგომი ზმნა. ასე უნდა იყოს შემდეგ წინადადებაში: „არავინ ა კ ა ვ ე ბ დ ა თ, წასვლა თუ უნდოდათ, გზა ხსნილი ჰქონდათ. თვითონვე ვერ ახერხებდნენ წასვლას, ვერ ბედავდნენ, თითქოს დიდ დანაშაულს ჩაიდენდნენ, გაანაწყენებდნენ ოჯახს, რომელთანაც არც აქამდე ჰქონდათ რამე საერთო და არც ამის მერე ექნებოდათ“ (გვ. 236—237).

ა კ ა ვ ე ბ დ ა თ (ის მათ) ფორმა შეპირობებული ჩანს მომდევნო გარდაუვალი უ ნ დ ო დ ა თ, ჰ ქ ო ნ დ ა თ ზმნებით, თუმცა აქ რეალური სუბიექტის მრავლობითობაა გამოხატული (გრამატიკული ობიექტისა), მაგრამ, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი ის უნდა იყოს, რომ ა კ ა ვ ე ბ დ ა თ ზმნის რეალური ობიექტი — მათ — ყველა მომდევნო

[10] ვერ უგულებელვყოფთ იმ გარემოებას, რომ ასეთი ფორმებით მწერალს შეიძლება შეთვისებული ჰქონდეს მშობლიური დიალექტიდან.

ზმნასთან რიცხვში შეთანხმებულია როგორც სუბიექტი: ან რეალური (უნდოდათ, ჰქონდათ...) ან რეალურიცაა და გრამატიკულიც (ახერხებდნენ, ბედავდნენ, ჩაიდენდნენ...). რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აკაკი ბდათ ზმნის ობიექტი წყრალს, საერთოდ სუბიექტად აქვს გაგებული. ამ კონკრეტული მაგალითიდან თუ ამოვალთ, ო. ჭილაძის აზროვნების პროცესი ჩვენ ასე გვესახება: არსებობს საგანი, მრავლობით რიცხვში (რომელიც ხან რეალური სუბიექტია, ხან რეალური ობიექტი). მწერლის მიზანია ამ საგნის მრავლობითობა გადმოგვცეს, ამისთვის იგი მიმართავს ენაში არსებულ ყველაზე ეკონომიურ გზას, ნაცვალსახელს კი არ იშველიებს, არამედ ზმნის პირიან ფორმას რიცხვის აღმნიშვნელ -თ სუფიქსს ურთავს. მართალია, ეს ეწინააღმდეგება სალიტერატურო ნორმას, მაგრამ მწერალი ეძიებს გამომსახველ საშუალებას და რაკი ენას ამის შესაძლებლობა აქვს (ობიექტურ წყობაში, მესამე პირის ფორმაში თავისუფალია აღგილი რიცხვის აღმნიშვნელი -თ სუფიქსისათვის), ცდილობს გამოიყენოს კიდეც. მწერლის ძიება ამ საკითხში უფრო მორსაც მიდის: ჩვენს მოსაზრებას მხარს უნდა უმაგრებდეს მრავლობითის სახელობითის თან-იანი ფორმებიც.

მაშასადამე, ფორმათა ნიველირებისაკენ მისწრაფება ო. ჭილაძის რომანის ენაში უნდა ჩავთვალოთ მისი აზროვნების სტილის თავისებურების გამოხატვად. ე. ი. ო. ჭილაძის ამ რომანის ენის სტილი მისი აზროვნების სტილით აიხსნება. ძიების ასეთი გზა სხვა თანამედროვე ქართველ მწერალთან არ შეგვინიშნავს (ის კი არა და, ამ თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან მისი ორი რომანი), ამდენად, თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ მწერლის ინდივიდუალური სტილის თავისებურებაზე.

დასკვნა ასეთი იქნება:

1. თანამედროვე ქართული მწერლობის ენაში შეინიშნება მიცემით ბრუნვაში დასმული რეალური ობიექტის სინტაქსური ძალის ზრდა. ეს ეხება როგორც სამპირიან ზმნათა მესამე პირის მრავლობითის ფორმებს (ახსენებდათ), ისე ორპირიან გარდამავალ ზმნებს (უსმენდათ). ეს პროცესი დამახასიათებელია ობიექტური წყობის ზმნებისათვის და ენაში ფორმათა ნიველირებისაკენ მისწრაფებაზე უნდა მიუთითებდეს.

2. ო. ჭილაძის რომანის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ენაში განსაკუთრებით შესამჩნევია ეს ტენდენცია. იგი მწერლის ენობრივი სტილის თავისებურებად მიგვაჩნია. ჩვენს მოსაზრებას მხარს უმაგრებს **სახელობითში** დასმული მესამე პირის ობიექტის მრავლობითობის გამოხატვაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. თოფურია ვ. — ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ № 3, თბილისი, 1967;
2. კიზირია ანტ. — ქვემდებარე და დამატება ახალ ქართულში, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში. კრ. V, თბილისი, 1953;
3. მელიქიშვილი დ. — „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 4, თბილისი, 1978;
4. ქავთარაძე ივ. — მიცემითის ბრავლობითში დასმული სახელის გამოხატვის ისტორიისათვის ზმნაში, საიუბილეო კრებული, ალ. ბარამიძეს, დაბადების 70 წლისთავზე, თბილისი, 1974;
5. შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1973;
6. შანიძე ა. — გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 7, თბილისი, 1961;
7. ჩიქობავა არნ. — სალიტერატურო ენა და ნორმა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეორე, თბილისი, 1979;
8. ჩიქობავა არნ. — მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, მეორე გამოცემა, თბილისი, 1968;
9. ჩიქობავა არნ. — მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები, წიგნში: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი, 1968, დამატება I, II;
10. ჩიქობავა არნ. — -ყო ნაწილაკი ფერერდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოღიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, „ქართული სიენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, I—II, თბილისი, 1923—1924.

შემოკლებათა სია

1. კ. გოგიავ. — კ. გოგიავა, მოთხრობები, თბილისი, 1979;
2. გ. დოჩანაშ. — გ. დოჩანაშვილი, მოთხრობები, თბილისი, 1975;
3. რ. ინანიშ. — რ. ინანიშვილი, „ჩიტების გამომზამთრებელი“, თბილისი, 1978;
4. ირ. უგულავ. — ირ. უგულავა, „დათუნა ხერხეულიძის თავგადასავალი“, „ერეკლეს შვილები“, თბილისი, 1979;
5. ჯ. ქარჩ. — ჯ. ქარჩხაძე, „მეთერთმეტე მცნება“, თბილისი, 1978.
6. თ. ჩალაურ. — თ. ჩალაური, „ჩვენთან ვეტერანები უფაროდ ისვრიან“, „ცისკრის“ ბიბლიოთეკა, I, თბილისი, 1977;
7. რ. ჭეიშ. — რ. ჭეიშვილი, „მუსიკა ქარში“, „ცისკარი“ № 3, № 4, თბილისი, 1979;
8. ო. ჭილ. — ო. ჭილაძე, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, თბილისი, 1976.

И. Г. КИКНАДЗЕ

ОБ ОДНОЙ ЯЗЫКОВОЙ ТЕНДЕНЦИИ В СОВРЕМЕННОМ ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В языке некоторых современных грузинских писателей замечен рост синтаксической силы реального объекта в дательном.

Это касается форм множественного числа третьего лица как трехличных (ახსენებდათ ის მათ მას), так и двухличных (უსმენდათ ის მათ). Процесс характерен для глаголов объектного строя и указывает на тяготение к нивелированию форм.

Эта тенденция особенно заметна в языке писателя О. Чиладзе, в частности в его романе «И всякий, кто встретится со мною», и нами трактуется как своеобразие языкового стиля писателя. Наше предположение подкрепляется формами множественного числа именительного падежа: прямой объект в именительном падеже выражен суффиксом множественности -თ- (-т-) (შეხვედრათ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინე ტაბატაძე
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული სტილის ლინგვისტური ანალიზის ზოგიერთი საკითხი*

სტილური თავისებურებანი ავტორის მხატვრული აზროვნების, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულების, მისი ზნეობრივი კონცეფციების გამოვლენაა. ამიტომ ყოველი მწერლის ინდივიდუალური ოსტატობის დადგენა მისი სტილის კვლევით უნდა დაიწყოს. ის, რომ ავტორი სათქმელის გადმოსაცემად ირჩევს ამა თუ იმ ფორმას ან სტრუქტურას და უარს ამბობს ყველა დანარჩენზე, მისი ესთეტიკური მრწამსის მაჩვენებელია. ამიტომ, ენობრივი სტილი უნდა გავიგოთ როგორც პიროვნების მიერ სამყაროს თავისებური ხედვის ენობრივი გამოხატულება.

მიხ. ჯავახიშვილის თხზულებათა ანალიზის დროს ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია, რა მხატვრული თავისებურებანი განაპირობებენ მის სტილს, როგორია ამ თავისებურებათა ენობრივი მექანიზმი და, რაც მთავარია, რა მხატვრული ღირებულება აქვს მას ნაწარმოებში, როგორია მისი ფუნქციური დატვირთვა.

1) მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ო ბ ი ს ე ფ ე ქ ტ ი. მის არსს ქმნის ის, რომ მეტყველების აქტი ერთიანი განუწყვეტელი ჯაჭვია — ყოველი ელემენტი საფუძველია შემდგომისათვის. ადამიანის შემეცნება თანდათან ეგუება აზროვნების ამგვარ დინებას და მიჰყვება მას. მაგრამ საკმარისია დაირღვეს ეს თანმიმდევრობა, რომ აღქმის სისტემას „გაუჩნდება წინააღმდეგობის სურვილი მის მიმართ. შექმნილი წინააღმდეგობის გრძნობის დაძლევა მოითხოვს ძალას მკითხველისაგან და ამიტომ უფრო ძლიერად მოქმედებს მასზე“.[1] ამდენად, მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ო ბ ი ს ე ფ ე ქ ტ ი ს დანიშნულება მკითხველზე ზემოქმედებაა.

---

* შრომაში გამოყენებულია მიხ. ჯავახიშვილის თხზულებათა ექვსტომეულის, ტ. I, თბ., 1969 წ., ტ. III, თბ., 1973 წ. ტ. V, თბ., 1977 წ.

[1] И. Арнольд, Стилистика современного английского языка, Л., 1973, გვ. 42-43.

მიხ. ჯავახიშვილის პროზაში მოულოდნელობის ეფექტი უმთავრესად მიიღწევა: ა) ერთმანეთთან შინაარსობრივად შეუთავსებელი ლექსიკური ერთეულების შეხამებით; ბ) შესიტყვებაში აზრობრივი კონტრასტით; გ) სინტაგმატური წყვილებით, რომლებიც შინაარსობრივად უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც უჩვეულო — ჩვეულებრივს; დ) სინტაგმატური წყვილებით, რომლებშიც ერთმანეთთან დაპირისპირებულია სულიერი და უსულო საგნები; ე) ზომა-ოდენობის მიხედვით საგანთა მკვეთრი განსხვავებით; ვ) სიტყვათა იმგვარი შეთანხმებით, როდესაც შინაარსით კონტრასტული სიტყვები ქმნიან ახალ ცნებას ან წარმოდგენილი ცნების შინაგან წინააღმდეგობაზე მიუთითებენ. განვიხილოთ რამდენიმე ნიმუში:

„.....იქვე ოქროთი მოვარაყებული ნიშნები მოსჩანა ძალაუფლების და სასჯელისა: სამეფო გვირგვინი, ორთავიანი არწივი, კანონთა კრებული და ლამაზი რომაული კონა როზგისა“. (V, 284)[2]

ჩვეულებრივ მეტყველებაში ფრაზა „ლამაზი რომაული კონა როზგისა“ ალოგიკურად ჟღერს, რადგან „ლამაზი“ ესთეტიკური ფენომენია და შეუძლებელია მისი დაკავშირება წამების იარაღთან — როზგთან. მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთთანაა შეხამებული. უჩვეულო აქ აზრობრივი შეთანხმებაა, რადგან საკუთრივ ენობრივი თვალსაზრისით გრამატიკული ნორმა ზედმიწევნითაა დაცული.

„მოულოდნელობის ეფექტის“ მქონე ყოველ ნიმუშს აუცილებლად სდევს წმინდა მხატვრული ფუნქცია: ა) იგი სიტუაციის ან ამ სიტუაციაში გმირთა მდგომარეობის წარმოდგენის საშუალებაა; ბ) აცნობს გმირისა ან მოვლენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებას; გ) გამოიყენება გმირის შინაგანი ბუნებისა და სულიერი მდგომარეობის წარმოსაჩენად.

„მასპინძლებო! მაპატიეთ, პარაღოქსებით გავაცხე ეს ღარბაზი, რადგან მე თვითონ პარაღოქსი გახლავართ. მოგეხსენებათ, კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების...

— ქათამი მოართვით შადურსა, ქათამი“. (III, 258)

აქ ხაზი ესმება საზოგადოების ირონიულ დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ: ადამიანი თავის სულიერ ტკივილებს უხსნის თანამეინახეებს და პასუხად კერძს სთავაზობენ.

II. განმეორებით მიღწეული ექსპრესია. ერთი და იმავე ფორმის განმეორება, მკითხველის ყურადღების გამახვილების მიზნით, ჩვეულებრივი ფაქტია ლიტერატურაში. მიხ. ჯავახიშვილის პროზაში განმეორებადი ელემენტებია: სახელი, ზმნა, მაქვემდებარებელი კავშირი „მაგრამ“. განსაკუთრებით საინტერესოა ზმნის განმეორე-

[2] რომაული ციფრი აღნიშნავს ტომს, არაბული — გვერდს.

ბის სტილური დანიშნულება. ზმნა — შემასმენელი თავისთავად დომინირებული ერთეულია, იგი წინადადების ბირთვია. მოქმედების ხარისხის დასახელებით წინადადებას გაცილებით მეტი დინამიზმი ენიჭება. სახელთა განმეორებისაგან ზმნა-შემასმენლის განმეორება იმით განსხვავდება, რომ სახელის განმეორება ერთი წინადადების ფარგლებში ხდება და ამიტომ ფრაზის რიტმულობაც გარკვეულად ზღვარდადებულია — ერთი წინადადების ფარგლებს არ სცილდება, ზმნა-შემასმენლის განმეორებისას კი ერთი და იგივე ელემენტი ერთი წინადადებიდან მეორეში გადადის. გამოიყოფა ორი შემთხვევა:

ა) განმეორებადი ელემენტები ემეზობლებიან ერთმანეთს:

„მან რაჟდენი იპოვნა და მასთან ერთად კიბის ბაქანზე მიუსვენრად მომლოდინე კლიმიაშვილს პირისპირ მ ი ა დ გ ა. მ ი ა დ გ ა და უთხრა". (V, 212)

ბ) განსხვავებული ემოციური ეფექტის მქონეა ერთმანეთის დაშორებული დუბლეტური ფორმები. ამ შემთხვევაში, პირიქით, ზმნა-შემასმენელი წინადადების თავშია:

„მ ო ა გ ო ნ დ ა მარგოს წელანდელი დახვედრა, პირის მორიდება, (. . .) მ ო ა გ ო ნ დ ა და მ ი უ ხ ვ დ ა ანჩხლობის და ცრემლის მიზეზს. მ ი უ ხ ვ დ ა, ჩაფიქრდა და მარგოს გულში ჩაიხედა". (I, 318).

ერთმანეთს საკმაოდ დაშორებული დუბლეტური ფორმები ავტორს საშუალებას აძლევს არ მოადუნოს მკითხველის ყურადღება, წარმართოს იგი მისთვის სასურველი მიმართულებით. ამასთანავე, განმეორებული შემასმენელი ახალს ყოველთვის „და" კავშირით უერთდება.

განმეორებასთან განვიხილავთ შერწყმულ წინადადებასაც. მართალია, აქ მეორდება არა ერთი და იგივე სიტყვა, არამედ წინადადების ერთი და იგივე წევრი, მაგრამ სტილური დანიშნულება აქაც ჩვეულებრივი განმეორების ანალოგიურია:

„მნებავს კი არა ,მ ს უ რ ს, მ წ ყ უ რ ი ან, მ შ ი ან". (III, 324) შემასმენლის მიხედვით შერწყმას ამ შემთხვევაში ის დანიშნულება აქვს, რომ ხაზი გაუსვას, გაამწვავოს, მეტი ექსპრესიულობით გამოხატოს სათქმელი. წინადადების წევრთა განმეორება ფრაზას უჩვეულო რიტმულობას ანიჭებს. დინამიზმი და რიტმულობა კი ეპიკური თხრობის მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

III. თ ა ნ ა გ ა ნ ც დ ი ს ფ ა ქ ტ ო რ ი. ამ სტილური ხერხისათვის ამოსავალია ის გაშუალებული კონტაქტი, რომელიც მყარდება მოქმედსა და თანამოქმედს შორის:

„გაყინული მარგო თეიმურაზს მიუჯდება, დაღლილ თავს მხარზე მიადებს, გადაქლეტილ ხელ-ფეხს ცეცხლს მიუშვერს,

თვითონაც ტკბილად ატირდება და თეიმურაზსაც აატირებს“ (I, 402).

ავტორი გმირის თანამოსაუბრეს ამით თანამოქმედადაც აქცევს, ანუ გმირის სულიერი ექსპრესია იმავე ძალით გადაეცემა მეორე პიროვნებასაც (თვითონაც ატირდება და თეიმურაზსაც აატირებს). აქ ხაზი ესმება ემოციის სიძლიერეს: იმდენად ძლიერია განცდა, რომ იგი იწვევს თანაგანცდას.

IV. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მონაცვლეობა. ეს თავისებურება ემყარება იმ ფაქტს, რომ „პერსონაჟის მეტყველება სხვადასხვა საშუალებით შეაღწევს ავტორის მეტყველებაში და ექსოვება მას. ამ გზით ერთი პერსონაჟის მეტყველება შეიძლება გადმოიცეს მეორე პერსონაჟის ან ავტორის მეტყველებით — ირიბი თხრობის სახით“[1]. მიხ. ჯავახიშვილის პროზაში ირიბი თქმა შემოდის გმირის (მთხრობელის) ფიქრის ან სათქმელის გადმოცემისას. რამდენიმე შემთხვევა გამოირჩევა იმის მიხედვით, თუ როდის ხდება პირდაპირი და ირიბი თქმის მონაცვლეობა: ა) დიალოგი საკუთარ თავთან: გმირი ესაუბრება შინაგან ხმას; ბ) ავტორი ლაპარაკობს გმირის ნაცვლად, ამ შემთხვევაში ავტორი გმირის სათქმელს მაშინ გვაცნობს, როცა გმირს უჭირს სიმართლის თქმა; გ) ორი მოქმედი პირის საუბრისას ერთ-ერთის მეტყველება ირიბი ნათქვამის სახით გვეძლევა:

„— ეხლა როგორ ბრძანდები, შენი ჭირიმე?

ეხლა? ეხლა არა უშავს რა თეიმურაზს. ეხლა ძალიან ყოჩაღად არის. რა სთქვა თომამ? მაწონი მაინც შესჭამოს თეიმურაზმა?

— მ...მმადლობელი, თომაჯან, მ...მმადლობელი; არა მშიან (...) გამაცილებ?

არა, გენაცვა, არა“. (I, 327).

ბ) პირდაპირი და ირიბი თქმა მონაცვლეობს მხოლოდ ავტორის მეტყველებაში: გმირის შესახებ თხრობა ჩვეულებრივ პირდაპირი თქმით ხდება, ხოლო მისი ფიქრის გადმოცემა — ირიბით.

პირდაპირი და ირიბი თქმის მონაცვლეობას ორი ფუნქცია აქვს: ა) გამოაელენს გმირისადმი ავტორის პოზიციას; ბ) ავტორს აძლევს გმირის დახასიათების საშუალებას:

„მოსამსახურემ ყველაფერი მიამბო... ავი ღღე დაგადგა, მაგრამ... მაგრამ სოფიომ, რა თქმა უნდა, გული არ უნდა გაიტეხოს“. (III, 212).

გმირი არ ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, ტყუილის თქმა კი უჭირს. მისი ღახასიათება ხდება არა აღწერით, არამედ მისივე მოქმედებით.

V. მეტყველების ლოგიკური მდინარების დარღვევის სტილური ფუნქციები. მეტყველების ნაკადში

---

1 ი. არნოლდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება ვლინდება, თხრობის ბუნებრივი მდინარების შეცვლა ამ დამოკიდებულებაზეც ახდენს გავლენას. მიზეზ-შედეგობრივი მიმართების ცვლას ერთი მიზანი აქვს: მეტყველების ლაკონურობა და მკითხველის ყურადღების გამახვილება არსებით ფაქტებზე. თხრობის ბუნებრივი მდინარების ღარღვევის რამდენიმე სახე გამოირჩევა:

ა) ავტორი ან გმირი იძლევა დასკვნას მოვლენებზე, რომელთა გადმოცემა ჯერ არ დამთავრებულა:

„არტუშას მეგობარი მურა-ძაღლი ჩანჩურას შალვარს საშინლად ემტერება, ამიტომ შალვრის პატრონს იმის დაკერებაზე ბევრი დრო ეკარგება“. (I, 38).

ბ) აზრის ბუნებრივი გაგრძელება არა გვაქვს, არც მისი გაწყვეტა, მაგრამ გაკეთებულია ძალიან შორეული დასკვნა ისე, რომ წინათქმულსა და მომდევნოს შორის გამოტოვებულია მთელი წყება ამბებისა, რომელთა ლოგიკურ დასასრულად ჩაითვლებოდა ბოლო ფრაზა:

„— ეგ კ...კიდევ არაფერი, ჰაერშიც დაფრინავენ.
და აუწერდა ავიაციის დღევანდელ ვითარებას“ (I, 283).

გ) თხრობის დინამიურობისა და აზრის ლაკონურობისათვის მიხ. ჯავახიშვილი ხშირად ტოვებს ზმნას:

ვიღუპები! ხმამაღლა კი —
ჯაყოს თქვენთან საქმე აღარ გაქვს“ (I, 382).

დ) ავტორი გმირის ნააზრევის მთქმელია, ამ ნააზრევს კი ისევ გმირი უკეთებს დასკვნას:

„უცხოელია ის დედაკაცი, ამიტომ —
— მე კარტული არ ვიცი“ (III, 141).

VI. წინადადებათა და სიტყვათა რიგის სტილური ფუნქციები. წინადადებათა და მათ შიგნით სიტყვათა მიმდევრობის გარკვეულ რიგს შემდეგი ფუნქცია აქვს: იგი ქმნის რიტმს ან, პირიქით, არღვევს მას. წინადადებათა განსხვავებული შინაგანი წყობა ვანაპირობებს მათ სტრუქტურულ სახესხვაობასაც:

ა) მარტივ გაუვრცობელში წინადადებებს არა მარტო ერთნაირი აგებულება აქვთ, წევრთა რიგიც კი უცვლელად გადადის ურთიერთმიმდევარ წინადადებაში. ეს განაპირობებს რიტმის იგივეობას:

„ბაზს ბაზი ედება, მანეთს მანეთი მოსდევს, თუმანი თუმნისკენ მიილტვის, სიცოცხლე კი მიდის“ (III, 370).

ამ რიტმი ემყარება სამწევრიან წინადადებათა მონაცვლეობას, წინადადების წევრთა თანამიმდევრობა ერთნაირია: დამატება-ქვემდებარე-შემასმენელი. ამგვარი შემადგენლობა განაპირობებს შინაგანი დინამიზმის აღმავალ ხაზს, რაც წევრთა ინვერსიული წყობითაა მიღწეული: ტრადიციული წყობა: ქვემდებარე-შემასმენელი-დამატება შეცვლილია.

ავტორს სურს მკითხველის ყურადღება გაამახვილოს მოქმედებაზე, ამან განაპირობა წევრთა რიგის შეცვლა. წინადადების ჩამკეტის პრეზიცია შემასმენლის პოტენციურ შესაძლებლობებს კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს.

ა) მარტივი გავრცობილი. წინადადების სტრუქტურა განაპირობებს განსხვავებულ რიტმულ ნაკადს:

„თეიმურაზმა მიბლეტილი თვალები ძლივს გაახილა,
შეკრული კრიჭა ძლივს გახსნა და მილეული გული ძლივს მოიბრუნა“ (I, 325).

დამატებით აქ „ძლივს“ სიტყვის განმეორებაც ქმნის რიტმულ ეფექტს.

გ) რთულ თანწყობილ წინადადებაში შეიძლება გვქონდეს ბინარული სინტაქსური წყვილები, რომლებიც შინაგან რიტმს ქმნიან. ემოციური მახვილი ზუსტად გამოყოფს მათ.

„მოწინავე წითელი დროშა/ახლა ზურაბს ეჭირა.
მის მიერ მოყვანილი ლაშქარი/იმ ზღვაში შთაინთქა.
თვითონ ზურაბი და მისი მეგობრები/ტრიბუნას მიეკედლნენ.
ის ორატორულ აფრთოვანებით იმეორებდა/სხვების ნათქვამს“.
(V, 213).

სტრუქტურულად მყარი ოთხწევრიანი ერთეული (სახელი პრედიკატით და ზმნა პრედიკატით) ქმნის ფრაზის შინაგან რიტმს, რითაც მიიღწევა თხრობის მდორე, აუჩქარებელი მიმდინარეობა.

დ) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ფრაზის ჰარმონიულობას განაპირობებს ის, რომ ერთ მიმდევრობაში მოქცეულია თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც განსხვავდებიან სინტაქსური დამოკიდებულებით, მაგრამ იგივეობრივნი არიან რიტმული სტრუქტურის თვალსაზრისით:

„ბოლოს, როცა ტირილით გული მოიოხა და ფიქრთა ბრძოლა გაათავა, წელმოწყვეტილი ნაკაცარი ძლივს წამოდგა და ზლაზვნით გზას გაუდგა“ (I, 328).

არ შეიძლება ითქვას, რომ წინადადებათა რიგი განპირობებულია მათი შინაგანი აგებულებით, რადგან ერთი და იმავე აგებულების რთული ქვეწყობილი წინადადება შეიძლება ერთ შემთხვევაში მოწესრიგებული, რიტმული სტრუქტურისა იყოს, მეორეგან კი წინადადებათა დაქვემდებარება დისონანსური რიტმის მისაღწევად იყოს გამოყენებული. ამ შემთხვევაში წინადადებათა რიტმული თანხმობა შეესაბამება მოქმედების განვითარების თანდათანობით პროცესს. მაგრამ საკმარისია თხრობის ამგვარი ნაკადი რაიმე მოულოდნელობით დაირღვეს, რომ ეს გავლენას მოახდენს მის რიტმზეც:

„ქეთო ზევით ავიდა, თავის ოთახში შევიდა, ფანჯარაში გაიხედა და მართა დაინახა, რომელიც

ნელი ნაბიჯით ავიდა კუთხემდის და ფრთხილად მოათვალიერა ქუჩები".

რიტმის მონაცვლეობა ავტორს საშუალებას აძლევს გამიჯნოს ერთმანეთისაგან სხვა მხრივ განურჩეველი მოვლენები, მკითხველის ყურადღება გაამახვილოს მისთვის მნიშვნელოვანზე. ამასთანავე სხვადასხვა აგებულების წინადადებათა მიმდევრობითი განაწილება ავტორს მხატვრული ფუნქციითაც აქვს გამოყენებული: მასში ვლინდება როგორც მწერლის, ისე პერსონაჟის მხატვრული აზროვნების თავისებურებები, მწერლის პოზიცია მოვლენათა მიმართ.

VII. ტროპის სახეობათა სტილური დანიშნულება. მხატვრული სახე ენობრივი საშუალებებით რეალიზდება. ამიტომ ენობრივი სტილის ანალიზის დროს პოეტიკის საშუალებები უნდა განვიხილოთ როგორც გარკვეული ენობრივი კონსტრუქციები. მიხ. ჯავახიშვილის პროზაში გვხვდება ტროპის სახეთა როგორც ტრადიციული, ისე ახლებური ფუნქციით გამოყენება:

ა) ეპითეტი ძირითადად ტრადიციული დანიშნულებით გამოიყენება -დგას განსასაზღვრი საგნის წინ და რაიმე ნიშნის მიხედვით განმარტავს მას.

მიხ. ჯავახიშვილისათვის დამახასიათებელია ტროპთა გაწმეორება ფრაზის შიგნით, მხოლოდ განსხვავებული მხატვრული ფუნქციით — თუ ერთ შემთხვევაში იგი პერსონაჟის დახასიათებისთვისაა გამოყენებული, მეორედ — მწერლის პოზიციის გამოსავლენად.

ბ) გაპიროვნების შინაგანი ბუნება — სულიერის თვისების მიწერა უსულოზე მოქმედების დინამიურობის გასაძლიერებლადაა გამოყენებული:

„სკამი გარახუნდა და ფეხები გაფშიკა, საფერფლემ გაიჭახუნა და ძირი ჭერს მიუშვირა" (I, 166).

გ) შეღარების ბუნება კონკრეტულ-შეგრძნებადია. სახიერი, რაც აღმნიშვნელისა და აღსანიშნის საერთო ნიშნების წარმოჩენის სურვილითაა განპირობებული. ხასიათის მიხედვით შედარება ორგვარია: ტრაფარეტული და ორიგინალური. ორიგინალურია შედარება „თეფშივით გაიბადრებოდა" (I, 218), რადგან ასეთი სემანტიკა („გაბადრული თეფში") მოულოდნელია მკითხველისათვის.

დ) მეტაფორის სამი სახეა ცნობილი: მეტაფორა არსებით სახელთან, ზედსართავთან და ზმნასთან. სამივე სახე გვხვდება მიხ. ჯავახიშვილის პროზაში. მეტაფორას ის ფუნქცია აქვს, რომ დაფარული შეღარების საშუალებით სათქმელის ექსპრესია გააძლიეროს და მოგვაწოდოს მოვლენებზე დამატებითი ინფორმაცია. დიდ როლს თამაშობს მოულოდნელობის ფაქტორიც:

„და ბაზრისაკენ ღელვით მიდის მატყლის ლეიბი“ (III, 62).

ე) სიმბოლოთა გამოყენება, როგორც ტრადიციულისა, ისე ორიგინალურისა, იშვიათია მიხ. ჯავახიშვილთან. ტრადიციული სიმბოლოებიდან საინტერესოა ბიბლიური „უძღები შვილის“ — როგორც ურჩისა და ბოლოს მაინც მონანიეს — მხატვრული ტრანსფორმაცია. ინდივიდუალური სიმბოლო ავტორის მხატვრული აზროვნების თავისებურებას ავლენს, ძირითადად კი ლაკონური თხრობისა და მოულოდნელობის ეფექტის მიზეზითაა განპირობებული: „ბაქოც მალე გაწითლდა“ (III, 353). ნიშნავს, რომ იქ რევოლუციამ გაიმარჯვა. ზმნის სემანტიკური ნიუანსი (გაწითლდა-წითელი გახდა) მწერალმა მოხდენილად მოიმარჯვა და ამით ფრაზამ დიდი ექსპრესიულობა შეიძინა.

ხშირია შემთხვევები, როცა ფრაზაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება მეტაფორა და შედარება, ან მეტაფორა და ეპითეტი. როცა მეტაფორა მოსდევს შედარებას, მათ შორის აშკარა მიზეზ-შედეგობრივი მიმართება შეინიშნება, ასეთივე მიმართებაა მაშინ, როცა მეტაფორა სიმბოლოს უსწრებს, მაგრამ საკმარისია ტროპთა რიგი აირიოს, რომ აზრობრივ ურთიერთდამოკიდებულებას აღარ ექნება ადგილი.

„მე, მირიან ბორინთელი და ეს კაცი (...) კნაჭა ცხენებივით მივათრევდით სწავლის ურემს ვერაზე“. (III, 8) აშკარაა, რომ შედარება („კნაჭა ცხენებივით“) საფუძველია მეტაფორისათვის („სწავლის ურემს“), მაგრამ:

„ქალაქს უთვალავი თვალი ყვითლად ჰქონდა დაჭყეტილი. ახლა კი სამხედრო პატრულებს ხალხი შიგნით შეერეკათ, სიცილი მოეკლათ, ქალაქი დაპყრობილ ციხესავით დაეუფლათ“ (V, 155).

მიუხედავად იმისა, რომ ფრაზა შინაარსობრივად შეკრულია, მეტაფორა („თვალი ყვითლად ჰქონდა დაჭყეტილი“) არავითარ აზრობრივ მიმართებას არ ამყარებს შედარებასთან („დაპყრობილ ციხესავით“).

ტროპული აზროვნება მარტო წყობილსიტყვაობის მიზნით არაა გამოყენებული. იგი მწერალს საშუალებას აძლევს დამატებითი ქვეტექსტით დატვირთოს ფრაზა, გაზარდოს წინადადების ექსპრესიული ძალა, გამოხატოს მოვლენათა მიმართ თავისი პოზიცია.

И. П. ТАБАТАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ЯЗЫКОВЫЕ ОСОБЕННОСТИ ХУДОЖЕСТВЕННОГО СТИЛЯ М. ДЖАВАХИШВИЛИ

Резюме

1. Рассматриваются языковые особенности прозы М. Джавахишвили как средство образования художественных образов.

2. Анализируется языковой механизм фактора неожиданности, чередования прямой и косвенной речи, нарушения логической последовательности в повествовании, порядка слов в предложении и др.

3. Все это, рассмотренное в совокупности, дает возможность сделать определенный вывод о стилевой особенности прозы М. Джавахишвили.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. კოგალაძე

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მწერლის ენის შესწავლის ორი ასპექტის შესახებ

მწერლის ენა თანამედროვე ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემაა. ამდენად, საგანგებო ბუნებრივია ის ინტერესი, რომელიც ჩვენში მწერლის ენის შესწავლას ახლავს. ყურადღების ცენტრშია ქართული მწერლობის ენის განვითარების ყველა ეტაპი, უძველეს ავტორთა ნამოღვაწეობიდან მომდინარე ლიტერატურული პროცესის ენობრივ გამოხატვამდე. მწერლის ენას დიდი ადგილი ეთმობა სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო შრომების თემატიკაში, მწერლის ენას სწავლობენ დისერტანტები, მწერლის ენას აანალიზებენ კრიტიკოსები, მწერლის ენაზე მსჯელობენ თვით მწერლები. ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მწერლის ენის შესწავლის მიზნისა და კვლევა-ძიების მეთოდიკის დადგენას. პროფ. ვ. თოფურიამ ამ პრობლემის ამოცანად მიიჩნია: „1. დადგინდეს არსებითი სხვაობა მწიგნობრულ-ლიტერატურულსა და სასაუბრო-ლიტერატურულ ენებს შორის; 2. გამოვლინდეს ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია მხატვრული ლიტერატურული ენისა, მაჩვენებელია მისი სპეციფიკურობისა; 3. გამოიყოს სხვადასხვა ჟანრის ნაშანდობლივი მოვლენები და, 4. რაც მთავარია, წარმოჩენილ იქნეს ამა თუ იმ მწერლის ენის გრამატიკულ-სტილისტიკური და ლექსიკური თავისებურებები, რომლებითაც იგი განსხვავდება მისი თანამედროვე სხვა მწერლებისაგან“.[1] მანვე განსაზღვრა კვლევა-ძიების მეთოდიკა, რომელიც ვარაუდობს: 1. ავტოგრაფებისა და პირველ გამოცემათა შეჯერებით ტექსტის დადგენას, რათა საანალიზო მასალა ყოველმხრივ სანდო და დასკვნებიც დამაჯერებელი იყოს; 2. გამოვლინებას მწერლის შეხედულებებისა ლიტერატურულ ენაზე, რათა გაირკვეს, თუ რამდენად შეძლო ავტორმა პრაქტიკულად განეხორციელებინა თავისი თვალსაზრისი საკუთარ შემოქმედებაში და 3. ჩვენებას იმისას, თუ რა შემატა მან ახალი ლიტერატურულ ენას გრა-

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ბოლოსიტყვა: ე. კოშორიძე. ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით, 1965, გვ. 166.

მატიკული, ფუნქციურ-სტილისტური და ლექსიკური ხასიათისა და კუთვნილების დენად გაამდიდრა ენა წინამორბედ და თანამედროვე მწერლებთან შედარებით. „ყველაფერი ეს ნაწარმოების მაღალ იდეურობასთან, სიუჟეტის ცხოველმყოფელობასთან და მხატვრული ენის საშუალებებთან ერთად ქმნის საფუძველს მწერლის ინდივიდუალობის გამოსაკვეთად და მისთვის ადგილის მისაჩენად ლიტერატურული ენის განვითარებაში“.[1]

პროფ. ვ. თოფურიას ეს რეკომენდაციები კვლავაც რჩება სახელმძღვანელო დებულებებად მწერლის ენით დაინტერესებულ მკვლევართათვის. ამ ძირითადი მიმართულების შესაბამისად ჩვენს სინამდვილეში დამუშავდა რამდენიმე შრომა და გამოიკვეთა მწერლის ენის კვლევის ორი უმთავრესი ასპექტი:

1. მ წ ე რ ლ ი ს ე ნ ა რ ო გ ო რ ც ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ე ნ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს მ ო ც ე მ უ ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი ს ა ს ა ხ ვ ა. ამ შემთხვევაში ხდება მხატვრული ტექსტის ენობრივ თავისებურებათა აღწერა ფონეტიკის, მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგია-იდიომატიკის ღონეზე. ამასთან, მკვლევრის ინტერესის საგანია იმ ენობრივი ტენდენციების გამოვლენა, რომლებიც მწერლის ენაში იჩენენ თავს.

მწერლის ენა, ჩვეულებრივ, სალიტერატურო ენის განვითარების მოცემული საფეხურის ვითარებას ასახავს. ეს პროცესი ქვეცნობიერია, რადგანაც მწერლის სამუშაო იარაღი მისი თანამედროვე ენაა, ენა, რომლითაც იგი კონტაქტს ამყარებს გარე სამყაროსთან. მაგრამ ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულება პასიური არ არის. შემოქმედების პროცესში იგი ზეგავლენას ახდენს ენაზე, ხვეწს, ამდიდრებს, ავითარებს (ან პირიქით) თავისი უნარისა თუ შესაძლებლობის და ენობრივი პოზიციის მიხედვით.

ლიტერატურული ენისა და მწერლის ურთიერთობის ეს მომენტი უდევს საფუძვლად მწერლის ენის ზემოაღნიშნული ასპექტით კვლევას.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია იცნობს მოღვაწეებს, რომლებიც უხმაუროდ ეზიდებოდნენ და ეზიდებიან მშობლიური ენის სამსახურის ტვირთს. მაგრამ განვითარების პროცესში ენას უხდება ისტორიული გზაჯვარედინების დაძლევა, როდესაც დიდი ტალანტი დიდი ტალანტისათვის ჩვეული კატეგორიულობით ითავებს ხოლმე ახალი გზის გაკვალვას. ქართული ენის ისტორია სამ ასეთ ტალანტს იცნობს: შოთას, საბასა და ილიას.

„ვეფხისტყაოსანმა“ ერთბაშად განსაზღვრა სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი დაახლოება სასაუბრო მეტყველებასთან, ხალხის ენასთან, რამაც უკვე წინა

[1] იქვე, გვ. 166.

საუკუნეებში იჩინა თავი, თუმცა ჯერ კიდევ გაუბედავად და, შეიძლება, შეუცნობლადაც.

„სიტყვის კონამ“ ითავა ისტორიული ძნელბედობით შერყვნილი ქართული ენის აღსადგენად მისი უმდიდრესი ლექსიკის თავმოყრა, გამომზეურება და განმტკიცება. ხოლო „სიბრძნე სიცრუისამ“ და „ევროპაში მოგზაურობამ“ კვლავ აზიარა ქართველი ხალხი უკვდავ წყაროსთვალს.

ილიას ცნობილმა სტატიამ „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდამ „შეშლილის“ თარგმანზედა“ ლიტერატურულ ენას უფლება დაუბრუნა ამოუწურავ სალაროში — ხალხის ენაში და არა ხელოვნურ თეორიაში ეძებნა სასიცოცხლო ძალა და ენერგია. შედეგი კოლოსალური აღმოჩნდა თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით.

სპეციალისტებმა სათანადო მიაგეს შოთას, საბასა და ილიას ღვაწლს. მხედველობაში გვაქვს ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, შ. ძიძიგურის, ი. გიგინეიშვილის, დ. გეწაძის, გ. შალამბერიძის, ჩ. ჭუმბურიძის და სხვათა გამოკვლევები.

მწერლის ენა ლიტერატურული ენის განშტოებაა, მხატვრული ლიტერატურის ენაა. მას ერთიანი საფუძველი და მკვეთრად ჩამოყალიბებული ნორმატული სისტემა აქვს, მაგრამ იგი ისევე მრავალსახოვანია, როგორც თვით მწერლობა, და ინდივიდუალური წყობის შემოქმედის ხელში თვითონაც ინდივიდუალური და განუმეორებელი ხდება. სწორედ ამაშია მწერლის ენის, როგორც საკვლევი პრობლემის, მიზიდულობის ძალა.

2. აქედან — მწერლის ენის კვლევის მეორე და უმთავრესი ასპექტი: წარმოჩნდეს ის, რაც ინდივიდუალურია, ის, რაც სპეციფიკურია და საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ მწერლის ენობრივ პალიტრაზე, მის ინდივიდუალურ სტილზე. ეს კი გაცილებით რთულია. რთულია, რადგანაც პირველ შემთხვევაში მკვლევარი მიზნად ისახავს ლიტერატურული ენის ზოგადი სურათის ფიქსირებას კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით. მეორე შემთხვევაში კი მკვლევარს საქმე აქვს შემოქმედებითი პროცესის ანალიზთან, ხოლო შემოქმედებითი პროცესი თავისთავად არის უაღრესად რთული და საკმაოდ შეუღწევადი მოვლენა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მწერლის ენის პირველი ასპექტით შესწავლისას მკვლევარს აინტერესებს ენობრივი ფაქტები და მათი შესაბამისობა, ან პირიქით, ლიტერატურული ენის განვითარების თვალსაზრისით, აგრეთვე — ლიტერატურული ენის განვითარების გეზისა და ტენდენციის გამოვლენა ამ პროცესის შეგნებულად მართვისა და ახალი ნორმების დადგენის მიზნით. მეორე ასპექტით კვლევისას კი მან უნდა

გაარკვიოს, რატომ, რა მიზნით, რისთვის იყენებს მწერალი კონკრეტულ ენობრივ ფაქტებს (ენაში ხომ შერჩევის შესაძლებლობა არსებობს!), რამდენად შეესაბამება მის ამოცანას და რა შედეგს იძლევა იდეურ-შინაარსობრივი თუ მხატვრულ-ემოციური თვალსაზრისით.

მწერლის ენის ამ ასპექტით კვლევა რთულია, რადგანაც ინდივიდუალური, და ამდენად სუბიექტური, შემოქმედებითი პროცესის ანალიზი პროფესიულ გაწაფულობასთან ერთად მკვლევრისაგან დახვეწილ ლიტერატურულ გემოვნებას, ფორმის გრძნობასა და მასალისადმი ფაქიზ მიდგომას მოითხოვს. რთულია იმიტომაც, რომ მწერლის შემოქმედება მრავალ განზომილებას შეიცავს და ენობრივი სამოსელის შერჩევა ამ განზომილებათა გათვალისწინებით ხდება. ვგულისხმობთ ობიექტურ ფაქტორებს: ჟანრს, თემას და, რაც არსებითია, მწერლის მიერ შერჩეულ თვითგამოხატვის ფორმას... მტკიცება არ სჭირდება იმ გარემოებასაც, რომ შემოქმედებითი ევოლუციის პროცესი მწერლის ენობრივ პოლიტიკაზეც ახდენს გავლენას და, ამასთან, არათუ მწერლის მთელი შემოქმედება, ენობრივი გამოხატვის თვალსაზრისით მისი ერთი ქმნილებაც არ არის ერთნაირი.

ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა სულხან-საბა ორბელიანის ენობრივი პრაქტიკა.

თავისი სამი ფუთვალსაჩინოესი ქმნილებისათვის საბა ენობრივი გამოხატვის სამ გზას ირჩევს: „სწავლაში“ — არქაიზებულ-ჰაეტიკურს, „სიბრძნე სიცრუისაში“ — დახვეწილ-ლაპიდარულს, „ევროპაში მოგზაურობა“ კი უბრალო, სასაუბრო ინტონაციით ხიბლავს მკითხველს.[1] მაგრამ არ ვიქნებით ზუსტი, თუ დასახელებულ თხზულებათა სტილურ მახასიათებლებად სინტაქსის სფეროში მხოლოდ დასახელებულ ნიშნებს მივიჩნევთ. „სიბრძნე სიცრუისაში“ ავტორის მეტყველება უაღრესად დაწურულია, მაგრამ არის პასაჟები, სადაც ს.-ს. ორბელიანი ტოლს არავის დაუდებს აღმოსავლურ სიტყვაძვირობასა და ფერადოვნებაში. საბას ცნობილი დიალოგიც არ არის ერთსახე. მოკლე, უსრული წინადადებებით, უკიდურესად შეკუმშული ფრაზებით შედგენილ დიალოგებს, სადაც ავტორის რემარკები სავსებით უგულებელყოფილია, ენაცვლება საკმაოდ ვრცელი კითხვაცა და პასუხიც. არც „ევროპაში მოგზაურობაა“ ამ თვალსაზრისით ერთგვაროვანი. აქაც ენობრივი გამოხატვის საშუალებები ერთმანეთს ენაცვლება ავტორის ემოციური დამუხტულობის შესაბამისად და ასახვის ობიექტის გათვალისწინებით. ეკლესია-მონასტრების სიმდიდრეთა მონოტონურ აღწერას აცოცხლებს

[1] ი. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის; სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 33; მ. კობალაძე, სულხან-საბა ორბელიანის ენისა და სტილის საკითხები, საკანდ. დისერტ., 1971; მისივე. სულხან-საბა ორბელიანის სტილის შესწავლისათვის, თსუ შრომები, 171, 1976, გვ. 75-84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღტაცების შეძახილები და საგზაო შთაბეჭდილებათა დინამიური სურათები[1]. სულხან-საბა ორბელიანის, დიდი მწერლისა და მოქართულის, უფართოესი დიაპაზონი და გარდასახვის გასაოცარი უნარი მკვეთრად გამოვლინდა ქადაგებებში, რომლებიც ქართული სასულიერო მწერლობის სტილის შეგნებული, მიზანდასახული გაღრმენით არის დაწერილი და ჟანრის სპეციფიკის გამო ამაღლებული, საზეიმო განწყობილებით არის აღსავსე, რაც აგრეთვე ენობრივი საშუალებებით, კერძოდ, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ენის გრამატიკული ინვენტარითა და სპეციფიკური სინტაქსური ფიგურებით არის ხორცშესხმული. მაგრამ აქაც საკმაოდ ხშირად პათეტიკა ინტიმით იცვლება და, შესაბამისად, ჩნდება ენობრივი გამოხატვის ახალი ხერხები. გრძელ პერიოდებსა და რთულ კონსტრუქციებს ცვლის მოკლე ფრაზები, სიტყვამრავლობას — მეტყველების ეკონომია და ელიფსი, მონოლოგს — შინაგანი დიალოგი, მკვეთრად გამოხატულ ორატორულ ხერხებს — სასაუბრო ინტონაცია[2].

სხვა რიგის სტილური შრეები ჩნდება სხვა ავტორებთან. უცვლელი რჩება მკვლევრის ამოცანა: გაარკვიოს, როგორ, რა გზით, რა ენობრივი საშუალებებით იქმნება ამა თუ იმ მწერლის ინდივიდუალური სტილი, ამა თუ იმ ჟანრის, ამა თუ იმ თხზულების ენობრივი იერსახე.

მკვლევრის ამოცანა კიდევ უფრო რთულდება, როცა მას საქმე აქვს ფართო პლანის თხზულებასთან, სადაც ავტორის ენის, საკუთრივ მწერლის ენის, პარალელურად, რომელიც თავისთავად მრავალ პლასტს შეიცავს და მრავალ საკითხსაც წარმოაჩენს, დგება პერსონაჟის ენობრივი დახასიათების პრობლემა. მწერლის ენის მიმართება დიალექტიზმებთან და არქაიზმებთან, ვიწრო პროფესიული ჯგუფებისათვის დამახასიათებელ ლექსიკასა და ჟარგონიზმებთან განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს, როცა საქმე მოქმედ პირთა მეტყველებას ეხება, რადგანაც, მართალია, გიორგი ერისთავისა და ეგნატე ნინოშვილის ენობრივი ნატურალიზმი დღეს ისტორიის კუთვნილებაა, კვლავ სადღეისო პრობლემად რჩება პერსონაჟის ენობრივი დახასიათების საკითხი.

ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში საყურადღებოა ჭაბუა ამირეჯიბის პრაქტიკა, კერძოდ, მის მიერ დათა თუთაშხიას ამეტყველება.

---

1) მ. კობალაძე, სულხან-საბა ორბელიანის თხრობის მანერის თავისებურებათა შესახებ „ევროპაში მოგზაურობის“ მიხედვით, თსუ შრომები, 187, 1977, გვ. 34-44.

2 მ. კობალაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანის“ სტილის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972. № 1, გვ. 60-73; მ. კობალაძე. სულხან-საბა ორბელიანის ენისა და სტილის საკითხები, საკანდ. დისერტაცია, თბილისი, 1971, გვ. 229-294.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა თუთაშხია მეგრელია, მაგრამ ავტორი მას მეგრულ-ალაპარაკებს, რაც, ცხადია, ანაქრონიზმი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ქართველი მკითხველისათვის ეჭვგარეშეა მისი მეგრელობა, უწინარეს ყოვლისა. სწორედ მეტყველებით. ამ ეფექტს ჭ. ამირეჯიბი აღწევს მეგრულისათვის დამახასიათებელი ორიოდე ნიშან-თვისების გამოყენებით.

1. პირველ რიგში დათა თუთაშხიას მეტყველება მეგრულის ასოციაციას იწვევს სპეციფიკური სიტყვათგანლაგებით. ლიტერატურული ქართულისაგან განსხვავებით, საღაც შეპასმენელი უპირატესად ბოლოკიდურია,[1] დათა თუთაშხიას მეტყველებაში შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში წინადადება შემასმენლით იწყება. მაგალითად:

...წ ა მ ო ვ ა ლ მეც იქ... (268. 26);[2] ვ თ ქ ვ ი მე ჩემი სათქმელი (764. 9): — ვ ი ც ნ ო ბ დ ი ახალგაზრდობაში ჩოჩიას მე (833. 16): ა მ ა ხ ვ ი ლ ე ბ ს სიყვარულს ეს (751. 22); ...ნ ა ხ ა ვ ს იქაური ვეტროვი მაგ ალას იქ (288. 4): წ ა ვ ა ლ აწი მე (264. 22): ვ ც ა დ ე მაგ მე ...ი ც ი შენ ეს (257. 15).

ჩვეულ ადგილს იცვლის ქვემდებარეც. ლიტერატურულ ქართულში ქვემდებარე ძირითადად თავკიდურია,[3] დათა თუთაშხიას მეტყველებაში კი იგი, ჩვეულებრივ, წინადადებას კუტავს. მაგალითად,

...ღონემიხდილს და განწირულს შეგაყვარებს ლ ე ქ ს ი (313. 10): ...ცხოველის დონემდე დაყვანილი ხალხია ეს ხ ა ლ ხ ი (678. 15): ...არსად არ წავალ მ ე (334. 17): ამ ჩვენს მასპინძელს... აბელს უძახდი შ ე ნ (79. 33) — ა რ ა კ ი ვ ი ც ი მ ე, ჩვენი არ არის ი ს (312. 29); გაბროტება იცის ა მ ა ნ (305. 14).

დათა თუთაშხიას მეტყველებაში უკუწყობას აქვს ადგილი პირდაპირი დამატების შემთხვევაშიც. სალიტერატურო ქართულისათვის მიღებული პირდაპირი წყობა — პირდაპირი დამატება + შემასმენელი[4] იცვლება წყობით: შემასმენელი + პირდაპირი დამატება. მაგალითად:

თ ქ ვ ა ბატონმა ვახტანგმა რ ა ღ ა ც (305. 17): უ ხ ო ვ ი ს მერე შესაფერ დ რ ო ს... (643. 9); მ ო გ ჭ ა მ ა მერე ჭ ი რ ი მეფემ და იმპერიამ (643. 10); მ ო ი კ რ ე ფ ს უკანასკნელ ძ ა ლ ღ ო ნ ე ს (312. 33); ...ამაყი ხასიათით ვ ი ა რ ე ...ცხოვრების პირველი ნ ა წ ი ლ ი (359. 15).

---

1 შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ქართულ მარტივ წინადადებაში, საკანდ. დისერტაცია. თბილისი, 1971, გვ. 30; ბ. ფოჩხუა, სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში, იკე, XII, გვ. 114.

2 ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია, თბილისი, 1979.

3 შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება მარტივ თხრობით წინადადებაში თანამედროვე ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II. თბილისი, გვ. 15.

4 შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ქართულ მარტივ წინადადებაში, გვ. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულ ადგილს იცვლიან წინადადების სხვა წევრებიც. ამჯერად აღნიშნული შემთხვევებით დავკმაყოფილდებით.

2. ლიტერატურულ ქართულში პირის ნაცვალსახელთა ხმარება შეზღუდულია, განსაკუთრებით I—II პირის ნაცვალსახელებისა. დათა თუთაშხიას მეტყველების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება კი სწორედ პირის ნაცვალსახელთა სიმრავლეა, რაც ნოხმობილი ნიმუშებიდანაც ჩანს.

3. მომავალ დროს ძველ ქართულში გადმოსცემდა კავშირებითი კილოს ფორმები, რომელთა ხმარება შეიზღუდა ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლით, თუმცა კავშირებითი კილოს ფორმებით მომავალი დროის გამოხატვა ახლაც ხდება ქართულშიც და სხვა ქართველურ ენებშიც, კერძოდ, მეგრულში. მეგრულში ასეთი ფორმებისათვის დამახასიათებელია შესაძლებლობის ნიუანსი, რაც გადმოიცემა იქნება მეშველი ზმნით. ჭ. ამირეჯიბს ასეთი ფორმები, მართალია, ძალზე ზომიერად, დათა თუთაშხიას მეტყველებაშიც შეაქვს, რითაც ქმნის ქართულ ენაზე მეტყველი მეგრელის საუბრის შთაბეჭდილებას. მაგალითად:

...თქვენმა აზრმა შემაყოყმანოს, იქნება (702. 36); ...წადი მალე. თვარა წაგართვან იქნება (806. 2); ...არ ვიმოვდგე, იქნება, მართალი... (764. 30).; ...მე რომ ელაპარაკობ, სხვა ვითარებისათვის არ ივარგოს, იქნება, ამან... (763. 36).; თქვენ გააკეთოთ, იქნება, ჩვენ რომ ვერ შევძელით, ის... (652. 36).

ფაქტიურად ამით ამოიწურება დათა თუთაშხიას დახასიათება კუთხური მეტყველების საშუალებით და წინა პლანზე არის წამოწეული მისი, როგორც პიროვნების, შინაგანი წყობისათვის ნიშანდობლივი ენობრივი მახასიათებლები: ლაკონიურობა, დაწურული ფრაზები, მოკლე, კატეგორიული დასკვნები. საკმაოდ იშვიათად საუბრობს დათა ვრცლად, მაგრამ როცა კი უხდება თავისი პოზიციის დასაბუთება, აზრს ყოველთვის სადად, ნათლად, ლაკონიურად აყალიბებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს საკუთრივ მწერლის ენაში დიალექტური მეტყველებისა და ძველი ქართულის გრამატიკული თუ ლექსიკური ინვენტარის გამოყენების შესახებ. ენა ისტორიული კატეგორიაა და მისი განვითარების ერთი ეტაპის მოწყვეტა მეორისაგან შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში ეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ქართული ენის მიმართ, სადაც არ გვაქვს ისეთი დიამეტრალური სხვაობა ენის განვითარების საფეხურებს შორის, როგორიც არის, მაგალითად, ბერძნულსა და სომხურ ენებში. ასევე შეუძლებელია სალიტერატურო ენისა და მისი უმნიშვნელოვანესი განშტოების — მწერლის ენის მოწყვეტა დიალექტებისაგან. ვფიქრობთ, უწინარეს ყოვლისა, დია-

ლექტურ ლექსიკას, როგორც ლიტერატურული ენის ლექსიკური მარაგის შევსებისა და გამდიდრების მნიშვნელოვან წყაროს. მაგრამ ამ ზომით, რა ოდენობით არის დასაშვები არქაიზმებისა თუ დიალექტიზმების გამოყენება?! ამის განსაზღვრა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ყველაფერს წყვეტს შემოქმედის პიროვნება და შემოქმედების შედეგი. ამ თვალსაზრისით დაუვიწყარია ვაჟა ფშაველას მაგალითი. ექნებოდა კი გასაოცარი ხიბლი მის პოეტურ ეპოსს ფშავ-ხევსურული დიალექტიზმების გარეშე?! ასეთი პოეტური თავისუფლების უფლებას ვაჟას ენობრივი პოზიცია, უფრო კი გენიალობა ანიჭებდა. ცხადია, სხვა შემთხვევაში ასეთი ცდა ფოლკლორის დონეზე დარჩება.

განსაკუთრებით აქტუალურია მწერლის დამოკიდებულება სიტყვათშემოქმედებასთან. ამ შემთხვევაში გასარკვევია ნეოლოგიზმების როლი ენის გამდიდრებისა და მხატვრულ-ემოციური ფუნქციის თვალსაზრისით, რადგანაც ნეოლოგიური წარმონაქმნები ხშირად ხელოვნურია, თვითმიზნურ შთაბეჭდილებას ტოვებს და უკურიაქციას იწვევს. სხვათა შორის, ასეთსავე რეაქციას იწვევს თვითმიზნად ქცეული ყველა სტილური ხერხი, მაგალითად, სასაუბრო მეტყველების იმიტაცია ავტორის ენაში.

მწერლის ენაში არქაიზმების, დიალექტიზმების, ნეოლოგიზმების და არც სპეციფიკური მხატვრული ხერხების დადასტურება არ განაპირობებს მწერლის ენის ინდივიდუალობას და არც მის სიმდიდრეზე მეტყველებს. მწერლის ენის ინდივიდუალობას განაპირობებს შემოქმედის ინდივიდუალობა, ის შინაგანი მუხტი, რომელიც წარმართავს შემოქმედებითს პროცესს, განსაზღვრავს ნაწარმოების ფორმას, სათანადო ენობრივი სამოსელისა და მხატვრული აქსესუარის შერჩევას.

ამ კონტექსტში საყურადღებოა ოთარ ჭილაძის რომანი „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, სადაც გარეგნული მახასიათებლები (დიალექტიზმები, არქაიზმები, ბარბარიზმები, ნეოლოგიზმები...) ფაქტიურად უგულებელყოფილია, სტილი კი ინდივიდუალურია. იგი რთული კონსტრუქციებით, მიმდინარეობრივი საქცევებითა და განკერძოებული გამოთქმებით სავანგებოდ დამძიმებულ სინტაქსურ ქსოვილსა და სინონიმური ლექსიკის სიმდიდრეშია გაცხადებული, პერსონაჟთა სულის მოძრაობის ყოველ ნიუანსს, სიტუაციის ყოველ დეტალს, ნაწარმოებში დაბუდებულ სულისშემხუთველ გარემოს გასაოცარი სიზუსტითა და სიცხოველით რომ ესადაგება.

მწერლის ენის შესწავლის მიზნისა და პრინციპების დასადგენად მნიშვნელოვანია თვით მწერლის თვალსაზრისი. რას მოელის, რას მოითხოვს მწერალი მკვლევრისაგან?! იური ბონდარევი ჟურნალის „Вопросы литературы“ ანკეტაში წერს: „განა შეიძლება სერიოზული ლაპარაკი მწერალზე, თუ არ გამოიკვლევთ მისი არსის ერთსა (შინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსი) და მეორე (ფორმა, სტილი) მხარეს, თუ არ იპოვით მათ სწორ ურთიერთ-
წაზომიერებასა და შესაბამისობას? ნამდვილად არ მინდა სერიოზულად მივიჩნიო სტილის სიმდიდრის განმსაზღვრელად ტექსტში მოჭარბებული დიალექტი, ადგილობრივი ძველებური გამოთქმები, ლაღი თხრობა, არგოს სიმწკლარტე, „ვითომდა ხალხური“ დარღვეული ინვერსია (ზმნა ყოველთვის ბოლო ადგილზეა). ყოველივე ეს მარტოოდენ სტილის, ენის, ოსტატობის სისუსტეზე მეტყველებს და არა ნიჭის ძალასა და უნარზე... თუ კრიტიკოსს უნდა შეიცნოს იდეა საგნისა, მზადაა იგრძნოს მისი გემო, მისი ჰაერი, მაგრამ არ უნდა დაუიგრდეს „სტილის იდეაზე“ (ხაზი ჩვენია. მ. კ.), მაშინ მისი ცდა — გააღოს რომანის მთავარი კარი — მარტოოდენ ჟესტია, რომელსაც წედეგი არ მოსდევს“[1].

თქმული შეეხება ლიტერატურულ კრიტიკას. მაგრამ უეჭველია, რომ ნაწარმოების „სტილის იდეა“ უნდა წარმართავდეს მწერლის ენის კვლევასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლევის პროცესში იკარგება თვით საკვლევი ობიექტი — მხატვრული ნაწარმოები.

მხატვრული ტექსტის ენობრივ თავისებურებათა აღწერა ფონეტიკის, მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგია-იდიომატიკის დონეზე დიდი სამუშაოს პირველი და აუცილებელი ეტაპია. მაგრამ არც გრამატიკულ თავისებურებათა გამოვლენა, არც ლექსიკისა და ფრაზეოლოგია-იდიომატიკის შესწავლა, არც დიალექტებთან და ძველ ქართულთან მიმართების დადგენა, არც, მითუმეტეს, სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის შემთხვევათა აღნუსხვა, რაც თავისთავად მეტყველების კულტურის პრობლემაა და არა სტილისა, საკუთრივ მწერლის ენის სურათს ვერ ქმნის, თუ არ არის გათვალისწინებული ენობრივ საშუალებათა მრავალსახეობიდან კონკრეტულ ერთეულთა შერჩევის მიზანი. ამიტომ მწერლის ენის კვლევის ძირითად პრინციპად გვესახება ფორმის, ანუ ენობრივი გამოხატვის, შესწავლა შინაარსიდან გამომდინარე, „სტილის იდეის“ ხორცშესხმის თვალსაზრისით, შინაარსისა და ფორმის სტილური შესაბამისობის დადგენის მიზნით და მხატვრულ-ექსპრესიული ფუნქციის გამოსავლენად.

М. И. КОБАЛАДЗЕ

О ДВУХ АСПЕКТАХ ИЗУЧЕНИЯ ЯЗЫКА ПИСАТЕЛЯ

Резюме

В статье рассмотрены два направления в изучении языка писателя:

[1] „ლიტერატურული საქართველო“, 1980, № 5.

1. Изучение языка писателя на уровне литературного языка с целью выявления особенностей литературного языка данного периода и новых языковых тенденций для управления развитием языка и установления новых языковых норм, а также определения места изучаемого писателя в развитии литературного языка.

2. Изучение языка писателя на стилистическом уровне с целью выявления индивидуальных языковых особенностей исследуемого текста. Данный подход подразумевает определение целесообразности отбора тех или иных фактов языка в соответствии с конкретной задачей, обусловленной такими объективными факторами, как тема, жанр и форма самовыражения, выбранная автором. В этом случае выявление фонетических, грамматических, лексико-фразеологических особенностей, а также архаизмов, диалектизмов и других средств художественного языка должно быть подчинено воплощению «идеи стиля», которая несомненно лежит в основе каждого выдающегося художественного произведения.

Именно такой подход признается автором статьи реальным путем познания художественно-эмоциональной ценности языка писателя, в целом, и художественного текста, в частности, ибо в противном случае с поля зрения исследователя исчезает сам литературный факт, как идейно-содержательная и эстетическая цельность.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე ბერიძე

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

კავშირებითის წარმოების ერთი თავისებურებისათვის მესხურში

I

I, II და III კავშირებითი ქართულში ხშირად იხმარება „უ ნ დ ა“ ნაწილაკთან ერთად. ნაწილაკდართული კავშირებითი გამოხატავს ზმნით აღნიშნული მოქმედების შესრულების საჭიროებას ან აუცილებლობას:

უნდა ვაკეთებდე
უნდა გავაკეთო
უნდა გამეკეთებინოს || უნდა გამეკეთებინა

აკ. შანიძე „უ ნ დ ა“ ნაწილაკის თაობაზე შენიშნავს: „უ ნ დ ა პირიანი ფორმაა წარმოშობით (მ ი ნ დ ა, გ ი ნ დ ა, უ ნ დ ა), მაგრამ ნაწილაკად არის ქცეული: არ იცვლება პირებთან: მე უნდა, შენ უნდა, ის უნდა: მოითხოვს კავშირებითს (I-ს, II-ს: III-ის ნაცვლად ჩვეულებრივ II თურმეობითი იხმარება)“[1].

სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით „უ ნ დ ა“ ნაწილაკიანი კავშირებითი რამდენადმე განსხვავებულად იწარმოება მესხურში. თვით ნაწილაკი წარმოდგენილია „ნა“ || „ნდა“ || „და“ ფორმით ამათგან, „ნა“ უნდა იყოს ნორმა, „ნდა“ და „და“ კი შედარებით იშვიათად ხმარებული პარალელურად დასაშვები ფორმებია.

„დილით მზე არ'ნა იყვეს ამოსული, როცა რო მინდორში მივდივართ“[2]
„ახლა მაყრები'და მოვიდნენ“
„ხვალ'ნდა წავიდე“

---

1 აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973. გვ. 616.

2 „არ'ნა — ამგვარად გამოყოფენ ნაწილაკს წინამავალი სიტყვისაგან „ქართული დიალექტოლოგიის“ შემდგენლები. ასევე იქნება ჩვენს მაგალითებშიც (იხ.: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961).

ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში, მესხურშიაც ნაწილაკი დაერთვის კავშირებითის ფორმებს.

I კავშირებითი

ნა (||და) ვმუშაონდე, ვაკეთენდე, ვწერდე, ვრწყენდე.....

II კავშირებითი

ნა (||და) ვიმუშაო, გავაკეთო, ვწერო, მოვრწყო...

III კავშირებითი

აქაც, ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში, III კავშირებითს ჩვეულებრივ II თურმეობითი ენაცვლება.

ნა (||და) მემუშავა, გამეკეთებინა, მეწერა, მომერწყა..... [ნაცვლად ამისა: ნა (||და) მემუშაოს, გამეკეთებინოს, მეწეროს, მომერწყოს...]

II

„ნა“ და „და“ ნაწილაკების ადგილი წინადადებაში შეიძლება ასეთი იყოს:

ა) „ნა“ || „და“ მოსდევს ზმნას:

„მერე იმან ჯამი დაანტვრიოს'ნა“

„მაგას გონია, რო მამკლას'დაო და ეშინია“

ბ) „ნა“ || „და“ მოთავსებულია ზმნასა და მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ რომელიმე წევრს შორის.

„თქვენა მე ხარჯი'ნა მამცეთო“

„ეს გუნდა ფურნეში'ნა შიეგდო“

„იმ დილით სახში'და წასულიყო“

გ) „ნა“ || „და“ იწყებს წინადადებას (ასეთ შემთხვევაში მას ყოველთვის ზმნა მოსდევს):

„ნა წავიდე, ნახო რა'ნა ქნათ უჩემოთ“.

„და დავქსვიო, აბა რა ვქნა“.

ყველა ეს პოზიცია გულისხმობს, რომ ზმნასა და ნაწილაკს შორის სხვა სიტყვის ჩასმა დაუშვებელია. არ შეიძლება:

„ნა შეშა დავჭრა“

„ნა ბოსტანი დავბარო“...[3]

„ნა“-სთან შედარებით „და“ ნაწილაკის ხმარება რამდენადმე პოზიციურადაც შეზღუდულია.

დაუშვებელია „და“-ს ხმარება I კავშირებითთან ზმნის მომდევნო (I) პოზიციაში, რადგან კავშირებითის სავრცობი ვერ გუობს ნაწილაკის დ-ს.

არ შეიძლება:

---

[3] მაგალითების სიმცირის გამო ვერაფერს ვიტყვით „ნ დ ა“ ნაწილაკის პოზიციური განაწილების თავისებურებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაკეთენდე'და
ვბუშაონდე'და
ვხატანდე'და....

ასეთივე ვითარებაა ყოველთვის, როცა ზმნის ფუძე **დ**-თი ბოლოვდება. არ შეიძლება:

წავიდე'და
მოვკვდე'და
დავჯდე'და

ამგვარი შეზღუდვა გვაქვს მხოლოდ ზმნის შემდგომ პოზიციაში. არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს „და"-ს ხმარებისათვის წინამავალი სახელის (ან მეტყველების სხვა ნაწილის) ფუძის **დ**. სავსებით ბუნებრივია:

„დედა'და მოვიდეს"
„შანდ'და დარჩე?
„შაგი და'და ჩამოსულიყო და ველარ მიესწრო".

III

„და" || „ნა" || „ნდა" ნაწილაკები მიებმის წინამავალ სიტყვას, ინტონაციურად არ გამოიყოფა მისაგან:

„სამათ'ნა გავიყოთ ქალიო".

აქ „სამათ'ნა" ერთ სიტყვად ისმის. ასევე ერთ სიტყვად ისმის „გავიყოთ'ნა" (ან „გავიყოთ'და") აქ:

„სამათ გავიყოთ'ნა ქალიო".

ამის გამოა, რომ ხშირად **„ნა" || „და"** ნაწილაკი ზმნის ელემენტად არის მოაზრებული და მას მაშინაც დაურთავს მესხი, როცა ეს ნაწილაკი უკვე დაერთო სხვა, ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ წევრს:

„ხენწიფემ რა'ნა გაიგოს'ნაო".
„მაგრამ რა'და გააკეთოს'და".

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ **„ნა" || „და"** ნაწილაკს წინადადებაში დამოუკიდებლად, სხვა სიტყვასთან შეურწყმელად არსებობა **არ** შეუძლია — სრულიად გარკვევით და გამოკვეთილად არის იგი გამოცალკავებული სხვა წევრებისაგან, მაშინ, როცა წინადადებას იწყებს:

„ნა ვნახოთ ერთი, რიები წერია შიგა"
„და მიეწყოს, აბა რა!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნა“ || „ნდა“ || „და“ ნაწილაკები, როგორც მათი ხმარების ისტორიული სებურებანი გვაფიქრებინებს[4], არ უნდა იყვნენ ერთ ისტორიულ ეპოქაში წარმოშობილნი, არც მათი მიღების გზა უნდა იყოს ერთნაირი.

ჩვენი აზრით, „ნა“ ნაწილაკის წარმოშობა ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა „ნდა || და“-ს.

„ნა“-სთვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო „უნა“.

მესხურის ტენდენცია, შექმნას ერთგვარი ზმნური ყალიბი, პარადიგმი ე. წ. საჭიროების (აუცილებლობის) კავშირებითისა, აგრეთვე ნაწილაკის მისწრაფება, მიეკედლოს წინამავალ სიტყვას, გასაგებს ხდის „უნა“-სგან „ნა“-ს მიღების ფონეტიკურ საფუძველს; ცვლილება უნდა ჩამხდარიყო სიტყვის შემდგომ (უფრო კი ზმნის შემდგომ) პოზიციაში:

გავაკეთო უნა→გავაკეთო'ნა:
ე. ი.: უნა→ნა

მერელა ხდება ამ ფორმის განზოგადება. მისი ხმარება სხვა პოზიციაშიც ხდება შესაძლებელი:

„ნა წავიდე, ნა გავაკეთო“....

„ნდა||და“ ნაწილაკებისათვის ამოსავალია „უნდა“.

პროცესი აქაც ასე აიხსნება: ქცევის ნიშნის ჩამოცილებით მივიღებთ „უნდა“→„ნდა“. ფორმის კიდევ უფრო გამარტივებით⇒„და“, მაშასადამე, „უნდა“→„ნდა“→„და“.

ჩვენი აზრით, I სუფიხური ამ პროცესისა („უნდა“→„ნდა“) არ არის პოზიციურად გაპირობებული, როგორც ეს „უნა“→„ნა“-ს დროს გვქონდა. აქ უბრალოდ ანალოგიაა ამ უკანასკნელისა.

მართლაც, თუ უ-ს დაკარგვა აქაც იმავე ფონეტიკურ პირობებში[5] მოხდებოდა, აღარ უნდა ყოფილიყო შეზღუდული „და“ ნაწილაკის ხმარება ამ პოზიციებში:

ვაკეთებდე'და
მოვკედე'და (იხ. ზემოთ),

ისევე, როგორც არავითარ დაბრკოლებას არ აწყდება „ნა“ ნაწილაკი ასეთ შემთხვევებში:

გამეკეთებინა'ნა
მენანავებინა'ნა...

მაშასადამე „უ ნ დ ა→„ნ დ ა“ პროცესი მომხდარია „უნა“→„ნა“-ს ანალოგიით. მიღებული ფორმა „ნდა“ მექანიკურად ჩაჯდებოდა ყველა

---

4 „ნა“- არის ნორმა და მისი ხმარება ნებისმიერ პოზიციაში დასაშვებია, როცა „და“-ს გამოყენების არე პოზიციურად შეზღუდულია.

5 ზმნის შემდგომი პოზიცია, ნაწილაკის მისწრაფება წინამავალ სიტყვასთან ერთად წარმოთქმისაკენ.

იმ პოზიციაში, რაც „ნა“-სთვის იყო დასაშვები. ამ პოზიციებში კი სავსებით ბუნებრივია დაკარგვა ნ-სი, რომელიც გააძნელებდა ნაწილაკის წინამავალ სიტყვასთან ერთად წარმოთქმას.

V

გარდა „ნა“, „და“, „ნდა“ ნაწილაკებისა მესხურში დღეს „უნდა“ და „უნაც“ დასტურდება.

„უნდა“:

სახში რო შეიყვანებენ, უნდა დააჯდუნან“.

„მირამდისინ უნდა ვიცხოვრო ტყეში“.

„უნა“:

„ორივე შვილები უნა დაახოცინოს“.

„დაძირჩები წაიყვანა, რო უნა გიენთავისუფლებინა“.

არც „უნდა“ და არც „უნა“ არ არის ტოლფასი (წინადადებაში პოზიციური განაწილების მიხედვით) **„ნა“ || „და“** ნაწილაკებისა.

„უნდა“ და **„უნა“** მესხურში არ შეგვხვდება ამგვარ კონსტრუქციაში:

„სახლში წავიდე უნდა (უნა)“[6].

შდრ.: „სახლში წავიდე'ნა“.

ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იხმარს **„უნდა“||„უნა“**-ს მესხი ამგვარად:

„უნდა (უნა) შეშა დავჭრა“

ასეთი კონსტრუქცია **„ნა“ || „და“** ნაწილაკისათვის („ნა შეშა დავჭრა“) მიუღებელია.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ **„უნა“** და **„უნდა“** ნაწილაკები შემოსულია გვიან, სალიტერატურო ენის ან რომელიმე მეზობელი დიალექტის გავლენით. მესხურს აუთვისებია არა ნაწილაკი ცალკე, არამედ მთელი კონსტრუქცია.

VI

„ნა“ და **„და“** ნაწილაკების გაჩენა მესხურში მხოლოდ ფონეტიკური კანონების მოქმედებით ვერ აიხსნება.

მესხურში არავითარ ცვლილებებს არ განიცდის იგივე „უ ნ დ ა“ („მ ი ნ დ ა“, „გ ი ნ დ ა“) ზმნა:

„მაგას უნდა, წავიდეს და მერე იქიდან დაგვსაყვედუროს“

„უნდა მოვიდეს, უნდა წავიდეს, მე მაგისა არაფერი მინდა“.

ამ წინადადებებში **„უნდა“** პირიანი ფორმაა, შეიცავს სუბიექტს და ობიექტს. შეიძლება შეგვხვდეს:

ა) სახელთან:

[6] ეს კონსტრუქცია სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა.

„მაგას ცოლი რათ უნდა ჯერა, ბავშია“.

„ქურდსაო ღამე ბნელი უნდაო“.

ბ) ზმნასთან:

„მინდა“ („გინდა“, „უნდა“) ზმნაც, ისევე როგორც ნაწილაკი **„უნდა“**, კავშირებთან გვხვდება:

მინდა გავაკეთო, უნდა გააკეთოს, გინდა აკეთებდე...

„მინდა“ ზმნიან კავშირებითს მნიშვნელობა რამდენადმე განსხვავებული აქვს. იგი გადმოსცემს, რომ ირიბი ობიექტისათვის სასურველია, ირიბ ობიექტს უნდა ზმნით აღნიშნული მოქმედების შესრულება.

„უნდა“ ნაწილაკიანი კავშირებითი კი ირიბი ობიექტის არსებობას გამორიცხავს. აქ გამოხატულია, რომ საერთოდ (და არა ვინმესთვის) საჭიროა, აუცილებელია ზმნით აღნიშნული მოქმედების შესრულება.

„უნდა“ პირიანი ფორმის თანდათანობითი ცვეთის და ბოლოს ნაწილაკად ქცევის პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ერთი პირი, კერძოდ, ირიბი ობიექტი მას აკლდება ჯერ კიდევ მაშინ, როცა თავის პირვანდელ მნიშვნელობას (სასურველობას) შეუთავსებს ახალ მნიშვნელობას (საჭიროებას, აუცილებლობას); ასე რომ, ერთი და იგივე ფორმა გვიჩვენებს ორ მნიშვნელობას, რის გამოსახატავადაც სხვა ზმნა ჩვეულებრივ ორ ფორმას იყენებს, საარვისოს და სასხვისოს:

შდრ.: ხამს || უხმს,

და: *(ნდა)[7] || უნდა

ერთპირიანი ზმნის გაგებით დღესაც გვაქვს **„უნდა“** ზოგი ტიპის წინადადებებში:

„ასე უნდა ბავშვის მიტოვება?“

ნაწილაკიანი კავშირებითი წარმოშობით არის რთული წინადადება, სადაც **„უნდა“**-ს სწორედ ერთი პირის გაგება აქვს:

„უნდა (საჭიროა, აუცილებელია), რომ სახლი ავაშენო“.

რა უნდა? — იგი (რომ სახლი ავაშენო)

შემდგომ ეტაპზე რთული წინადადება თითქოს შეიკუმშება, გათავისუფლდება სხვა წევრებისაგან, **„უნდა“** უშუალოდ დაუკავშირდება ზმნას და ვიღებთ უ ნ დ ა ა ვ ა შ ე ნ ო-ს, სადაც მთელი წინადადების შინაარსია გამოხატული. ამ ეტაპზე კიდევ არის შერჩენილი ერთი პირის გაგება. მოგვიანებით ეს ერთი პირიც იკარგება და **„უნდა“** უკვე ნაწილაკად იქცევა.

ასე რომ, მესხურში „ნა“ და „და“ ნაწილაკების გაჩენის მორფოლოგიური ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. ფონეტიკურ ნიადაგზე დაკარგული **უ-** წარმოშობით სასხვისო ქცევის ნიშანია, რომელსაც

---

[7] აქ ერთი ფორმა „უნდა“ გვაძლევს ორ მნიშვნელობას: ორპირიან სასხვისოს (უხმს) და ერთპირიან საარვისოს (ხამს).

* ნდა თეორიულად დასაშვები საარვისო ქცევის ფორმაა.

არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია აღარ შერჩენია. აქ ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ მესხურმა ამ უფუნქციობის გამო ამოაგდო სწორედ ივი და შექმნა (თეორიულად დასაშვები) საარვისო ქცევის ფორმა „ნა“ ან „ნდა“→„და“.

М. БЕРИДЗЕ

ОСОБЕННОСТИ ОБРАЗОВАНИЯ НЕКОТОРЫХ ФОРМ СОСЛАГАТЕЛЬНОГО НАКЛОНЕНИЯ В МЕСХСКОМ ДИАЛЕКТЕ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

1. В месхском диалекте частица unda (‖una «хочет, желает») с формами сослагательного наклонения представлена в виде na/da/nda. Это свидетельствует о тенденции грамматизации этого элемента.

2. Частица unda может непосредственно следовать за глаголом в форме сослагательного наклонения или стоять перед ним.

3. Становление частиц na/da/nda нам представляется следующим образом:

а/ диалектная форма una «желает» →na;

б/ литературная форма unda «желает» →nda→da

Такое изменение, видимо, непосредственно связано с исчезновением морфологического значения префикса u в формах u-na//u-nda.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა კოგბაიძე
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ბრძანებითი კილოს მთიულურ დიალექტში

თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში ნორმირებულია ზმნაში II სუბიექტური პირის ნიშნის უქონლობა: შესაბამისად, დაკარგულია ფორმალური განსხვავებაც თხრობით და ბრძანებით კილოებს შორის.

ძველ ქართულ ენაში კი „წართქმით ბრძანებითს საკუთარი მწკრივი ჰქონდა და მე-2 პირის ფორმის განსხვავება თხრობითი კილოს ამავე პირის ფორმისაგან წყვეტილის მწკრივში მკაფიოდ იყო გატარებული: ბრძანებითს სუბიექტური ნიშანი არ ჰქონდა, თხრობითს კი ჰქონდა“ (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ., ტ. 3, 1980, გვ. 206).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ბრძანებითსა და წყვეტილს „მ ო ხ ვ ე დ“ ზმნაღა არჩევს (წყვეტ. „მ ო ხ ვ ე დ“-ბრძან. „მ ო დ ი“).

ეს ზმნაც დიალექტების ერთი ნაწილის გავლენით კანონზომიერად კარგავს II სუბიექტური პირის ნიშანს და თანდათან მკვიდრდება მ ო დ ი- ფორმა წყვეტილის შინაარსით. განსხვავება ორი კილოს ფორმებს შორის ამ ზმნაშიც იშლება.

წყვეტილისა და II ბრძანებითის ფორმობრივი გამოხატვის ძველი ქართულისებური ვითარება II სუბიექტური პირისათვის შენახული ჰქონია ხევსურულ, თუშურ, მოხეურ და ფშაურ დიალექტებს (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 207)[1].

ამ კილოთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ მთიულური დიალექტიც, სადაც თითქმის უგამონაკლისოდ არის დაცული II ბრძანებითის და წყვეტილის განსხვავება II სუბიექტური პირის ნიშნის ქონა-უქონლობით (წყვეტ. „მ ო ჰ კ ა ლ“- ბრძ. „მ ო კ ა ლ“).

---

1 თუმცა ხევსურულის და ფშაურის ეს თავისებურება ამ დიალექტებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში (ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი) აღნიშნული არ არის.

ეს დასტურდება მთიულეთში სხვადასხვა დროს ჩაწერილი დიალექტოლოგიური მასალით და თვითონ ამ დიალექტზე მოსაუბრეთა განმარტებითაც, ამგვარი ორი ფორმის შინაარსობრივი განსხვავების შესახებ.

მაგალითად მოვიტანთ რამდენიმე ზმნას:

I — მოქმედებითი გვარის ზმნები

ა) სახელობითობიექტიანი:

(II სუბიექტური პირის ნიშანია ჰ-)

1. II ბრძან: ჩაყარე (ესენი დაიჭირე სუყველაყა, ციხეში ჩაყარეო! 1, 163.

სოდაგარი შვილო, შენი კაი ტანისამოსი ჩაიცვიო,
ეგ კიდე გადაყარე, რახანა სწუნობო. V, 66).

წყვეტ: ჩაჰყარე (ეხლა, როგორც ჩაჰყარეო, ისე ვჭამოთ ერთგანო, თუ ღირსი ვარო. V, 76).

2. II ბრძან: გაყიდე (წადი შენ, ეს ფარი გაყიდე, მენ საკაბე მიყიდე. 1, 134.

გაყიდე ე ძროხა, აღარას გარგია!).

წყვეტ: გაჰყიდე (შარშანის რამდენად გაჰყიდე?

„არ კი გეტყოდი, ჩემო ბატონო,
ყიდვა ნუ იცი შენის ყმისაო,
ბევრი გაჰყიდე ქალი და რძალი
გარდახატული თვალ-წარბ-თმისაო" IV, 152)

3. II ბრძან. მოკალ:

დახარჯეთ ჩემი ამაგი,
შვიდპირად დასხით ჯარია,
ხორცი დააწყვეთ სუფრაზე,
ძროხა დაკალით, ცხვარია: III, 369.

დეკანოზები მორეკე, სუქანი ხარი დაკალი.
შესწოდე დიდიკაცურად მთელი ასო და ბარკალი. IV, 183.

მურყნოსა დადგი ხუნჩანი შაშანდობარი ჩემია,
მანდ მოვლენ გუდამაყრელნი, შიგ არჩეულნი თემნია...
ბევრჯერ სამ გამოიარე, მაღლა მაღლაწის მთანია,
ბევრჯერ მოკალი ირემი, შინ მომიტანე რქანია. IV, 155.

...ვადა მამეცით, თუ ექამდე მოვალო და თუ არა, დაკალით და შეჭამეთ. IV, 370.

წყვეტ: მოჰკალ:

თუ ჩემი შვილი მოჰკალით,
ქალი ვინ მოიყვანაო? I, 150.

თუ ჩემი შვილი მოჰკალი,
ქალი ვინ მაიყვანაო? III, 357.

მთაწმინდას იყავ ხატისა, ძრიალის პირიმზისაო,
ყველას აუნთი სანთელი, საკლავი დაჰკალ ცმისაო. IV, 245.

ძროხაც შენ მოჰკალ, ხარიცა,
კაცი ხარ დახელთილია! IV, 184.

(II სუბიექტური პირის ნიშანია ს-)

4. II ბრძან: გაწყვიტე (ნუღარ დაგვაყრუებ, ჯმა გაწყვიტე! I, 201.
დააღონე გული, ჯმა გაწყვიტე, ხმაწყვეტით იყავ! II, 147).

წყვეტ: გასწყვიტე

(შენი ჭირიმე სვიმანო,
ამირანს გიგავს ბეჭები,
საჯარეთში ქვა გასწყვიტე,
შუახეურში სიპებიო).

5. II ბრძან: დაწერე (დაწერე, თორო დაგოგვიანდება! ეხლა მობრძანდით, რაშეებ დაწერეთ. I, 218).

წყვეტ: დასწერე (მერწმუნე (-მორწმუნე) კაცი ვარ, დასწერე? I, 74.
მამულებით: ღორეჩა, ნათერძი, დასწერე? I, 74.
ეს წუხელ დასწერეთ? I, 228).

6. I ბრძან: ჰამეთ (უთქომ: ჰამეთ ეხლაო. I, 101.
დაკალით და შეჰამეთ. IV, 370).

წყვეტ: სჰამეთ (შესჰამეთ, რო წაადექით ქობსა და სთვლეფდით? I, 238.

აქამდე სჰამე არხოტი,
ეხლა მე გაჰმევ ქვიშასა. IV, 113).

(II სუბიექტური პირის ნიშანია ჲ-)

7. II ბრძან: ნახე (აბა ნახე, როგორც მოუტლაპია ქალშავას ოთახი. I, 239;
ზურაბმა დაავალა თავის მჭედრებსა: „წადით, ნახეთო“; I, 102).

წყვეტ: ჲნახე (რა ვნახეთო, კაცო, რა ვნახეთო, რო მოსულან თურმე, ერთმანეთს გასძახიან, ბალღებში ლაპარაკობენ,
— რა ჲნახეთო? — რკინასაო ცეცხლი ეკიდაო).

8. II ბრძან: გაზარდეთ

(არგა გაზარდეთ ობოლი,
ნუ გამიჯავრებთ ქვრივსაო. III, 367).

წყვეტ: გაჲზარდეთ

(დუმაცხო, თქუენ, მარტიანო,
ღმერთმა გამყოფოთ მრავალი,
გონავ, გაჲზარდეთ პოვლია,
ვაჟკაცი არი მძლავარი. III, 363).

ბ) მიცემითობიექტიანი ზმნები:

(III ობიექტური პირის და II სუბიექტური პირის ნიშანია ჰ-)

9. II ბრძან: მოჰკიდე (ნათელა, მოჰკიდე ჯელი და წამაიყვანე მიწაში ჩასაძვრენი. I, 167.
მოჰკიდე ჯელა, ნანა გავავლიოთ, მოჰკიდე, I, 200.
სისხლიანი ახალუხი კარის უკან ძევსო,
ადე, დედა, გამირეცხე, ღობეს გაჰკიდეო. IV, 199).

10. II ბრძან: მიჰხედეთ

(ჯალაბნო, კარებს მიჰხედეთ,
კარები დაკარგულაო, I, 92).

11. II ბრძან: დაჰკითხეთ (დაიბარეთ თავანკარი კაცი და დაჰკითხეთ:
როგორ მოვიქცეთო. II, 36).

12. II ბრძან. დაჰპატიჟევით:

(„ბერი მოდის ბერობითაო,
წინა მეეგებენითაო,
ცხენზე როცა ჩამოჰხადოთ,
შინა დაჰპატიჟევითაო“).

(III ობიექტური პირის და II სუბიექტური პირის ნიშანია ს-)

13. მოსჭერ (ეხლა შენ მაგას, დანა ამაიღე, ყელი გამასჭერ! I, 135).

(III ობიექტური პირის და II სუბიექტური პირის ნიშანია ჲ-)

14. დაჲდე (ღმერთო მიშველეო, ბარაქა დაჲდეო ჩემ ძროხებსა, ჩემ ნაწველ-ნადღვებსაო, I, 243).

II — ვნებითი გვარის ზმნები

(II სუბიექტური პირის ნიშანია ჰ-)

1. II ბრძან: მოკვდი (ან იშოვე, ან მოკვდიო I, 130)
წყვეტ: მოჰკვდი (მოჰკვდია, ბეჩაო იერემოს).

(II სუბიექტური პირის ნიშანია ს-)

2. II ბრძან: ადექი (ადე, შენ აიღე, ადე, შვილო. I, 211.

ა დ ე, გაღაჯე, გენაცვალე, ადე, დაჯე მზიურასთან. I, 24).
ა დ ე გ და წადი, თათარავ, შემოხიზნულო ტიალო. IV 223.
კარებო დ ა დ ე გ ი, თორემა ცეცხლზე დაგდებ და დაიწვებიო. V, 61).

წყვეტ. ა ს დ ე ქ (ა ს დ ე ქ, ბაბუ? I, 203).

3. ბრძან: ა ჩ ქ ა რ დ ი

(მკვდარი ჩვენ დაგვრჩა სატირლად, სული მიიბარდა ზეცასა, მართალი არის, ა ჩ ქ ა რ დ ი თ, ივანეს განათლებასა. IV. 217).

წყვეტ.: ა ს ჩ ქ ა რ დ ი

(„მამავ, რაისთვის ა ს ჩ ქ ა რ დ ი, სულ წაიკითხე, მთელია, ეგენიც მაგისა არი, რად დააფარე ხელია").

4. ბრძან: გ ა თ ხ ო ვ დ ი (მამრე ამ ქალს უთხრეს: გ ა თ ხ ო ვ დ ი იმაზედაო I, 73.

გ ა თ ხ ო ვ დ ი, მცვდლიანთ ქალაო,
ფეხში ნუ იყრი ბორკილსა,
ჩემი ლოდინი ნუ გაქვის.
ღრო გაქვის პატარძლობისა IV, 225).

წყვეტ: გ ა ს თ ხ ო ვ დ ი (შენც ეგრე არ გ ა ს თ ხ ო ვ დ ი? — ძალად, ძალად წამოგიყვანეს).

(II სუბიექტური პირის ნიშანია ჲ-)

5. ბრძან: ა დ ე ქ ი (ა დ ე ქ ი, დაო მაგდანი, შენი ძმაც გენაცვლებაო. IV, 254).

წყვეტ: ა ჲ დ ე ქ ი თ

(ა ჲ დ ე ქ ი თ, ქალაქს წახვედით,
მაღლად შაიბით ჯმალია. IV, 155).

6. ბრძან: ა ღ მ ო ჩ ნ დ ი

(ა ღ მ ო ჩ ნ დ ი სერის ფხაზედა,
ამ ბეჩავ ქვეყანაზედა,
მთვარევ, არ დამემდურები,
წერილის დაწერაზედა? IV, 199).

III — საშუალი გვარის ზმნები:

II. ბრძან: მოდი (ამას იქით აქ მ ო დ ი თ! I, 160).

წყვეტ: მ ო ხ ვ ე დ (მოხვედ მშვიდობით!
რატო ადრე არ მოხვედ?)

ამ მაგალითებიდან ნათელია, რომ II პირს მთიულურ დიალექტში შენარჩუნებული აქვს II ბრძანებითის ფორმა. ამ დიალექტზე მოსა-

უბრისათვის არასოდეს არ ირევა ერთმანეთში ფორმები: **თქვი — თქვა, დატოვე — დასტოვე, დაწერე — დასწერე** და ა. შ.[2]

II ბრძანებითის გარდა, მთიულურ დიალექტში გამოყენებულია მყოფადის ბრძანებითიც (ჩამოხვიდოდე, მითხროდე, დაიმალოდე, დააწყოდე; ამაიაროდე და ა. შ.). ფშაურისაგან განსხვავებით ასეთ ბრძანებითს მთიულურში მხოლოდ **-ოდ -ე** სუფიქსი აწარმოებს.

ფშაურ დიალექტში ანალოგიური ფორმების განხილვისას გ. ცოცანიძე მას მყოფადის ბრძანებითს უწოდებს (გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, 1978, გვ. 82). მართლაც, ფშაურ, ხევსურულ თუ მთიულურ დიალექტზე ნებისმიერი მოსაუბრისათვის ეს მყოფადის ბრძანებითია. თვითონ ა. ჭინჭარაული, რომელიც წიგნში „ხევსურულის თავისებურებანი“ ამ ფორმებს ხოლმეობით-ბრძანებითის სახელით იხსენიებს, მას მყოფადის ბრძანებითსაც უწოდებს: „ფშაურ-ხევსურულ-თუშური ხოლმეობითი გამოყენებულია მყოფადის ბრძანებითის, ე. წ. თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითის გადმოსაცემად“, — წერს იგი (ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 109).

II ბრძანებითისაგან განსხვავებით, რომელიც, თუ მომავალი დროის აღმნიშვნელი ზმნიზედა არ დაერთო, გულისხმობს II სუბიექტური პირის მიერ ბრძანების მთქმელის თანდასწრებით შესასრულებელ მოქმედებას, განსახილველ **-ოდ-ე** სუფიქსიან ფორმებს ყოველთვის მყოფადის მნიშვნელობა აქვთ, და ჩვეულებრივ გამოხატავენ დანაბარებს, რომელიც მოქმედების ადგილზე მთქმელის არყოფნისას უნდა შესრულდეს, ხოლო ზოგჯერ, ამასთან ერთად, ხოლმეობითის მნიშვნელობაც აქვს.

ეს განპირობებული უნდა იყოს ამ ფორმების წარმოშობით. ა. ჭინჭარაულის დასკვნით, **-ოდ-ე** სუფიქსიანი ხოლმეობით-კავშირებითი არის „მეორე ხოლმეობითიდან ნაწარმოებ ნამყო უსრულზე (ფშაურ მეორე ხოლმეობითზე, ე. წ. არქაულ ნამყო უსრულზე) დაყრდნობით

---

2 თუმცა ახალგაზრდა თაობის იმ ნაწილის მეტყველებაში, რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს, შეინიშნება სრულიად გაცნობიერებული და საკუთარ მეტყველებაზე ძალდატანებითი ტენდენცია, არ იხმაროს II სუბიექტური პირის ნიშანი და ამით თავისი მეტყველება დაამსგავსოს თბილისურს. ამ მცდელობის ერთ-ერთი ბუნებრივი შედეგია მათ საუბარში ბრძანებითი და თხრობითი კილოების ფორმობრივი განუსხვავებლობა.

ამგვარ მეტყველებას (II სუბიექტური პირის და III ობიექტური პირის ნიშნის გამოტოვებით) ისინი მიმართავენ მხოლოდ თბილისში. სოფლად, და საერთოდ, ისეთ წრეში, სადაც საკუთარი მეტყველებისათვის კონტროლის გაწევა არა სჭირდებათ, მათთვის ბრძანებითი და თხრობითი კილოები ისევე განსხვავებულია, როგორც უფროსი თაობისათვის.

ასე რომ, II სუბიექტური პირის ნიშანი და, მასთან ერთად, II ბრძანებითი II პირისა, მთიულურ დიალექტში ცოცხალია ამ ახალი თაობის მეტყველებაშიც.

გაკეთებული კავშირებითი, რომელიც ბრძანებითის როლშიაც გამოდის“ (ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 111).

სწორედ ამიტომ უნდა ჰქონდეთ **-ოდ-ე** სუფიქსიან ფორმებს ერთდროულად მყოფადის და ხოლმეობითის მნიშვნელობა. მათ, როგორც ხოლმეობითისაგან ნაწარმოებთ, აქვთ დიურატიული ასპექტის გაგება, ხოლო როგორც კავშირებითებს — მომავალი დროისა; ამასთანავე, თხოვნის და არა კატეგორიული ბრძანების გაგება. **-ოდ-ე** სუფიქსიანი ფორმა, როგორც კავშირებითი, მუდამ გულისხმობს, რომ მისი საშუალებით მოსაუბრე გამოთქვამს სურვილს, რომლის შესრულების შესაძლებლობაც II სუბიექტურ პირზე დამოკიდებულად მიაჩნია. ამიტომ ამ ფორმებს მუდამ აქვთ თხოვნის, და არა მოთხოვნის, შინაარსი.

ხევსურულისა და ფშაურისათვის მყოფადის ბრძანებითის ფორმათა წარმოქმნის თანმიმდევრობა ასეა წარმოდგენილი:

II ხოლმ.:	არქ. ნამყო	მყოფადის ბრძ.:
ხევს.: (გასთიბი)	უსრული:	გასთიბიდი
ფშაური: (გასთიბი)	გასთიბიდი	გასთიბოდი
	გასთიბოდი	ან გასთიბოდე

(შდრ.: ა. ჭინჭარაული, დასახ. ნაშრ., გვ. 112).

მთიულურში უწყვეტლის ხოლმეობითი და II ხოლმეობითი სამივე პირში ძველი ქართულისებური ფორმით არის შენარჩუნებული, ე. წ. არქაული ნამყო უსრული მას არ მოეპოვება. ამ დიალექტისათვის ჩვეულებრივია ასეთი ფორმები: გავაკეთით (I, 12), გავრეცხით, გავჩეჩით, გავფინით, ავადუღით, გამავიდის (I, 15) და ა. შ. ამიტომ მთიულურში მყოფადის ბრძანებითის ჩამოყალიბების სქემა ასეთი იქნება:

II ხოლმ.:	არქ. ნამყო	მყოფადის ბრძ.:
გასთიბი	უსრული:	გასთიბოდე
	*(გასთიბოდი)	

სქემაში არქაული ნამყო უსრულის ფორმის აღდგენას მხოლოდ **-ოდ-ე** სუფიქსიანი ფორმის არსებობა გვაგულისხმებინებს.

ამგვარ ბრძანებითს მთიულურში, ისევე როგორც ფშაურში (თუმცა შედარებით იშვიათად), შეიძლება მყოფადის კავშირებითიც შეენაცვლოს („ეხლა წადი, შენ დაიმალოდე, საღამოზე მოხვიდოდე. კარებს დააკაკუნებდე“. I, 134). ბრძანებითის მნიშვნელობით გამოყენებული მყოფადის კავშირებითი, მყოფადის ბრძანებითისაგან განსხვავებით, შესასრულებელი მოქმედების მრავალგზისობას ვერ გამოხატავს. მას **-ოდ-ე** სუფიქსიან ფორმებთან თხოვნის ელფერი და მომავალი დროის გაგება აკავშირებს.

-ოდ-იანი ზმნების მყოფადის კავშირებითი (დაიმალებოდე, დაიტანჯებოდე, გასთბებოდე და ა. შ.) ბრძანებითის მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, არ გვხვდება.

მყოფადის ბრძანებითთან, ისევე როგორც II ბრძანებითთან და კავშირებითი კილოს ფორმებთან, მოქმედების მრავალგზისობის გამომხატველი -კე ნაწილაკის ხმარება შეუძლებელია.

როგორც ვნახეთ, მთიულურ დიალექტში ბრძანებითი კილო გადმოიცემა II ბრძანებითის ფორმით (მხოლოდ II პირში) და მთის კილოებისათვის დამახასიათებელი -ოდ-ე სუფიქსიანი ფორმებით, რომლებსაც მუდამ აქვთ მყოფადის მნიშვნელობა, ხოლო ზოგჯერ მასთან ერთად, ხოლმეობითისაც. -ოდ-ე სუფიქსიან ფორმებს შეიძლება ენაცვლებოდეს მყოფადის კავშირებითი, რომელსაც მოქმედების მრავალგზისობის გამოხატვა არ შეუძლია, მაგრამ იგი მყოფადის ბრძანებითის მსგავსად გამოხატავს თხოვნას, და არა კატეგორიულ ბრძანებას.

წყაროების სია და შემოკლებანი:

I. ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბილისი, 1978.

II. ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი, 1967.

III. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბილისი, 1974.

IV. ე. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, თბილისი, 1958.

V. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

M. КОБАИДЗЕ

ПОВЕЛИТЕЛЬНОЕ НАКЛОНЕНИЕ В МТИУЛЬСКОМ ДИАЛЕКТЕ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

I. В современном грузинском литературном языке, в отличие от древнегрузинского языка, в формах II лица формального отличия между повелительным и изъявительным наклонениями нет: используется форма прошедшего совершенного.

В мтиульском диалекте, как и в других горных диалектах грузинского языка, сохранено положение древнегрузинского языка: в изъявительном наклонении представлен пока-

затель II субъектного лица ,в повелительном же — отсутствует: da-s-ɕeɾe „ты написал"—da-ɕeɾe „напиши"

2. В значении повелительного наклонения в мтиульском диалекте встречается и форма глагола с суффиксом, выражающая просьбу, исполнение которой подразумевается в будущем, а иногда сослагательная форма будущего времени: moiṭan-de.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. კიკონიშვილი
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

-ი ელემენტის ერთი ფუნქციისათვის ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში

ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში, ისევე როგორც ძველ ქართულში (აგრეთვე მეგრულ-ჭანურში, სვანურსა და მთის კილოებში), გვაქვს კითხვითი ნაწილაკი -ა, მაგრამ ძვ. ქართულისაგან განსხვავებით, იგი იხმარება როგორც კითხვით სიტყვიან წინადადებაში, ასევე მის გარეშეც[1].

გრ. იმნაიშვილი ა- კითხვითი ნაწილაკის დახასიათებისას შენიშვნის სახით აღნიშნავს, რომ: „კაკურში ზოგჯერ ნამყო დროში (მხ. რ. I და II პ.) -ი ხმოვანთან შესაძლებელია კითხვითი -ა არ იყოს, მაგ.: მე ვერ გოჲგი? შენ გაჲგი? და მისთ.“[2]. გამოკვლევაში „ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში“ გ. იმნაიშვილი წერს: „კაკურშიც ნამყო წყვეტილის მრავლობით რიცხვში ყველგან (როგორც ბრძანებითში, ისე თხრობითში) I და II პირში გვაქვს -ი:... ეს -ი აქ შემთხვევითი არ უნდა იყოს. მას კითხვით წინადადებაში მხოლობით რიცხვშიც ვხვდებით ზმნის ამავე დროის სუფიქსად კაკურშივე: მაგ.: მე ვერ გოჲგი? შენ გაჲგი? რაჲსა ეს, რა დოჲნახი?! დაჲნახი, ბაჟიოღლი? რაჲზე გაჲცინი, კაცო? შიჭმელ გააკეთი? შიშაჲ მაიღი? თეთრ მაიტანი? მაჲყონი? და სხვ. ეს ინი ალიაბათურშიც გვევლინება“[3].

მართლაც, მხოლობით რიცხვში -ი მხოლოდ კითხვით წინადადებაში გვხვდება. როგორც ჩანს, მას კითხვითი ნაწილაკის ფუნქცია აქვს დაკისრებული.

განვიხილოთ შესაბამისი მაგალითები:

I. სალიტერატურო ქართულის ნამყო ძირითადში ე. წ. ნართაული -ი ელემენტით გაფორმებულ ზმნებს (მო-ხ-ველ-ი, ჰ-ქენ-ი, მო-მ-ე-ც-ი)

---

[1] გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966, გვ. 145.

[2] იქვე.

[3] გრ. იმნაიშვილი, ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში, იკე VI, თბ., 1954, გვ. 159.

ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში ეს -ი დაერთვის მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც მას კითხვითი ნაწილაკის ფუნქცია აქვს დაკისრებული:

თხრობითი:	კითხვითი:
„წამსულმა თქო: — ჰო, კედემ მრველ“ (ქ. დ., 230)	„იმ სახლი პატრონმა თქო: — კედემ მრხვლი (ქ. დ., 230)
„რაიც გინდ, ქენ“ (ლამბ., 260)	„მაშ, როგო ქენი?“ (ქ. დ., 231).
	„რა ჰქენი, გადა?“ (ლამბ., 251)
	„ჰათაარ ჰქენი?“ (ქ. დ., 240)
„შენ ტამსამუზ. მე მემეც“ (ლამბ., 282)	„...ერ ჟულაბ არ მემეცი აზიხან? (ლამბ., 274)
„მე ველაპარიკ, საც ვიყავ (ლამბ., 267)	„სა ეყავი? (ლამბ., 267)
„შაქ ცხენზე. წავდეთ!“ (იმნ., 174)	„კაცმა მითხრა — დაიცი (ლამბ., 262)

II. სალიტერატურო ქართულის ნამყო ძირითადში -ე სუფიქსით გაფორმებული ზმნები (წა-ი-ღ-ე, გა-ა-კეთ-ე...) კაკურში ამ ფორმანტის გარეშეა წარმოდგენილი თხრობით წინადადებაში, ხოლო კითხვით წინადადებაში მათაც -ი მოუდით:

„რა ზაალა წადღი? (ლამბ., 257)
„საღთი იპოვნი, საღთი იყიდი?“ (ლამბ., 281)
„სა დაღნახი, წოორი ჰემაგრ ეყო?“ (ლამბ., 292).
„დროზე წოდღ ერთორბაღ (ლამბ., 259)
„უგე მამალ მე მამყიდ“ (იმნ., 184)
„ჩემ მამაღ ნახ!“ (იმნ., 174)
„გადა! ეს რა გაკეთი?“ (იმნ., 187)
„რაბე გაიცინი?“ (იმნ., 174)
„აბე დოჰკოცი?“ (ლამბ., 286)
„ჩონ სოფელში რაბე დოგორცხუნი?“ (ქ. დ. 231).

კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით -ი გვხვდება არა მარტო ნამყო ძირითადში, არამედ აწმყოშიც:

„იცი ეს ემენ ადგილია? (ლამბ., 260)
„მე კი ურუსულ ჰეჩრამ არ ვიც“ (ლამბ., 260).

როგორც ცნობილია, ვ-ი-ც-ი ზმნა II სერიიდან არის გადმოსული და -ი სუფიქსით არის გაფორმებული. კაკურში კი თხრობით წინადადებაში -ი არ ჩანს უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ, როგორც წესი, დამოწმებულია კითხვით წინადადებაში.

კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით გვევლინება აწმყოს მწკრივის ნიშანიც **-ი**:

„რაბე ჰტირი“? (ქ. დ., 239)
„ნოხო, მართლა ჰკდრვი?“ (ღამბ., 271)
„შენ რაბე არ მებნები?“ (ქ. დ., 230)
„შიში ვერ ჰტყრ (ქ. დ., 266)
„მე ჰკდრვ“ (ღამბ., 271)
„მე შენ გებნებ“ (ქ. დ., 230)

სხვა შემთხვევაში ფუძისეული **-ი** არის გამოყენებული კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით:

„არ მიდდი ყარაულოვან?“ (ქ. დ., 236)
„აჲ გადა, საჰტყენ მიიდი?“ (ქ. დ., 239)
„სა მიდდი?“ (ქ. დ. 237)
„ღმერთთან მიუდ შაახოწნელა“ (ქ. დ., 237)
„კარში გავდ, ჩემ მამაჲ მოუდა გონი (ღამბ., 264)

ანალოგიური ქმედება ახასიათებს **-დ-ი** ფუძისგან ნაწარმოებ ჩაზმნისწინიან ჩადენა ფორმას:

— „აჲ კაცო, რას ჰჩედი? (ღამბ., 270).

აღსანიშნავია, რომ თემის ნიშანი **-ი** სრულად არის წარმოდგენილი როგორც თხრობით, ასევე კითხვით წინადადებაში, კითხვის შინაარსს კი კითხვითი ნაწილაკი **-ა** გადმოგვცემს:

„ე ჩემ ფურ ჰყუდი, იყიდია?“ (ღამბ., 291)
„ორ რაჲმიბეთ რაბე მიშლია ჩუნ ყაუმობას?“ (ქ. დ., 231).

ნამყო ძირითადთან შედარებით, აწმყოში მერყეობა გვაქვს: თხრობით წინადადებაში შეიძლება პარალელურად შეგვხვდეს ვიც || ვიცი, გებნებ || გებნები. ამის გამო, ზოგჯერ საჭირო ხდება ამ ზმნებთან დამატებით **-ა** კითხვითი ნაწილაკის დართვა. მაგ., ერთმანეთის გვერდით შეიძლება შეგვხვდეს ასეთი წინადადებები:

„შენ რაბე არ მებნები, რაბე მოსუხარავ?“ (ქ. დ., 230)
„ჰა, რას მებნებია ახლა?“ (იქვე).

როგორც განხილული მაგალითები გვიჩვენებს:

1. **-ი** ელემენტი კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით გვხვდება როგორც კითხვითსიტყვიან წინადადებაში, ისე მის გარეშეც.

2. **-ი** სუფიქსი ამ ფუნქციით გვხვდება ნამყო ძირითადისა და აწმყოს I და II პირში. იგი შეიძლება იყოს უფუნქციო, ნართაული ელემენტიც და გარკვეული მორფოლოგიური დანიშნულების მქონე ფორმანტიც (აწმყოში).

3. **-ი** ამ შემთხვევაში უტოლდება **-ა** კითხვით ნაწილაკს და ცვლის მას I და II პირში. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ ფორმებთან **-ა** ნაწილაკი არ გვხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. დ. — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I. თბ., 1961.

ღამბ. — რ. ღამბაშიძე, ინგილოური კილო, ტექსტები: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 31, თბ., 1949.

იმნ. — გრ. იმნაიშვილი, ინგილოური ტექსტები, კაკური მასალები, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

М. Г. КИКОНИШВИЛИ

К ОДНОЙ ФУНКЦИИ ЭЛЕМЕНТА i В КАКСКОМ ГОВОРЕ ИНГИЛОЙСКОГО ДИАЛЕКТА ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

I. В литературном грузинском языке в формах прошедшего совершенного имеются элементы -i и -e (mo-v-ḳal-i „я убил", но: da-v-c̣er-e „я написал"). В какском говоре на основе унификации имеем только окончание -i.

2. В отличие от литературного языка и других говоров, в какском -i встречается, как правило в вопросительных формах: mo-x-vel „ты пришел, но mo-x-vel-i? „ты пришел?"

На основании этого делается вывод, что элемент -i в какском используется в роли вопросительной частицы (ср.: древнегрузинское -a того же назначения).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ცხადაძე
(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

-ევან, -ეან, -იან სუფიქსები ძველ ქართულში

სიტყვაწარმოების საკითხებს ძველ ქართულში რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა. მათ შორის არნ. ჩიქობავას ფუძემდებელი მონოგრაფია „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, რომელიც რიგ პრინციპულ საკითხს სვამს და წყვეტს. სპეციალური კვლევის საგანი იყო სახელთა სუფიქსური წარმოება, რომელსაც ეხებოდნენ ა. მანჯგალაძე, ა. მარტიროსოვი და სხვები. ჩვენი დაკვირვების საგანი ამჯერად არის ზოგი სუფიქსის თავისებური გამოყენება.

I. -ევან სუფიქსი

-ევან სუფიქსს ზოგი მკვლევარი ამგვარად შლის: **-ევ-ან**, თუმცა ზოგჯერ გამოყოფილი **-ევ** ელემენტი ასახსნელია. -ევან სუფიქსისეული **-ან** ელემენტი ტოპონიმების მაწარმოებლად მიიჩნევა, **-ევ** ელემენტის შესახებ კი არაფერია ნათქვამი.[1]

-ევან სუფიქსი ძველ ქართულში იშვიათად იხმარება, აწარმოებს მჭონეობას. იგი ტოპონიმთა მაწარმოებლადაც გვევლინება ძველსა და ახალ ქართულში: ქურდევანი (ქართ. ცხ.), რატევანი (დოკ. I), ქობევანი (საქ. სიძვ. II)[2], ლელევანი (ტოპონიმია აჭარაში, ჰქვია საძოვარს)[3]. ა. შანიძე მხოლოდ **-ეან** სუფიქსს შენიშნავს ძველ ქართულში[4].

-ევან სუფიქსი ძველ ქართულში დაერთვის ორიოდე ნაზმნარ სახელს:

---

1 თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961, გვ. 145.

2 მაგალითებს ვიმოწმებთ თ. ზურაბიშვილის დასახ. შრომიდან, გვ. 145.

3 ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 59.

4 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 122. ᲘᲮᲘᲚᲔ: ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 52.

1) ნაკლულევანი, რომელიც ასე დაიშლება: ნა-კლ-ულ-ევან-ი (შდრ. ა-კლ-ი-ა). ლექსიკოგრაფები ნაკლულევანს ასე განმარტავენ: ნაკლულიანი (საბა)[5], უქონელი, გლახაკი, უპოვარი, скудный, лишенный, недостаточный (ჩუბ.)[6]. „მოკლებული“, ღარიბი, მცირე. უსრული, „მოქენე“ (ი. აბულაძე)[7]. ხელმოკლე, ღარიბი (რომელსაც აკლია ბევრი რამ).[8] ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში მხოლოდ ნაკლულევანებაა დამოწმებული,[9] ეს სიტყვა არ გვხვდება ქეგლში.[10] ამგვარად, ნაკლულევანი ნიშნავს რაიმე ნაკლის მქონეს, ვისაც რაიმე აკლია. მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს:

პურითა ნაკლულევან იქმნნეს (ფსალმ. 424 Ქ 5); ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან (ცხ. იოვ. და ეფთ. 28, 47. 1; იხ. ასევე: მამ. სწავლ. 57, 23: 159, 22); იხილა... ჭირვეულნი და ნაკლულევანნი (ეჩმ. ფრაგმ 379 b; 379, 8—11, იხ. ფსალმ. 421, Ⴑ 36); ზრდიდა იგი მშიერთა და ნაკლულევანთა მის თანა პყრობილთა მათ (ქრესტ. I, 193, 30—31);

2) მწინკულევან-ი//მწიკულევან-ი ჩუჩყიანი (ი. აბულაძე); არ გვხვდება საბასა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. მათ ლექსიკონებში მხოლოდ „მწიკულ“ ფორმაა შეტანილი და განმარტებული. ქეგლ'ში მწიკვლიან ფორმა გვაქვს (ნიშნავს ვისაც ან რასაც მწიკვლი აქვს, ჩუჩყიანს, გადატ. — უწმინდურს, ბინძურს, ცოდვილს). მწი[ნ]კულევანის საპირისპიროა უ-მწიკულ-ო; შდრ. მეგრ. წიკ-უნ-ს „სვრის“, წიკ-ვილ „დასვრილი“;[11] მოვიყვანთ მაგალითებს:

განაგდე მწიკულევანი იგი (რავახ. 99, 23). ესე ორნივე შეწყეულნი მწიკულევანისა ორიგინს შჯულითა სავსე იყვნეს (კიმ. II, 211, 13): დავიცვნეთ თავნი ჩუენნი გულისსიტყუათაგან მწინკულევანთა (ცხ. წმ. ანტ. 31).

---

5 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით. ტფილისი, 1928.

6 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

7 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973.

8 ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი, 1975.

9 ქართული ოთხთავის სიმფონია — ლექსიკონი, შედგენილი ივ. იმნაიშვილის მიერ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1949.

10 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი. 1950—1964 წწ. ქვემოთ ლექსიკონებს არ დავიმოწმებთ. ვსარგებლობთ ამ გამოცემებით.

11 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 89.

3) с а х а р у л е в а н и: сасиხარულო (საბა), სიხარულით აღსავსე, სასიხარულო (ჩუბ.), გახარებული (ი. აბულაძე). მაგ., с а х а р у л е в а н и სიტყუაჲ გუეგულების აღწერად (ანტიოქ. 120, 5—7; იხ. ფსალმ. 218, ქ 3; 317 Ч 9; ზარზმ. 321, 26—28); სხუანი პრავალნი საქმენი არიან დიდისა მის კაცისანი с а х а р у л е в а н ნ и (ანტიოქ. 91, 31—32); და დაუცხრომელად უგალობდეს ღმერთსა ჴმითა с а х а р у л е в а н и თ ა (ანტიოქ. 99, 25—26; იხ. ხრონ. 255, 13—15); ვერ ესოდენ სრულ ჰყოფენ ბრწყინვალებასა და с а х а р у л е в а н ს а ელვარებასა (ცხ. იოან. დამასკ. 143, 13—15; იხ. ასევე: ცხ. იოან დამასკ. 173, 1—5); გადიდებთ შენ ყოველი თესლები, с а х а р у л е в а н о (ჭეი 162, 11; იხ. ჭეი 82, 15—16; სინ. 28, 6; მრავ. 309, 25—27; ძლისპ. 133,3);

с а х а р у л е в а ნ'ში са- თავსართი ნივთის კატეგორიის საწარმოებელი ნიშანია, са- ივივეა, რაც ха პრეფიქსი с а х а р е б а შასდარში, ძირია — ხარ.[12]

ⵅ-е в а н სუფიქსი ძველი ქართულის ტექსტებში უმეტესად -ეან ფორმითაა წარმოდგენილი (еван→еан):

დააშენის ბერწი სახლსა შინა დედად შჳლთა ზედა с а х а р у л е а н ად (დავ. 159, თ); ⵅ

4) с ხ ე უ ლ-е в а н-и→с ხ ე უ ლ-е а н-и: ...იწუართა მძლავრებამან და მჴეცებრმან მან სულმან ყოვლითურთ с ხ ე უ ლ е в а ნ თ а ორღანოთაგან მასწავლელობისათა დაკუეთებაჲ მათი (მაქსიმ. და ანასტ. 299, 10—12); შდრ. სული იგი სრული ერთი არს, გონიერი იგი უსხეულოჲ, შეზავებული ბუნებითა მით с ხ ე უ ლ е а н и თ а (ეძვ. რედ. 175, 9—10; იხ. ასევე: დიოს. 171, 7);

5) ბ а ყ л-е а н-и (*←ბაყლ-ევან-ი): შალალი, წათხი, თხრამლი, ჩირქი წყლულისა, материя, гной (ჩუბ.); მწვირიანი, ჩუჩყიანი (ი. აბულაძე). არ ეხვედება საბას ლექსიკონში. ქეგლ'ში დ а ბ а ყ л е ბ უ л ი დაჩირქებულს, ჩირქიანს ნიშნავს. ჩვენ მიერ მოხმობილ მასალაში იგი ჩუჩყიანს, მწვირიანს აღნიშნავს:

რაჲ არს სამოსელი იგი ბ а ყ л е а н ი (მამ. სწავლ. 280, 10);
ესე არს სამოსელი იგი ბ а ყ л е а н ი (მამ. სწავლ. 280, 17);
რაჲთა არა ემოსოს სამოსელი ბ а ყ л е а н ი (მამ. სწავლ. 281, 4);

6) წ а მ л-е а н-и (*←წამლ-ევან-ი): წამლიანი, შხამიანი, მოწამლული (ი. აბულაძე). არ გვხვდება საბასა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. წ а მ л е а н ი ნიშნავს შხამის, საწამლავის მქონეს. მაგ.,

და ვიქმნეთ ვითარცა ჯარბნი წ а მ л е а н ნ ი (მამ. სწავლ. 268, 13); სავსენი ისრითა მით წ а მ л е а н ი თ а და მაკუდინებელითა (კიმ. I, 110, 29);

---

12 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 230—231.

-ევან სუფიქსს დაერთვის -ება აბსტრაქტულობის მაწარმოებელი და ვიღებთ აბსტრაქტულ სახელებს: -ევან-ება:

მწინკულევანება-ჲ: ჭუჭყი (ი. აბულაძე).

გინა სხუასა მწინკულევანებასა ჯორცთასა, ნუმცა ვიპყრობთ ყოვლადვე (ცხ. წმ. ანტ. 30, 3); არამედ განჰბანსცა მწინკულევანებასა ცოდვათასა (მამ. სწავლ. 5, 32);

ნაკლულევანება-ჲ: უპოვარება, უქონლობა, скудость, недостаток (ჩუბ.); ნაკლებობა, სიღარიბე, „სიგლახაკე“, მონატრულობა; სიმცირე, „ნაკლულება“ (ი. აბულაძე); ნაკლებობა, ხელმოკლეობა, სიღარიბე (სიმფონია-ლექსიკონი). საბას ეს სიტყვა თავის ლექსიკონში შეტანილი არა აქვს:

და განასრულა ნაკლულევანებაჲ ენისა ჩუენისაჲ (ცხ. იოვ. და ეფთ. 57, 17): უკუეთუ ნაკლულევანებისა შენისათჳს შედგომილ ხარ ქრისტიანეთა (ქრესტ. I, 193, 8); სახარულევანება-ჲ: ხოლო წმიდისა ..., ევფსჴქის წამებასა სახარულევანებასავე თანა მრავალი სარგებელი და გემოვნებაჲ მოუგიეს (ევფსვიქი. 253, 19—20).

II. -ევან, -იან სუფიქსები

-იან სუფიქსის შესახებ ა. შანიძე წერს: „ეს მაწარმოებელი მიღებული ჩანს -ევ-ისაგან. ძველად მისი ფუნქცია უნდა ყოფილიყო აღენიშნა წარმომავლობა ვინმესაგან, აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა: ქრისტიანი, მაჰმადიანი და მისთ. ამჟამად -იან-ი აღნიშნავს ყოლა-ქონებას: ცოლ-იან-ი, ცხერ-იან-ი“.[13]

„ქართული -ევან || -იან-ის იდენტური საწარმოებელი სუფიქსი სომხურსაც მოეპოვება *եան*-ის სახით, რომელიც *յան*-ისაგან მომდინარედ ითვლება. იგი რამდენიმე დანიშნულებით იხმარება. ძირითადად არსებით სახელთაგან აწარმოებს ზედსართავებს რისამე ქონების ან თვისების მნიშვნელობით, აღნიშნავს ვისიმე მოძღვრების ან საქმის მიმდევრობას და, რაც მთავარია, იხმარება მრავალ გვარის სახელებში ამა თუ იმ ტომისა თუ გვარის შთამომავლობის გადმოსაცემად“.[14] როგორც ს. ჯანაშიამ გაარკვია, -იან ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული სუფიქსია, რომელსაც მოეპოვება -ან, -ი-ან,

---

13 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973, გვ. 122.

14 ა. მარტიროსოვი, სუფიქსებით წარმოქმნილ სახელთა ერთი ჯგუფი ძველ ქართულში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, თბილისი, 1976, გვ. 104.

ო-ან, -ო-ვ-ან, -ე-ვ-ან ფონეტიკური ვარიანტები. მისი პირვანდელი და უძველესი ფუნქციაა კრებითობა, რაც ნათლად ჩანს ქართველურ გვარის სახელებში. ავტორის აზრით, -ი ა ნ სუფიქსის ასეთი საყოველთაო გავრცელება და მრავალვარიანტობა ქართველურ ენებში მოწმობს, რომ იგი ამ ენების საკუთარი მორფოლოგიური მაწარმოებელია, ხოლო, თუკი ეს სუფიქსი სხვა ენებშიც იხმარება, ცხადია, იგი ქართველური ენების შენატანად უნდა მივიჩნიოთ.[15] ასევე მეგრულ გვარებში გავრცელებული -ვ ა და -ი ა სუფიქსები უ ა ნ//ი ა ნ დაბოლოებისაგან უნდა იყოს მიღებული.[16] სვანურ-მეგრული გვარების მაწარმოებელთა შესახებ განსხვავებულია ჯ. ონიანის მოსაზრება. ავტორის აზრით, სვანურ გვარში გვაქვს არა ორგვარი დაბოლოება -ი ა ნ და -ა ნ, არამედ მხოლოდ -ა ნ სუფიქსი; სადაც -ი ა ნ ფორმა გვაქვს, ი ხმოვანი აქ ნანათესაობითარია (ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოების ი შ, ქართული ი ს სუფიქსის ნაშთია).[17] პროფ. მ. ქალდანის აზრით, ქართველურ გვარსახელებში ი არ უნდა მომდინარეობდეს ე-საგან და მეგრული გვარ-სახელების ავ-ა/-ავ-ან/ გენეტურად არ უნდა უკავშირდებოდეს ძველ ქართულ -ივ-ან/-ევ-ან/ სუფიქსს.[18]

-ე ა ნ სუფიქსი გვარის მაწარმოებელია ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში. მაგ., ჭობულეანი, აზალეანი, ბანეანი და სხვ.[19] ე ა ნ და ი ა ნ სუფიქსები მიღებულია ევ-ან სუფიქსისაგან, როგორც ეს აღნიშნული აქვს არნ. ჩიქობავას: -ევ-ან→ -ე-ან→ -ი-ან.[20] -ე ვ ა ნ სუფიქსის პირველადი ფუნქცია ძველ ქართულში კრებითობის, სიმრავლის ვაჟიშხატველი უნდა ყოფილიყო, შემდეგ უნდა მიეღო მჭონეობისა და მიმდევრობის, ჩამომავლობის აღნიშვნა. ე ვ ა ნ და ი ა ნ სუფიქსებთან შედარებით, ძველ ქართულში, უფრო ხშირად იხმარება -ე ა ნ სუფიქსი. მაგ.,

ა ბ რ ა მ ე ა ნ-ი — აბრამის მიმდევარი, აბრამის შჯულის მიმდევარი: ესე ნაშობი იყო ა ბ რ ა მ ე ა ნ ი (ქრესტ. I, 186, 15); ღმრთისა სიტყუაჲ... იხილვა ოდესმე მეოთხედ სამთა შორის, ყრმათა ა ბ რ ა მ ე ა ნ თ ა (ურპ. 345, 18—20; იხ. ძლისპ. 16, 30; ლიმ. 97, 11—13);

ქ რ ი ს ტ ე ა ნ-ი (←ქრისტე-ეან-ი) — ქრისტეს შჯულის მიმდევარი. როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, ი ა ნ ზოგ შემთხვევაში სხვა წარ-

---

15 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, III, თბილისი, 1959, გვ. 34—47.

16 ზ. ჰ უ მ ბ ურ ი ძ ე, რა გქვია შენ? თბილისი, 1971, გვ. 37.

17 ჯ. ო ნ ი ა ნ ი, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, თბილისი, 1979, გვ. 81.

18 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი — -ელ/-ავ სუფიქსის საკითხისათვის ქართველურ გვარსახელებში, იკე, ტ. XXII, 1980, გვ. 73.

19 ც. ჯ ღ ა მ ა ი ა, მე-10 საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, თბილისი, 1973, გვ. 52—53.

20 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

მოშობის -ეან'ისგანაც შეიძლება მივიღოთ: ქ რ ი ს ტ ე-ან-←ქ რ ი ს ტ ი-ან:[21]

გულის წყრომითა დიდითა ჰბრძოდეს ქ რ ი ს ტ ე ა ნ ე თ ა (წარტყ. იე, 28—29); ეგრეთ უჩნდა დათხევაჲ სისხლისა ქ რ ი ს ტ ე ა ნ ე თ ა ჲ ს ა (კიმ. I, 48, 23—24);

ა გ ა რ ე ა ნ-ი — აბრაამის შთამომავალი აგარის ხაზით:

სირცხვლეულ ჰყვენ არაწმიდანი და ბილწნი ა გ ა რ ე ა ნ ნ ი (რავახ. 99, 21—22); მიერულა გონებისა სიბრმითა ა გ ა რ ე ა ნ თ ა ერსა (სას. პ. დასდ. ჰაბ. 51; იხ. ასევე: სას. პ. გალ. აბ. 45); შდრ. ა გ ა რ ი ა ნ-ი: ეტყოდე შენ ა გ ა რ ი ა ნ თ ა ერსა (რავახ. 103, 24);

ა დ ა მ ე ა ნ-ი — ადამის შთამომავალი:

იჴსნა მისგან ტყუენი ა დ ა მ ე ა ნ ნ ი (სას. პ. მინჩხ. 448, XVII; იხ. სას. პ. მინჩხ. 219, I); შეიმოსა ხატი ა დ ა მ ე ა ნ თ ა ჲ სახიერებით (სას. პ. დასდ. ნათლის-ღებ. III 4—5; იხ. ასევე: სას. პ. მტბევ. II. I; ძლისპ. 56, 8);

მ ო ს ე ა ნ-ი — მოსეს შჯულის მიმდევარი:

მ ო ს ე ა ნ ნ ი ც ა ფრიად მრავალნი სახოან ყვნა (ხრონ. 36, 35); ესე იგი არს მ ო ს ე ა ნ ი ს ა შჯულისა (თარგმ. ეკლ. 143, 10);

ა რ ი ო ზ ე ა ნ-ი — არიოზის მიმდევარი, არიოზელები:

საბა მიექცა ა რ ი ო ზ ე ა ნ თ ა და შეერთო მწვალებელთა (საბა ასური, 172, 36; იხ. ასევე: საბა ასური, 172, 16—19);

სხვა შემთხვევაში -ეან სუფიქსი მჭონეობის გამომხატველია: ე დ ე მ ე ა ნ-ი:

სამოთხესა ღმრთისასა შუენიერი ნერგი, ე დ ე მ ე ა ნ ი, ყუავილგარდაფენილი, აღმოსცენდი შენ ღელეთა მათ შინა ქრისტეს მცნებათასა (სას. პ. მტბევ. X. 8—10);

ო ქ რ ე ა ნ-ი (←ოქრო-ეან-ი←ოქროევან-ი) — ოქროთი გაწყობილი... „ოქროქსოვილი“.

დააღგინე დედოფალი მარჯუენით შენსა შემოსილი სამოსლითა ო ქ რ ე ა ნ ი თ ა... (ფსალმ. 114, Ⴣ, 10); ...და სიტყჳთა შენითა ო ქ რ ე ა ნ ი თ ა ო ქ რ ე ა ნ ჰყვენ მორწმუნეთა სულნი (სას. პ. მტბევ. XII, 11—12, იხ. ასევე: სას. პ. დასდ. ყოვ. წმიდ. 169—171; ფსალმ. 115, Ⴣ, 14), შდრ. ო ქ რ ო ვ ა ნ-ი: ფესუეედითა ო ქ რ ო ვ ა ნ ი თ ა შემკულ არს და შემოსილ პირად-პირად (ფსალმ. 115, Ⴢ, 14); იხმარება ო ქ რ ო ვ ე ა ნ ფორმაც: ვინაჲ მატყლსა მას ო ქ რ ო ვ ე ა ნს ზრდის პინაჲ, რომელსა-იგი ვერვინ მღებვართაგანმან შეუძლო ღებვაღ ღესამომდის (უძვ. რედ. 105, 8—10);

ნ ი შ ე ა ნ-ი (←ნიშ-ევან-ი) — სასწაულის მჭონე:

---

21 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 89, შენიშვნა 1.

აპიდოჲსა ჯბოჲსა ბაგათათჳს, რომელი იგი იყო ნიშეან (ზრახვანი 21, 22); შდრ. ნიშოვან-ი: აპიდოდ ჯბოდ მეგჯპტელნი უწოდენ ნიშოვანს მას სხუა სახეობითა კუდისა და ენისაჲთა (ზღაპრ. 18, 22);

მწდეან-ი (←მწდ-ევან-ი):

და განვაწყვენ მომღერნი და მომღერალებნი და საშუებელნი ძისა კაცისანი, მწდენი და მწდეანი (ხრონ. 93, 16—17);

ქეცეან-ი — ქერცლიანი:

ანუ არა თესლნი მეკუერცხეთანია, რომელ არიან კნინ-ღა და ყოველნივე თევზთაგანნი, ანუ არა ქეცეანნია, ანუ არა უქეცონნია და ფრთოვანნი და უფრთეონნი? (ექუს. 81, 16—18);

ტყეან-ი (←ტყე-ეან-ი) — ტყიანი

და მივიდეს აღგილსა ტყეანსა და უდაბნოსა (იღ. ქ. 32, 22—23).

ჴმეან-ი — ხმიანი:

მრავალ-ჴმეანი და მრავალ-ფერი გამოძიებაჲ დაწერეს (ექუს. 12, 33);

საცთურეან-ი — საცთურიანი, მაცთუნებელი, მატყუებელი:

წინაჲსწარ თხრობაჲ მაცთურთა აღდგომისათჳს საცთურეანისა და მწვალებელთა უღმრთოებისა და ყოფადისა მის საშჯელისა (I პეტრე. Ქ, 67, 9—12);

-იან სუფიქსი ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება, იგი ჩასახვის საფეხურზე წარმოგვიდგება, როგორც დამოუკიდებელი სუფიქსი. მაშასადამე, ძველ ქართულში დასტურდება სამივე საფეხური. ევან→→ეან→იან.

-იან'ში ე წინა რიგის საშუალო ხმოვანი შეიცვალა ი წინა რიგის მაღალი ხმოვნით, რაც დამახასიათებელია როგორც თანამედროვე სალიტერატურო ენის, ისე მისი დიალექტებისათვის: ეამა→იამა, გავუთხარია→გავუთხარეა.[22] ეა→ია პროცესი გავრცელებულია ძველ ქართულშიც: პატრეაქი→პატრიაქი: მაშინ აღდგა მეფჱ და პატრეაქი (კიმ I. 165, 1; იხ. კიმ. I, 164, 12—13); შდრ.: იყო მათ ჟამთა კოსტანტინეპოლეს პატრიაქად სერგიოს (კიმ. I, 62, 19; იხ. ასევე: კიმ. I. 63, 15; 64, 27—29);

„ეა კომპლექსის ფონეტიკური ცვლილება აიხსნება არა იმდენად და არა მარტო ასიმილაციით, არამედ უფრო მეტად გარკვეულ პოზიციაში ე'ს თავისებურებით და მეტნაკლებად მიდრეკილებით სათანადო ცვლილებისაკენ. უშუალო მეზობლობის გარდა, ა წინამავალი ე'ს ცვლილებას ხელს უწყობს და ი'დ აქცევს შორეულ მეზობლობაშიც, რაც ცნობილია ქართულში: ქრისტეანი→ქრისტიანი, მეგრ. წიარი←მწე-

---

22 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I, თბილისი, 1973, გვ. 28.

ვარი".[23] ამრიგად, იან—ეან. ძველ ქართულში **-იან** სუფიქსი აღნიშნავდა მქონეობას (რაიმეს მქონეობას ან ვისიმე ყოლას); რასაც ამჟამად სუფიქსი ასრულებდა, ის ფუნქციები დაეკისრა -იან სუფიქსსაც:

ქ რ ი ს ტ ი ა ნ-ი (←ქ რ ი ს ტ ე ა ნ ი):

მაშინ სპარსთა მათ გულის-ხმა-ყვეს, ვითარმედ ღმერთსა განუწირვან ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ნ ი (წარტყ. იე, 22—23):

ქ ვ ი ა ნ-ი (*←ქ ვ ე ა ნ ი←*ქ ვ ე ვ ა ნ ი):

არცალა ეკალი და კუროჲსთავი, არცა ღირღუარი და არცა კლდოანი და ქ ვ ი ა ნ ი (მამ. სწავლ. 125, 10):

მ ა რ ი ლ ი ა ნ-ი (*←მარილეანი *←მარილევანი). შდრ. მარილოვან-ი.

ხოლო უკუეთუ უმგბარი იყვის ანუ უმარილოჲ ანუ მ ა რ ი ლ ი ა ნ ი (ცხ. იოვ. და ეფთ. 37. 70, 5):

გ ე ს ლ ი ა ნ-ი: ენაჲ მისი შავ და გ ე ს ლ ი ა ნ ვითარცა ასპიტისაჲ (კიმ. I, 55, 8—10):

ო რ ო გ ე ნ ი ა ნ-ი: ღმერთმა ..., დაამხო ო რ ო გ ე ნ ი ა ნ თ ა ერთსულოვნება (კიმ. II, 217, 10—12):

-ეან//-იან სუფიქსს დაერთვის -ო ბ ა მაწარმოებელი და ვიღებთ აბსტრაქტულ სახელებს:

შ უ ღ ლ ი ა ნ ო ბ ა-ჲ (←შუღლეანობაჲ):

რამეთუ პირველითგანვე უძნდა შ უ ღ ლ ი ა ნ ო ბ ა ჲ და შფოთი (ცხ. იოვ. და ეფთ. 23. 33, 1):

ს ა ც თ უ რ ე ა ნ ო ბ ა-ჲ:

რომლითა ცხად ჰყოფს კაცის-მკლველსა ეშმაკსა, შთამჩურჩნელსა სასმენელთა შინა ევაჲსთა და მის მიერ შემტყუებელსა ნათესავთ-მთავრისა ადამისსა ს ა ც თ ურ ე ა ნ ო ბ ი თ ა (თარგმ. ეკლ. 145, 8—10).

ვდაბოლოს ახსნას მოითხოვს -ე ვ ა ნ (და მისი ვარიანტების -ე ა ნ, -ი ა ნ) სუფიქსის წარმოშობა. იგი მართლაც (ევ-ან) **ევ** და **ან** ელემენტებად იშლება, როგორც ზოგი მკვლევარი ფიქრობს. მაგრამ რას წარმოადგენს **-ევ** და **ან** ელემენტები?

-ე ვ ა ნ სუფიქსი ძველი ქართულის დონეზე არქაულ იერს ატარებს: იგი ერთ-ერთი უძველესი სუფიქსთაგანია ძველი ქართულისათვის. -ე ვ ა ნ სუფიქსი ძველ ქართულში სახელსა და სახელზმნაში გვხვდება (სხეულევანი, ნაკლულევანი...), რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ -ე ვ ა ნ

---

23 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ხმოვან კომპლექსთა ფონეტიკური პროცესების საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკე, I, თბილისი, 1946, გვ. 25—26; ა. შ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, საერო მწერლობის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, V, თბილისი, 1953, გვ. 100. ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს. I, თბილისი, 1964, გვ. 291—292. იხ. აგრეთვე Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, стр. 58.

საზიაროა სახელისა და ზმნისათვის. იგი გვიან უნდა გასჩენოდა მას, დარსა და მიმღეობას. -ევან ასე შეიძლება დაიშალოს: ევ-ან, სადაც ევ თემის ნიშანი უნდა იყოს (შდრ. ძლევს, არღუევს, ცრემლევოდა..., ცრემლევა), ან კი კრებითობა-მქონეობის გამომხატველი სუფიქსი (შდრ. ცრემლევოდა — ცრემლევა, მაგრამ ცრემლევანი//ცრემლეანი→ცრემლიანი, ცრემლის მღვრელი, ცრემლების მქონე).

შემოკლებანი

ანტიოქ. — ტიმოთე ანტიოქიელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა, კ. კეკელიძის გამოცემა, ენიმკის მოამბე, ტ. VII, თბილისი, 1940.

დაე. — დავითნი, დაბადება (ბიბლია), ნაწილი მეორე, ტფილისი, 1884.

დიოს. — ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დიოსკორისი: კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბილისი, 1960.

ევფსვიქი — ღუაწლი წმიდისა და დიდებულისა მოწამისა ევფსჭჭი კესარია კაბადოკიელისაჲ. კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბილისი, 1960.

ექუს. — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ. გამოსცა მ. კახაძემ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II (25), 1947.

ეჩმ. ფრაგმ. — Н. Я. Марр, Эчмиадзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого Завета, XB, том II, вып. III, 1913.

ზარზმ. — ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, თბილისი, 1963 (დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, წ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ და სხვ., ი. აბულაძის რედაქციით).

ზღაპრ. — „ელინთა ზღაპრობანი", გამოსცა ი. აბულაძემ, ენიმკის მოამბე, ტ. X, თბილისი, 1941.

თარგმ. ეკლ. — თარგმანებაჲ ეკლესიასტესაჲ, მიტროფანე ზჳმრელ მიტროპოლიტისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ, ტფილისი, 1920.

ილ. ქ. — ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს). თბილისი, 1967. (დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ და სხვ., ი. აბულაძის ხელძღვანელობითა და რედაქციით).

კიმ I—II — კიმენი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბილისი, I.—1918, II—1946.

ლიმ. — იოანე მოსხი. ლიმონარი, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1960.

მამ. სწავლ. — მამათა სწავლანი, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1955.

მაქსიმ. და ანასტ. — მოთხრობაჲ ღუაწლისა და ვნებულებათა ღირსისა და აღმსაარებელისა მაქსიმესთაჲ და ანასტასი მოწაფისა მისისათაჲ და ამათ თანა მრავალ-ღუაწლისა რომთა პაპისა მარტინესი: კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955.

მრავ. — მრავალთავი, გამოსცა ი. აბულაძემ, ენიმკის მოამბე, ტ. XVI, თბილისი, 1945.

I პეტრე — კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პეტრესი: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ, თბილისი, 1956.
რავახ. — ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა ანტონი რავახისი, გამოსცა ი. ყიფშიძემ: XB, том II, Вып. I, С.—Пб. 1913.
საბა ასური — ცხორებაჲ საბა ასურისაჲ, გამოსცა ს. ჯანაშიამ: ს. ჯანაშია, შრომები, III, თბილისი, 1959.
სას. ბ. — ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, I, გამოსცა პ. ინგოროყვამ, ტფილისი, 1913.
სინ. — სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959.
ურპ. — ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა იოვანე ურპაელისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ, XB, том II, вып. III, С.—Пб. 1913.
უძვ. რედ. — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1964.
ფსალმ. — ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მ. შანიძემ, თბილისი, 1960.
ქრესტ. I. — ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I (ნაწილი I), თბილისი, 1949.
ცხ. იოან. დამასკ. — ცხორებაჲ იოანე დამასკელისა, კ. კეკელიძის გამოცემა, XB, Т. III, вып. II, С.—Пб. 1914.
ცხ. იოვ. და ეფთ. — ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1946.
ცხ. წმ. ანტ. — ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი, გამოსცა ე. იმნაიშვილმა, თბილისი, 1970.
ძლისპ. — ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა, თბილისი, 1971.
წარტყ. — წარტყუენაჲ იერუსალჱმისაჲ, თქუმული ნეტარისა სტრატიკი მონაზონისაჲ, გამოსცა ნ. მარმა, Тр. т. IX, С. — Пб. 1909.
ჰეი — ჰილ-ეტრატის იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1977.
ხრონ. — ხრონოგრაფი გიორგი მოწაზონისაჲ, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1920.

Б. А. ЦХАДАДЗЕ

СУФИФИКСЫ EVAN, -EAN, -IAN В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В древнегрузинском языке встречаются суффиксы -evan, -ean, -ian. Из них -evan является архаичным и употребляется с именами существительными и отглагольными именами (nak̦lulevani „недостаток“, букв. „имеющий недостаток“; saxarulevani „раду-

ющий“, букв. „имеющий радость“; sxeulevani „телесный“, букв. „имеющий тело“). Этот суффикс, видимо, произошел в результате слияния двух суффиксов **-ev** и **-an**. Суффикс **-ev** можно рассматривать древнейшим тематическим показателем. **-an** указывает на принадлежность (ср. cremlevoda „он плакал“, cremlevani „плачущий“, букв. „имеющий слезы“).

В дальнейшем от -evan получены суффиксы **-ean** и **-ian**: evan→ean→ian.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. არაგული

(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

-ია დაბოლოებისა და მეშველზმნიან ფორმათა საკითხი I თურმეობითში

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები I თურმეობითში მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის სუფიქსად ოთხ ფორმანტს გამოაველენენ: **-ს, -ნ, -დ, -ა.** ამათგან ძირითადია **-ს** სუფიქსი, **-ა** მისი ისტორიული შემცვლელია, ხოლო **-ნ** და **-დ** ფორმანტები უკვე ძველ ქართულში სპორადულად დასტურდება. **-ს** სუფიქსის პრიორიტეტს ძველი ქართულისათვის მრავლობითში მისი შესაბამისი **-ან** ფორმანტის ძირითადობაც აღასტურებს.

აშკარაა, რომ მესამე პირის სუფიქსებს ისტორიულად დიდი ცვლილებები შეეხო. გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი ვარეგნულად მნიშვნელოვნად შეიცვალა: ჰქონდა **-იეს** დაბოლოება, აქვს — **-ია**. მესამე პირის **-ს** სუფიქსის **-ა**-თი შეცვლას უკვე ძველ ქართულში აქვს ფეხი მოკიდებული, ჩანს, ის ცოცხალი ენობრივი პროცესის ამსახველია. **-ია** დაბოლოება ჯერ კიდევ ჰაემეტ ტექსტებში ვლინდება,[1] ხოლო „სინურ მრავალთავში“ რამდენიმე ასეთი ნიმუში დასტურდება.[2] დადგენილია, რომ X—XI სს.-ის ზოგიერთ ძეგლში **-ია** დაბოლოება უტოლდება და სჭარბობს კიდეც **-იეს** დაბოლოებას.[3]

ძეგლთა ჩვენება ნათელს ხდის, რომ **-ია** დაბოლოება თანდათან იკაფავს გზას, ოღონდ ის მთლიანად ძველი ქართული სალიტერატურო ენის არცერთ ძეგლში არაა გატარებული, ამიტომაც ამ დონეზე

---

1 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 168—169.

2 ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. — თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბ., 1959, გვ. 318.

3 ი. იმნაიშვილი, იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება. — თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ., 1961, გვ. 135.

ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღლებისათვის პირველ თურმეობითში. — თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბ., 1976.

ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

ნეოლოგიზმად ჩაითვლება. ცოცხალ მეტყველებაში რომ ეს მოვლენა საბოლოოდ გატარებული და განმტკიცებული ყოფილიყო, წარმოუდგენელია, ერთი გადამნუსხავის ნამოღვაწარის ფარგლებში მაინც მას პრიორიტეტი არ მისცემოდა (ცხადია, ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი ორიგინალთა ავტორიტეტულობა იქნებოდა). ამასვე მიანიშნებს ის ადრეული ფორმები (**-ია** დაბოლოება I—II პირში, **-იას** კონტამინაციური დაბოლოება), რომლებიც ზ. სარჯველაძეს აქვს დამოწმებული.[4] **-ია** დაბოლოების ისტორიული დამკვიდრების საჩვენებლად საინტერესოა რედაქციული მონაცემები. თითქოს აშკარაა, რომ შედარებით გვიანდელ რედაქციებში უფრო ხშირია **-იეს** დაბოლოების ნაცვლად **-ია**-ს წარმოდგენა, რაც ამ უკანასკნელის დამკვიდრების პროცესს უნდა ასახავდეს. მაგრამ არც ისეთი შემთხვევებია თითებზე ჩამოსათვლელი, როცა გვიანდელი რედაქცია ძველ დაბოლოებას გვიჩვენებს ადრინდელი რედაქციის ახალ ფორმასთან შედარებით. როგორც ჩანს, ყველაფერი გადამნუსხავის ინდივიდუალურ ცოდნაზე იყო დამოკიდებული, სალიტერატურო ენის ტრადიციები ზღუდავდა ცოცხალ ენობრივ პროცესს. დასტურდება ისეთი ლაფსუსიც კი, როცა ერთსა და იმავე ფრაზაში ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა დაბოლოებითაა წარმოდგენილი: ...განწესებაჲ იგი თუ შეაჩ¯ნე, მეფჱ შეგიჩუენებია. მიუგო მონამან ღ¯თისამან: მე მეფჱ არა შემიჩუენებიეს... (კიმ. 1. 74, 12—13).

ახლა შევადაროთ ერთი და იმავე ძეგლის ორი რედაქცია.

ა) გვიანდელი რედაქცია, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი **-ია** დაბოლოებით არის წარმოდგენილი:

ხოლო ესე მეუფე, რომელსა პორფირი შეუმოსიეს... ესე ქუეჲთ ფერჴითა მივიდეს საფლავსა მას... (მამ. სწავლ. 87, 29. შდრ. C: შეუმოსია); და ყოველსა, რომელსა მოუგიეს სიმდაბლე, და შესცოდა მას ძმამან... (მამ. სწავლ. 286,6. C: მოუგია), (იგივეა 286. 13-ში, მაგრამ C-ში „მოუგია“ აღარ ენაცვლება); შენ შჯული აღგისრულებიეს და წინაწარმეტყუელნიცა (მამ. სწავლ. 149, 13. C: აღგისრულებია); გულის-თქუმა გულისა შენისა მიგიცემიეს მისდა (ფსალმ. 44, 3. Ჭ. Ⴕ: მიგიცემია), (იგივე: ფსალმ. 151, 6. Ჭ და Ⴕ); და წმიდაჲ ესე ბერი უდებ უყოფიეს? (ნოველ. II, 161, 16. C: უყოფია).

ბ) უფრო ახალი რედაქცია ძველ ფორმას გვიჩვენებს და პირიქით: მცნებაჲ მოუცემია შენდა ღმერთსა... (მამ. სწავლ. 136, 22. BC: მოუცემიეს); და ვინაჲთგან გიცნობია განკითხვაჲ სარგებლისა მომატყუებელი, განიკითხევდი მარადის თავსა შენსა... (მამ.

---

[4] ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 171—172.

სწავლ. 136, 33. BC: გიცნობიეს); ...გარნა ურწმუნომცა ნუვინ არს, რამეთუ ჩუენ თავით თჳსით არარაჲ აღგჳწერია... (იოვ. და ეფთვ. 4, 1. BCD: აღგჳწერიეს); წარმო-ვინაჲ-მე-უცთუნებია ბერსა ამას ყრმაჲ ესე? (ნოველ. II. 161, 16. C: უცთუნებიეს).

საგულისხმოა, რომ რედაქციების სხვადასხვა მინაწერებში, ანდერძებში და სხვა პირადულ შენიშვნებში ყველაზე უფრო ხშირად იჩენს თავს ახალი ფორმები:

...ჩუენ კულა, რაჲთოდენ ეგების, ბერძულსა დაგჳმსგავსებია (ძლისპ. 51, 30. გ. მთაწმიდლის ანდერძი); თუ დაკლებაჲ რაჲმე მიყოფია, შენდობა [ყავთ] (ძლისპ. 207, 3. მთარგმნელის შენიშვნა); და მეცა ეგრეთვე სამოციქულოჲ სიტყუაჲ ვითა მათ ეთარგმნა, ეგრეთ დამიწერია პირველ... (მოციქ. 29, 31—32. ეფრემ მცირის ანდერძი); შემინდვეთ რყუნისათჳს, საშუღლავსა ადგილსა მიწერია (მც. სჯულ. 76. A სქოლიო. ამიაზე მინაწერი); ...და მისად ნცˉვლად მეყსˉლდ დამიწერია... (წარტყ. იერუს. 64. იერუსალიმური რედაქციის ერთ-ერთი თავის მინაწერი).

X ს-ის დასასრულის (80-იანი წ.) ატენის სიონის მხედრულ წარწერაში იკითხება: ...მე მონასა მათსა დამიწერია ხელითა სახელი მათი... (ჟ. „ცისკარი“, 1978 წ., № 5, გვ. 140).

I თურმეობითის -ა სუფიქსი (აღმიშენები-ა) ნ. მარმა მეშველი ზმნიდან მომდინარედ მიიჩნია (—არ), მაგრამ ეს არ იყო მოულოდნელი, რადგანაც მეცნიერი ბევრ სუფიქსში ხედავდა მეშველი ზმნის ნაშთს და ასეთადვე მიაჩნდა I თურმეობითის ძველი ფორმის -ეს დაბოლოებაც (აღმიშენები-ეს).[5] -ა-ს მეშველი ზმნიდან წარმომავლობა შესაძლებლად მიიჩნია ა. შანიძემაც.[6] ვ. თოფურიასა და ნ. ნათაძის თვალსაზრისით -ა სუფიქსია მესამე პირისა, რომელსაც ფუძის ბოლო ხმოვნის კვეცა შეუძლია. ეს მოვლენა I თურმეობითში ვნებითის აწმყოს დონეზე დგება (თეთრდების→თეთრდება).[7] პირველი თვალსაზრისი (ნ. მარი, ა. შანიძე) შემდეგ ლ. ბარამიძემ დაიცვა. მან არ გაიზიარა I თურმეობითის ვნებითის აწმყოსთან კავშირი, რადგანაც ისინი სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის წარმონაქმნებია, და მეტი სიახლოვე დაინახა შეღგენილ შემასმენელთან, სადაც „არს“ მეშველი ზმნა ადრევე იკვეცებოდა (შემკულ-ა). ფუძის ე ხმოვნის დაკარგვა

---

5 Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, с. 125.

6 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 436, შდრ. გვ. 319.

7 ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში. — იკე, ტ. VII, 1955, გვ. 456—457; ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, — იკე, VII, გვ. 91—92.

არაბუნებრივი ხმოვანთკომპლექსის შექმნას მიეწერება (მიუცეს -ია). ნაგრამ ისტორიულად I თურმეობითის I—II პირსაც გაუჩნდა მეშველი ზმნა, რომლის წინაც ფუძის -ე ხმოვანი ასევე იკარგება, ამას კი I—II პირის მეშველ ზმნას ვერ მივაწერთ. ამიტომაც უშვებს მკვლევარი, რომ I—II პირებში III პირის ფუძე უნდა განზოგადებულიყო.[8]

მაინც რა მონაცემებს ემყარება -ა სუფიქსის მეშველი ზმნიდან მომდინარეობის ვარაუდი გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში?

მეშველი ზმნა ამ პოზიციაში უძველეს ტექსტებშიც არსად დასტურდება.

ყველა შემთხვევა, სადაც ა—არს პროცესი გატარდა, ისტორიულად არის დადასტურებული და, საერთოდ, ყველა მეშველზმნიანი წარმოების ჩამოყალიბება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაწიერზე ხდება. ცხადია, V საუკუნემდელი ვითარება არც ამ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ. „არს“ მეშველი ზმნის გამარტივება მანამდე ვერ იქნება დაწყებული, პროცესის დასრულებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

მონაცემები, რომლებიც ა—არს პროცესის საგარაუდოდ ფოხს ქმნიან, არის I თურმეობითის ის ერთეული მეშველზმნიანი ფორმები ძველ ქართულში, რომლებსაც მსჯელობის გასაადვილებლად „დამატებითი კომბინაციის“ ფორმები შეიძლება ვუწოდოთ. კერძოდ, ძირითადი პარადიგმაა: დამიდგენიეს, დაგიდგენიეს, დაუდგენიეს (თავისი მრავლობითის ფორმებით). ამათ ემატება ფორმები, რომლებიც პირთა დანარჩენი კომბინაციების შემავსებელია და შედარებით იშვიათი ხმარებისაა ძველ ქართულში: დაუდგენიე (I—II პირი), დამიდგენიე, დაგიდგენიე. ამ რიგის ფორმებს ისტორიულად მეშველი ზმნები უჩნდება. როცა მესამე პირის ფორმა მათთან ერთ პარადიგმაში მოექცევა (დაუდგენი-ვარ, დაუდგენი-ხარ, დაუდგენი-ა), -ა მეშველი ზმნის დონეზე აღმოჩნდება.

I თურმეობითის შესაძლებელ კომბინაციათა სქემა მოცემული აქვს ლ. ბარამიძეს, საღაც, ძირითადი პარადიგმის გარდა,[9] შემდეგი კომბინაციებია მოცემული: 1. შემიპყრიე (მე//ჩვენ შენ), 2. შემიპყრიეთ (მე//ჩვენ თქვენ), 3. შეგიპყრიე (შენ//თქვენ მე), 4. შეგიპყრიეთ (შენ//თქვენ ჩვენ), 5. შეუპყრიე (მე მას//მათ, შენ მას//მათ), 6. შეუპყრიეთ (ჩვენ მას//მათ, თქვენ მას//მათ).[10]

---

[8] ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში. — თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964, გვ. 111—112. შდრ. ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

[9] ძირითად პარადიგმას იმიტომ გამოვრიცხავთ, რომ იქ მეშველი ზმნა არ განვითარებულა და დანარჩენებისაგან დაბოლოებაც განსხვავებული აქვს.

[10] ლ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

ამ კომბინაციებიდან უნდა გამოვრიცხოთ, ჯერ ერთი, (1) და (2) იმის გამო, რომ მეშველზმნიანი ფორმების დამკვიდრების პერიოდში მ-/გუ- პრეფიქსებს შორის მხოლოობით-მრავლობითის ფუნქციების განაწილება უკვე ისტორიის კუთვნილება იყო, გუ-ს ფუნქციები მეშველ ზმნას არ დაჰკისრებია. შემდეგ უნდა გამოვრიცხოთ (3) და (4) კომბინაციები, რამდენადაც მეშველი ზმნის დართვას მათში რეალური სუბიექტის მრავლობითობის ასახვა არ გამოუწვევია, კერძოდ, გვქონდა: შეგიპყრიე (შენ//თქვენ მე), შეგიპყრიეთ (შენ//თქვენ ჩვენ), მივიღეთ: შეგიპყრივარ (შენ//თქვენ მე), შეგიპყრივართ (შენ//თქვენ ჩვენ). ახალი ქართულის შეგიპყრივართ (თქვენ მე, შენ//თქვენ ჩვენ) შემდეგი მოვლენაა და ახალ დამთხვევებს იწვევს.

გვრჩება (5) და (6) კომბინაციები იმ თვალსაზრისით, რომ ისინი პირების მიხედვით არაა გარჩეული, მათს ფორმობრივ დამთხვევას I და II სუბიექტური ნიშნების წარმოუდგენლობა იწვევს; რიცხვის გარჩევა, (3) და (4) კომბინაციების მსგავსად, არც აქ შეუძლია მეშველ ზმნას. ამდენად მეშველზმნიანი წარმოება პირველ რიგში ამ ორი პირის საკითხია, ამიტომაც სამართლიანია ლ. ბარამიძის მიერ მათი წინ წამოწევა.[11] I—II პირში **უ** ხმოვნის წინ იკარგება როგორც პირველი პირის **ვ-**, ისე მეორე პირის **ხ-/ჰ-** პრეფიქსები და ორი პირის ფორმა ერთმანეთს ემთხვევა (დაუდგენიე მე, შენ). I თურმეობითისათვის სწორედ I და II სუბიექტურ პირთა გაურჩევლობაში უნდა ვეძებოთ მეშველ ზმნათა დართვის მიზეზი, შემდეგ კი ისინი სხვა პირის ფორმებშიც გადავიდოდა იმ საერთო ზოგადი მიზეზის გამო, რომ მეშველი ზმნების გაჩენა სტატიკური ხასიათის ზმნებისათვის არის ნიშანდობლივი, ის სტატიკურობის ფორმალურ ნიშნად მოიაზრება.[12] ამგვარად, ეს ორი დებულება კი არ ეწინააღმდეგება, აჯობს ერთმანეთს: სტატიკური ხასიათის ზმნებში მეშველი ზმნის გაჩენის საერთო ტენდენცია პირველ რიგში სწორედ იქ გამოვლინდა, სადაც ამისათვის პირველი რიგის აუცილებლობა წარმოიშვა, იქ, სადაც აღნიშნულ ზოგად ტენდენციას პირთა გაურჩევლობის კერძოობითი მიზეზიც დაერთო (საზოგადოდ, ბუნებაში ამა თუ იმ ტენდენციის გამოვლენა ხშირად არსებულის ჩამოყალიბებული სტრუქტურის „სუსტ წერტილში“ იწყება ხოლმე). მეშველი ზმნების გაჩენის ისტორია სწორედ ამის სასარგებლოდ მეტყველებს. საგულისხმოა შემდეგი დეტალები: ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ხშირი არ არის „დამატებითი კომბინაციების“ ფორმათა გამოყენება, 150-მდე ძეგლში სულ 73 ნიმუში დაგვიდასტურდა (განმეორებულ ფორმათა ჩათვლით). ეს ძირითადი

---

11 ლ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

12 ქ. ლომთათიძე, ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში. — იკე, 1, 1946, გვ. 134; მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1975, გვ. 11—12.

პარადიგმის ფორმებთან შედარებით ზღვაში წვეთია. აქედან უმეტესობა (48) პირთა კომბინაციების (5) და (6) წევრებზე მოდის, დანარჩენი (25) წინა ოთხ კომბინაციაზე. ამათგან (5), (6) წევრებს (I—II პირს) 10 მეშველზმნიანი ფორმა გამოუვლინდა, დანარჩენებს — 4.

ამგვარად, ძველი ქართულისათვის ტიპობრივი ნიმუშებია: ნეტარ იყვნენ რ~ლთა არა უხილავ მე და ჰრწმენეს (ბოლნ. 82, 6); ... ნუ გეშინინ, რამეთუ მე უფალსა მოუვლინებიე შენდა... (ქრისტეფ. 189, 34); ...რომელთამე უტუირთავ, და რომელნიმე ადიდებენ სახელსა შენსა (ჭილ-ეტრ. 19, 20); ...რამეთუ განუწირავთ და არღარა ხართ თქუენ მისა ერთად (წარტყ. იერუს. ლდ. 28); გარემოუცავთ (ჩუენ) (სკვთ. 18, 32); მიშობიე (მოციქ. 13, 33); შეგირაცხიე (მოციქ. 16, 15); გიცნობიე (ბიქტ. 170. 10); გიჯსნიეთ (დომენტ. 97, 2); შემივედრებიეთ (ლიმ. 35, 31); გვგდებიე (მამ. სწავლ. 230, 32)...

ძველი ქართულისათვის ნეოლოგიზმებად შეიძლება ჩაითვალოს მეშველზმნიანი ფორმები (ისინი ასეთადაცაა მიჩნეული[13]):

მითხარ მე რაჲ არს საქმე ჩემი და მამისა ჩემისა, რომელ ესრეთ შეუწყუდევივარ ესრეთსა ადგილსა და გაუყენებივარ კაცთაგან და კაცნი ჩემგან? (ბალავარ. 20, 28—29. C); ხოლო მე მიუდრეკივარ სიყუარულსა საწუთროჲსასა... (ბალავარ. 77, 36—37); მიუდრეკიხარ (იქვე, 110, 22—23); ...ვინაჲთგან მწყემსად და მცველად მათდა შენ გამიჩინებიხარ (ასურ. 115, 23. Ჭ); ...არცა ერთისა ვისდა შეუპოვნებივარ ღმერთსა... (ნოველ. 1. 6, 10, 14. A); და ამისთჳს მოხუჱდა შენ, რაჲთა რომელსა ივი უზრდივარ სამეოცსა ამას წელსა, დღეს მიმიღო ივი ჩემგან? (იქვე, 1, 6, 10, 13. A); ...არამედ შეუპყრივარ მე შიშსა მას ბნელისა მის ჟამისასა... (იქვე. 1. 3, 4, 6); ხოლო აწ ჩუენ უგულებელს გიქმნივართ... (დიდ. სჯულ. 503, 37)...

ყველაზე ადრეული მეშველზმნიანი ფორმები X ს-ის ძეგლებშია დადასტურებული.[14] ზ. სარჯველაძე ვარაუდობს, რომ -ია დაბოლოების დამკვიდრების პერიოდში I—II პირის მეშველზმნიანი ფორმები უკვე უნდა არსებულიყო, რამდენადაც მათ ერთმანეთთან აკავშირებს.[15] ჩვენთვის ისინი სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე გამოვლენილი სხვადასხვა ოდენობებია, რაც ძეგლებშიც არის ასახული.

1976 წელს ზ. სარჯველაძის ნაშრომზე გამოქვეყნებულ რეცენზიაში ბ. გიგინეიშვილმა ავტორის დამოწმებულ ანომალიურ ფორმებზე

---

13 ი. აბულაძე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბ., 1957, გვ. 32—33.

14 ლ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 114; ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 172—174.

15 ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

დაყრდნობით -ია დაბოლოების შესახებ ახალი თვალსაზრისი წამოაყენა. მკვლევრის აზრით, -იე→-ია ცვლილება მორფოლოგიურად ვერ აიხსნება, ის ფონეტიკურად უნდა იყოს შეპირობებული: იე კომპლექსმა მოგვცა უფრო ბუნებრივი კომპლექსი ია, ხოლო შემდეგ მეტაანალიზის შედეგად ფონეტიკურად მიღებული -ა პირის ფორმანტად ჩაითვალა, ხოლო -ს დაიკარგა (-იეს→-იას→-ია). ასევე -ია დაბოლოების მეტაანალიზის შედეგად არის მიჩნეული მეშველი ზმნის დართვა I—II პირში.[16] ბ. გიგინეიშვილის ეს თვალსაზრისი ძირითადად დამყარებულია ზ. სარჯველაძის მიერ დამოწმებულ ანომალიურ ფორმებზე: მიშობიეს (მე შენ). გგონია (თქუენ მე), მიშობია (მე შენ)...[17]

თავი რომ დავანებოთ ლაფსუსების („მცდარი დაწერილობების" — ზ. სარჯველაძე) კანონზომიერ ენობრივ ფაქტებად ჩათვლას, ამ თავისთავად საინტერესო თვალსაზრისს ამოსავალშივე ხვდება ერთი მთავარი წინააღმდეგობა. როგორც აღინიშნა, -იე→-ია ფონეტიკური პროცესის ამხსნელ ძირითად არგუმენტად ქართულისათვის ია კომპლექსის ბუნებრიობაა დასახელებული, რის საბუთებადაც დამოწმებულია: თეატრი→თიატრი, ადამეანი→ადამიანი, აგარეანი→აგარიანი, ბრკიალება, ტრფიალი, ნიავი, სიავი. დამოწმებული მაგალითები ეა ხმოვანთმიმდევრობის არაბუნებრიობის დასასაბუთებლად არის გამოსადეგი და არა იე კომპლექსისა. იე ხმოვანთმიმდევრობა ქართულში სავსებით ასატანია და ის ია კომპლექსად არ იცვლება: ძლიერი, გონიერი, მადლიერი, ლმობიერი, საქციელი, პაციენტი, იელი, იერი და მისთ. ამდენად, აღნიშნული დებულება რთული ისტორიული ცვლილებების ამხსნელად ვერ გამოდგება.

III პირის -ა სუფიქსისა და I—II პირის მეშველი ზმნების წინ ყოველთვის მოკვეცილია ძველი -იე დაბოლოების -ე ელემენტი (შდრ.: შეუპყრიე→შეუპყრივარ, შეუპყრიეს→შეუპყრია). თუ III პირში -ე-ს დაკარგვა გასაგებია, I—II პირში ის ახსნას მოითხოვს, რადგან ამგვარ პროცესს მეშველ ზმნას ვერ მივაწერთ. აქ, ჯერ ერთი, გასაზიარებელი ჩანს მოსაზრება, რომ შეკვეცილი ფუძე III პირიდან ჩანს გადმოსული I—II პირში.[18] მეორეც, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ -ე აფიქსი ნამყო დროისაა (ვ. თოფურია) და დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს; მეშველი ზმნაც ძირითადი ზმნის ფუძეში გადმოცემული მოქმედების რეზულტატს სტატიკურად წარმოადგენს,

---

[16] ბ. გიგინეიშვილი, ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა. — ცისკარი, 1976, № 8, გვ. 138—139.

[17] ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., 171—172.

[18] ლ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

გარკვეულად შედეგს იძლევა, მოქმედების დასრულებას გულისხმობს, ამიტომაც ამ პოზიციაში **-ე** ფორმანტი ფუნქციურადაც წულის ტოლი აღმოჩნდებოდა (შეუპყრი-ე-ხარ).

მონაცემები ცხადყოფენ, რომ **-ია** დაბოლოება III პირში I—II პირისაგან სრულიად განცალკევებით დგას. სამართლიანია ლ. ბარამიძის ბოლო დასკვნა, რომ ქართველურ ენებში მესამე პირის მეშველი ზმნა არა გვაქვს, რადგანაც იქ პირები ისედაც გარჩეული იყო,[19] მაგრამ ეს დასკვნა აღარ გვავალებს, რომ III პირში **-ა** სუფიქსის „არს“ ზმნიდან მომდინარეობა ვეძიოთ. როგორც I თურმეობითის წარმოების ისტორია, ისე **-ა** დაბოლოების ქცევა ამ პოზიციაში **-ა-ს** სუფიქსობას უჭერს მხარს. ყველა არგუმენტი ამის სასარგებლოდ მეტყველებს: 1. როცა აღწერილი მეშველზმნიანი წარმოების ჩამოყალიბების პროცესი სულ ათიოდე ნიმუშითაა წარმოდგენილი და ისიც გვიანდელ ძეგლებში, მესამე პირის **-ს** სუფიქსის **-ა-თი** შეცვლა უფრო ძველი და შორსწასული ჩანს; 2. ისტორიულად არსადაა დადასტურებული **-ა-ს** პოზიციაში „არს“ ზმნის გამოვლენა და 3. მესამე პირში მეშველი ზმნის ღართვა ქართველურ ენათა მონაცემებით არც იყო მოსალოდნელი; 4. ფონეტიკური პროცესი, რასაც **-ა** იწვევს (**-ე-ს** კვეცა) მეშველ ზმნას არ შეიძლება მივაწეროთ; 5. ისტორიულად პირის ნიშნის მეშველი ზმნით ჩანაცვლება არ დასტურდება, პირის ნიშნების ურთიერთთან მონაცვლეობა კი ფაქტია (შდრ.: თბებისთბებაა; არსარნ; აკეთენაკეთა; უპყრიესუპყრიენუპყრიედუპყრია და სხვა).

ამგვარად, ისტორიულად III პირის **-ა** სუფიქსი ენაცვლება **-ს** სუფიქსს ძირითადი პარადიგმის სამსავე ფორმაში და იწვევს ფუძის ბოლო ხმოვნის კვეცას: შემიპყრი-ა, შეგიპყრი-ა, შეუპყრი-ა (შდრ.: თბებ-ი-ს||თბებ-ა, აკეთ-ე-ნ||აკეთ-ა და მისთ.). ამ პოზიციაში **-ა** სუფიქსი რომ მეორეულია, ისიც ადასტურებს, რომ მრავლობითში შემოგვრჩა **-ს** სუფიქსის შესაბამისი ფორმანტი **-ან**.

ერთი სუფიქსის მეორით შეცვლის მიზეზთა პოვნა ამჟამად გაძნელებულია, თუმცა ხელშემწყობ ფაქტორებზე მინიშნება შეიძლება: ასეთებია — მესამე პირის მრავლობითობის **ა** ხმოვნის შემცველი **-ან** სუფიქსი და იმავე პერიოდში მიმდინარე პროცესი „არს“ მეშველი ზმნის გამარტივებისა (→**-ა**).[20] პირის სუფიქსთა ისტორიული მონაცვლეობის აშკარა ფაქტები (და მათი მიზეზები) ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია და გაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

---

19 ლ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

20 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 319; ლ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 111—112.

А. И. АРАБУЛИ

ВОПРОС ОБ ОКОНЧАНИИ ia И ВСПОМОГАТЕЛЬНЫХ ГЛАГОЛАХ В I РЕЗУЛЬТАТИВНОМ

Резюме

В памятниках древнегрузинского литературного языка в формах I результативного вместо окончания -ies постепенно закрепляется окончание -ia (ukmnies→ukmnia). Позднее, в синтетических формах I и II лиц (ukmnie) стали использоваться и вспомогательные глаголы (ukmni-xar).

Ряд исследователей окончание -а в I результативном считает остатком вспомогательного глагола III лица «ars» (Н. Я. Марр, А. Г. Шанидзе, Л. Г. Барамидзе), другие же его считают суффиксом III субъектного лица (В. Т. Топуриа, Р. Н. Натадзе).

История образования I результативного, а также деяние окончания -а в указанной позиции свидетельствуют о его суффиксальности: 1. Процесс становления форм I и II лиц со вспомогательным глаголом представлен едва ли десятком примеров (и то в сравнительно поздних памятниках), в то время, как замена суффикса S_3-s суффиксом -а выглядит более древней; 2. Исторически глагол ars на месте упомянутого -а нигде не засвидетельствован и, что главное, 3. Существование вспомогательного глагола в III лице синтетических форм картвельского глагола не подтверждается; 4. Фонетический процесс, который вызван суффиксом -а (усечение -е), нельзя приписать влиянию вспомогательного глагола; 5. Замена личного показателя вспомогательным глаголом в грузинском языке исторически не подтверждается, взаимозаменяемость же личных показателей является фактом (ср.: tbebis ‖ tbeba, ars ‖ arn, aḳeten ‖ aḳeta, upqries ‖ ‖ upqrien ‖ upqried ‖ upqria...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. დანელია

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ძველი ქართულის ლექსიკიდან. 4. მსხოვრი (მსხორი)

ზედიზედ ორი საინტერესო შრომა დაიბეჭდა ძველ ქართულში იშვიათად ნახმარი მსხოვრი (მსხორი) სიტყვის შესახებ[1]. საჭიროდ ვთვლით, მოკლედ შევახსენოთ მკითხველთ ამ შრომათა ძირითადი აზრი.

დღემდე მიღებული ახსნით (არნ. ჩიქობავას, კ. შმიდტის, გ. კლიმოვის, თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანისა და სხვათა), ქართული ცხოვარ ფუძის კანონზომიერ შესატყვისად მიიჩნეოდა ჭან. მჩხურ და მეგრული შხურ ფორმები, ხოლო სომხური ოչխար (*ոչխար*) კოლხურიდან იმ დროის ნასესხობად ითვლებოდა, როცა თვით კოლხურში არ უნდა ყოფილიყო მომხდარი ა→ო გადაწევა, მაგრამ უკვე განხორციელებული იყო საერთო- ქართველური შუა-სიბილანტური (*ზ, *ს, *ძ, *წ, *ც,) სპირანტებისა და აფრიკატების გადასვლა შიშინა სპირანტებსა და აფრიკატებში (ჟ, შ, ჯ, ჭ, ჩ-ში)[2]. ბ. გიგინეიშვილის შრომაში საეჭვოდ არის მიჩნეული ასეთი ახსნა და გამოვლენილია ის წინააღმდეგობანი, რომლებსაც შეიცავს არსებული ახსნა, კერძოდ, კ. შმიდტისა: *ჩხოვარი→*ჩხოვორი→*ჩხუვორი→*ჩხუორი→*ჩხვორი→*ჩხვური→*ჩხური[3]. მკვლევრის აზრით, სომხური ოչխար უნდა მოდიოდეს ქართ. საცხოვარ ფუძის შესატყვისად სავარაუდებელი კოლხური *→ოჩხოვორ ფორმისგან: *→ოჩხოვორ→*ოჩხოხორ→

---

[1] ბ. გიგინეიშვილი, ცხვრის აღმნიშვნელი უძველესი ქართული სიტყვა: საენათმეცნიერო კრებული (ძძღვნება გ. მაჭავარიანის ხსოვნას ღვაწების 50 წლისთავზე), თბ., 1979, გვ. 52—61. ა. შანიძე, ლექსიკოლოგიური შენიშვნები. მსხოვარი, მემცხვარე: საქ. სსრ მეც. აკად. „მაცნე" (ენისა და ლიტ. სერია), № 2, 1980, გვ. 89—94.

[2] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 149—150.

[3] K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, გვ. 150.

→*ოჩხაარ→*ოჩხარ[4]. ხოლო კოლხური მჩხურ, შხურ ფორმების კანონზომიერ ფარდად (ბგერათა რეგულარული შესატყვისობის დაცვით) მიჩნეულია ქართ. მსხორ, რომელიც დაცულია მრავალთავის ძველ ქართულ თარგმანში, კერძოდ, ხანმეტსა და სინურში (მსხოვრად-ის სახით)[5].

ა. შანიძემ გაიზიარა ბ. გიგინეიშვილის ახსნა, ოღონდ ქართულის ამოსავალ ფორმად მსხოვარ მიიჩნია, რომელიც ადრევე ლიტერატურული ცხოვარ სიტყვის კილოური ფორმა უნდა ყოფილიყო; შემდეგ ფონეტიკურად შეცვლილა: ცხოვარ→ცხუარ (შდრ. მთოვარე→მთუარე), მსგავსად ამისა: მსხოვარ→მსხუარ. მკვლევრის აზრით, მსხოვარ (მსხუარ) კილოურ ფორმათა ადრე არსებობაზე უნდა მეტყველებდეს როგორც კოლხ. მშხური (ჭან. მჩხური, მეგრ. შხური), ასევე დღევანდელ ქართულ კილოებში არსებული ხელობის სახელი მემცხვარე, რომლის მეორე მ ჩანართი კი არ უნდა იყოს, არამედ ფუძის კუთვნილება მსხოვარ სიტყვისა. თავიდან უნდა ყოფილაყო მე-მსხოვარ-ე, შემდეგ: *მემსხუარ-ე. მაგრამ ცხუარ/ცხვარ სიტყვის გავლენით მემცხუარ-ე-დ ქცეულა[6].

როგორც ჩანს, ორივე შრომაში გატარებული საინტერესო მოსაზრებების ძირითადი საყრდენია მსხორ/მსხოვარ (←მსხოვარ) სიტყვის არსებობა ძველ ქართულში, სიტყვისა, რომელიც ცხვრის მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო. სანამ მსხოვარ-ის ამ მნიშვნელობაში ეჭვს შევიტანდეთ, დავასახელებთ იმ ერთადერთ ადგილს, რომელიც მოყვანილია დასახელებულ შრომებში მსხოვარ/მსხორ სიტყვის ხმარების ნიმუშად. ეს იშვიათი სიტყვა მოიპოვება იოანე ოქროპირის სანათლისღებო ჰომილიის ქართულ თარგმანში. ა. შანიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება ამ სიტყვის ხმარებას ხანმეტ მრავალთავში[7]: „რამეთუ მსხორად ნათესავისა მის კაცთაჲს(ა) მოსრულ ვარ. რაჲთა თანანადები იგი მათი გარდავიჴადო“. მანვე შენიშნა, რომ მრავალთავის სხვა ხელნაწერებში მსხორად სიტყვას ცვლიდა. მაცხოვრად (სვანური), მსტოვრად (პარხლისა, მსხოვრად→მსტოვრად ხ-ს ტ-დ მცდარად წაკითხვის გამო), მსახურებად (მე-11 საკ. მეტაფრასული ტექსტი). მკვლევარმა ყველა წაკითხვა მცდარად ჩათვალა და მსახურად ფორმას მისცა უპირატესობა მოგვიანებით გამოცემულ ტექსტში[8].

---

4 ბ. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

5 იქვე, გვ. 58.

6 ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91—94.

7 ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: ტფ. უნ. მოამბე, VII, 1927, გვ. 123.

8 ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, ტუ., 1935, გვ. 20.

ი. მოლითორმა არ გაიზიარა ეს გასწორება, მ ს ხ ო რ ა დ ლ ა დ და საგანგებო შენიშვნა გაუკეთა: „არ წაიკითხო მ ს[ა]ხ უ რ ა დ, არამედ უფრო სავარაუდებელია „ც ხ ო[ვ]რ ა დ“. ხოლო ზემოდასახელებული ადგილის მ ს ხ ო რ ა დ ლათინურად ასე თარგმნა: ut ovis „როგორც ცხვარი“[9].

ა. შანიძე და ბ. გიგინეიშვილი იზიარებენ ი. მოლითორის აზრს, რომ ზემოდასახელებულ ადგილას მ ს ხ ო რ ა დ გაგებულ იქნეს ც ხ ვ რ ა დ, ოღონდ არ ეთანხმებიან იმაში, რომ მ ს ხ ო რ ა დ მცდარი ფორმა იყოს და მოდიოდეს ც ხ ო ვ რ ა დ-ისაგან. ა. შანიძე წერს: მ ს ხ ო რ ა დ სიტყვას შესწორება არ სჭირდება ც ხ ო ვ რ ა დ ფორმად, „მ ს ხ ო ვ ა რ ი თავისი მნიშვნელობით იგივე იყო, რაც ც ხ ო ვ ა რ-ი“[10]. ბ. გიგინეიშვილი კი აღნიშნავს: ამ ადგილას მ ს ხ ო რ ა დ-ის ც ხ ვ რ ა დ გაგებისას ი. მოლითორს ალბათ ხელთ უნდა ჰქონოდა რომელიმე რედაქცია ბერძნული ტექსტისა, თორემ სრულიად უსაფუძვლოდ ამას ვერ იტყოდა. თანაც კ რ ა ვ ი და ც ხ ვ ა რ ი სამსხვერპლო ცხოველებია და ორივე მათგანი ქრისტეს ეპითეტად დასტურდება და ამიტომ მ ს ხ ო რ ი ს ა თ ვ ი ს ც ხ ვ რ ი ს მნიშვნელობის მიცემა საკმაოდ ბუნებრივად უნდა ჩავთვალოთო[11].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მ ს ხ ო ვ რ (მ ს ხ ო რ) სიტყვის მსგავსება ც ხ ო ვ ა რ სიტყვასთან შემთხვევითია, მათ შორის რაიმე კავშირი არ უნდა იყოს: მ ს ხ ო ვ რ ი სხვა სიტყვაა ფორმით და შინაარსითაც და ც ხ ო ვ ა რ ი კიდევ — სხვა.

ფორმის მხრივ აუხსნელია, რატომ მიიღო ერთმა სიტყვამ მნიშვნელობის უცვლელად ძალიან განსხვავებული ორი ფორმა, ან რომელია მათგან ამოსავალი ფორმა. თუ ჩავთვლით, რომ ამოსავალია ც ხ ო ვ ა რ-ი, როგორც ლიტერატურული და ფრიად გავრცელებული ძველ ქართულში, როგორც ამას ა. შანიძე ვარაუდობს, მაშინ მ ს ხ ო ვ რ ფორმაში ასახსნელი იქნება: ა) **მ** ძირეული ბგერაა, ფონეტიკური დანართი თუ მორფოლოგიური ღირებულების პრეფიქსი; ბ) რითი აიხსნება ჰარმონიული **ცხ** კომპლექსის **სხ**-დ ცვლა, ძველ ქართულში მოსდის თუ არა **ც**-ს დეზაფრიკატიზაცია სპირანტთან; გ) **ცხ-ოვ** ძირზე დართულ **არ** სუფიქსს (შდრ. ცხ-ოვ-**არ**, ცხ-ოვ-**ელ**) რატომ მოსდის რედუქცია **მსხ-ოვ** ძირთან (მსხ-ოვ-**რ**←*მსხ-ოვ-**არ**), თუ მას არ ერთვის ხმოვნით დაწყებული სუფიქსი (შდრ. ცხ-ოვ-**რ**-ებ←*ცხ-ოვ-**არ**-ება). ამ კითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი არა ჩანს.

---

[9] Monumenta Iberica antiquiora. Textus ianmeti et haemeti ex Inscriptionibus, S. Bibliis et Patribus collegit et in linguam latinam convertit addito Glossario Joseph Molitor, Louvain, 1956, გვ. 71.

[10] ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90—91.

[11] ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

შინაარსის მხრივ კი მსხოვრი (მსხორი) ძველ ქართულში ნიშნავდა არა ცხვარს, არამედ შემცველს, საქმის გამკეთებელს, საქმით (და არა მარტო სისხლით) მემკვიდრეს. ვიდრე მსხოვრის ხმარების სხვა რვა მაგალითს დავასახელებდეთ, დავიწყებთ თვით ცნობილი მაგალითის განხილვით იოანე ოქროპირის სანათლისღებო ჰომილიიდან.

1. ოქროპირი აღნიშნავს, რომ განკაცებული ღმერთი ქრისტე ამ ქვეყნად „ყოველსავე შჯულსა სიმდაბლით აღასრულებდა“: წინადაცვეთა მიიღო, მოსეს წიგნები ისწავლა, იოვანესგან ნათელიღო. ყოველივე ამას ადამიანთა გადარჩენისათვის აკეთებდა და ამიტომ ეუბნებოდა ის ნათლისღების წინ იოვანეს: ჯერ ნუ გამოაჩინებ ჩემი ღვთაებრიობის საიდუმლოს, თორემ ეშმაკმა „ვერღარა მკადროს მე განცდად, ვითარცა ადამსა“, რადგან დაეცემა იგი ჩემი ღვთაებრიობისაგან. მოვა დრო, როცა „ვიდიღო მე და სიტყუანი ჩემნი. გარნა აწ ესრე შუენის აღსრულებად ყოველი სიმართლჱ, რამეთუ მსხოვრად ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოსრულ ვარ, რაჲთა თანა-ნადები იგი მათი მე გარდავიჴადო. ვითარცა კრავი ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოვედი დაკლვად“ (81, 15—19)[12].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსხოვრად აქ გაგებულია ცხვრად, ხოლო მრავალთავის სპეციალურ ლექსიკონში, რომელიც ი. იმნაიშვილმა შეადგინა, განუმარტავია ეს სიტყვა და მნიშვნელობის დაუდგენლობის გამო ამოსავალი მსხოვრ-ი ფორმის ნაცვლად მსხოვრად-ის სახითაა შეტანილი[13]. ჩანს, კონტექსტი რთულია და მაცთურიც, ბ. გიგინეიშვილის სიტყვებისა არ იყოს, „რამდენნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა მნიშვნელობის მხრივ“. ვფიქრობთ, ამ ადგილას მსხოვრად-ის ცხვრად გაგებაში მკვლევართ არსებითად ორმა გარემოებამ უბიძგა, ჯერ ერთი, ცხვარი ქრისტეს მეტაფორაა. მეორეც, იქვე, მომდევნო წინადადებაში ქრისტე დასაკლავ კრავად მოიხსენიება. მაგრამ გაუთვალისწინებელი დარჩა ორი გარემოება: ა) მიღებული ახსნით კონტექსტი უხერხული ტავტოლოგიის შემცველი გამოდიოდა (კაცთა მოდგმის ცხვრად მოვსულვარ/როგორც კრავი, კაცთა მოდგმისათვის დავიკვლები); ბ) მსხოვრ-ს სხვა ძეგლებში აშკარად არა აქვს ცხვრის მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ ოქროპირის თხზულების ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბერძნულ დედანს ზემოდასახელებული ადგილი აკლია (Migne. PG. t. 59, გვ. 489—492), ჩვენთვის საეჭვო არ არის, რომ ქრისტეს სიტყვები: „მსხოვრად ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოსრულ ვარ...“

12 სინური მრავალთავი 864 წლისა..., ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959.

13 ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი (გამოკვლევა და ლექსიკონი), თბ., 1975, გვ. 203.

ნიშნავს: კაცთა მოდგმის შ ე მ ც ვ ლ ე ლ ა დ, მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა სულვარ, ე. ი. იმისთვის მოვსულვარ, რომ ადამისმიერი ცოდვიანი კაცთა მოდგმა შ ე ვ ც ვ ა ლ ო (ე. ი. უცოდველი და ამ გზით უკვდავი გავხადო), მათი ვალი გადავიხადო (ე. ი. მათი ცოდვები ვიტვირთო) და ამ ცოდვათა გამოსასყიდად კრავივით დავიკლა კაცთა მოდგმის გადასარჩენადო.

ასეთ ახსნას მხარს უჭერს მ ს ხ ო ვ რ ი ს ხმარების სხვა შემთხვევები.

2. ერთი აპოკრიფული თხზულება „თქუმული ღმრთისმშობლისა შობისათჳს“, რომელიც იაკობის პირველსახარების (პროტოევანგელეს) სახელითაცაა ცნობილი, დაცულია სინურ ხელნაწერში (ა. ცაგარლით, № 71, ი. ჯავახიშვილით, № 6). ეს ნუსხა გადაწერილია 983 წელს იოვანე ზოსიმეს მიერ. თხზულებაში მოთხრობილია, რომ იოვაკიმის უშვილო ცოლის — ანას ვედრება შეისმინა ღმერთმა და ორსულობიდან მეშვიდე თვეს შეეძინა ქალი, რომელსაც უწოდეს მარიამი. ბავშვი რომ ერთი წლის გახდა, ოჯახმა პურობა გადაიხადა. მოვიდნენ მოწვეული მწიგნობარნი, მღვდლები, მღვდელთმოძღვარნი; დალოცეს ბავშვი და თქვეს: „ღმერთო მამათა ჩუენთაო, მოიხილე ყრმასა ამას ზედა და აკურთხე ესე კურთხევითა სულიერითა, რომელსა მ ს ხ ო ვ რ ი არა აქუს“ (6, 2)[14].

ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია აქ ნახმარ მ ს ხ ო ვ რ სიტყვას და აღნიშნა: მისი მნიშვნელობა დასადგენიაო[15]. შემდგომ ეს ადგილი უთუოდ შემთხვევით გამორჩა პატივცემულ მეცნიერს, თორემ უეჭველად სხვა შინაარსს მიიღებდა 1980 წელს მ ს ხ ო ვ ა რ ზ ე დაბეჭდილი მისი შრომა, რადგან ზემოდასახელებულ ადგილას ც ხ ვ ა რ ზ ე ლაპარაკი გამორიცხულია. აქ ერთი წლის მარიამს ლოცავენ, ღმრთისგან სულიერ კურთხევას გამოითხოვენ მისთვის, ვინც დედ-მამისათვის ერთადერთია და შეუნაცვლებელი, ვისაც თავადაც არა აქვს მემკვიდრეობა, არა ჰყავს შ ე მ ც ვ ლ ე ლ ი. იქნებ ვიკითხოთ: ერთი წლის მარიამს რა მემკვიდრე უნდა ჰყოლოდა, ხოლო თუ მარიამის მომავალ ცხოვრებაზეა ლაპარაკი, ქრისტეს მშობელზე რატომ უნდა ეთქვათ: მემკვიდრეობა არა აქვსო. საქმე ისაა, რომ, როცა ანგელოზმა უშვილობით შეწუხებულ ანას გამოუცხადა, შვილი შეგეძინებაო, გახარებულმა ქალმა აღთქმა დადო:„უკუეთუ ვშვე ქალი ანუ ჭული, მოვჰგუარო იგი ნიჭად უფალსა ღმერთსა ჩემსა და იყოს იგი მისი ყოველთა ღღეთა ცხორებისა მისისათა“ (4, 1). მართლაც, სამი წლის მარიამი მშობლებმა აღთქმისამებრ მიიყვანეს „ტაძრად უფლისა“ და იქ დატო-

---

14 ა. შ ა ნ ი ძ ე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები: ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, ტ. 20, 1977, გვ. 25.

15 ი ქ ვ ე, გვ. 11.

ვეს. პატარა მარიამი ღმერთის მადლით „მოიღებდა საზრდელსა ჴელითა ანგელოზისათა“ (8, 1). ცხადია, როცა ღმრთის ძღვნად („ნიჭად“) აღთქმულ ერთი წლის მარიამს ლოცავდნენ მღვდელნი, მათ შეეძლოთ დარწმუნებით ეთქვათ: ღმერთო, მოხედე ამ ბავშვს, რომელსაც მემკვიდრეობა არა აქვს, შემცვლელ-გამგრძელებელი არა ჰყავსო (მღვდელთმოძღვარმა ზაქარიამ ხომ გვიან, როცა მარიამი გაიზარდა, „გამწჯსნა“, მაშინ მიიღო ანგელოზისგან ჩვენება მარიამის ქვრივ კაცზე გათხოვების თაობაზე).

აღსანიშნავია, რომ ჟ. გარიტს, რომელმაც ამ აპოკრიფის ქართული ტექსტი გამოსცა ლათინური თარგმანითურთ, ხელთ ჰქონია ამ ძეგლის სირიულ და სომხურ თარგმანებთან ერთად ბერძნული ორიგინალიც (C. Tischendorf, Evangelia apocrypha, Leipzig, 1876), მაგრამ მსხოვრის თარგმნა მაინც გასაძნელებია, „რომელსა მსჴოვრი არა აქუს“ ასე უთარგმნია: quae alteram (?) non habet „რომელსაც სხვა (მეორე) (?) არა აქვს (ჰყავს)“. მაგრამ მსხოვრ-ის თარგმანად მოყვანილ alteram სიტყვასთან კითხვის ნიშანი დაუსვამს და სჭოლიოში შენიშვნა გაუკეთებია, რომ ქართული მსხოვრი არც ერთ ლექსიკონში არ მოიპოვება და საფიქრებელია მას კავშირი ჰქონდეს სხვა სიტყვასთანო (Géorg. msẖovri qui ne se trouve dans aucun dictionnaire, de la racine de sẖua „autre“?)[16]. კაცმა რომ თქვას, გარიტის თარგმანი არსებითად სწორია, რადგან alteram „სხვა“ აქ უნდა გავიგოთ, როგორც მეორე, მომდევნო, შემცვლელი, როგორც ამას გვაფიქრებინებს ამ ტექსტის ბერძნული წყაროს διαδοχή (განმარტება, როგორც: принятие от предшественника; смена, чередование[17]).

3. პავლეს ეპისტოლეთათვის შედგენილ სტიქომეტრიულ აპარატში ერთგან მოთხრობილია პავლეს მისიონერულ მოღვაწეობაზე ტიბერის, გაიოსის და კლავდის კეისრობის ჟამს და ბოლოს ნერონ კეისრის მიერ მისი სიკვდილით დასჯაზე. Ქ ხელნაწერში (S-407, X საუკ.) ნათქვამია: „აწ უკუე არს მეათცხრამეტითგან წლით ტიბერის კეისრისაჲთ, ვინაჲთგან ქადაგებად სახარებისა იწყო, ვიდრე ოცდამეორედ წლადმდე მისა, წელნი ოთხ, და აგრეთვე გაიოსისნი ოთხ, და მეყსეულად კლავდისნი წელნი მცირედ უნაკლულოს ათოთხმეტისა, რომლისა შემდგომად აღდგა ნერონ და მეათსამმეტესა წელსა თჳსისა მთავრობისასა მოკლა მოციქული“ (15, 2)[18]. Ყ ხელნაწერში (S—1138, X საუკ.) შემ-

[16] G. Garitte, Le „Protévangile de Jacques en georgien“: Le Muséum, LXII, 3—4, Louvain, 1949, გვ. 16.

[17] И. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, М., 1958.

[18] კ. დანელია, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, 1977, გვ. 103.

დგომად სიტყვის ადგილას მსხორად იკითხება: „რომლისა მსხორად აღდგა ნერონ“..., Ⴗ ხელნაწერში კი (ქუთ. ისტ.-ეთნ. მუზ., № 176, XI საუკ.) მცდარი მტერად სიტყვა იკითხება. ამ ადგილის შესახებ ჩვენ ვწერდით: „Ⴗ-შია შემდგომად, რომელიც დატოვებულია ძირითად ტექსტში. ბერძნულ წყაროშია διαδεξάμενος, რომელიც არსებითად შემცვლელს, მიმდევარს ნიშნავს. შეუძლებელი არაა, ამასვე ნიშნავდეს შემდგომი სიტყვაც: „რომლისა შემდგომად აღდგა ნერონ“, ე. ი. რომლის მომდევნოდ (მიმდევრად, შემცვლელად) დადგა ნერონიო. საკითხავია, რაღაა მსხორად? ასეთი სიტყვა ძველ ქართულში საძიებელია; თანაც მცდარი ფორმააო, ამის თქმაც ჭირს: გრაფიკული მსგავსება მასა და „შემდგომად“ ფორმას შორის არ არის, რომ პირველი მეორისაგან მცდარი აღქმის შედეგად მიღებულად ჩავთვალოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ მსხორად მნიშვნელობით ნიშნავდა შემცვლელს. ამ მნიშვნელობით უნდა იყოს ეს სიტყვა ნახმარი სინურ მრავალთავში: „რაჲთუ მსხორვად ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოსრულ ვარ“... 81, 17[19].

ადრე ნათქვამს შეიძლება შემდეგი დავუმატოთ: მსხორად (Ⴑ) და შემდგომად (Ⴗ) სიტყვების ფარდად ბერძნულ წყაროში ნახმარი διαδεξάμενος მომავალი დროის მიმღეობაა διαδέχομαι ზმნისა. ეს უკანასკნელი ასე განიმარტება: получать как преемник, принимать от предшественника, наследовать, ან: смещать, заменять[20].

ამდენად, διαδεξάμενος ნიშნავს: მიმღებს (ადგილისა, თანამდებობისა...) რიგით, მემკვიდრეობით, ხოლო ვინც იღებს წინა მოღვაწისაგან ან წინაპრისაგან რაიმეს (ადგილს, თანამდებობას, მისიას...), ის არის მისი შემცვლელი, მემკვიდრე. ე. ი. როცა ნათქვამია: რომლისა (კლავდის) მსხორად აღდგა ნერონიო, ეს ნიშნავს: კეისარ კლავდის თანამდებობის მიმღებად, მის კეისრის თანამდებობაზე შემცვლელად, წესით დარიგით მის მემკვიდრედ ნერონი დადგაო.

4. „ილარიონის ცხოვრების“ ქართული თარგმანის კიმენურ ტექსტში არის ერთი ასეთი ადგილი, სადაც მოთხრობილია შემდეგი: წმინდა ანტონის გარდაცვალების შემდეგ ზედიზედ სამ წელიწადს გვალვა და შიმშილი მოევლინა ქვეყანას. ამბობდნენ: ანტონის სიკვდილს არა მარტო ადამიანები, არამედ მიწაც გლოვობსო. შეწუხებულმა მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს შემწეობისთვის მიემართათ ანტონის მოწაფე ილა-

[19] კ. დანელია, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, 1977, გვ. 62.

[20] И. Дворецкий, დასახ. ლექსიკონი.

რიონისათვის. მივიდნენ კიდევაც მასთან და მოახსენეს: „მსხოვრად წმიდისა ანტონისა მოგვლინა შენ უფალმან ჩუენდა, აწ წყალობისა ჟამისათჳს, რომელსა შეუპყრიეთ ჩუენ, და ევედრე უფალსა, რაჲთა დააცხროს რისხვაჲ მისი... და მოსცეს წჯმაჲ ქუეყანასა ამას ჩუენსა“ (Sin. № 11, 352 V)[21]. შესაბამის ბერძნულ წყაროში როგორც მოსალოდნელი იყო, მსხოვრად-ის ფარდად διάδοχον არის ნახმარი: Διάδοχόν σε ἐν τούτοις τοῖς τόποις τοῦ ἁγίου Ἀντωνίου ἀπέστειλεν ἡμῖν ὁ Κύριος[22]. მაშასადამე, წმინდა ანტონის მსხოვარი იგივეა, რაც წმინდა ანტონის შემცვლელი, მისი საქმის გამგრძელებელი, მისი სულიერი მემკვიდრე. ტექსტის ასეთ გაგებას მხარს უჭერს რუსული რედაქციების ჩვენებაც. კომენტარშია: Бог послал нам тебя вместо Антония[23], მეტაფრასულშია... лица мужского и женского пола... наперерыв(!) просили дождя у раба Христова, т. е. у преемника Слаженного Антония[24].

საინტერესოა, რომ ამ ძეგლის კომენტარულ ტექსტში ბერძ. διάδοχος მსახურ სიტყვადაც არის გადმოცემული: და ვითარცა ესმა, ვითარმედ მათ ადგილთა არს მოწაფჱ და მსახური წმიდისა ანტონისი ილარიონ, შეკრბეს ყოველნი (Sin. 11, 352v): ὁ μαθητὴς καὶ διάδοχος τοῦ ἁγίου Ἀντωνίου Ἱλαρίων მეტაფრასულ ტექსტში მსახურ-ს ცვლის მონაცვალე: ისწავეს მახლობელად სადმე ყოფა მოწფისა მისისა და სათნოებათა მონაცვალისა ილარიონისი, მყის წარვიდეს მისსა (გელ. № 4, 527 v).

5. ნეშტთა I წიგნის (23, 6) ქართული თარგმანის შემცველ მოგვიანო ხელნაწერებში (A 570, A 646...) მსხოვრ ფუძის ხმარებას მსახურის მნიშვნელობით ყურადღება მიაქცია ბ. გიგინეიშვილმა[25], მაგრამ ჯეროვანი ანგარიში არ გაეწია იმ გარემოებას, რომ კონტექსტი მსხოვრ-ის ცხვრად გაგებას აშკარად გამორიცხავდა. კონტექსტში ლაპარაკია დავითის მიერ ღვთისმსახურების რიგის დაწესებაზე ლევის შვილთათვის: „და განუყვნა იგინი დავით უფალსა მდღეგრად მსხოვრით ძეთა ლევისთა: კაათს და მერარს“ (23, 6). ბერ-

---

21 ვიმოწმებთ ე. ბასილაშვილის ხელნაწერი შრომიდან „ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა ილარიონისი“ (ტექსტი, გამოკვლევა).

22 ბერძნული ტექსტი გამოცემულია Παπαδόπουλος—Κεραμεύς-ის Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχυολογίας Τ. Ε. ἐν Πετρουπόλει, 1898, გვ. 123.

23 Жития святых, на русском языке, изложенные по руководству Четьих-Миней св. Димитрия Ростовского, кн. II, М., 1902, стр. 483.

24 Палестинский патерик, Вып. IV.С.—Пб., 1893, стр. 31.

25 ბ. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58—59.

ძნულ წყაროშია: καὶ διεῖλεν αὐτοὺς Δαυὶδ ἐφημερίας τοῖς υἱοῖς Λευί, Καὰθ καὶ Μεραρί (შდრ. რუსული თარგმანი: и разделил их Давид на череды по сынам Левия—Гирсону, Каафу и Мерари). სომხურ თარგმანში ბერძნ. ἐφημερίας და ქართ. „მდღევრად მსხოვრით“ წაკითხვის ფარდად არის *յորս ըստ օրէ պաշտաման*, რაც ნიშნავს ყოველდღიურ ღმრთისმსახურებას.

დასახელებულ ადგილას თითქოს შესაწყნარებელია, რომ მსხოვრ-ი გაგებულ იქნეს, როგორც მსახურ-ი, როგორც ეს ჩანს მცხეთის ბიბლიის (A-51) წაკითხვიდან: „და განუყუნა (!) იგინი დავით უფალსა მდღევრად მსახურებად ძეთა ლევისთა...“, შდრ. ბაქარის 1743 წლის გამოცემაზე დამყარებულ 1884 წლის თბილისურ ტექსტში: „განუყო (!) იგინი დავით მარადღეობასა ზედა მსახურებად ძეთა ლევიტელთა“... იქნებ გვეფიქრა, აქ მსახურებად შეცდომით იყოს ნახმარი. არა. აქ საქმე გვაქვს ბერძნ. ἐφημερία სიტყვის ორგვარ თარგმანთან: 1. მდღევრად მსხოვრით; 2. მარადღეობასა ზედა მსახურებად. ბერძნ. ἐφημερίας ერთ-ერთი ძნელად სათარგმნი სიტყვაა. მისი სიახლოვე აშკარაა ἐφημέριος-თან, რომელიც ნიშნავს: დღიურს, ყოველდღიურს ანუ ძველი ქართულით, მდღევრს (ეტიმოლოგიურად ἡμέρα „დღე“, ἡμέριος „დღიური“ სიტყვაა, რომელსაც ერთვის ἐπί წინდებული მოკვეცილი და ასიმილირებული ἐφ-ის სახით). შდრ. უკუეთუ ძმაჲ გინა თუ დაჲ შიშველ იყვნენ და ნაკლულევან მდღევრისაგან (დღისა Ⴗ, მდღევრისა ⴗⴆ) საზრდელისა... იაკ. 2, 15. აქ „მდღევრისაგან საზრდელისა“. გადმოსცემს ბერძნ. τῆς ἐφημέρου τροφῆς-ს ანუ დღიურ, ყოველდღიურ საზრდოს.

ებრაული ძველი აღთქმის სპეციფიკური სიტყვების mišemār, maḥelḳēt...[26] გადმოცემისას, რომელთა მნიშვნელობებია: დაცვა-დარაჯობა, მსახურება, მოვალეობის აღსრულება, მღვდელთმსახურება..., ბერძნულში ისევ ეს ἐφημέριος სიტყვა გამოიყენეს აბსტრაქტულობის α მაწარმოებლის დართვით და, ამდენად, ἐφημερία -ს სახით ახალი შინაარსის გადმოცემა დაეკისრა, რაც ლექსიკონებში ასე აღინიშნება: (у евр. первосвященников) очередь в совершении богослужения N. T.[27] ცხადია, ძნელი იყო გაგება და გადმოტანა ისეთი ბერძნული სიტყვისა, რომელსაც ებრაული ყოფის სპეციფიკური შინაარსის გადმოცემა ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ ქართულ თარგმანში არსებითად დაძლეულია ეს სირთულე

[26] W. Gesenius', Hebräisches und aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig, 1910, გვ. 409, 466.

[27] И. Дворецкий, დასახ. ლექსიკონი.

ლექსიკური გავრცობის გზით: ἐφημερία სიტყვის ეტიმოლოგიურ ფარდ მ დ ღ ე ვ რ სიტყვას ემატება კონტექსტური ნიუანსის გამმრავლებელი მ ს ხ ო ვ რ ი თ (მემკვიდრეობით) ან მ ს ა ხ უ რ ე ბ ა დ. მაშასადამე, „მდღევრად მსხოვრით“ ნიშნავს: „მ უ დ მ ი ვ ა დ მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ან: მ უ დ მ ი ვ ი მ ს ა ხ უ რ ე ბ ი თ.

6. I ნეშტთა 28, 1-ში ნათქვამია (A 570 ხელნაწერის მიხედვით): „და შეკრიბნა დავით ყოველნი მთავარნი ისრაჱლისანი და მთავარნი მსაჯულთანი, და ყოველნი მთავარნი მ დ ღ ე ვ რ ი თ მ ს ხ ო რ თ ა ნ ი და გარემოს მცველნი მეფისანი“. მცხეთის ბიბლიაში „მდღევრით მსხორთანი“ კი არ იკითხება, არამედ: „მ დ ღ ე ვ ა რ ი თ (s i c) მ ს ა ხ უ რ თ ა ნ ი“. ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (1973 წ.) დამოწმებულია ეს ადგილი, მაგრამ მ ს ხ ო რ ი საეჭვო ფორმადაა მიჩნეული, ამიტომ განსამარტავად მოყვანილია მ დ ღ ე ვ რ ი თ-მსახური, ხოლო პარალელურ ფორმად (ძახილის ნიშნით) — მ დ ღ ე ვ რ ი თ-მ ს ხ ო რ ი. ცხადია, აქ კომპოზიტი არა გვაქვს. როგორც წინა მაგალითში, აქაც ბერძნულ წყაროში მ დ ღ ე ვ რ ი თ მ ს ხ ო რ-ის ფარდად ნახმარია ἐφημερία სიტყვა და, ამდენად, „ყოველნი მთავარნი მ დ ღ ე ვ რ ი თ მ ს ხ ო რ თ ა ნ ი (πάντας τοὺς ἄρχοντας τῶν ἐφημεριῶν) უნდა გავიგოთ, როგორც: წინაპართაგან ბოძებული მემკვიდრეობითი მთავარნი“. შდრ. სომხური ვერსიის: *իշխան օրաւուրիցն ՚ի սպասաւնեացդ*, რომელიც ახლოსაა ქართულ იკითხვისთან.

7. I ნეშტთა 26, 117—18-ში ლაპარაკია ღმრთისმსახურების განწესებაზე, კერძოდ, ტაძრის მცველთა-მეკარეთა დადგინებაზე და ნათქვამია (A 570 ხელნაწერის მიხედვით): „დასავლით ბჭისა მის ტაძრის[აჲ]სა აღსავალსა მას საპყრობილედ წინაშე საპყრობილესა მას მზისა აღმოსავალით ექუსნი დღესა, და ჩრდილოჲთ დღესა ოთხნი, და სამხრით დღესა ოთხნი. და ასფინს ორ-ორი მ ს ხ ო ვ რ ი თ, ბჭისა მის სენაკისასა სამნი მცველნი, წინაშე საპყრობილესა აღმოსავლით დღესა შინა ექუსნი, ჩრდილოჲთ ოთხნი, სამხრით ოთხნი ასფინს, ორ-ორი მ ს ხ ო ვ რ ი თ და დასაყლით (!) ორ-ორი მ ს ხ ო რ ი თ (sic), ორი. ესე არს განყოფაჲ მეკარეთაჲ ძეთა კაათისთაჲ და მერარისთაჲ“. აქ სამჯერ ნახმარი მ ს ხ ო ვ რ ი თ (მ ს ხ ო რ ი თ) სამივეგან ეფარდება ბერძნული წყაროს εἰς διαδεχομένους ფორმას და ნიშნავს: შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ი თ, ერთმანეთის შ ე მ ც ვ ლ ე ლ ა დ (შემთხვევითი არაა, რომ მ ს ხ ო ვ რ ი თ მაშინაა ნახმარი, როცა მცველთა რაოდენობა ორ-ორია, ე. ი. როცა ორმა მცველმა მეორე ორი მცველი უნდა შეცვალოს). ასეთ გაგებას მხარს უჭერს სომხური ვერსიაც, სადაც ქართული მ ს ხ ო(ვ)რ-ის ფარდად ორგან. ნახმარია შ ე ც ვ ლ ი ს, შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ს მნიშვნელობის *փոխանակել* ზმნა: *երկուս դրկուս ՚ի փոխանակել..., երկուս երկուս փոխանակաւ*. ამ მხრივ საინტერე-

სოა ბაქარის ბიბლიის თბილისური გამოცემის ჩვენება, რომლითაც მსხოვრ სიტყვას ცვალ/ცვლა ძირისგან ნაწარმოები ფორმები ცვლის: „...ორ-ორი გამომცვლელი... და ესეფიმის მიმართ ორი იცვალებოდეს... და ადგილთა მიმართ ორი გამომცვლელი“. რაც შეეხება მცხეთის ბიბლიას (A-51-ს), მასში დასახელებულ ადგილას ორჯერ არის ნახმარი „მსხორით“ (I შემთხვევაში მსხოვრით ყოფილა, მაგრამ ვ ამოუფხეკიათ): „ასაფინს ორ-ორი მსხორით. . . და ალაგსა ორ-ორი მსხორით“.

ვფიქრობთ, მსხოვრ სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად დასახელებული მაგალითები კმარა. მიუხედავად 8—9 მაგალითისა, სალიტერატურო ქართულისათვის ეს სიტყვა ორგანული არ უნდა ყოფილიყო; ის რომელიღაც კილოდან უნდა იყოს შეღწეული სამწერლო ქართულში. მაშინ საკითხავია, რა ცვლიდა ამ სიტყვას სამწერლო ქართულში? — რამდენიმე სიტყვა. ამის გასარკვევად შეძლებისამებრ შევამოწმეთ[28] ბერძნულ სეპტანტაში მსხორ-ის ფარდად გამოყენებული διάδοχος, διαδέχεσθαι ერთეულების ხმარების შემთხვევები, რას შეისატყვისებდა ბიბლიის ქართულ რედაქციებში (სამწუხაროდ, ყველა ადგილის შედარება არ მოხერხდა ქართული ბიბლიური ნუსხების ნაკლულების გამო, რის გამოც მსხოვრ-ის სინონიმად, ქვემოთ მოყვანილი სიტყვების გარდა, კიდევ უნდა ვივარაუდოთ სხვა ერთეულების არსებობაც). ზემოგანხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ მსხოვრის სინონიმად ძველ ქართულში ნახმარია: 1. შემდგომი (15,2 სტიქომეტ. 11 მაკაბ. 9, 23 ბაქ.[29]); 2. გამომცვლელი (I ნეშტ. 26, 18 ბაქ.); 3. მონაცვალე (ილარ. ცხ.: გელ. № 4, 527 v); 4. ცვალება (I ნეშტ. 26, 18 ბაქ.); 5. მსახურება, მსახური (I ნეშტ. 23, 6 ბაქ.; A-51: II ნეშტ. 26, 11; I ნეშტ. 18, 17; II ნეშტ. 28, 7, ბოლო ორი მაგალითი A-570-შიც არის...). ამათ გარდა გამოყენებულია: 6. ნაცვალი (II ნეშტ. 31, 12 A-51), 7. მოადგილე (II მაკაბ. 4, 31 ბაქ.), 8. შეწყნარება (=მიღება-ს) (სიბრძ. სოლ. 7,30; 17,20 ბაქ.); 9. მეორე (II ნეშტ. 31,12 ბაქ.); 10. სხურება (სიბრძ. სოლ. 7,30 ოშკის ბიბ.).

ამათი ლექსიკური ერთეულიდან მხოლოდ მოადგილე და გამომცვლელი შეიძლება ჩავთვალოთ გვიანდელად, დანარჩენები კი ძველი ხმარებისა არიან და მსხოვრ-თან ერთად მეტ-ნაკლები სიზუსტით ადრევე გადმოსცემდნენ ბერძნულ διάδοχος და διαδέχεσθαι (διαδέχομαι) სიტყვებს. მაშასადამე, მსხოვრ-ის მნიშვნელობა ზემოდასახელებული პარალელური ერთეულების გათვალისწინებით

---

28 ვისარგებლეთ ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანის (სეპტანტის) სიმფონიით: Concordance to the Septuagint..., Graz-Austria, 1975.

29 ბაქარისეული ბიბლიის თბილისური (1884 წ.) გამოცემა.

ნათელია (მას ცხვარ სიტყვასთან არავითარი კავშირი არა აქვს), მაგრამ ნათელი სრულებით არ არის მისი ეტიმოლოგია. მსხოვ ფუძის შინაარსობლივ მონაცვლედ ნახმარი ათი ფუძიდან რამდენადმე მასალობრივ (ბგერობლივ) სიახლოვეს მხოლოდ მსახურ და სხურება ავლენს, მაგრამ მათ შორის სტრუქტურული სხვაობა დიდია. ამიტომ მსჯელობა მხოლოდ საალბათოა.

1. ანგარიშგასაწევია, რომ ბერძნული διάβολος ხშირად გადმოდის მსახურ სიტყვით (I ნეშტ. 18, 17; II ნეშტ. 26, 11; 28, 7). თუ მსახურ-სა და მსხო(ვ)რ-ს შორის კავშირს დავუშვებთ, ძირად შეიძლება ხ გამოიყოს: მ-სა-ხ-ურ (შდრ. სა-ხ-ლ,—სა-ხ-ელ/*სა-ხ-ილ და: ა-ხ-ს „ახლოსაა“, შე-ა-ხ-ო). თუ ნასახელარ ზმნებად ვივარაუდებდით: *სახლობს/*სახლოვს, უკანასკნელისგან მ-(ა)რ კონფიქსით ნაწარმოები მიმღეობა იქნებოდა: *მ-სახლ-ოვ-რ-ი→*მ-სხლ-ოვ-რ-ი→ →მ-სხოვ-რ-ი (ეტიმ. „მახლობელი“). მაგრამ ეს მეტად საეჭვოა, რადგან ძველ ქართულში სახლობა—დასახლების არსებობა სათუოა; ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივ დაშენება, დამკვიდრება იხმარება.

2. შეიძლება მსხო(ვ)რი მ-რ კონფიქსიან მიმღეობად ვიგვეჩნია (შდრ. მ-ძლავ-რ-ი და უ-ძლავ-ს; მ-ძოვ-რ-ი და ძოვ-ს[30]) ოვ სუფიქსშეხორცებულ სხ(←სხუა?) ძირის ზმნისა: *ვ-სხოვ(ი), *ჰ-სხოვ(ი), *სხოვ(ი)-ს. მაშინ მსხ-ო(ვ)რ-ის ეტიმოლოგია იქნებოდა. განსხვავებული, შემცვლელი; მაგრამ ეს ახსნაც საეჭვოა.

3. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მსხო(ვ)რ-ი მ პრეფიქსიანი მიმღეობა იყოს სხო(ვ)რ ზმნური ფუძისა, რომლის მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო შეცვლა, შენაცვლება. ორპირიან აქტიურ ზმნურ ფორმად უნდა ვივარაუდოთ *ვ-სხო(ვ)რ-ი ან: *ვ-ა-სხო(ვ)რ-ებ, ხოლო სამპირიანად: *ვ-უ-სხო(ვ)რ-ი ან: *ვ-უ-ს-ხო(ვ)რ-ებ, სათანადოდ ერთპირიანი ვნებითის ფორმა იქნებოდა: *ი-სხო(ვ)რ-ებ-ი-ს, ხოლო ორპირიანი: ე-სხო(ვ)რ-ებ-ი-ს. ეს უკანასკნელი რეალურად დასტურდება ოშკის ბიბლიაში ესხურებიის ფორმით. აქ ო შეცვლილი ჩანს უ-თი, რაც ფრიად გავრცელებული მოვლენაა ძველ ქართულში და მას უფრო გრაფიკული საფუძველი აქვს, ვიდრე ფონეტიკური. ანდა შეიძლება ო→უ ურ სუფიქსიანი სხ-ურ-ება ტიპის ფორმათა ანალოგიით იყოს მიღებული. აი ეს ადგილი: „რამეთუ ამას (ე. ი. ნათელს—კ. ლ.) ესხურებიის ღამჱ, ხოლო სიბრძნესა ვერ ჰმსძლავრობს ბოროტი“ (სიბრძ. სოლ. 7, 30)[31]. ბაჭარის ბიბლიაში ესხურე-

---

30 ამ ტიპის ნაწარმოებზე იხ. ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 76.

31 ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1970.

ბის ზმნას ცვლის შეიწყნარებს. უცხოენოვან წყაროებშია: τοῦτο μὲν γὰρ διαδέχεται νύξ; *զի զնա գիշեր փոխանակէ* შდრ. რუსული თარგმანი: свет сменяется ночью. მაშასადამე.. ესხურების ზმნა, როგორც ამას მისი ფარდი უცხოენოვანი ჩვენება ამტკიცებს, შეიძლება მხოლოდ ნიშნავდეს შენაცვლებას და არა დაფარვას[32]. ცხადია, მას კავშირი არ უნდა ჰქონდეს სხურება ფუძესთან, რომელიც პკურებას, მოსხმას ნიშნავს (შდრ. ყოველსა მას ჰურჩელსა... სისხლი ასხურიან, ებრ. 9,21).

შეიძლება ითქვას, რომ მსხო(ვ)რ მიმღეობისთვის ამოსავალი ზმნის პირიელი ფორმის ერთადერთი ფორმა ჯერჯერობით არის ოშკის ბიბლიის ესხურების (←ესხორებისს). რაც შეეხება ვ-ს, ძნელია თქმა, ძირს მიეკუთვნება ის, თუ განვითარებულია.

რა თქმა უნდა, ჩვენ მსხო(ვ)რ-ის ეტიმოლოგია საბოლოოდ გარკვეულად არ მიგვაჩნია, მაგრამ მისი მნიშვნელობა კი, ვფიქრობთ, დადგენილია. ძველ ქართულში გვქონია შემცვლელის მნიშვნელობის სიტყვა მსხო(ვ)რი, რომელიც იშვიათი სმარების გამო არცერთ ლექსიკონში არ მოხვედრილა (ი. იმნაიშვილს განუმარტავად მოჰყავს) და, ამდენად, არც სპეციალისტებისთვის ყოფილა დღემდე ცნობილი. ცხადია ისიც, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს მცხოვარ („ცხვარ“) ფუძესთან, და ამიერიდან ძველი ქართულის ან ქართული ენის ისტორიულ ლექსიკონში ის დამოუკიდებელ ერთეულად უნდა შევიდეს.

მინაწერი

„თქმულა: სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

ეს ბრძნული აზრი შ. რუსთველისა ვერ გავითვალისწინე, ავჩქარდი და შეცდომა მომივიდა „მსხორ“ სიტყვის ახსნისას. მაგრამ, სასიამოვნოა, რომ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა გაირკვა და ეს ჩემი შეცდომა ჩემმავე მოწაფემ პროფ. კ. დანელიამ გამოასწორა.

ჭ. ყანიძე.
1 აპრილს 1981 წ.

К. Д. ДАНЕЛИА

ИЗ ЛЕКСИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

4. მსხო(ვ)რი msxo(v)ri „ПРЕЕМНИК“

Резюме

Редко употребляемое в древнегрузинском слово მსხო(ვ)რ-ი msxo(v)r-i до сих пор считалось вариантом широкоизвестной ос-

32 შდრ. იქვე, გვ. 466.

новы ცხოვარ-ი cxovar-i „овца“ и закономерным соответствием колхского mčxur-i: лаз. mšxur-i, мегр. šxur-i „овца“ (Б. Гигинейшвили; А. Шанидзе). Но, по данным древнегрузинских письменных памятников, установлено, что msxo(v)r-i и msxovar-i совсем разные слова; именно msxo(v)r-i обозначает „последователя“, „преемника“, а не „овцу“. На основе сравнения материалов древнегрузинского перевода библейских и агиографических книг с иноязычными источниками выявились такие синонимические единицы msxo(v)r-i, как: შემდგომ-ი šemdgom-i „следующий“, ცვლება, მონაცვლე, ნაცვალ-ი cvaleba, monacvale, nacvali „заменить“, „тот, кто занимает чье-нибудь место“, მეორე meore „второй“, შეწყნარება šeckʼnareba „принимать что-то“, სხორება sxoreba „заменить“, მსახურ-ი msaxur-i „служащий“, „слуга“ и т. д.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ჭინჭარაული
(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან

I. „მუნა გასლვა“ თუ „ქორის დევნა“?

ტარიელი ბიძაშვილთაგან დაკოდილ ფრიდონს გადაეყარა, თავის დასტაქარ მონას ამკურნალებინა მისთვის, გაიცნეს ერთმანეთი და ფრიდონი თავის ამბავს უყვება ტარიელს: როცა პაპაჩემმა მამაჩემსა და ბიძაჩემს მიწები გაუყო, ზღვაში ერთი კუნძულია და „ჩემად წილად მას იტყოდეს“-ო. შემდეგ ამ კუნძულს გამოედავნენ ბიძა-ბიძაშვილები და „მათვე დაჰრჩა სანადირო, არ მივსცემდი, მომერჩოდეს“-ო (604,4/601,4). და შემდეგ:

„დღეს გამოვე ნადირობად, ზღვისა პირსა ვინადირე,
ქორის დევნა მომნდომოდა, მით მრეკალი არ ვახშირე;
სპათა ვუთხარ. „მომიცადეთ. მოვიდოდე მეცა ვირე!“
ხუთთა ოდენ ბაზიერთა მეტი არა დავიჭირე“ (603,2/602,2).

შემდგომი ამბავი ახლა ჩვენ არ გვაინტერესებს, მოყვანილ სტროფში კი სადავოა გამოთქმა „ქ ო რ ი ს დ ე ვ ნ ა“; რომლის ვარიანტი „მ უ ნ ა გ ა ს ვ ლ ა“ (ახლა მიღებულია წაკითხვა „გასლვა“) დასტურდება ABCDEFHILMUVWXYZ ხელნაწერებში და დაიბეჭდა ვეფხისტყაოსნის მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა, დ. ქართველიშვილისა, დ. კარიჭაშვილისა, ს. კაკაბაძისა, ი. აბულაძისა, კ. ჭიჭინაძისა და მ. წერეთლის გამოცემებში.

როგორც ვხედავთ, ამ მეორე წაკითხვას სოლიდური მოწმეები ჰყავს ხელნაწერთა სახით და, ცხადია, ამან განაპირობა, რომ ზემოაღნიშნულ გამოცემებშიაც აისახა ეს წაკითხვა.

ამ ვარიანტულ წაკითხვებზე ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის 1935 წლის 22 ოქტომბრის სხდომაზეც ყოფილა მსჯელობა (კომისიას ესწრებოდნენ: იუსტ. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე, კ. ჭიჭინაძე). მაშინ კომისიას

მიუღია წაკითხვა „ქორის დევნა“ (წინააღმდეგი ყოფილა ჭინაძე) და ასეც იბეჭდებოდა შემდგომ გამოცემებში.[1]

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ აწინდელ კომისიას 1976 წლის 5 ნოემბრის სხდომაზე (ესწრებოდნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური) კვლავ განუხილავს ეს ვარიანტული წაკითხვები და სხდომის ოქმში ჩაუწერია: „მეორე ტაეპში ქორის დევნა შეიცვალა წაკითხვით მ უ ნ ა გ ა ს ლ ვ ა, რომელიც რედაქციათა უმრავლესობაშია წარმოდგენილი“-ო.[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასახელებული საბუთი წონიანი საბუთია, მაგრამ ჩვენის აზრით, საკმარისი მაინც არ არის. სხვათაშორის, „გასვლა“ და არა „გასლვა“ დასტურდება ხელნაწერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში როგორც ამ სტროფში, ისე სხვაგანაც, ასევეა ამ ზმნის სხვა პრევერბიან ფორმებთან (მისვლა, მოსვლა...) — ძირითადი ხელნაწერები ყოველთვის ახალ ფორმას (გასვლა, მისვლა, მოსვლა...) უპერებ მხარს. უფრო ხშირად გვიანდელ ხელნაწერებსა და პრიმებში დასტურდება არქაული ფორმები (გასლვა, მისლვა...), რაც აღძრავს ეჭვს: ხომ არ არის გადამწერთა მეცადინეობის ბრალი ძველი ფორმების აღდგენა? ეს ეჭვი პრიმების მიმართ საფუძვლიანია, რადგან ისინი დედნისეულფორმებიან ხელნაწერებს არ იყენებდნენ გადაწერისას. მაგრამ **სლვ** ფორმა ისე დამკვიდრდა პოემის ენაში, რომ აკადემიური გამოცემები **სვლ** ვარიანტებს საერთოდ აღარ მიუთითებენ, რაც არა გვგონია გამართლებული იყოს თუნდაც ვეფხისტყაოსნის ენის შესწავლის თვალსაზრისით.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმის ნათელსაყოფად დავიმოწმეთ ეს ფაქტი, რომ ხელნაწერთა უმრავლესობა ყოველთვის არ არის გადამწყვეტი. მთავარია ტექსტის ანალიზი, რაც ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, მხარს უჭერს წაკითხვას „ქორის დევნა“:

1. ფრიდონი მცირე ხნით მიდის სანადიროდ კუნძულზე და მრეკალი ანუ მარეკები არ მიჰყავს, ე. ი. ცხოველებზე ნადირობას არ აპირებს (და შეიძლება არც არის ცხოველები ამ კუნძულზე).

2. სამაგიეროდ თან მიჰყავს ხუთი ბაზიერი („მექორე, მეშავარდნენი“ საბა), ე. ი. ფრინველზე ქორ-შავარდნით ნადირობის ოსტატები. ამიტომ გასაგებია გამოთქმა „ქორის დევნა მომნდომოდა“.

3. რა ლოგიკური კავშირია მეორე სტრიქონის პირველ და მეორე მუხლებს შორის: „მუნა გასლვა მომდომოდა“ (1) „მით მრეკალი არ ვახშირე“ (2)? რას უშლის მრეკალი „მუნა გასლვა“-ს? „ქორის დევ-

---

[1] ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ბეჭდვის ისტორიიდან (XX ს.), II, ნაკვ. I, 1973 წ., გვ. 259.

[2] ჟურნ. „მაცნე“, 1977 წ., № 4, გვ. 187.

ნა“-ს როცა ვწერთ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა: მრეკალი იმედიც არ წავიყვანე, რომ „ქორის დევნა მომნდომოდა“-ო.

4. მეოთხე სტრიქონში ნათქვამია: „ხუთთა ოდენ ბაზიერთა მეტი არა დავიჭირე“-ო, რაც საბოლოოდ ამართლებს მეორე სტრიქონის „ქორის დევნა“-ს.

5. ვეფხისტყაოსნის ტექსტში „მ უ ნ ა“ (ა-დაბოლოებიანი „მუნ“) იშვიათი ხმარების ფორმაა. ძირითად ტექსტში ეს ფორმა მხოლოდ ოთხჯერ იხმარება. აი, ეს შემთხვევები: „მე მ უ ნ ა მ ყ ო ფ ი მივეცი შვებასა მეტის-მეტასა“ (487,1/484,1); „ნურადინ-ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მ უ ნ ა მ ჯ დ ო მ ე ლ ი“ (603,2/600,2); „მ უ ნ ა გ ნ ა ხ ო, მადვე გსახო, გამინათლო გული ჩრდილი“ (1305,3); „მ უ ნ ა მე ხრმალი არ მიკვეთს, არცა სივრცელე ენისა“ (1476,3/1477,3).

ამათგან ორი პირველი შემთხვევა კომპოზიტის შთაბეჭდილებას ტოვებს და ა („მ უ ნ ა“) ბუნებრივი ჩანს. ორ მომდევნო მაგალითშიაც „მ უ ნ ა“ პირიელ ფორმებს უკავშირდება და აგრეთვე ბუნებრივია: არა გვაქვს შემთხვევა, რომ „მუნა“ მასდარს უკავშირებოდეს. საერთოდ კი ვეფხისტყაოსნის ტექსტში „მ უ ნ“ — ფორმა ასჯერ იხმარება, „მ უ ნ ა“ — ფორმა კი მხოლოდ ოთხჯერ.

საიდან გაჩნდა ტექსტში „მუნა გასვლა?“ ალბათ გადამწერი ვიზუალურად აღიქვამს ადგილს: მან იცის, რომ ზღვის „შტოს“ გაღმა კუნძულია, სადაც ფრიდონი უნდა გავიდეს („ნავითა გავე“-ო, ამბობს ფრიდონი) და წერს „მუნა გასვლა“-ო. შესაძლოა პირველმა გადამწერმა, ვინც „მ უ ნ ა გ ა ს ვ ლ ა“ შეიტანა ტექსტში, „ქ ო რ ი ს დ ე ვ ნ ა“ უბრალოდ ვერ აღიქვა, როგორც ნადირობის პროცესი: ალბათ იფიქრა, ნადირობისას ქორს კი არა სდევენ, ქორით სდევენ კაკაბს, გნოლს, ხოხობს და მისთანათო, ე. ი. გამოთქმა არ მოეწონა. იმას კი ვეღარ გაუწია ანგარიში, რომ ვეფხისტყაოსანში მეფეთა და დიდებულთა პირველი მონადირე ფრინველი ქორია. შდრ.:

„შეჯდა, ქ ო რ ნ ი მოუტივნა, დურაჯები დაინაბა“ (370,3/367,3);

„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგთა ვითა ქ ო რ ი“ (450,1/447,1);

„იყო სიმრავლე ძაღლისა, შავარდნისა და ქ ო რ ი ს ა“ (480,2/477,2);

„აქა ვდეგ და თვალს ვუგებდი ქ ო რ ს ა იქით განაფრენსა“ (626,4/623,4).

მზესა ქ ო რ ნ ი აბნელებდეს, ძაღლთა რბოლა მიდამოდა (723,3/721,3).

აი, ამათ უდგას გვერდზე „ქორის დევნა მომნდომოლა“.

ამასაც უნდა გაეწიოს ანგარიში: თავიდანვე სრულიად მარტივი „მუნა გასლვა“ რომ ყოფილიყო ტექსტში, მას ძნელად გაუჩნდებოდა ვარიანტი „ქორის დევნა“, პირუკუ პროცესი კი, როგორც აღვნიშნეთ, ადვილად აიხსნება.

ამრიგად, 605.2/602,2 სტროფის მეორე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „ქორის დევნა მომნდომოდა, მით მრეკალი არ ვახშირე“.

II. „მოსდის“ თუ „მოდის“?

ერთი შეხედვით ეს საკითხი უფრო მორფოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ვიდრე ლექსიკისას, მაგრამ, რაკი მორფოლოგიური ინვენტარის ცუდად გამოყენება ლექსიკურ (სემანტიკურ) ცვლილებას იწვევს, ამ სიტყვასაც ლექსიკაში განვიხილავთ. ამას გარდა „მოსდის“ და „მოდის“ დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სალექსიკონო ერთეულებია და ესეც ამართლებს მათს განხილვას ლექსიკაში.

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ვეფხისტყაოსანში „ალვის ხე“ პოემის ამა თუ იმ გმირის დამახასიათებლად არაერთგზის ხმარებული მეტაფორაა. რამდენიმე მაგალითი: ნესტანზეა ნათქვამი: „ვჰკითხე, თუ: «ნეტარ მისრულა მორჩი ალვისა ხე მისად?»“ (494, 4/491, 4); ტარიელზე ამბობენ მულღაზანზარელები: „ღმერთსა მადლი, ვინ ალვისა ხენი ასხნა!“ (622, 4/619, 4); ფრიდონზეა ნათქვამი: „იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია“ (619, 4/616, 4).

ფატმანი უამბობს ავთანდილს: ქაჯთაგან ჩემგან დახსნილი ნესტანი გამუდმებით ტიროდა, იმის დროც კი ვერ შევურჩიე, ამბავი წესიერად გამომეკითხა:

> „ჟამი ვერ ვპოვე კითხვისა ნიადაგ ცრემლთა ღვრისაგან,
> თუ-მცა მეკითხა: „ვინ ხარ და ევრე გასრული რისაგან?“:
> მჩქეფარად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვ-სა ხისაგან,
> მას ხორციელი რა გასძლებს სხვა კიდეგანი ქვისაგან?“
> (1147,3).

მესამე სტრიქონის ზუსტი, პრობაული გადმოღება მხოლოდ ასე შეიძლება: სისხლის ნაკადი (სისხლნარევი ცრემლი) მოსდის ანუ სდის (ნესტანს) ალვის ხისგან. აქ რომ ინვერსიულ ზმნაში ობიექტად ნესტანი იგულისხმება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს: (სისხლისა ნაკადი) მომდის მე, მოგდის შენ, მოსდის მას, ე. ი. ნესტანს — ალვის ხისაგან! მაგრამ „ალვის ხე“ ხომ თვითონ ნესტანია, ნესტანს ნესტანისაგან როგორ მოსდის სისხლის ნაკადი?

ს. ორდანიშვილს ასე აქვს ნათარგმნი ეს სტროფი:

> «Из-за беспрерывного потока слез ее,
> Я не могла уличить время для расспросов,

Стонло спросить: «Кто ты, отчего так бледна?» —
Как быстрый поток крови изливался из тополя...»[3]

მთარგმნელს საგრძნობლად შეუცვლია სტროფის სტრუქტურა, წინადადებათა სინტაქსური კავშირი და, ამდენად, შინაარსიც: დედაწში (პირველ და მეორე სტრიქონებში) ნათქვამია: (ნესტანს) გამუდმებული ცრემლის ღვრის გამო დრო ვერ შევურჩიე (1) რომ მეკითხა: ვინა ხარ და ასე დატანჯული რისგან ხარო (2).

ს. ორდანიშვილი პირველ სტრიქონს ცალკე გამოყოფს და მის ბოლოში წერტილს სვამს, მეორეს კი მესამესთან აკავშირებს: საკმარისი იყო მეკითხა... და მაშინვე სისხლის ნაკადული გაღმოსჩქეფდა ალვის ხიდანო. სამაგიეროდ აქ მოხსნილია ის უხერხულობა, რასაც ქმნის ქართულ ტექსტში ორპირიანი „მოსდის“.

ნ. ნათაძე აგრეთვე ბეჭდავს „მოსდის“ (ორპირიან ფორმას), მაგრამ სტრიქონის ახსნისას აშკარად უხერხულობაში ვარდება. იგი წერს: „ალვის ხისაგან აზრი, როგორც ჩანს, შემდეგია: მას, ალვის ხის მსგავსს, ცრემლი ჩქეფით მოსდის“.[4]

ბუნდოვანებას, როგორც აღვნიშნეთ, იწვევს ორპირიანი ფორმა (მო-ს-დი-ს). მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხელნაწერსა და ყველა გამოცემაში იკითხება „მოსდის“ ან „მოჴდის“, რაც იგივეა, უნდა დავბეჭდოთ ერთპირიანი ფორმა „მოდის“: „მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოდის ალვისა ხისაგან“, ე. ი. ნესტანისაგან მჩქეფრად მოდის სისხლის ნაკადი. ამით ყოველგვარი ბუნდოვანება მოიხსნება.

რაც შეეხება იმას, რომ ხელნაწერებსა და (მათზე დაყრდნობით) ყველა ნაბეჭდში ორპირიანი („მოსდის“) ფორმა გვაქვს, არც ეს არის დაბრკოლება: ამ რიგის შემთხვევები (პირის ნიშნის დამატებისა თუ დაკლების შემთხვევები) ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში აურაცხელია.

А. Л. ЧИНЧАРАУЛИ

ИЗ ЛЕКСИКИ «ВЕПХИСТКАОСАНИ»

Резюме

1. В строфе 605,2/ 602,2 вместо მუნა გასლვა მომნდომოდა muna gaslva momndomoda „захотелось мне перейти туда“ должно

---

[3] Ш. Руставели, Витязь в тигровой шкуре, подстрочный перевод с грузинского С. Иорданишвили, 1966.

[4] შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მეორე შესწორებული და შევსებული სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, 1976, გვ. 378.

быть: ჭორის დევნა მომნდომოდა koris devna momndomoda „захо-
телось мне охотиться на ястребов".

2. В строфе 1147;3 вместо двухличного მოსდის mosdis (მო-ს-დი-ს mo-s-di-s) „он течет к нему" должно быть одноличное მოდის modis (მო-დი-ს mo-di-s) „он течет".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. მელიქიშვილი
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ძველი ქართულის ლექსიკიდან: განი (საგანი), საზრი, პირი, მიზანი

ის, რასაც უნდა მიაღწიონ, რაც უნდა განახორციელონ. რისკენაც ისწრაფვიან, დღეს ქართულში აღინიშნება სიტყვით მიზანი. მაგრამ ეს სიტყვა წარმოშობით ქართული არ არის და საკმაოდ გვიან ჩანს შემოსული ჩვენში. მიზან ლექსემა დადასტურებულია ერთ 1188—1210 წლებით დათარიღებულ კრებულში (A 65), როგორც არაბული სიტყვა, რომელიც ქართული სასწორის შესატყვისია. ამ კრებულის 187-ე r გვერდზე, სადაც ზოდიაქოებზეა ლაპარაკი, ვკითხულობთ: სასწორი, რომელსა არაბულად ჰრქჳან მიზან. აქედან ჩანს, რომ მიზან სიტყვა XIII საუკუნეში ქართულში ჯერ კიდევ არ იხმარებოდა და მისი დღევანდელი ქართული მნიშვნელობა საკმაოდ დაცილებულია არაბული მნიშვნელობისაგან. ჯერ კიდევ არ ჩანს დამკვიდრებული ეს სიტყვა დღევანდელი მნიშვნელობით XVII—XVIII საუკუნეებშიც:

ვაჭრობა შექმნეს, მოიღეს მიზანი ასწონელი (თეიმ. ი ხილიხ., 81,1.)

ან: გიბოძებთ ამდენს მიზანსა, ვერა ქნას ანაწონები (ვახტანგიანი, 177.4.)

როგორც ვხედავთ, მიზანი აქაც „სასწორთან, საწონთან“ არის დაკავშირებული და აღორძინების ხანის მწერლობაში, მოსალოდნელია, სპარსულის გზით იყოს შემოსული, სადაც ამ სიტყვის მნიშვნელობას ოდნავი გადახრა განუცდია: დღეს სპარსულში იგი ნიშნავს „საზომს, სიდიდეს, რაოდენობას, დონეს, წონასწორობას, დაბოლოს, კოეფიციენტსაც“. ეს მნიშვნელობები, ცხადია, ამ სიტყვის თავდაპირველი, არაბული მნიშვნელობიდანაა განვითარებული. XVIII საუკუნეში რომ ჯერ კიდევ არ არის ხმარებაში შემოსული მიზან სიტყვა ქართულში, ეს კარგად ჩანს საბას ლექსიკონიდან, რომელშიც იგი საერთოდ არ არის ფიქსირებული.

მიზან სიტყვა დღევანდელი მნიშვნელობით უკვე ჩანს XIX საუკუნის პირველ ნახევარში. კერძოდ, იგი დადასტურებულია ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში, სადაც რუსული цель სიტყვის განმარტებაში ვკითხულობთ: „ნიშანი, სასროლი საგანი, მიზანი||ცეცხლსასროლის იარაღის ტუჩზედ დასმული რამ ნიშანში მისამართად||საგანი, ჰაზრი, დასასრული“.

როგორც ვხედავთ, მიზან სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობისათვის ამოსავალი არის „სასროლად დანიშნული მიჯნა, ადგილი“, საიდანაც მოდის მისი უფრო ფართო, ზოგადი შინაარსი: საერთოდ ის, რისკენაც, რისი მიღწევისკენაც მიისწრაფვიან. მნიშვნელობის განვითარების იგივე გზა შეინიშნება ძველ ქართულში „მიზნის“ მნიშვნელობით ხმარებულ გან-საგან სიტყვაში, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში კი მიზან სიტყვა უკვე დამკვიდრებულია დღევანდელი მნიშვნელობით (ჩვენს წმინდა მიზანს არ ვუღალატებთ: აკაკი, II, 112, 13; ჩემს მწარე მიზანს ვემსახურები: I, 270, 18; ძომიკითხა ჩემი ვინაობა, მიზანი ჩემის მოგზაურობისა: ვაჟა, IV, 181, II: სახელი რომელს დაჰრჩება, ესაა ბრძოლის მიზანი: ვაჟა, II, 249, 38; დაუჯდება მონადირეს ლულაზე, რომ მიზანი შეუშალოს: ვაჟა, III. 444, 29) და მისგან ახალწარმოებებსაც ვხვდებით (მიზანშეწონილად ემსახურება: ვაჟა, I, 321. 21). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მნიშვნელობით XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში ჯერ კიდევ ვხვდებით ძველ საგან ლექსემასაც:

თავი და თავი საგანი ავტორისა ისა ყოფილა, რომ ამ ძირეულ საკითხს საბუთიანი პასუხი მოუპოვოს: ილია, ქგლ: დაბეჭითებით გეტყვი, რომ უმთავრესი ფიქრი მე და შენი უმთავრესს ჩვენს ცხოვრების საგანზედ ერთია: ვაჟა, V. 116. 28: საგანი ჩემი მოგზაურობისა კახეთში იყო დროებითი ადგილობრივი სირაჯობა: არდაზ. ქგლ.: ჟურნალ-გაზეთობას საგნად ადამიანის ცხოვრება აქვს: ილია, II, 256: მაგრამ მივყვები საგანსა აწ უფრო უდიდესსაო: აკაკი, V, 33, 8; ერთი ჰქონდეს მას საგანი: ჰარმონია მისი ხმების: აკაკი, I, 208, 5: ბღავიან და არ იციან, არც მიზეზი, არც საგანი: აკაკი, II, 241, 4.

მოტანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ზოგჯერ საგანი — „მიზანი“ და საგანი — „ობიექტი“ ერთმანეთისაგან ძნელი გასამიჯნია, მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ჭირს. ასევეა, სხვათა შორის, ძველი ქართული ენის ძეგლებში დადასტურებულ ზოგიერთ მაგალითში, მაგრამ ჯერ გავიხსენოთ ზოგი რამ საგან სიტყვის მნიშვნელობათა განვითარებისა და მისი შესწავლის ისტორიიდან.

ს ა გ ა ნ სიტყვის ეტიმოლოგია და მნიშვნელობა ძველი ქართული ენის ძეგლებისა და ქართველური ენების მონაცემების მოშველიებით გარკვეული აქვს ვუკოლ ბერიძეს სტატიაში „ს ა გ ა ნ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის“[1]. ავტორი ამ სიტყვას უკავშირებს გ ა ნ ფუძეს, რომელიც ზმნიზედათა მთელ რიგს აწარმოებს (ე რ თ გ ა ნ, ს ხ ვ ა გ ა ნ, ზ ო გ გ ა ნ, ყ ვ ე ლ გ ა ნ, ბ ე ვ რ გ ა ნ...) და რომელსაც თავდაპირველად „ადგილის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა“. აქედან უნდა მომდინარეობდეს მისი სხვა მნიშვნელობები, რომელთა განვითარების გზა ნათლადაა ნაჩვენები ვ. ბერიძის დასახელებული სტატიის დასკვნით ნაწილში.

გ ა ნ სიტყვას საბა განმარტავს როგორც „სივრცეს“.

ძველ ქართულში გ ა ნ ი და ს ა გ ა ნ ი აღნიშნავდა „ისრის სანიშნე, სასროლ ადგილს (мишень, цель)“. ამის მაგალითები საკმაოდ აქვს დადასტურებული როგორც ვ. ბერიძეს ხსენებულ სტატიაში, ასევე ილია აბულაძეს ძველი ქართული ენის ლექსიკონის მასალებში. მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმეს:

განმავსო მე, ვითარცა გ ა ნ ი ისრითა: გოდ. იერ. I, 3, მსაჯული სიმართლისაჲ ჯერ არს, რაჲთა ემსგავსოს მოისარსა, რომელმან უფროჲს ზომისა არა მოჰზიდნის მშჯლდსა, ნუუკუე გარდავლოს გ ა ნ ს ა, არამედ ზომით ყვის და მართლ თუალი მიაყვანის, რაჲთა განემარჯოს მიმთხუევაჲ გ ა ნ ი ს ა ჲ: ბალავ., 164, 21—24; გული ძეს ს ა გ ნ ა დ ისრისა... ვეფხისტყაოსანი, 708.

ძველსავე ქართულში ამ სიტყვას უკვე აქვს ის ვიწრო მნიშვნელობა, რომლითაც ის დღეს ჩვეულებრივ იხმარება, კერძოდ, „ს ი გ ა ნ ე, ს ი ფ ა რ თ ე“ (შვიდი მტკაველი სიგრძე აქვს და შესაფერი განია“: აკაკი). ამ მნიშვნელობით მას ვხვდებით XI საუკუნის გასულს იოანე ტარიჩისძის მიერ ნათარგმნ ერთ ფილოსოფიურ ძეგლში.

წინააღმდგომნი გუერდნი — გ ა ნ ი და სიგრძე: S 2562, ფ. 165 r; თუმცა იგივე ავტორი „სიგანის“ აღსანიშნავად ს ი ვ რ ც ე სიტყვასაც ხმარობს:

სხეული, სამთა მჭონებელი განფენათაჲ, განიწიაღების ეპიფანიაჲსა მიერ, რომელსა ჰქონან ორნი განფენანი: სიგრძე და ს ი ვ რ ც ე: S 2562, ფ. 81 r.

ამავე ტერმინს ხმარობს „ს ი გ ა ნ ი ს“ მნიშვნელობით იოანე პეტრიწიც.

...სამთა მიერ განსაზიდთა, ვიტყჳ, სიგრძესა, ს ი ვ რ ც ე ს ა და სიღრმესა: ი. პ., II. 50, 9.

---

[1] ვ. ბ ე რ ი ძ ე, **საგან** სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, რუსთველოლოგიური ეტიუდები, გვ. 140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგრამ საინტერესოა სწორედ ის, რომ იოანე ტარიჭისძე განლექსემას სწორად ხმარობს იმ მნიშვნელობით, რითაც დღეს, ჩვეულებრივ, მიზანი სიტყვა იხმარება, ე. ი. მასთან განი ნიშნავს „მისწრაფების საგანს, ძირითად აზრს“:

ზედწარწერასა, იტყჳან, ვინაჲთგან ვითარცა შემოკლებით ვითამე გარეშეუცჳს განი: s2562, ფ. 103r. Τὴν δὲ ἐπιγραφὴν ἐπειδὴ ὡς ἐν συντόμῳ τὸν σκοπὸν ἔχει: Ammon., 21, 23-24. უპირატეს ამათსა წინა შესავალსა შინა განსა წინა-აბგერებს წიგნისასა: s2562, ფ. 105r; Πρὸ δὲ τούτων ἐν τῷ προοιμίῳ προανακρούεται τὸν σκοπὸν τοῦ βιβλίου: Ammon. 23, 17—18. წარმკითხველი ვინმე უმეცარ თუ იყოს განსა წიგნისასა, სცონის და დაადგებს... და ამისთჳს უკუე იტყჳან განსა: s2562, 102 r—v.

...ἀγνοῇ τὸν σκοπὸν τοῦ βιβλίου... τὸν σκοπόν: Ammon., 21,7 („მკითხველმა თუ არ იცის წიგნის მიზანი, დაეზარება და თავს გაანებებს... და ამიტომ ეხებიან მიზანს“).

და სხვ. (იხ. აგრეთვე ფ. 133v).

როგორც ვნახეთ, განი ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ბერძნული ὁ σκοπός სიტყვის თარგმანს. საინტერესოა თვით ამ ბერძნული სიტყვის მნიშვნელობათა განვითარების გზა: ὁ σκοπός-ის ძირითადი მნიშვნელობაა „მოთვალთვალე, დამკვირვებელი, მხედველი“ (ზმნიდან σκοπέω — „დაკვირვება, თვალთვალი, გამოკვლევა, გარკვევა“). შემდეგ — „სასროლი მიზანი“, დაბოლოს, საზოგადოდ — „მიზანი“. ძნიშვნელობათა განვითარების იგივე გზა განვლო განლ — საგან სიტყვამაც, რომელიც გ. ბერიძემ სრულიად სამართლიანად დაუკავშირა გაგნება — მიგნება... („სივრცეში ორიენტაცია“)[2] ზმნას ანუ გენ ზმნურ ძირს, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ქართულში ცნობილი ა — ე ხმოვანმონაცვლეობის ფაქტი სახელურ და ზმნურ ფუძეებს შორის. ამგვარად, შეიმჩნევა სრული ანალოგია, ერთი მხრივ, ბერძნული σκοπέω ზმნისა და σκοπός სახელის და, მეორე მხრივ, ქართული გაგნება — მიგნება ზმნისა და განლ — საგან სახელის აზრობრივ მიმართებათა განვითარებას შორის (ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ არის რუსული цель — целится ლექსემათა მნიშვნელობების განვითარების ანალოგიური გზა).

მაგრამ, როგორც ჩანს, განლ — საგან ლექსემები ზემოთ აღნიშნული შინაარსით („მიზანი, ობიექტი, საკითხი“) ძველ ქართულში საზოგადოდ გავრცელებული არ ყოფილა და მხოლოდ ზოგიერთ მწერალთან დასტურდება. იოანე ტარიჭისძე ცდილობს დაამკვიდროს ეს ტერმინი, მაგრამ თვითონვე ზოგჯერ უნაცვლებს მას მოხერხებულად

---

2 გ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 142—143.

ნაწარმოებ ტერმინს ს ა ზ რ ი, რომელიც საბასთან განმარტებულია „გონებით მოსინჯვა, სააზრებელი“, მაგრამ იოანე ტარიჭისძესთან „ძირითადი, მთავარი აზრის, მიზნის, მიზანდასახულების“ მნიშვნელობით გვხვდება: როდესაც თავისი წიგნის ძირითად მიზანსა და დანიშნულებაზე ლაპარაკობს, ამონიოს ერმიასი იქვე პორფირის „შეყვანილების“ დანიშნულებასაც ეხება და ამბობს, რომ „პორფირიმ დაწერა წიგნი ესე, მასწავლელი ჩუენდა, თუ რასა დაჰნიშნავს თითოეული ჴმაჲ“ იმისათვის, რომ გაეადვილებინა არისტოტელეს მოძღვრების შესწავლაო და ასკვნის:

Ὁ οὖν τοῦ πορφυρίου σκοπὸς οὗτός ἐστιν: Ammon, 20, 21.

იოანე ტარიჭისძის თარგმანით: „და პორფირისი უკუე ესე არს ს ა ზ რ ი“, სადაც საზრი ბერძნულ ὁ σκοπός-ს შეესატყვისება.

ცნება „მიზანი“ („ძირითადი აზრი, საკითხი“) ხშირად ვადმოიცემოდა ლექსემით პ ი რ ი. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ერთი ადგილი ისევ იოანე ტარიჭისძის თარგმანიდან:

ვიტყჳთ, ვითარმედ, ექუსი არს რიცხჳთა სკოპოსი წიგნისაჲ: S 2562 239 v.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელს პირდაპირ გადმოაქვს ბერძნული სიტყვა ὁ σκοπός, ხოლო იქვე, აშიაზე კი, ამ სიტყვაზე მითითებით წერია: „პირი საქმისაჲ“. ასეთი ახსნა შემთხვევითი არ არის.

სიტყვას პ ი რ ი ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და, მათ შორის, „აზრის, საკითხის, მიზნისაც“. ასე, მაგალითად, ამ მნიშვნელობით ხმარობს მას გიორგი მთაწმიდელი „იოვანესა და ეფთჳმეს ცხორებაში“:

მე ვიცი, თუ რომლისა პირისათჳს მიჴმობენ: იოვ. და ეფთ., 179.

გიორგი მთაწმიდელიც ბერძნულ ὁ σκοπός-ის („მიზანი“) პ ი რ სიტყვით თარგმნის „ექუსთა დღეთას“ შემდეგს კონტექსტში:

Εἰς μοι σκοπὸς πανταχόθεν οἰκοδομεῖσθαι τὴν ἐκκλησίαν: Ἑξαημ 160 (18). ერთი უკუე, პ ი რ ი არს საძიებელ ჩემდა, რაჲთა ყოვლით კერძო ეკლესიაჲ აღეშენებოდის: ექ. დღ., 88, 8—9.

პ ი რ სიტყვის ამ მნიშვნელობით ხმარება რომ უცხო არ არის ძველი ქართულისათვის, ამას ადასტურებს ჯერ კიდევ ექვთიმე ათონელის თარგმანი ბასილი დიდის თხზულებისა „განმარტებაჲ სოლომონის იგავთაჲ“, სადაც ვკითხულობთ:

და თითოეულსა თჳსი სახე აქუს და პ ი რ ი საქმისაჲ: სოლ. 89, 1 Ἑκαστην πρὸς ἴδιον σκοπὸν συντεταγμένην Patr. gr. t. 31. p. 338.

ბერძნული ὁ σκοπός ასევე პ ი რ სატყვით აქვს თარგმნილი ეფრემ მცირესაც. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ერთი თხზულების—„საეკლესიოჲსა მღდელთმთავრობისათჳს“ I თავის სათაურია Τις ἡ τῆς ἐκκλησιαστ-

τικῆς ἱεραρχίας παράδοσις καὶ τίς ὁ ταύτης σκοπός: Dion. 369. რასაც ეფრემი შემდეგნაირად თარგმნის:

რაჲ არს საეკლესიოჲსა მღდელთ-მთავრობაჲ და რაჲ არს ძირი მისი: ჰ. იბ., საეკლ., 155, 3—4.

ასევე, „მიზნის, ამოცანის“ მნიშვნელობით არის ნახმარი ეს სიტყვა ამავე შრომების სხვა ადგილასაც:

პირ ყოვლისა მღდელთ-მთავრობისა არს ღმრთის მსგავსისა ღმრთისსახეობისა შემმშჭალულობისაგან განუბნეველყოფაჲ: ჰ. იბ. ზეც. 119, 31.

საინტერესოა, რომ პირ და გან—საგან სიტყვებს იმ მრავალ მნიშვნელობათაგან, რომლებითაც ისინი იხმარებიან, გარკვეული საერთო არე გამოეყოფათ, რომელშიც შედის: „ძირითადი აზრი, საკითხი[3], საგანი-ობიექტი. ამოცანა, მიზანი“.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ძველ ქართულში ცნება „მიზანი“ ჯერ კიდევ არ არის დამოუკიდებლად გამოკვეთილი და მთარგმნელები ცდილობენ ბერძნულ ὁ σκοπός ცნებას მოუძებნონ რაც შეიძლება ზუსტი შესატყვისი, რომელსაც ტერმინოლოგიური ღირებულება ექნება. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ როდესაც იოანე ტარიჩისძეს ამონიოს ერმიასის ლოგიკურ-ფილოსოფიური კომპენდიუმის თარგმნისას დასჭირდა გარკვევით გამოკვეთილი σκοπός ცნების გადმოცემა ქართულად, იგი აღარ დააკმაყოფილა პოლისემიურმა პირ სიტყვამ, რომლითაც მანამდე ითარგმნებოდა ბერძნული ὁ σκοπός ტერმინი და მიმართა მისთვის ცნობილ, ალბათ, ზეპირ მეტყველებაში გავრცელებულ სიტყვას განი, რომელიც, მსგავსად ბერძნული σκοπός ლექსემისა, „სასროლ ნიშანს, სამიზნეს“ აღნიშნავდა. ბერძნულშივე ამ ლექსემის ფართო გაგებით ხმარებამ მას საშუალება მისცა ანალოგიურად ფართო გაგებით ეხმარა გან სიტყვაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „კატიღორიის“ ერთი ადგილი, საიდანაც კარგად ჩანს ბერძნული σκοπός და ქართული გან ლექსემის ამოსავალი („ისრის სამიზნე“) მნიშვნელობიდან საზოგადოდ—„მიზან“ მნიშვნელობამდე მისვლის გზა: ამონიოს ერმიასი სვამს კითხვას, თუ რა მიზანი აქვს არისტოტელეს წიგნების კომენტირებას. იგი მწერლის (კომენტარის ავტორის) მიზანს ადარებს მშვილდოსნის სწრაფვას—ისარი სამიზნე[ში] მოახვედროს:

რაოდენ და რომელთაჲ ჯერ-არს წინაჴელყოფაჲ თარგმანებისა თითოეულისა არისტოტელებრისა წიგნისაჲ? და ვიტყჳთ, ვითარმედ ექუსი არს სკოპოსი წიგნისაჲ (რამეთუ ვითარცა მშვილდოსანსა განი

---

3 პირი „საკითხის“ მნიშვნელობით გვხვდება, მაგ. „ბალავარიანში“: არღარაჲ აქუნდა სიტყუაჲ, რაჲმცა მიუგეს ორსავე პირსა: ბალავ., 145, 5.

რაიმე აქუს, რომლისა მიმართ ისრის და რომლისაჲ ჰნებავს მიმთხუეცეაჲ, ეგრეცვე აღმწერელი დასასრულისა რაჲსმე მიმართ ხედუა და მისსა ისწრაფის მიმთხუეასა: S 2562, კატღ. 239 v (ὡσπερ γὰρ ὁ τοξότης, εἰ τύχοι, σκοπὸν τυχεῖν, οὕτω καὶ ὁ γράφων τι πρός τι τέλος ἀφορᾷ κἀκείνου σπουδάζει τυχεῖν. δεῖ τοίνυν τοῦτο ἐπιζητεῖν ὅτι ποτέ ἐστι Ammon., 7).

მაგრამ აქე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თვით ბერძნულშივე, „მიზან“ ცნების საზღვრები საბოლოოდ გამოკვეთილი არ ჩანს. ამ მნიშვნელობით, მაგალითად, არისტოტელე ხმარობს ტერმინს ὁ τέλος და როგორც ანტიკური ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარი ა. ფ. ლოსევი აღნიშნავს, „используя термин τέλος в своей философии, Аристотель применил его в его естественной многозначности. Τέλος—конец часто превращается у Аристотеля в τέλος—цель, а в некотором смысле „конец“ и „цель“ у него вполне сливаются.[4] ზუსტად ასევე, არისტოტელეს კონტატორთან, ამონიოს ერმიასთან, τέλος ტერმინის მნიშვნელობები „მიზანი—დასასრული“ ერთმანეთში გადადის:

ყოველსა უკუე ზედმიწევნულობასა და ჭელოენებასა ქუედმდებარე რაიმე აქუს დადასასრული“ (ὑποκείμενόν ἔχει καί τέλος: Ammon 1, 18). ....ვითარ-იგი მკურნალსა, ქუედმდებარედ ჰქონან კაცობივნი სხეულნი, რაჲეთუ მათთჳს შთამოვალს, ხოლო დასასრულად—განმრთელებაჲ მათი, რამეთუ ამას მიჰმარჯუებს. ეგრეთვე, ხუროსაცა, ქუედმდებარედ ჰქონან ძელნი, ხოლო დასასრულად — ქმნაჲ სართულისაჲ: S 2562, იქვე.

პროკლე დიადოხოსის ფილოსოფიაში τέλος ტერმინს „დასასრულის“ მნიშვნელობა აქვს და ასეც თარგმნის მას იოანე პეტრიწი:

Πασῶν τῶν θείων προόδων τά τέλη πρὸς τὰς ἑαυτῶν ἀρχὰς δύνεται: Plot. § 46.

ყოველთა ღმრთებრივთა მოქცევთა დასასრული თჳსთა დასაბამთა ებაძვის: ი. პ., I, თ. 147, გვ. 89, 17.

ხოლო, უკუქცევის არსი კი, ამ ფილოსოფიის მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ ემანაციის პროცესში დასასრული იგივე მიზანია. ამგვარად, τέλος—„დასასრული || მიზანი“ და σκοπός — „საკითხი, ამოცანა, მიზანი“ ძველ ქართველ მთარგმნელებს საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე აყენებდა. ალბათ, ამიტომაა, რომ თარგმნისას ზედმიწევნითი სიზუსტის დამცველი არსენი იყალთოელი უთუოდ რაღაც განსხვავებულ ნიუანსს ხედავს სიტყვის მნიშვნელობაში, რადესაც იგი იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანში გადმოაქვს ქართული ორჲ სიტყვით:

---

[4] А. Ф. Лосев, История античной эстетики, Аристотель и поздняя классика, Москва, 1975, გვ. 230.

χρὴ γινώσκειν, ὅτι σκοπὸν ἔχει ἡ λογικὴ πραγματεία περὶ τῆς ἀποδείξεως: Dial. ξέ, p. 132.

წინა უც იჭუად სიტყჳერსა საქმიერობასა წარმართებაჲ გარომაჩინებელობისაჲ: დიალ., 51, 1 — „ლოგიკური საქმიანობის ა მ ო ც ა ნ ა ა, მ ი ზ ა ნ ი ა მტკიცების წარმართვა“.

ამგვარად, არსენი ცდილა სპეციალური ტერმინით გადმოეცა σκοπός ცნება ქართულად და ამავე ტერმინს იმეორებს სხვა ადგილასაც:

იგივე და ერთი საქმე სხჳსა და სხჳსა ი ჭ ჳ ს ა ე ბ რ სხუასა და სხუასა შესმენასა ქუეშე დაიწუესების: დიალ., 36, 21 — „ერთი და იგივე რამ სხვადასხვა ა ზ რ ი თ, მ ი ზ ნ ი თ, თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ სხვადასხვა კატეგორიაში შევა“.

ეფრემ მცირე პირველ შემთხვევაში აზრობრივ თარგმანს არჩევს.

მოსწრაფებაჲ აქუს სიტყჳერსა მოქმედებასა გამოჩინებისათჳს საქმეთაჲსა: დიალ. 51, 1.

მ ო ს წ რ ა ფ ე ბ ა სიტყვა კარგად გამოხატავს დედნის აზრს. მეორე შემთხვევაში კი σκοπός-ის შესატყვისად ეფრემი ს ა ხ ე ლექსემას ხმარობს, რაც მხოლოდ მიახლოებით თუ გამოხატავს დედნის აზრს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ σκοπός სიტყვის ქართული ს ა ხ ე-თი გადმოცემას გარკვეული საფუძველი მაინც ეძებნება: ზემოთ ვნახეთ, რომ ექვთიმე მთაწმიდელმა იგი თარგმნა ჰენდიადისით: „ს ა ხ ე... და ბ ი რ ი საქმისაჲ“. შესიტყვება ბ ი რ ი საქმისაჲ ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, ნიშნავს „საქმის სახეს, მხარეს, რაგვარობას, ვითარებას“ და საკმაოდ ხშირადაც იხმარება ამ აზრით. მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ ბ ი რ — „მ ი ზ ა ნ ს“. ზემოთ ვნახეთ, რომ „დიალექტიკაში“ არსენიმ ი ჭ უ სიტყვით გადმოსცა ბერძნული σκοπός-ის მნიშვნელობა, რომელიც მოცემულ კონტექსტში მას ესმის, როგორც „ა ზ რ ი, ა მ ო ც ა ნ ა“. ხოლო, ი ჭ უ სიტყვის „ა ზ რ ი ს“ მნიშვნელობით ხმარება რომ მთლად უსაფუძვლო არ არის, ამას მოწმობენ ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებიც, სადაც ეს სიტყვა სწორედ „ა ზ რ ი ს, მოსაზრების (мнение)“ მნიშვნელობითაც გვხვდება*:

და მე დავადგრე ი ჭ უ ს ა ამას ზედა, ვიდრემდის გამომეცხადოს უმჯობესი: ბალავ. Ч 121, 30—31.	ხოლო მე ვეგო ი ჭ უ ს ა ამას, ვიდრემდის გამომეცხადოს უმჯობესი: Ч 121, 31—33.

გჳმს უკუე ჩუენცა ნაცვალად საეროთა მათ ი ჭ უ თ ა მათთჳს... არცა უპატრო ყოფაჲ მათი: პ. იბ. 253, 1—2 (ὑπόληψις).

* იჭუ ლექსემას „აზრის, შეხედულების“ (мнение) მნიშვნელობით ძალიან ხშირად ეხვდებით მიტროფანე, ზმურნელ მიტროპოლიტის „ეკლესისტეს თარგმანების“ ქართულ თარგმანში (იხ. კ. კეკელიძის გამოცემა, 1920 წ., გვ. 3, 65, 90, 110, 114, 127, 129, 173 და სხვ.).

ამგვარად, იჭუ სიტყვას ძველ ქართულში „აზრის, შეხედულების“ მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა „ზუსტი, მტკიცე აზრისა“, არამედ „მიჩნევისა“, რომელიც შეიცავს თუობის, შესაძლებლობის (ყოყმანის) ნიუანსს, საიდანაც, როგორც ჩანს, მივიღეთ ამ სიტყვის დღევანდელი სტაბილური მნიშვნელობა „ეჭვი, сомнение“.[5]

ალბათ, მაინც ჯობდა, რომ მოცემულ კონტექსტში ბერძნული σκοπός-ის შესატყვისად არსებნის ისევ ლექსემა პირი ეხმარა, რომელსაც ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მისი პოლისემიურობის გამო მოერიდა, მაგრამ სხვა შემთხვევაში, მაგ. „დიდი სჯულის კანონში“ სწორედ „მიზნის“ მნიშვნელობით ხმარობს:

(კაცის კლვა) სრულიად უკუე უნებლიეთი და გარეგანი მიზეზისაჲ არს, ვითარ-იგი რაჟამს ძაღლისა ანუ ხისადა ტყორცებული ქვაჲ მიემთხჳს კაცსა, რამეთუ პირი ვიდრემე საქმისაჲ ესე იყოს, რაჲთა მხეცი წარიოტოს ანუ ნაყოფი ხეთაჲ შთამოყაროს... უნებლიეთი არს იგიცა, რაჟამს ენების ვისმე მოქცევაჲ მისდა რწმუნებულისა ვისიმე და კუერთხი ანუ სხუაჲ რაჲმე სცის არა ფრიად მტკივნად, ხოლო მოკუდის ცემული იგი, რამეთუ პირი საქმისაჲ აქა ამისდა ნიმართ ჰხედვიდა, რაჲთა უმჯობესისა მიმართ შეცვალებაჲ არწმუნოს, არათუ, რაჲთა მოკლას: დ. სჯ. კან., 477, 26—35.

გამოცემის ლექსიკონში ამ კონტექსტზე მითითებით სიტყვა პირი განმარტებულია როგორც „ვითარება“ (პირი საქმისაჲ — „საქმის ვითარება“), მაგრამ კონტექსტის შინაარსი აშკარად უჭერს მხარს ამ სიტყვის „აზრი, მიზანი“ მნიშვნელობას: „კაცის კვლა მთლიანად უნებლიე და ობიექტური მიზეზით არის, როცა ძაღლის ან ხისთვის ნასროლი ქვა ადამიანს მოხვდება, რადგანაც მოქმედების მიზანი ის იყო, რომ მხეცი გაეგდო ან ხის ნაყოფი ჩამოეყარა... უნებლიეთია ისიც, როცა ვინმეს, უნდოდა რა მისთამი რწმუნებული ვისიმე მოქცევა (გამოსწორება) და ჯოხი ან სხვა რაიმე არც ისე სატკენად დაარტყა, მაგრამ ნაცემი მოკვდა, რადგანაც აქ მოქმედების მიზანი ის იყო, რომ უკეთესობისაკენ შეცვლაში დაერწმუნებინა და არა მოეკლა“.

ამგვარად, „მიზნის“ ცნება ძველ ქართულში გამოიხატებოდა სხვადასხვა ლექსემებით: პირი, განი, საგანი, სახე, იჭვ, რომელთაგან თითოეული საკმაოდ ვრცელი სემანტიკური ველით ხასიათდებოდა. ეს ფაქტი ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ „მიზნის“ ცნება ჯერ კიდევ არ იყო ნათლად გამოკვეთილი და დამოუკიდებლად გამოყოფილი, ერთი მხრივ, ცნება „აზრი საგან“ და, მეორე მხრივ, ცნე-

---

[5] საგულისხმოა ანალოგია რუსულ мнение — мнительность და ძველი ქართული იჭუ — ახალი ქართულის ეჭვი ლექსემათა მნიშვნელობის განვითარებაში.

ბა „შედეგისაგან“. „მიზან“ ცნების თანდათანობით დამოუკიდებელ ცნებად ჩამოყალიბების შემდეგ გზა გაიკვალა სრულიად ახალმა ტერმინმა მიზან ლექსემამ, რომელიც, თუმცა არაბული სიტყვაა (და როგორც ასეთი, კიდევაც დადასტურებულია XII საუკუნის ძეგლში), მაგრამ სპარსულის გზით ჩანს შემოსული ჯერ აღორძინების ხანის ეწერლობაში და შემდეგ, უფრო გვიან, მნიშვნელობის თანდათანობითი გადაწევით, დამკვიდრებული ახალ სალიტერატურო ქართულში.

დამოწმებული ძეგლები და სახელწოდებათა შემოკლებანი

ბალავ. — ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1957.

დიალ. — იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბილისი, 1976.

დ. სჯ. კან. — დიდი სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975.

ექ. დღ. — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1946.

ვახტ., ზილიხ. — ვახტანგიანი, ზილიხანიანი, იხ. შოთა რუსთაველის კომისიის მასალები.

ი. ბ. — იოანე პეტრწის შრომები, I, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940.
ტ. II, განმარტებაჲ. ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ, და სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.

პ. იბ. — პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბილისი, 1961.

სოლ. — განმარტება სოლომონის იგავთა, იხ. ძველი ქართული ენის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965, გვ. 69 და შმდ.

S 2562 — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი — ამონიოს ერმიას ძე, „მოსაკსენებელი ხუთთა კმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“, „მოსაკსენებელი ათთა კატიღორიათადმი არისტოტელისათა“.

Ammon. — Ammonius, in Porphyrii isagogen, sive V voces, édit. Adolfus Russe, Berolini, Comment. in Aristotelen graeca, vol IV, 1891.

Dial. — Bonifatius Kotter, die Schriften des Ioannes von Damaskos, I, Dialectica, OSB, Berlin, 1969.

Ἑξαημ. — Basilii magni, Εἰς τὴν ἑξαημέρον, Patrologiae, cursus completus, series graeca, P. Migne, 1857, t. 29.

Plot. — Πρόκλου Διαδόχου πλατωνικοῦ. Στοιχείωσις θεολογική, Plotini, Enneades, Parisiis, 1855.

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ

ИЗ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ЛЕКСИКИ

Резюме

В древнегрузинском языке понятие «цель» обозначалось лексемами gani, sagani, ṗiri, saxe, iḉui, каждая из которых характеризовалась довольно широким семантическим полем (мысль, задача, вопрос, цель) и в переводах соответствовала греческому слову ὁ σκοπός (цель)

Арабское слово mizan (весы), которое в новогрузинском обозначает понятие «цель», вошло в употребление сравнительно позже (хотя и засвидетельствовано уже в памятнике XII в., как арабское слово, обозначающее «весы»). То же самое слово, mizan, встречается также в двух памятниках XVII в., отмеченных влиянием персидской литературы. В словаре Сулхана-Саба Орбелиани данного слова еще нет. Но оно уже засвидетельствовано в Русско-грузинском словаре Н. Чубинашвили (нач. XIX в.), после чего оно входит в словарный состав новогрузинского языка в значении «цель».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჯუმბურიძე

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

შედარება ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში

მხატვრულ ნაწარმოებებში სახეების შექმნაში გარკვეულ როლს ასრულებს შედარება. ტროპის ამ სახეს ჩვენ ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით განვიხილავთ.

შედარება, როგორც მხატვრული ხერხი, ლიტერატურათმცოდნეობის ინტერესის ობიექტია, ხოლო რა ენობრივი სტრუქტურებით ვლინდება იგი, რა საშუალებებს იყენებს ენა მის გამოსახატავად, ეს ენათმეცნიერების კვლევის სფეროში შედის.

ჩვენი მიზანია, შედარება განვიხილოთ ენათმეცნიერული ასპექტით, მაგრამ მისი გამიჯვნა მთლიანად ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტისაგან არ ხერხდება. ამიტომ იმ ენობრივი საშუალებების კვლევის დროს, რომლებიც ძველ ქართულ აგიოგრაფიაში შედარების გამოსახატავად იხმარება, ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებსაც შევეხებით.

თ. კვაჭანტირაძე თავის სპეციალურ ნაშრომში მსგავსებითი შედარების შესახებ აღნიშნავს: „ვინაიდან მსგავსებითი შედარება ძირითადად მხატვრული მეტყველების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, მისი ანალიზის დროს ესთეტიკური ფაქტორებიც იჩენს თავს, რის შეფასებასაც სტილისტიკის და პოეტიკის სფეროში გადავყავართ.

მსგავსებითი შედარების კატეგორიის განხილვისას ანალიზის ეს დონეები ურთიერთისაგან იზოლირებული არ არის. ეს კია, რომ ცალკეულ შემთხვევაში — კვლევის მიზანდასახულების შესატყვისად — თვითეული მათგანი წინა პლანზე წამოიწევს ხოლმე. მაგრამ საანალიზო მოვლენის მხოლოდ ერთი კუთხით კვლევა პერსპექტიულად არ გვეჩვენება“.[1]

შედარება სპეციალურ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც მეტყველების იმგვარი ფიგურა, რომლის არსი ერთი საგნის მეორესთან

[1] თ. კვაჭანტირაძე, მსგავსებითი შედარება ქართულში, თბილისი, 1978, გვ. 11.

იმ ნიშნის მიხედვით დამსგავსებაშია, რომელიც პირველისთვისაც ივარაუდება.[1]

წინადადებებს, რომლითაც რეალიზდება მსგავსებითი შედარების ლოგიკური მოდელი, თ. კვაჭანტირაძე სქემებს უწოდებს. სქემებში გამოიყოფა სამი ძირითადი კონსტრუქციული კომპონენტი — სქემის ნაწილები, რომლებიც ლოგიკური მოდელის ობიექტთა და ნიშნის კლასის ეკვივალენტურია. სქემის ნაწილი ყოველთვის არ უდრის ცალკე სიტყვას, ვინაიდან ზოგჯერ ა) სქემის ერთი ნაწილი რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა და ბ) ერთ სიტყვაში სქემის ორი ნაწილი რეალიზდება.

ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში მხატვრული შედარების გამომხატველი წინადადებების სქემის სახით გამოკვეთა ზოგჯერ ჭირს. თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით უმეტესად ვრცელი შედარებები გვაქვს და სქემის ნაწილები, განსაკუთრებით ნიშანია კლასი რამდენიმე ფრაზით გადმოიცემა ხოლმე, ხშირია კომპლექსური შედარებები.

კომპლექსური შედარებისას ნიშანთან დაკავშირებული წევრები კი არ ემსგავსება ერთმანეთს, არამედ — მათი ურთიერთდამოკიდებულება. ძველ ქართულში ამ სახის სქემისათვის დამახასიათებელია მსგავსების ფუნქციის მატარებელი რთული შედგენილობის საკავშირებელი ელემენტი ვითარცა-იგი — ეგრეთვე (resp. ვ ი თ ა რ ც ა-ი გ ი — ე ს რ ე თ, ვ ი თ ა რ ც ა — ე ს რ ე თ). ე გ რ ე თ ვ ე ზოგჯერ ელიფსირებულია. შეიძლება ელიფსირებული იყოს ავრეთვე ვ ი თ ა რ ც ა ი გ ი. აგიოგრაფიულ ძეგლებში ყველაზე ხშირად სწორედ ეს რთული შედგენილობის ელემენტი გამოიყენება.

საერთოდ, შედარების გამოსახატავად ძველ ქართულში მდიდარი ინვენტარი მოიპოვება. დასახელებული საშუალების გარდა გამოიყენება კავშირი ვ ი თ ა რ ც ა, თანდებული — ე ბ რ, მიმღეობა მიმსგავსებული (ძირითადად მიმართვის დროს), ზედსართავ სახელთა საისხის ფორმები, აღწერითი წარმოება (მსგავს არს, ემსგავსების, თანამოდგამ არს, სწორი, სახედ).

აგიოგრაფია მხატვრული სახეების შექმნას საკუთარი პრინციპებით მოითხოვდა. ეს პრინციპები შედარებების გამოყენებასაც ეხებოდა. გამოიყოფა საკმაოდ დიდი ნაწილი შედარებებისა, სადაც შედარების საგანია წმინდანები და ანგელოზები, ბიბლიიდან აღებული პერსონაჟები, ამბები და სიტუაციები. ასეთი მხატვრული შედარებებისა და მეტაფორების ხმარება თვითონ ჟანრით იყო გამოწვეული და მათი გამოყენებისას ქართველი მწერლები ორიგინალურნი არ არიან.

[1] Словарь лингвистических терминов, М., 1966, გვ. 450.

მეორე მხრივ, გვაქვს ორიგინალური და საინტერესო მხატვრული შედარებები, როგორც ატრიბუტული, ისე კომპლექსური სახისა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შედარებებს უფრო ადრეული პერიოდის ძეგლებში ვხვდებით, ვიდრე მომდევნო ხანისაში.

იაკობ ცურტაველის და იოანე საბანისძის თხზულებებში, რომლებიც მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით საუკეთესოა მთელს ქართულ აგიოგრაფიაში, ბევრი ტრადიციული შედარების გვერდით, გამოიყენება საინტერესო ორიგინალური მხატვრული შედარებები და მეტაფორები. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ კი, რომელიც მხატვრულობის თვალსაზრისით ავრეთვე გამოირჩევა, ორიგინალური შედარებები ნაკლებად გვაქვს. აქ შედარების ობიექტია ძირითადად ძველი და ახალი აღთქმის პერსონაჟები, წმინდანები, მოციქულები და ანგელოზები. მართალია, ავტორი ცდილობს სხვადასხვა საშუალებებით გააძლიეროს მხატვრული ზემოქმედების ძალა და უფრო მიმზიდველი გახადოს ესა თუ ის შედარება, მაგრამ ისინი მაინც ტრაფარეტულია და წინა თაობის მწერალთა მიერ უკვე არაერთგზის გამოყენებული.

ყველა აგიოგრაფიული ძეგლის საერთო დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს გმირის შედარება ქრისტესთან, ანგელოზებთან, მოციქულებთან და წინასწარმეტყველებთან. ეს შედარებები უმეტეს შემთხვევაში პრედიკატული ჯგუფისაა, გაცილებით მცირეა ატრიბუტული ჯგუფის მაგალითები. მსგავსების გამოსახატავად გამოყენებულია კავშირი ვითარცა (ზოგჯერ კორელატთან წყვილში), — ებრ თანდებული. ხშირად შედარება აღწერითი საშუალებითაა გადმოცემული, სადაც საკავშირებელი ელემენტის როლში დამოუკიდებელი წევრები გამოდიან: მსგავსი, მომსგავსებული, მსგავსარს, სწორი.

პრედიკატული ჯგუფის შედარება

ვითარცა:

„განუმზადა თავი თჳსი ქრისტესთჳს სატანჯველად და სიკუდილსა დათმენად, ვითარცა ქრისტემან სიკუდილი დაითმინა ყოველთათჳს“ (გობრ. 177, 36).[1]

-ებრ:

მსურის მე, რაჲთა მოციქულისაებრ ვიტყოდი (ზარზმ. 341, 7). აღწერითი წარმოება:

„და ემსგავსებოდეს მოძღუარსა კეთილს, ვითარცა მოძღუარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა, რომელიცა იტყჳს:

---

[1] მაგალითები დამოწმებულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლებიდან“, წიგნი 1, თბ., 1963.

„კმა არს მოწაფისა მის, იყოს თუ ვითარ მოძღუარი თჳსი“ (ხანცთ. 258, 21).

მოყვანილი მაგალითი კომპლექსური ჯგუფისაა. აქ ერთი ობიექტის მარეალიზებლად გვაქვს პრედიკატული დამოკიდებულება: (ვრიგოლის მოწაფეები) ემსგავსებოდნენ მოძღუარსა კეთილსა, ხოლო მეორე ობიექტის მარეალიზებლად — მოძღუარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა.

როდესაც პრედიკატული ჯგუფის შედარება გვაქვს, აღწერითი წარმოების დროს საკავშირებელი ელემენტის როლში თითქმის ყოველთვის „მსგავს“ ფუძის სიტყვები იხმარება:

„წმინდა ანგელოზთა მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ჲ გაჭუს სიწმიდე“ (ხანცთ. 300, 17). „ყოლად უღონოდ გხედავ თქუენ მ ს გ ა ვ ს ა დ მოცქულთა (ზარზმ. 327, 1).

ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი ჯ გ უ ფ ი ს შ ე დ ა რ ე ბ ე ბ ი

ვ ი თ ა რ ც ა:

„რამეთუ ჰხედვიდა ყოველი კაცი პირსა ნინოჲსსა, ვ ი თ ა რ ც ა ზეცისა ანგელოზისასა“ (მოქც. ქართლ. 104, 33).

„რამეთუ ვ ი თ ა რ ც ა პირი მოსე წინაწარმეტყუველისაჲ, იყო დიდებულ ამის ნეტარისაცა ხატი მადლითა ღმრთისაჲთა“ (ხანცთ. 267, 42).

-ე ბ რ, -ე ბ რ ი ვ ი:

„ვის თანა-ღა ვიხილოთ სახე ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ რ ი“ (შიო 228, 15). „რამეთუ ესმოდა ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ რ ი ვ ი ცხოვრებაჲ მარტოდ მყოფთაჲ“ (ხანცთ. 253, 11).

აღწერითი წარმოება ძირითადად აქაც მ ს გ ა ვ ს ფუძის სიტყვებით გამოიხატება:

„ესევითარი ღირსნი სხუანიცა იყვნეს ეპისკოპოსნი სასწაულთა მოქმედნი ანჩს, მ ი მ ს გ ა ვ ს ე ბ უ ლ ნ ი უფლისანი, რომელთა სიყმილსა შინა მცირითა პურითა მრავალნი მშიერნი გამოზარდიან“ (ხანცთ. 304, 26).

ამ მაგალითში ნიშანი, რომლის მიხედვითაც პერსონაჟი ქრისტესთანაა შედარებული, გამოკვეთილი არ არის, არამედ შემდეგი ფრაზის საშუალებით იგულისხმება. თავისი გმირის სასწაულებრივ ძალას ავტორი სახარებისეული ეპიზოდის მოშველიებით უსვამს ხაზს. (შდრ. მათე 14, 19). შედარების გამოსახატავად აქ გამოყენებულია მიმღეობა მ ი მ ს გ ა ვ ს ე ბ უ ლ ი, რომელიც უფრო ხშირად მიმართვის დროს იხმარება:

„ეფრემ სანატრელო,... მ ი მ ს გ ა ვ ს ე ბ უ ლ ო მოძღუარსა შენსა ქრისტესა სიტყვასაებრ დავითისა: „რამეთუ წრფელ არს უფალი ღ მ ე რ თ ი ჩუენი და არა არს სიცრუჱ მის თანა“.[1] (ხანცთ. 287, 42):

ამ შემთხვევაშიც ნიშანთა კლასი გამოკვეთილი არ არის. ფსალმუნიდან მოტანილი ციტატის საშუალებით მიგვანიშნებს მწერალი, რომ ნიშანი, რომლის მიხედვითაც ხდება შედარება, არის სიწრფელე და სიწმინდე.

ატრიბუტული ჯგუფის შედარებებში აღწერითი წარმოების დროს საკავშირებელ ელემენტად გამოიყენება აგრეთვე ს წ ო რ ი:

„მაშინ დედოფალი იგი სოჯი წარმოემართა ხილვად და თაყუანისცემად წმიდისა სიონისა და წმიდისა მახარებლისა, მოციქულთა ს წ ო რ ი ს ა ნინოჲასა“ (ნოქც. ქართლ. 99, 15).

საინტერესოა შედარებები ბიბლიის პერსონაჟებთან. ავიოგრაფიულ თხზულებათა გმირები ძირითადად რაიმე მოქმედების გამო ემსგავსებიან ბიბლიის პერსონაჟებს. ეს შედარებები ვრცელია, უმეტესად — პრედიკატული ჯგუფისა.

„ვითარცა ძუელ ოდესმე დანიელ დაამდოვრნა მჯეცნი მღუმესა მას შინა მარხვისა მისთჳს, რომელ საღმრთოისა სჯულისათჳს დაიმარხა, და არა შეეხო ყოლად საზრდელსა ქალდეველთასა, ე გ რ ე თ ვ ე ლოცვითა წმიდისა ამის მამისა ჩუენისაჲთა მშჯდ და უვნებელ იქმნეს მჯეცნი მთისა მის მისისანი“ (ზედაზნ. 4, 215, 1. შდრ. წინაწარმეტყუელება დანიელისა 6, 16).

გარდა პერსონაჟებთან შედარებისა გვაქვს შედარებანი ბიბლიურ ამბებთან, როდესაც მოვლენა შედარებულია მოვლენასთან, ეპიზოდი — ეპიზოდთან. აღწერითი წარმოების საინტერესო შემთხვევებს ვხვდებით „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“:

„ესე სასწაულნი თანამოდგამ არიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განპებასა ზღუასა და კლდისაგან აღმოცენებასა წყლისასა და კუალად გრიგოლის მიერ საკჳრველთმოქმედისა განჴმობამ მის ტბისასა“ (230, 30).

ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში უხვადაა გამოყენებული ქრისტიანულ მწერლობაში მიღებული სიმბოლოები, რომელთაც აგიოგრაფი მწერლები შედარების დროს იყენებენ.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა „მ წ ყ ე მ ს ი კ ე თ ი ლ ი ს“ სიმბოლო:

„ვითარცა მწყემსი კეთილი აძოებდე კარაულთა ჩუენთა“ (შიო 221, 7).

მეორე საკმაოდ გავრცელებული სიმბოლოა ცხვარი, კრავი. ქრისტიანულ ხელოვნებაში იგი ქრისტეს სიმბოლოა. აქვს მეორე მნიშვნე-

---

[1] ფსალმ. 81, 16.

ლობაც: ზოგადად უმწიკვლობის, უმანკოების, ქრისტესთვის უდანაშაულოდ შეწირული ადამიანისა, ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში ცხვარი და მისი სინონიმები, კრავი, ტარიგი უმეტესად ამ მეორე მნიშვნელობით იხმარება:

„ვითარცა კრავი უმანკოჲ შეიწირე“ (აბო 80, 3).

გარდა ამისა, ბევრჯერ გვხვდება მცენარეების, ზეცის, მარგალიტის, სინათლის, მნათობების სიმბოლურ სახეებთან შედარება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიმბოლოები გაცილებით უფრო ხშირად მეტაფორებად არის გამოყენებული.

გარდა ტრადიციული და ტრაფარეტული შედარებებისა ძველი და ახალი აღთქმის პერსონაჟებთან, წმინდანებთან და მოციქულებთან, სიმბოლურ სახეებთან, ქართველი აგიოგრაფები ქმნიან საინტერესო ორიგინალურ შედარებებს. შესადარებელ ობიექტად ისინი ხშირად ჩვეულებრივ, ყოფითს ამბებსა და მოვლენებს იყენებენ და დახვეწილი და ნატიფი გემოვნების მქონე ოსტატებად გვევლინებიან.

შედარებების უმეტესი ნაწილი, ისევე როგორც ტრაფარეტულ შედარებათა უმრავლესობა, მთავარი პერსონაჟის სულიერი სამყაროს დასახასიათებლად არის გამოყენებული.

შედარებათა მნიშვნელოვანი ნაწილი გმირის პროფესიული სახის საჩვენებლად არის მოტანილი, გმირის ბუნებას ზოგადად ახასიათებს. ასეთ შემთხვევებში ავტორები შედარების გადმოსაცემად ან ვითარცა ეგრეთ რთულ ელემენტს მიმართავენ, ან მხოლოდ ვითარცა კავშირს.

„და ათოთხმეტისა წლისა შემდგომად მოივლინა ქუეყანასა ჩუენსა ქადაგი ჭეშმარიტებისაჲ ნინო, დედოფალი ჩუენი, ვითარცა ბნელსა შინა მთიები რაჲ აღმოჰჴდის და ცისკარი აღიღის, და მისა შემდგომად აღმოვალნ დიდი იგი მფლობელი დღისაჲ, ეგრეთ იყო ცხორებაჲ ჩუენი, ქართველნო, რამეთუ ვიქცეოდეთ ნათელსა და მკჳდრ ვიყვენით ბნელსა, ვიხარებდით შუებითა და ვიუნჯებდით გლოვასა, რომლის ნუგეშინის მცემელი არა იყო“ (მოქც. ქართლ. 125, 18).

აქ ქართველების წარმართობისდროინდელი ყოფა. დრო, როცა მსახურებდნენ „დაბადებულთა და არა დამბადებელსა“ (იქვე, 125, 28) შედარებულია ბნელეთში ყოფნასთან, ხოლო ქართველთა განმანათლებელი — მთიებთან, რომელსაც დღის დადგომა მოჰყვება. მნათობებთან შედარება ტრადიციული ხერხია ქრისტიანულ მწერლობაში, მაგრამ პოეტური სიტყვის უბადლო ოსტატის ხელში ეს შედარება სცილდება ტრაფარეტის ფარგლებს დ ორიგინალურ მხატვრულ სახედ აღიქმება.

ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით ავტორები ზოგჯერ ვითარცა კავშირს რამდენჯერმე იმეორებენ:

„მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი, მოციქული და მახარებელი ძისა ღმრთისაჲ, წმიდაჲ ნინო, პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხოჲ და ვითარცა მწირი, ვითარცა შეუწევნელი, ვითარცა უსმი და უტყჳ“ (მოქც. ქართ. 158, 14).

აგიოგრაფიული ნაწარმოებების მთავარ პერსონაჟთა სულიერი სამყარო ზოგჯერ მეორე პერსონაჟის საშუალებით არის მოცემული. რომელიმე ავტორი გვაძლევს იმ განცდებისა და გრძნობების აღწერას, რასაც მთავარი გმირი სხვა პიროვნებაში აღძრავს.

ებიათარ მღვდელი ნინოს შესახებ ყვება: „მაშინ აღალო წმიდაჲ იგი პირი თჳსი ნეტარმან ნინო და აღმოდიოდეს სიტყუანი მისნი-წყარონი წყლისანი“. (მოქც. ქართლ. Ც 145, 26).

აქ ასოციაციით გამოწვეული შედარება კავშირის გარეშეა მოცემული. ამ მაგალითით კარგად ჩანს, როგორ ხდება შედარების მეტაფორად ქცევა, შედარების მეტაფორმაში გადაზრდა.

სხვა შემთხვევებში შედარების გამომხატველი საშუალება ვ ი თ ა რ ც ა კავშირია.

ქართულ აგიოგრაფიაში, ისევე როგორც საერთოდ ქრისტიანულ მწერლობაში, დიდი ადგილი ეთმობა სასწაულებისა და ჩვენება-სიზმრების აღწერას. მათი გადმოცემისას ავტორები სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს მიმართავენ:

„და აჰა ესერა სუეტი ნათლისაჲ სახედ ჯუარისა დგა“ (მოქც. ქართ. 155, 2).

„აჰა ვიხილე სუეტი იგი ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა“ (მოქც. ქართ. 180, 33).

არამთავარი პერსონაჟების დახასიათება, მათი სულიერი სამყაროს ჩვენება ავტორების მიზანს იმდენად წარმოადგენს, რამდენადაც ეს მათ მთავარი გმირის უკეთ გამოსაჩენად სჭირდებათ. სანიმუშოდ მოვიყვანთ კომპლექსური შედარების ერთ მაგალითს:

„ხოლო დედოფალი იარებოდა კიდესა მდინარისასა, ვითარცა ყრმაჲ ძუძუჲსთჳს დედისა თჳსისა ეგრეთ სურვილ იყო ხილვისათჳს სასურველისა თჳსისა“ (მოქც. ქართ. 99, 40).

პერსონაჟთა დახასიათების გარდა, აგიოგრაფიულ ძეგლებში შედარება გამოიყენება ამა თუ იმ მოვლენის აღწერისას.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ მაგალითებში ორი შესადარებელი ობიექტი რაიმე ნიშნის ან თვისების მიხედვით ერთმანეთს ემსგავსება. ცალკე გამოიყოფა ის შემთხვევები, როცა ორი საგანი ან მოვლენა ერთმანეთთან დაპირისპირების გზითაა შედარებული. საკავშირებელ საშუალებად ასეთ შემთხვევაში მაპირისპირებელი კავშირი ხ ო ლ ო გამოიყენება. ასეთი მაგალითები გაცილებით მცირეა:

„გუელთა და იქედნეთა, ასპიტთა და მჴეცთა იციან წყალობაჲ შვილთაჲ, ხოლო ამათ უსჯულოთა არა ყვეს წყალობაჲ შვილთა მათთათჳს“ (კოდ 185, 30).

„რამეთუ შეკრებასა მას ჭამადთასა განძღებაჲცა აჭუს, ხოლო ღმრთისა სიტყუათა მოჴსენებასა არა არს განძღებაჲ ღმრთის მოყუარეთა სულთაჲ“ (აბო 51, 6).

ამ შემთხვევებში გამოყენებულია დაპირისპირების მხატვრული ხერხი, მაგრამ რადგანაც იგი ემყარება კონტრასტის გზით შედარებას, ამიტომ საჭიროდ ვცანით ჩვენს განსახილველ მასალაში შემოგვეტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ორიგინალური შედარებებიდან, რომელთაც ქართველი ავიოგრაფები მხატვრული სახეების შესაქმნელად მიმართავენ, უმეტესობას ისევ ბიბლიური წიგნების ზეგავლენა ეტყობა. მწერლები ძირითადად იცავენ იმ ტრაფარეტს, რასაც მათ თვით ჟანრი უკარნახებს. ეს სრულებითაც არ ამცირებს მათ ჭეშმარიტად მაღალ პოეტურ გემოვნებას, მათ სამწერლო უნარს.

Н. З. ЧУМБУРИДЗЕ

СРАВНЕНИЕ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В статье рассматриваются способы сравнения в памятниках древнегрузинского языка.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გედოშვილი
(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ეპისკოპოსი ტოპორნიმ მცხეთის წარმოშობის შესახებ

ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ტოპონიმი მცხეთა დიდი ხანია მკვლევარ-სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ეს ინტერესი განპირობებული არის არა მხოლოდ იმით, რომ სახელწოდება მცხეთა სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზრისით არაერთ საინტერესო ვარაუდს წარმოშობდა და წარმოშობს, არამედ იმიტომაც, რომ ის წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ქართულ საკუთარ სახელს, რომელიც ყველაზე უადრეს ქართულ საისტორიო ძეგლებში („მოქცევაჲ ქართლისაჲ", „ქართლის ცხოვრება"...) არის დადასტურებული.

„ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა ... აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა და უწოდა სახელი თჳსი მ ც ხ ე თ ა"[1].

მკვლევართა გაცხოველებული ინტერესი ტოპონიმ მცხეთის მიმართ უეჭველად იმითაც იყო შეპირობებული, რომ მცხეთა ქართული ეროვნული სახელმწიფოს (ქართლის სამეფო) ჩამოყალიბება-ორგანიზაციის საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. მცხეთა იყო იბერიის სამეფოს პირველი, ამასთან მთელს ახლო აღმოსავლეთსა და წინა და მცირე აზიაში საკმაოდ ცნობილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული (შემდგომ კი — რელიგიურ-სარწმუნოებრივი) ცენტრი. შემთხვევითი არაა, რომ ერთიანი, ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოს შექმნა (XI-XII ს. ს.) უშუალოდ არის დაკავშირებული მცხეთასთან, როგორც მის ქრისტიანულ დედაქალაქთან, „სამეუფო ქალაქთან".

ტოპონიმ მ ც ხ ე თ ი ს წარმოშობის შესახებ დღეისათვის რამდენიმე, მეტნაკლებად გავრცელებული, თვალსაზრისი არსებობს:

---

1 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 9_{13}.

ა) მცხეთა აუგია და თავისივე საკუთარი სახელი შეუთხზავს ლეგენდურ მცხეთოს, ქართლოსის ძეს: „ხოლო მცხეთოს ... ალაშენა ქალაქი... და უწოდა სახელი თჳსი მცხეთა“[2].

როგორც ცნობილია, ლეონტი მროველის ამ ცნობას მთლიანად იზიარებს ვახუშტი; ისიც მცხეთის წარმოშობას მცხეთოსის სახელს უკავშირებს[3].

ბ) მცხეთა (აგრეთვე სამცხე) დაკავშირებულია ცხება, დაცხება (დასცხო) ზმნებთან[4]. მ. ჯანაშვილი უშვებდა ვარაუდს, რომლის თანახმადაც: «Мцхети может означать: «место облепленное и обмазанное», т. е. великолепно устроенное и могущее отразить врагов». «Из этого же корня имеем второе (позднее) название Месхетии — «Самцхе». Мцхе — причастная форма от глагола цхеба и значит — одолевающий, разитель»[5].

მოგვიანებით მ. ჯანაშვილის ეს ვარაუდი უცვლელად და უშენიშვნოდ გაიზიარა М. Мельхеев-მა[6].

გ) 1930-იან წლებში ს. კაკაბაძემ სცადა სახელწოდება მცხეთის აფხაზურ ენობრივ სამყაროსთან დაკავშირება. მან ტოპონიმისათვის ამოსავლად რატომღაც აფხაზური სახელები a-mza („მთვარე“) და a-q° („ნაწილი“; „доля“) მიიჩნია. ამრიგად, მცხეთა კულტის აღმნიშვნელ საკუთარ სახელად იქნა გამოცხადებული. ს. კაკაბაძე პირდაპირ მიუთითებდა: „სახელი მცხეთა... კულტის ნიადაგზე წარმოშობილად ჩანს“-ო.[7] ეს ვარაუდი, როგორც ცნობილია, შემდგომ სამართლიანად უარყო ნ. მარმა.[8]

დ) 1850-იანი წლებისათვის პლ. იოსელიანმა გამოთქვა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ტოპონიმი მცხეთა ეთნიკური ტერმინის „მესხი“-საგან უნდა ყოფილიყო წარმომდგარი[9].

თვალსაზრისი ტოპონიმ მცხეთის სატომო მესხ-ფუძისაგან მომდინარეობის შესახებ იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ დღემდე იგი არა თუ შეიცვალა, არამედ სხვადასხვა ავტორთა მიერ

---

[2] იქვე, გვ. 9_{13}.

[3] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.

[4] М. Джанашвили, Этимология картвельских этнографических и географических имен: СМОМПК, вып. XXVII, отд. IV, Тифл. 1900, გვ. 127—128.

[5] იქვე, გვ. 127.

[6] М. Мельхеев, Географические имена, М., 1961, გვ. 60.

[7] ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, III, ტფ., 1928, გვ. 8.

[8] Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, М.—Л., 1938, გვ. 192.

[9] Пл. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифл., 1850, გვ. 53.

სხვადასხვა კუთხით შეივსო, დაზუსტდა და, ამრიგად, მან თითქოს უფრო მეტი დამაჯერებლობა შეიძინა. სახელწოდება მცხეთის მეხსა ეთნონიმისაგან მომდინარეობა უეჭველ ფაქტად არის მიჩნეული ისეთი სპეციალისტების მიერ, როგორებიცაა: ნ. მარი[10], ა. შანიძე[11], გ. ახვლედიანი[12], პ. ინგოროყვა[13], გ. მელიქიშვილი[14], ა. აფაქიძე[15], ალ. ღლონტი[16], თ. მიქელაძე[17], ზ. ჭუმბურიძე[18] და სხვ. მრ.

ვარაუდი მცხეთის ეთნიკური მეხ- სახელისაგან მომდინარეობის შესახებ დღეს სპეციალისტთა შორის იმდენად უცილობელ და უეჭველ ფაქტად არის ჩათვლილი, რომ ამ მიმართებით რაიმე სხვაგვარი აზრის გამოთქმა ან დამატებითი კვლევა-ძიების ჩატარება ზოგ სპეციალისტს სრულიად გაუმართლებლადაც კი ეჩვენება: „მცხეთა რომ ეტიმოლოგიურად სამცხეს||მესხს უკავშირდება, — წერს ალ. ღლონტი, — ეს ახლა სადაოდ აღარ მიაჩნიათ“-ო[19]. იმავე ავტორთან ვკითხულობთ: „მცხეთა ტოპონიმი იზოგლოსია სამცხისა, ხოლო ორივე მათგანი მესხური ელემენტია ქართლურში, მთლიანად საერთო-ქართულში. მცხ ადსტრატული პირველსახე მესხ ეთნონიმისა, მესხურიდან მომდინარე ადრეული იზოგლოსია ქართლურში, შემდეგ გაფართოებული და განზოგადებული მემცხეთა ფორმით, რაც „მემწვავა“, „მემჟავას“ მნიშვნელობითაა დამკვიდრებული. ძირეული მორფემა მცხ მოტანილია მესხურ კილოზე მოლაპარაკეთა მიერ იბერიაში და მიგვანიშნებს, რომ

---

10 Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, М.—Л., 1938, გვ. 192. ავტორს მცხეთა ესმოდა როგორც „მესხების საცხოვრებელი ადგილი“ („Месхская стоянка“).

11 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 137.

12 გ. ახვლედიანი, სახელწოდება მცხეთა: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სმამ). ტ. IV, № 5, 1943, გვ. 483-490. მკვლევარი არსებითად მხარს უჭერს მცხეთის მესხთა ფორმისაგან მომდინარეობას. ამასთანავე მიუთითებს: მცხეთა მეორადი ჩანს სამცხესთან მიმართებაში, ისევე როგორც ოვითონ სამცხე მეორადია ფუძის ურედუქციო ფორმებთან (მაც-||მაცხ-, მოც-||-მოცხ, მეც-||მეცხ) შედარებითო; იქვე. გვ. 488.

13 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1934, გვ. 140.

14 გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 343.

15 ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.

16 ალ. ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975, გვ. გვ. 3-4. 7-8.

17 თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. გვ. 9, 22, 24.

18 ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1971, გვ. გვ. 187, 203.

19 ალ. ღლონტი, დასახ. ნაშრ., გვ. 3-4.

ამ სახელწოდების დასახლებული პუნქტი ან მათ მიცრაა აშენებული, ანდა მათი სამხრეთი ან ჩრდილოეთისაკენ მოქცევის გამოძახილია".[20]

ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად სარწმუნოა თვით ფაქტი მესხთა ტომების უძველესი ხანის მიგრაციისა სამხრეთის ქვეყნებიდან ჩრდილოეთისაკენ, ან მართლაც მსხდარან თუ არა მესხურ კილოზე მოლაპარაკე ტომები ძველი წელთაღრიცხვის VIII-IV საუკუნეებში მტკვრისა და არაგვის შესაყარში და შეუქმნიათ თუ არა მათ იქ იბერიის სამეფოს უძველესი დედაქალაქი, რომლის სახელწოდების ამოსავალ ფუძედ თავიანთივე სატომო სახელი მცხ (მესხ) დაუდვიათ (!) ეს ალბათ არქეოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის სფეროს უფრო განეკუთვნება. ვიდრე ლინგვისტიკისას, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით ენათმეცნიერული თვალსაზრისით შევხედოთ ყოველივე ზემოთქმულის სისწორე-მიზანშეწონილობას.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ მცხეთა სახელწოდებაში ეთნონიმ მესხი-ს გულვება ძირითადად ემყარება იმ ფაქტს, რომ ძველი ბერძენი (აგრეთვე, ზოგი ბიზანტიელი) ისტორიკოსები თავიანთ ნაწერებში იბერიის ძველ დედაქალაქს მოიხსენიებენ მესტლეთა || მესლეთა || მესტლიტა (პტოლემაიოსი, II ს.), აგრეთვე, მესხითა (აგათია სქოლასტიკოსი, VI ს) ფორმებით[21], რაც ქართველი მკვლევრების მიერ ეთნიკური მესხი-ს დამახინჯებულ, შეცვლილ სახელებად, ფორმებად არის კვალიფიცირებული. მაგრამ რატომ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ ყველა ამ ბერძნულ-ბიზანტიური ფორმისათვის ამოსავალი იყოს არა ეთნონიმი მესხი, არამედ თვითონ უძველესი ქართული სახელწოდება მცხეთა? ხომ ცნობილია, რომ ბერძნული საერთოდ გაურბის სიტყვის თავკიდურ პოზიციაში თანხმოვანთა თავმოყრას და აშის დასაძლევად თანხმოვანგამყარად რომელიმე ხმოვანს იჩენს. საფიქრებელია ამ გზით იყოს წარმოქმნილი უძველესი ქართული (ზანური?) მტკორ || მტკვარ — სახელისაგან ბერძნული კორ- || კურ- || || კირ- ფუძეთა შემცველი სახელწოდებანი, მაშასადამე, პუნებრივი ჩანს ვიფიქროთ, რომ მესტლეთა || მესლეთა || მესხითა ფორმებისათვისაც ქართული მცხეთა იყოს ამოსავალი. შევნიშნავთ, რომ ვარაუდი ახალი არაა. იგი გამოითქვა ჯერ კიდევ 1850-იან წლებში პლატონ იოსელიანის მიერ, რომელიც საგანგებოდ მიუთითებდა. პტოლომესეული მესტლეთა და აგათიასეული მესხითა „მცხეთის"

---

20 იქვე.

21 იხ. ნ. ლომოური, დიონ კასიოს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 22.

დამახინჯებული გადმოცემააო“[22]. მაგრამ ყველაზე მთავარი, არსებითი ხასიათის დაბრკოლება, რაც ტოპონიმ მცხეთის ეთნონიმ მ ე ს ხ-სგან მომდინარეობის შესაძლებლობას უშლის ხელს, ეს ენობრივი მომენტია.

როგორც ცნობილია, სპეციალისტთა მიერ სახელწოდებაში მ ც ხ ე თ ა სახელის სადერივაციო ფორმანტებად გამოყოფილია -ეთ-ი: მ ც ხ-ე თ-ა. ისიც არსებითია, რომ ბოლოკიდური -ა ნ. მარის მიერ ემფატიკურ ხმოვნად არის მიჩნეული[23], ა. შანიძე კი მას კნინობითობის ფუნქციას ანიჭებს: „...основа МСХ, — წერს ა. შანიძე, — получена из месх, вследствие наращения суффикса географических имен— -et с окончанием а, являющимся уменьшительным суффиксом[24]...“ (ხაზი ჩვენია, გ. ბ.).

ამის მიუხედავად საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სახელწოდება მცხეთა-ში, თუკი ის მართლაც ეთნიკური წარმოშობისაა, არ შეიძლება გვქონდეს -ეთ+ა სადერივაციო მოდელი, რადგან ქართული ენის განვითარების ისტორიაში არასოდეს გვქონია სვან-ეთ-ა, ხევსურ-ეთ-ა, კახ-ეთ-ა, აფხაზ-ეთ-ა, თუშ-ეთ-ა, იმერ-ეთ-ა, მთიულ-ეთ-ა, კლარჯ-ეთ-ა, შავშ-ეთ-ა,... ტიპის ეთნიკური წარმოშობის გეოგრაფიული სახელები (წესი უგამონაკლისოა!), მაშასადამე, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ასევე არ შეიძლებოდა გვქონოდა მ ე ს ხ-ე თ-ა ფორმაც (საიდანაც თურმე მცხეთა გაფორმებულა მ ე ს ხ- ფუძეში -ე- ხმოვნის რედუქციითა და -ხ- კომპლექსის -ცხ- კომპლექსად ქცევის გზით)[25]. როცა ტოპონიმში ამოსავალ ფუძედ (საყრდენ ფუძედ) ეთნონიმი გვაქვს, მაშინ მაწარმოებელ ელემენტებად მხოლოდ -ეთ გეოგრაფიული სუფიქსი, ან სა- — -ეთ და სა- — -ოს აფიქსები გამოდიან[26]: მ ე ს ხ-ე თ-ი, ა ფ ხ ა ზ-ე თ-ი, კ ა ხ-

---

[22] Пл. Иоселиани, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

[23] Н. Я. Марр, დასახ. ნაშრ., გვ. 50.,

[24] А. Г. Шанидзе, К этимологии слов kartl-i („Грузия“) и kartvel-i („грузин“): Журн. „Вопросы языкознания.“ № 4, 1978, გვ. 85. საყურადღებოა, რომ მკვლევარი აქვე კვლავ იმეორებს თვალსაზრისს ტოპონიმ სამცხის იმავე მ ე ს ხ- ფუძისაგან მომდინარეობის შესახებ („სა-მესხ-ე“), რომელიც მან ჯერ კიდევ 1950-იან წლებში გამოთქვა.

[25] დაწვრ. იხ. ზ. ჭუმბურიძე, რა გვქია შენ?, თბ., 1971, გვ. 187, 203.

[26] ეთნიკურ-გვაროვნული წარმოშობის სახელებში ასევე არ შეიძლება გვქონდეს სა- — -ე აფიქსი! დაუშვებელია: სა-ქ ა რ თ ვ ე ლ-ე, სა-ი ნ გ ი ლ-ე, სა-მ ე გ რ-ე ლ-ე, სა-ზ ა ნ-ე, სა-ბ ა რ ა თ ი ან-ე, სა-გ უ რ ა მ-ე, სა-კ ო რ ი ნ თ ლ-ე, სა-ა თ ა ბ ა გ-ე და სხვ. ფორმები. ასე, რომ ეჭვის ქვეშ დგება აგრეთვე ს ა-მ ც ხ-ე'ს ეთნონიმ მ ე ს ხ-ისაგან მომდინარეობის შესაძლებლობა (ამის შესახებ დაწვრილებით — სხვაგან).

-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი; საბერძნ-ეთ-ი; სამეგრელ-ო, საქართველ-ო, საინგილ-ო და სხვ. დაუშვებელია: მესხ-ეთ-ა, თუშ-ეთ-ა, აფხაზ-ეთ-ა კახ-ეთ-ა და ა. შ. წარმოება.

მაშასადამე, მცხეთა ფორმაში უნდა გამოირიცხოს მცხ- ძირის მ ე ს ხ- ეთნონიმისაგან მომდინარეობის შესაძლებლობა და მასში საწარმოებელ ფორმანტად **-ეთ+ა** აფიქსის გულვება, რადგან, ვიმეორებთ, მ ე ს ხ-ეთ+ა ტიპის გეოგრაფიული სახელები ქართულ ენაში არასოდეს გვჭონია ზემოხსენებული ენობრივი აკრძალვის გამო.

ტოპონიმ მცხეთის მეცნიერული ეტიმოლოგიის დადგენაში მეტად მნიშვნელოვანია ვარლ. თოფურიას განსხვავებული ვარაუდი მცხეთა ტოპონიმში **-თა** სუფიქსის გამოყოფის თაობაზე. მკვლევარმა ტოპონიმი მცხეთა წარმოადგინა ისეთ უძველეს **-თა** სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელთა შორის, როგორებიცაა: ანგელოს-თა (მდინ.), ბერ-თა, მოგუ-თა, ვან-თა, ბზა-თა, მოწამე-თა, ბოსელ-თა, ბუჩუკურ-თა...[27].

„რა თქმა უნდა, — წერდა ვ. თოფურია, — „მცხეთა“-ც ამავე კატეგორიას განეკუთვნება. მართალია, მისი ეტიმოლოგია მრავალჯერ იყო მოცემული, მაგრამ მაინც გაუგებარი რჩებოდა. თუ „მცხე“ (სამცხე) მართლა მესხს აღნიშნავს, მაშინ ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ რას უნდა ნიშნავდეს მცხეთა“[28].

აქ ორი გარემოება მიიქცევს ჩვენს ყურადღებას:

1. მკვლევრის მიერ პრინციპულად არის გარკვეული, რომ ტოპონიმი მცხეთა უძველესი ქართული **-თა** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდებაა და არა **ეთ+ა** რთულსუფიქსიანი წარმონაქმნი (თუმცა ამ მოსაზრებას, რომელიც სახელწოდება მცხეთის ეტიმოლოგიური კვლევის დროს ამოსავალ დებულებად უნდა იქცეს, დღესაც არ ეთმობა სათანადო ყურადღება და ტოპონიმი მცხეთა ისევ და ისევ, ჩანს, ტრადიციის გამო, **-ეთ+ა** რთულსუფიქსიან ეთნიკური წარმოშობის სახელწოდებად განიხილება).

2. მცხ- ძირის ეთნიკურ მ ე ს ხ- სიტყვასთან დაკავშირებას ვარლ. თოფურია სათუოდ მიიჩნევს, თუმცა საბოლოოდ მას არც უარყოფს და სხვაგვარ ეტიმოლოგიასაც არ გვთავაზობს.

ვარლამ თოფურიას მიერ ნავარაუდევი **-თა** სუფიქსი ტოპონიმ მცხეთ-ის ეთნიკურ წარმოშობას თავისთავად უარყოფს. საქმე ისაა, რომ თუ ტოპონიმ მცხეთა-ში მაწარმოებლად **-თა** გამოვყავით (რაშიაც ეჭვის შეტანა არ შეიძლება!), მაშინ ძირად გვრჩება მცხე, რომ-

---

27 ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა **-თა** სუფიქსისათვის ქართულში; „ჩვენი მეცნიერება“, № 11-12, ტფ., 1924, გვ. 9.

28 იქვე, გვ. 10.

ლის ხმოვანფუძიანობა საერთო წესის თანახმად გამორიცხავს სავარაუდო მესხ- ძირის რედუქციის შესაძლებლობას! ამასთანავე გასარკვევი გვრჩება მესხე (→ მსხე) ფუძის ბოლოკიდური -ე ხმოვნის რაობა.

როგორც ვხედავთ, მცხეთა ტოპონიმში ეთნონიმ მესხი-ს გულვებას საკმაოდ ბევრი ენობრივი დაბრკოლება უჩნდება. ეს დაბრკოლებანი უთუოდ ანგარიშგასაწევია და ისინი სათანადო კვალიფიკაციას მოითხოვენ. მეორეცაა და -თა სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებში უმეტესწილად გვხვდება მაშინ, როცა ფუძედ ჩვეულებრივი საზოგადო არსებითი (ან მიმღეობური) სახელი გვაქვს.

მაშასადამე, ტოპონიმი მცხეთა ჩვენ საბოლოოდ -თა სუფიქსიან სახელად უნდა ვცნოთ, მის ფუძედ კი საზოგადო არსებითი (ან მიმღეობური) სახელი უნდა მივიჩნიოთ: მცხე-თა. მართალია, მცხე- ძირის სტრუქტურული ანალიზი კვლევის პირველ ეტაპზე საკმაოდ ძნელია (მ-ცხ-ე?). მაგრამ, ვფიქრობთ, მცხე- ძირის უძველეს ქართულ მჯე სიტყვასთან სემანტიკურად დაკავშირება შეუძლებელი არ უნდა იყოს: მჯე-თა — „მჯე-თა ადგილი", „მჯეთა საბრძანებელი", „საბჯო", „მჯეთა საგამგებლო". შემდგომ ხანებში, ფონეტიკურ ნიადაგზე, უნდა მომხდარიყო ქართული ენისათვის ბუნებრივი ჯც კომპლექსის ხც კომპლექსად ქცევა, რომელსაც საბოლოოდ ცხ კომპლექსი მოუცია: მჯე-თა → მხე-თა → მცხე-თა.

ვვარაუდობთ, რომ დაახლ. III-II საუკუნეებისათვის (ჩვ. წ. ა.-მდე) მჯე-თა-ს ჯერ მხე-თა უნდა მოეცა, შემდგომ კი — ფონეტიკური ცვლილების ნიადაგზე — ქართული ენისათვის ბუნებრივ ცხ კომპლექსად უნდა ქცეულიყო. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული, ჯ ფარინგალური ხშული ხ ფშვინვიერ სპირანტში ჯერ კიდევ ისტორიულ პერიოდში ჩანს გადასული. ასეთივე პროცესს ადგილი ჰქონია ზანურში. შდრ. ქართ. ჯარი (სვან. ჯან-, მეგრ. ხოჯი; ქართ. ჯიდი, მეგრ. ხინჯი[29] და სხვ.). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჯ—ხ ბგერები ჰომორგანულ ბგერებად არის მიჩნეული და ამდენად მათი ერთიმეორეთი შენაცვლება, შესაძლებელია, ქართულ ენაში უძველესი დროიდანვე ხდებოდა[30].

მჯე-საგან მხცე (→მცხე) სიტყვის მიღება, როგორც უკვე ითქვა, ფონეტიკურად შეუძლებელი არაა. გარკვეულია, რომ ფარინგალური ხშული კ-არის სპირანტიზაცია, ანუ ხ-ანად ქცევა, იმ შემთხვევაშიც კი არის მოსალოდნელი, როცა ჯ ფარინ-

---

[29] გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ... იკე, I, თბ., 1946, გვ. 1.

[30] იხ. ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის XII-XVIII სს., I, თბ., 1954, გვ. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალის პოზიციები მეტყველებაში (ენაში) მტკიცედაა დაცული. ოღონდ ეს პროცესი კომპლექსთა გარკვეულ საზღვრებშია მოსალოდნელი: როცა ჯ-არის წინ დგას ყრუ თანხმოვანი ან სიბილანტები (ე. წ. ციმლაუტები და აფრიკატები) ს, შ, ჩ, ც.[31]

ცხ კომპლექსი ქართულისათვის ბუნებრივი კომპლექსია, ისევე, როგორც სხ: ჯსნილი→სხნილი, ჯშირი→შხირი, მჯცე; მჯც-ოვან-ი→მცხოვანი და სხვ., ასე, რომ მჯცე→მხცე→მცხე პროცესი ქართულისათვის უჩვეულო და მოულოდნელი არ უნდა იყოს.

შეიძლება გაჩნდეს ასეთი კითხვა: გვქონდა თუ არა სათანადო პირობები მცხეთის ამგვარი სახელდებისათვის? რის გამო უნდა დარქმეოდა გეოგრაფიულ პუნქტს მჯცეთა?

მჯცე, როგორც ვთქვით, მიმღეობური ფორმაა: მ-ჯც-ე და ნიშნავს „მ-ჯც-ოვან-ი", „თმათეთრი პიროვნება"; სიტყვასიტყვით — „უფროსი", „ბრძენი". (შდრ. „...ვინ იყო ესრეთ მჯცოვან ვ"ნებითა უწინარეს მჯცეთასაცა"...)[32].

როგორც ვხედავთ მჯცე, მჯცოვანი გონებით ყველაზე უწინარეს პირად ყოფილა იმთავითვე მიჩნეული.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მცხეთას, როგორც იბერიის სამეფოს პოლიტიკურსა და რელიგიურ-საარწმუნოებრივ ცენტრს, უპირველეს სამეუფო ქალაქს, უდიდესი როლი მიუძღოდა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ორგანიზაციისა და შენების საქმეში, შეიძლებოდა აქ მამასახლისთა (მჯცეთა) მყოფობაც ყოფილიყო აღნიშნული. უადგილო არ იქნება ამ თვალსაზრისით ლეონტი მროველის გახსენება: „ხოლო ვინცა იყვის მცხეთას. რეცა თავადი, იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა".[33]

ვახუშტის ცნობითაც მცხეთის მთავარი „უწარჩინებულეს მთავრად, და მამასახლისად, და მოურნედ მათ ყოველთა ერგულისხვებიან: ეგროს, ბარდოს, მოვაკან, ცროს, ლეკოს, კავკასოს, გ. პ.) ისახე-

---

31 ვარლ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. III. ჯ და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში: საქართველოს არქივი, II, ტფ., 1927; გადმობეჭდ. „შრომები", ტ. III, თბ., 1979, გვ. 43; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ქ. ლომთათიძე, ამოსავალ თჯ, თჳი კომპლექსთა ცვლილება აფხაზურ-ადიღურ ენებში; იქვე, XXII, თბ., 1980, გვ. 261.

32 იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 90.

33 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 113—5.

ლებოდა".[34] ვფიქრობთ, ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ფრანგული ისეული ცნობა იმის შესახებაც, რომ ეგრისისათვის თავისი სამემკვიდრო ტერიტორია „ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა" სწორედ მცხეთოსს მიუცია, რაც მცხეთის უზენაესობის, უპირველესობის დამადასტურებელი ქართული ტრადიციული ცნობის გამოძახილი უნდა იყოს.

საბოლოოდ: მ ც ხ ე თ ა, ჩვენი ფიქრით, ნიშნავს „მ ჯ ც ე-თ ა"; „მ-ჯ ც ე-თ ა ქ ა ლ ა ქ ი"; „მ ჯ ც ე თ ა ს ა მ ყ ო ფ ი": „ს ა უ ფ რ ო ს ო, ს ა გ ა მ გ ე ბ ლ ო"; „ს ა მ ე უ ფ ო ქ ა ლ ა ქ ი". (შდრ. სამთავრო, მთავართა...).

Г. В. БЕДОШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ ТОПОНИМА «МЦХЕТА»

Резюме

Географическое название «Мцхета» принадлежит к числу древнейших топонимов Грузии. «Мцхета» засвидетельствовано еще в «Крешении Грузии» (მოქცევაჲ ქართლისაჲ mokcevaj) kartlisaj) и «Истории Грузии» (ქართლის ცხოვრება kartlis cxovreba), ранние списки которых относятся к X-XI вв.

Название «Мцхета», по мнению большинства специалистов (Н. Я. Марр, А. Г. Шанидзе, Г. С. Ахвледиани, Г. А. Меликишвили, А. М. Апакидзе...), увязывается с этнонимом «месхи» (მესხ-ეთ-ა→მსხ-ეთ-ა→მცხეთა mesx-et-a→msx-et-a→mcx-et-a): „месхская стоянка", „город, заселившийся месхами".

В статье дается попытка по-новому объяснить происхождение названия древней столицы Грузии. Исходным для автора является то обстоятельство, что грузинские топонимы этнонимического происхождения, как правило, оформляются не суффиксом -ეთ+ა-et+a, как это усматривается специалистами, а с помощью суффикса-ეთ-et или же аффиксов სა—ეთ sa—et, სა—ო sa—o: თუშ-ეთ-ი tuš-et-i, ჯახ-ეთ-ი ǯax-et-i, აფხაზ-ეთ-ი apxaz-et-i, ხევსურ-ეთ-ი xevsur-et-i, საბერძნ-ეთ-ი sa-berʒn-et-i, სა-ქართველ-ო sa-kartvel-o, სა-მეგრელ-ო sa-megrel-o и т. д. Исключается оформление этих топонимов как: თუშ-ეთ+ა tuš-et+a, ხევსურ-ეთ+ა xevsur-et+a, აფხაზ-ეთ+ა apxaz-et+a и т. д. Таким образом, исключается и форма მცხ-ეთ+ა mcx-et+a.

---

[34] ვახუშტი, აღწერა, 1941, გვ. 12_{23}.

Предпринята попытка увязать название «Мцхета» со словом მჳცე mqce („седовласый“, букв. „старейшина“, „премудрый“) с последующей перестановкой комплекса-ჳც-qc в ხც→ცხ xc→cx (срв. მჳც-ოვან-ი→მხც-ოვან-ი→მცხ-ოვან-ი mqc-ovan-i→mxc-ovan-i→mcx-ovan-i „старейший, почтеннейший“, „мудрый“, „достойный“).

მცხეთა mcxeta, таким образом, следует рассмотреть как причастное образование с суффиксом -თა-ta (მცხე-თა mcxe-ta), обозначающее „место пребывания мцховани“, „владение почтеннейшего мхце“, „владение старейшины“ (срв. ბერ-თა ber-ta „место, где живут монахи“, მოგჳთა mogw-ta „место жрецов“.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. სუხიშვილი

(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ერთი ქართველური შესატყვისობის შესახებ

ქართული წულ- ფუძის შესატყვისად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია სვანური ჰუშ „ვაჟი“[1]. ქართ. წულ-ი: სვან. ჰუშ წარმოადგენს ქართველურ ენებში იშვიათი ბგერათფარდობის ქართ. ლ: სვან. შ ერთ-ერთ ნიმუშს: ქართ. ასული: სვან. ჰასუშ, ქართ. ტილ-ი: სვან. ტიშ, ქართ. ჯუელა: სვან. ჯტეშ//ჯტაშ, ქართ. ცოლი: სვან. ჩოშ.

ზანურშიაც დასტურდება ორიოდე შემთხვევა ამგვარი ბგერათფარდობისა ქართ. ტილ-ი: ზან. ტიმონუა, ქართ. ძველ-ი: ზან. ჯვეშ-ი[2]. ლ:შ ბგერათფარდობის საკითხს ქართველურ ენებში მრავალი მკვლევარი შეჰხებია (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, გ. კლიმოვი, გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, ა. ონიანი, ზ. სარჯველაძე...)[3] და, მიუხედავად ამისა, ამ ბგერათფარდობის კვალიფიკაციის საკითხი ჯერ კიდევ სადაოა: მორფოლოგიურია ის (არნ. ჩიქობავა, გ. როგავა) თუ ფონეტიკური (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, კ. ჰ. შმიდტი, გ. კლიმოვი...)[4]; აქვე უნდა ითქვას, რომ ლ : შ შესატყვისობის გვერდით რ : შ შესატყვისობაც ივარაუდება[5].

---

[1] გ. როგავა, ბურ- ფუძის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XII, № 10, 1951, გვ. 636, Г. А. Климов, ЭСКЯ, М, 1964, გვ. 252...

[2] ლიტერატურა ლ:შ ბგერათფარდობის შესახებ სრულადაა წარმოდგენილი ზ. სარჯველაძის წერილში: „ბგერათშესატყვისობა ქართული ლ: სვანური შ“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1969, გვ. 127-130.

[3] არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 116, 238-239; გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 636-637.

[4] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 82; K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Laufstandes der südkaukasischen Grundsprache. Wiesbaden, 1962; კ. შმიდტი ლ:შ შესატყვისობას ქართველურ ენებში ლატერალის რეფლექსად თვლის, გ. კლიმოვი ამოსავლად ამ შესატყვისობისათვის /ɬ/ ფონემას ვარაუდობს, დასახ. ნაშრ.

[5] როგავა, დასახელებული ნაშრ., გვ. 637-638. ამავე საკითხზე იხ. აგრეთვე:

ლ:შ ბგერათფარდობის ნიმუშთაგან გარკვეულ ეჭვს აღძრავს ზ₁ გიერთი მათგანი. ქართ. ტ ი ზ ვ ნ ა და ზან. ტიშონუა (*ტიჭონუა) და-პირისპირება გ. კლიმოვს ზ₁ არქეტიპს აღადგენინებს ამოსავლად. ამგვარად რეკონსტრუირებული ჴუეზ₁ ფუძე ემსგავსება ინდოევროპულ "k^{u}s, *k^{u}es ფუძეებს, ხოლო *ცოზ₁ ფუძე ემსგავსება ამავე მნიშვნელობის ხუნძ. ჭუჭუ და ადიღეურ ს'ოგზ ფუძეებს[6]. ჰ. ფენრიხმა ქართული (ქართლური) ტ ი ს ვ ნ ა „მკბენარის მოხილვა", ტისნ და ზან. ტიშონ ფუძეებისათვის ამოსავლად *ტის₁ვნ ფორმა აღადგინა[7]. მ. ივანიშვილის აზრით, მეგრ. ჯვეშ-ი ნათესაობითის ფორმაა ჯვე ბოლოკიდური მარცვლის მოკვეცით მიღებული ფუძისა (ჯვე<*ჯველი), შდრ. ჭან. მ-ჯვე-შ-ი || ნ-ჯვ-ეშ-ი || მ-ჯვ-ე „ძველისა"[8].

როგორც ვხედავთ, ამ ბგერათფარდობის სტატუსის საკითხი კვლავაც მოითხოვს ჩაძიებასა და კვლევას. ჩვენი დაკვირვებით, ქართული წ უ ლ ფუძის დაკავშირება სვანურ ჭ უ შ-თან გარკვეულ ეჭვებს აღძრავს. გასარკვევია ამ ფუძის ამოსავალი სემანტიკის საკითხი. მართალია, წ უ ლ ი ძველ ქართულში „ვაჟის, ვაჟიშვილის"[9] მნიშვნელობითაა დადასტურებული, მაგრამ კომპოზიტებში და ნაწარმოებ სიტყვებ-

---

ა. ონიანი, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის ზოგიერთი საკითხი, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. მოამბე, 1962, № 1, გვ. 219-220. ქართულ-სვანური რ:შ ბგერათფარდობისათვის გ. ჯაუკიანი ლ-ს ვარაუდობს ამოსავლად: ქართ. კვერ- მეგრ.-ჭან. კვარ- სვან. კვ̌შ (შ<-ლ), შდრ. ნოსტრატ. ḳol'A „მრგვალი"— სომხ. kl-or „მრგვალი" (თუ ინდ. ევრ. gul-ს არ უკავშირდებაო). იხ. Г. Б. Джаукян. О стратификации и хронологизации картвельско-армянских совпадений. კრებ. არნოლდ ჩიქობავას (დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული), თბ. 1979, გვ. 93.

[6] Г. А. Климов, დასახ. ნაშრ. გვ. 24. გ. ჯაუკიანი რეკონსტრუირებულ *ჴუეზ ფუძეს აკავშირებს სომხურ haz „ხველა" ფუძესთან და განიხილავს მას ინდო-ევროპულ *k^{u}as kᵘas ფუძეებთან კავშირში და ამ დაკავშირებას შორეული ბათესაობის—ნოსტრატულის გადმონაშთად მიიჩნევს. იხ. გ. ჯაუკიანის დასახ. ნაშრ. გვ. 88.

[7] Х. Фенрих, К картвельской лексике, Этимология. М; 1980, გვ. 180. ჰრ. აჭარიანს სომხ. տիզ „ტკიპა" ძირეულ სომხურ სიტყვად მიაჩნია, რომელიც ინდო-ევროპული digh ფუძიდან მომდინარეობს; შდრ. ინგლ. ticke, tick, ინგლ.- საქს. ticia, გერმ. *tiko, იტალ. zecca, Հ. Աճառեան, ՀԱՔ ტ. VI, 1932. გვ. 895-897. ინდო-ევროპული ენების საერთო სიაში განიხილავს տիզ ფუძეს ე. თუმანიანიც: იხ. Э. Г. Туманян, Структура индоевропейских имен в армянском языке, М., 1978, გვ. 167.

[8] მ. ივანიშვილი, ქართული ბოლოკიდური -ელ ელემენტის ერთი შესატყვისობა ქართველურ ენებში, ჯვანმარდი, II, თბ. 1979, გვ. 3-7.

[9] თ. ყაუხჩიშვილი, *VIOΣ APPHN*-ძე წული, ენიმკის მ. 1944. № 14, გვ. 127-132, ზ. ალექსიძე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. მოამბე, 1963, № 1, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973, გვ. 551.

ში საზღვრულად წარმოდგენისას ამ მნიშვნელობის ნეიტრალიზაცია ხდება. მაგ: დედაწული „ოჯახი“, დედის დისწული „დეიდაშვილი“, ძმისწულის წული „შინ შობილი, ბსახურის შვილი, ბაუში“, ქალწულა და სხვ. როგორც ჩანს, ამოსავალში წ უ ლ ფუძე გაუდიფერენცირებელი მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო (აღნიშნავდა ქალსაც და ვაჟსაც[10]), შდრ. „მ ა რ თ ა უფლის წ უ ლ ი სძლად თჳსად კონსტანტინე დუკიწმან მიიყვანა (ცხ. გ. ნათწმ. ათონ. ივერ. 330,29).

„ც ო ლ ი შეირთო, რომელ იყო დის წ უ ლ ი იოანან ჰრომთა პაპისაჲ“ (იოვ. ოქროპ. სწ. 119,8)[11] (მხედველობაშია მისაღები სვან. ლიწვილე „გათხოვება“).

ქართ. წულ : სვან. ჭუშ ფუძეთა დაკავშირებას საეჭვოდ ხდის სვანურში ნაჭულაშ „ურვადი, სიძის მიერ ქალის ოჯახისათვის მიტანილი საგალდებულო გადასახადი“ — სიტყვის არსებობა, რაც ქართულ წულ-ს უკავშირდება[12]. ნა-ჭულ-აშ-ი არის „სა-წულ-ის-ი“. „სა-წულ-ო“[13]. საინტერესო დებულება წამოაყენა ზ. სარჯველაძემ. სვანურ სახელთა ბრუნების პარადიგმისათვის მან ისტორიულად აღადგინა წრფელობითი ბრუნვა სახელობითის გვერდით. ქართ. ლ : სვან. შ შესატყვისობის შემთხვევებს საფუძვლად წრფელობითის ფორმა დაედო, ხოლო ქართ. ლ : სვან. ლ შემთხვევებს სახელობითის ფორმა. ე. ი. ქართველურ ლ-ს სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში შეესატყვისება -შ[14] (წულ : ჭუშ), ხოლო როცა იგი სიტყვის ბოლოს არაა, -ლ- (ნა-

---

10 არნ. ჩიქობავას აზრით, წული= შვილს (განურჩეველად სქესისა). იხ. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 43. ამგვარ სემანტიკას ხედავს წულ ფუძეში გ. როგავა: ყმაწვილი, ქალწული და უდარებს ადიღურ ენათა ანალოგიურ აღწერით წარმოებას: ჯაშ სადაც ჯაშ „ვაჟია“ და შგ (გაუდიფერენცირებელი. ძმა (და), შგ-ფხეგ-სიტყვასიტყვით: შგ=(ძმა) (და), ფხეგ=„ქალიშვილი“; ამ აღწერითმა წარმოებამ შეცვალა არსებით სახელებში და-ძმის აღმნიშვნელი ორკანული წარმოება გამოხატული გრამატიკული კლას-კატეგორიით: ადიღ. ყაბ. ჭ ა-შ „ძმა“, ბა-შ. „და“ იხ. Г. В. Рогава, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках თბ. 1956, 65, ყურადღებამისაქცევია ის ფაქტიც, რომ წ უ ლ მსაზღვრელად არ დასტურდება ქართულში (შდრ. ძვ. ქართ. შვილის წული), სვანურში კი გვაქვს ჭუშ-გეზალ „ვაჟიშვილი“-ს მნიშვნელობით.

11 საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების ძველი ქართული ენის სალექსიკონო ფონდი.

12 ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 129.

13 საგულისხმოა საბასთან დადასტურებული საწულო-ს განმარტება — „მამაკაცის ასონი“.

14 ლ : შ ფარდობის ფონეტიკური ინტერპრეტაცია ამგვარია: საერთო-ქართველური ბოლოკიდური უმარცვლო [*ლ] (ე. ი. ხმოვნის ან მარცვლოვანი) [ი] და [*უ] სონანტების მომდევნო [*ლ] სვანურში, როგორც წესი [შ] სპირანტში გადა-

-წულ-ის-ი : ნა-ჭულ-აშ)[15]; უმლაუტს ჰ ა ს ჯ შ ფორმაში მკვლევარი ანალოგიით ან წრფელობითის ფორმიდან პარადიგმის უნიფიკაციის პროცესში სახელობითის ხელახალი წარმოებით ხსნის. ნასახელარი ზმნები ლ ი-ჯ უ შ-უ ნ-ე „დახველება“, ლ ი-ჩ ო შ „coitus“ წრფელობითის ფორმიდან წარმოებულად არის ჩათვლილი[16] და ამდენად აქ უმლაუტიზაცია ვერ განხორციელდებოდა.

ლ : შ ბგერათფარდობის სტატუსის თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება ქართ. ჯ უ ე ლ ა: სვან. ჯ უ ჯ შ[17] ფუძეების დაკავშირება. ჯ უ ე ლ ა-ში **ლ** არაა სიტყვის ბოლოკიდური, მაგრამ **ლ : შ** ბგერათფარდობა დასტურდება (ზ. ს. ჯ უ ჯ შ < ლშხ. ჯუეშ < *ჯუეშა < ძვ. ქართ. ჯუელა[18]). თუ ვიფიქრებთ, რომ **ლ > შ** პროცესი ფუძის ბოლოკიდური **ა** ხმოვნის რედუქციის შემდეგ მოხდა (ქართ. ე > სვ. ა სხვაობას ეს ბოლოკიდური **-ა** იწვევს[19]: ჯუელა > ჯუჯაშ[20]), მაშინ ყველა სხვა ანალოგიურ შემთხვევაში ბოლოკიდურ **ლ**-ს სვანურში **შ** უნდა მოეცა (სახელობითის **ი** ხმოვნის მოკვეცის შემდეგაც), ეს კი ასე არაა, შდრ. ქართ. თხელ: სვან. დჳთხელ... ამასთან ლ ი ჩ ო შ ფორმის პარალელურად დასტურდება უმლაუტიანი ლ ი-ჩ უ ე შ (იჩუეშიელხ. „coitus“, აწმყო, III პ. მხ. რიცხ.), აქაც ან მასდარის მაწარმოებელი ხმოვან-სუფიქსი უნდა დავუშვათ ამოსავალში, ან ლ ი ჩ უ ე შ ფორმის მეორეულობა უნდა დავამტკიცოთ.

თავისთავად წრფელობითი ბრუნვის დაშვებას ამ საფეხურზე სვანურისათვის გარკვეული სიძნელეები ახლავს.

დიოდა დაყრუების გზით, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 79-80. უკანასკნელ ხანებში თანამედროვე თურქული ენების ფონოლოგიური სისტემის კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებში ლ/შ მონაცვლეობის შესახებ თურქული ჯგუფის ენებში ამგვარი აზრია გამოთქმული: აქ ამოსაღლად ივარაუდება არა [*ლ], არამედ [*შ] ფონემა, რომელმაც გარკვეულ პოზიციურ-კომბინატორულ პირობებში სონანტიზაცია განიცადა. ამდენად ეს მონაცვლეობა გვიანდელია, იხ. А. М. Щербак, Сравнительная фонетика тюркских языков, Л., 1970, გვ. 85.

15 შდრ.: სვ. გვარი ჭუშილიან-ი (!), ჯუშ — ლშხ. ნაჯუნ „ნახველი“.

16 მ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

17 გარკვეულ ინტერესს აღძრავს სვან. ლი-ჯზ-ელ „ბოყინი“ ფორმაც.

18 მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბ., 1979, გვ. 32.

19 მ. ქალდანი, იქვე, გვ. 32.

20 ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში გვაქვს როგორც ჯუშ-აშ, ასევე ჯუშ-იშ, ამდენად ნათესაობითი სახელობითის ფორმის აღდგენის საშუალებად ამ შემთხვევაში ვერ გამოგვადგება.

ჩვენი დაკვირვებით სვან. ჰუშ-ს შეიძლება დაუკავშირდეს ქართ. მწვს-ი. იხ. საბა: მწვისე — კაცი სრული ტანითა[21], სიმწვე (1 მეფ. 16, 17) სისრულე ტანითა[22].

მწვსი ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტებულია როგორც „დიდი“ — იყო კაცი უფროჲს მწუს M, I ნშტ. 20, 6[23].

სიმწვსე — „სიდიდე“:

„ნუ ჰხედავ... ნუცა სიმწუსესა ჰასაკისა მისისა“[24], O. I მფ. 16, 17.

ზმნური ფორმა განმწვსება=„აღორძინება“-ს, „გაზრდა“-ს:

განმწუსნა ყრმაჲ G-„აღორძინდა ყრმაჲ იგი“. M. მსაჯ. 13, 24[25].

ბ. გიგინეიშვილის განმარტებით ძველი ქართულის ტექსტებში მწვსი აღნიშნავს არა მხოლოდ ტანით სრულს, არამედ უპირატესად ასაკოვანს, მოზრდილს, მოწიფებულს.[26] როგორც ჩანს, მწვს ფუძის მნიშვნელობის განვითარება ძვ. ქართულში ამგვარად უნდა წარმოვიდგინოთ: ასაკოვანი, მოწიფული, მოზრდილი>||დიდი. ამ სემანტიკური ცვლილების შედეგია მწვს-ი ზედსართაული ფორმის ხმარება (თუმცა, იშვიათად) უსულო სახელის მსაზღვრელად: „დაებეჭდენ პირი ქუაბისაჲ ქვითა მწუსითა“. H. 341, 586[27].

სემანტიკური დაბრკოლება, ვფიქრობთ, არ უნდა გვქონდეს: ქართ. მწვსი „დიდი, ასაკოვანი, მოზრდილი, მომწიფებული“ : სვან. ჰუშ „ვაჟიშვილი, ვაჟკაცი“. ფონეტიკურადაც შეუძლებელი არ ჩანს ამ ფუძეთა დაკავშირება — თანხმოვანთა შესატყვისობაში დაბრკოლება არ გვექნება: ქართ. წ : სვან. ჰ, ქართ. ს : სვან. შ. თავკიდური (როგორც ჩანს, პრეფიქსისეული) მ-ს დაკარგვაც არ იქნება სვანურისათვის მოულოდნელი[28] (შდრ. ქართ. მსხალი : სვან. იცხ, ქართ. მზარეული : სვან. ზარელშ...), მით უმეტეს ფუძისეულ უ-სთან მეზობლობაში. უფრო

---

21 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბ., 1949, 236 (შდრ. მწუსე — უასაკო, მცირე).

22 იქვე, გვ. 518.

23 ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 312.

24 იქვე, გვ. 393.

25 იქვე, გვ. 64.

26 ბ. გიგინეიშვილი, ქართველური ეტიმოლოგიები, „მაცნე“, 1972, № 3, ენისა და ლიტერატურის სერია.

27 ილ. აბულაძ-ს დასახ. ნაშრ., გვ. 312. ამავე ლექსიკონში დადასტურებული აღმატებითი ხარისხის ფორმა უმწვსესი „უმცროსს“ ნიშნავს: „ძრჳა მე უმწვსესმან მან.“ მ. ცხ. 433 ლ. (გვ. 427). აღმატებითი ხარისხის ფორმის ამგვარი შინაარსი ჯერჯერობით ერთადერთია. (იქნებ უმრწემეს-ის ანალოგიით).

28 უნდა ითქვას, რომ სვანურში, ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში, მ თავკიდური ელემენტის რაობის საკითხი შესასწავლია („ზოგ შემთხვევაში ძნელია იმის გარკვევა, გვქონდა თავკიდური მ საერთო ქართველურში, თუ იგი გვიან

ართულია ქართ. ვი (მწვსი) კომპლექსის სვანურში უ-დ გადასვლის საკითხი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უმლაუტიან დიალექტებში უ-ს უმლაუტის გზით მიღებულ ჳ/ჳი-ს ლაშხურში უ ხმოვანი შეესატყვისება: ზ. ს. ლნტ. ფჳრ/ფჳირ — ლშხ. ფურ „ფური, ძროხა“, ზ. ს. ლნტ. თუთინ<თუთჳინ<*თუთჳნ<ლშხ. თუთუნ<ქართ. თუთუნი, ბქ. ყჳარილ<ბზ. ყჳარჳილ<ლშხ. ყჳერულ<<ქართ. ყვერული.[29] ჩვენთვის საინტერესო ჭუშ სიტყვა ლაშხურის კუთვნილებაა და თუ ჭუშ უკავშირდება ქართულ მწკს-ს, მაშინ გასარკვევი იქნება ქართული უი კომპლექსის სვანური შესატყვისობის საკითხი[30]. ზემოთქმულის გათვალისწინებით აქ შეიძლება ითქვას, რომ ქართ. ვი/ჳი კომპლექსი სვანურის სხვა დიალექტში ჳი კომპლექსადაც რომ შემოგვენახოს, ლაშხური მას ისევე მოექცევა, როგორც ნაუმლაუტარს და უ-ს სახით წარმოგვიდგენს. შდრ:

ძვ. ქართ. ქუინ „სუნთქვა, ქშენა“,

ჭან. ქუნი „ტვინი“

სვან. ქუინ (ლშხ. ქუნ) „სული, სუნი“[31].

ზოგიერთი ქართულიდან ახლად შეთვისებული ვი კომპლექსიანი ფუძე ლაშხურში უ-დ შეიცვლება[32]: ქართ. კვიმატი — სვან. ლაშხ. კუმატ (ხოლა კუმატ ერ ესამა ეთლაკი „ცუდი კვიმატი რამე თუ შეგვემთხვა“; ქოგჳყ კუმატხენქა „გამოგვიყვანე კვიმატისაგან)[33], ქართული-

---

განვითარდა ცალკეულ ქართველურ დიალექტებში“. თ. გამყრელიძე, ვ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 307) თუ რიგ შემთხვევაში ქართულის მ სვანურში არ ჩანს, სხვა შემთხვევაში ის სვანურშიც გადაყვება (მჭედელი — მგშჭიდ, მჭარი—მეჭარ, მწერი—მერ...).

29 მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I უმლაუტი სვანურში, გვ. 146.

30 ქართ. ღვინო: სვან. ღჳინ-ალ (გ. კლიმოვის მოსაზრებით, სვანური ფუძე ქართულიდანაა შეთვისებული, გვ. 204), ქართ. ღვივ: სვან. ღრვ (სვანურში ხმოვნის კომპენსატორული სიგრძე გვაქვს, გვ. 203), ქართ. ღვიძლი: სვან. ყვიჟე || ყუჟე, გვ. 211. Г. А. Климов, ЭСКЯ, როგორც ამ დაკვირვებიდან ჩანს, ქართ. ვი კომპლექსი ყოველთვის არ გადადის ვი კომპლექსად სვანურში (შდრ. აგრეთვე: ქვისლი—მეჭუშელ, უკვირს—ხასჯრელ... რედუქციაა ფუძეში მომხდარი).

31 გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 61.

32 მოხსენება ამ საკითხის შესახებ „ო და უ ხმოვანთა კვალი ლაშხურში“ — ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კონფერენციაზე (1974 წ. 28 დეკემბერი) წაიკითხა ე. გაზდელიანმა (დაბეჭდილია პროგრამა).

33 დამოწმება — იხ. ვ. თოფურიას შრომები, I, „სვანური ენა“, I, ზმნა, თბ., 1967 გ. 18.

დან შესული პანაშვიდი ლაშხურში დასტურდება პანაშვიდ ფორმით (მაგ საკვირელ ლი, ბაბარ სამშუდობო პარაკლისს იჩოხ, მშვდ ლგდგარა პანაშუდს „რა გასაკვირია, მღვდლები სამშვიდობო პარაკლისს აკეთებენ, ანდა მიცვალებულის პანაშვიდს“.). კვიპაროზი დასტურდება კუპაროზ ფორმით (ლაღფენდ ლემჯგმრიწხ ბელყეჩი ბეგმი ცილს ი კუპაროზს „შესაღებად ხმაროობდნენ თხმელის ხის კანს და ნაბეს“)[34].

დასკვნა ასეთია: სვანური ენის ლაშხური კილო ამოსავალი ტი (ვი) კომპლექსიან სიტყვებს შეიძლება ისევე მოექცეს, როგორც ნაუმლაუტარს და უ-დ აქცეოს; ამდენად, ქართ. მწვს-ი : სვან. ჭუშ დაკავშირებისათვის ამ მხრივ დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს.

ქართული მწვს-ის შესატყვისად ბ. გიგინეიშვილი ზანურში აღადგენს *ნჯუიში // *მჯვიში > *ჭიში ფორმას[35]. ამ უკანასკნელისაგან ნაწარმოებია ნასახელარი ზმნები: მეგრ. ჭიშ-აფ-ა „მომწიფება“, „დაწვა, მიღწევა, მოწევა“, მეჭიშ-უ „დაეწია..., თავის მხრივ, ნასახელარი ზმნური ფუძიდან მეგრულში ნაწარმოებია მიმღეობა მო-ჭიშ-აფ-ირ-ი „მოსწრებული, მომწიფებული“. ჭიშ ფუძეს „მომწიფების, მოსწრების“ მნიშვნელობა აქვს[36]. ქართულ-ზანური ერთიანობის საფეხურზე ხსენებული ფუძე მწ1უის1-ის სახით არის აღდგენილი[37]. ვფიქრობთ, რომ შეუძლებელი არ არის სვანური ჭუშ ფუძეც ამ კონტექსტში იქნეს განხილული. (ქართ. მ-წვს- : ზან. ჭიშ/ჭიშ-აფ-ა) : სვან. ლაშხ/ჭუშ).

აქ ერთი საკითხიც დგას: თუ ძირეულ მორფემად *წჯის-ს (ან *წ1უის1-ს) ვივარაუდებთ, სტრუქტურა ამ ძირეული მორფემისა არ შეეთანხმება საერთო ქართველური (ასევე, ქართული) ძირეული მორფემის მიმართ შემუშავებულ ხმოვნით გათიშული ცალკეული თანხმოვ-

---

34 ლუშნუ ამბჯარ ლგლაშხუ შუმი. ნინშკ. შეკრებ. არს. ონიანის მიერ. პეტროგრადი. 1917, გვ. 42.

ვერ ვიტყვით, რომ ეს წესი სტაბილურია (ეს ზემომოყვანილი სხკა მაგალითებითაც ჩანს); ერთი და იგივე ფუძე შეიძლება ლაშხურში წარმოგვიდგეს ვი კომპლექსითაც: კუმატ, შდრ. კვიმატიან ლადღარ (გვ. 18), მაგრამ „კუმატიან დოშდულეი“. სვანურში სიტყვის ფუძეში ვი~უ მონაცვლეობა კილოკეცებშიც გვაქვს: ბზ. ლაჯუჭ, ლხმ. ლაჯვიჭ „დათვის ბუნაგი“...

35 ბ. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ.

36 „სახლი მე არა მჭონდა, ხარი მე არა მყავდა, მიწა, სახნავ-სათესი რიგიანი ძე არა მჭონდა, შვილი მოჭიშე მე არა მყავდა!“ უიარაღო (კონდრატე თათარაშვილი), თხზ. სრული კრებ. ოთხ ტომად, თბ., ტ. III, გვ. 34.

37 როგორც ცნობილია, საერთო-ქართველური ფონოლოგიური სისტემის აღდგენის სხვადასხვა ცდა არსებობს (გ. შმიდტი, გ. მაჭავარიანი), რეკონსტრუქციისას ბ. გიგინეიშვილი იყენებს გ. მაჭავარიანის მიერ აღდგენილ სამი სიბილანტური რიგის სისტემას.

ნების განაწილების ზოგად წესებს, რაც რიგ ნაშრომშია წარმოჩენილი[38].

ჰ. ფენრიხის აზრით, საერთო-ქართველურში cvc ტიპის ძირეულ მონაცემებში დაუშვებელია ორი სიბილანტური თანხმოვანი, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ რიგს განეკუთვნებიან ისინი[39].

მიღებული დასკვნა შედეგია იმისა, რომ ადრინდელ საერთო-ქართველურ ძირეულ მორფემებში ჰ. ფენრიხმა ვერ დაადასტურა წ$_{I}$ — ს$_{I}$, წ—ს$_{I}$, წ—ს მიმდევრობები[40].

როგორც ჩანს, საერთო-ქართველური ენის ძირის სტრუქტურაში ამ რიგის (სიბილანტურ თანხმოვანთა) მიმდევრობების უქონლობა შემთხვევითი არ უნდა იყოს და, ამდენად, დიაქრონიულ ასპექტში შესაძლოა მოხერხდეს მ-წ ჳ ს ფუძის დაშლა: მ-წ უ-ი ს[41].

---

38 მაგ. „ერთ ძირში არ გვხვდება სისინა და შიშინა აფრიკატები და ნაპრალოვნები". ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, cvc ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში; თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები. II. თბ., 1967, გვ. 190-191. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე კიდევ უფრო აფართოებს თანხმოვანთა უჩვეულო თანხმიმდევრობის რიგს cvc ტიპის ძირში წინა რიგის თანხმოვნებას მასშტაბით, იხ. მისი ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, მეტყველების ანალიზის საკითხები, თბილისი, 1969, გვ. 137. ჰ. ფენრიხი, ენათა გენეტური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და აღრინდელი საერთო-ქართველური ფუძეების ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1978, გვ. 108.

39 ჰ. ფენრიხი, დასახ. ნაშრ., გვ. 108. შდრ: „ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში დაუშვებელია ორი სიბილანტური თანხმოვანი, თუ ისინი ერთსა და იმავე ლოკალურ რიგს არ ეკუთვნიან". გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 80.

40 მკვლევარი გრძნობს, რომ ყველა შემთხვევაში. გადაჭრით იმის თქმა, შემთხვევით აკლია გარკვეული კომბინაციები, თუ მისი უქონლობა ფონოლოგიური სისტემის სტრუქტურით არის შეპირობებული, ძნელია, ჰ. ფენრიხი, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

41 ჰ. ფენრიხს არა აქვს გათვალისწინებული ბ. გიგინეიშვილის დაკვირვება ქართ. მწკ ფუძისა და ზან. ჰ ი მ ა ფ ა-სი, მაგრამ ეს ერთი შემთხვევა ძლიან ცუდ მოხსნიდა საერთო-ქართველურ ძირეულ მორფემებში არსებულ შეზღუდვათა წესებს. ისევე, როგორც ეს წ ე ს ფუძესთან დაკავშირებით ივარაუდება: „წეს-კამონაკლისი მეორეულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან (წ)-სა და (ს)-ს რიგის ფონემები სხვა შემთხვევაში არ დასტურდება არც cc და არც cvc ტიპის ძირებში" — წეოს ი. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 137. დიაქრონიული კვლევა ამ ძირს მორფემებად შლის: წ-ეს, შდრ. წ-ოდ, წ-ან (ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, სმამ, თბილისი, 1942, III, № 5, გვ. 494, ბ. გიგინეიშვილი, ოდ ელემენტის შემცველი ერთი ზმნური ფუძის აგებულებისათვის, სმამ, ტ. XXXIV: I, თბ., 1964).

გამორიცხული არ არის დაისვას მ-წუ-ის-[12] და წულ<წუ-ელ-ი (შდრ. ყმაწვილი, სვან. ლიწვილე „გათხოვება“) ფუძეთა ურთიერთობის საკითხიც (ეს ურთიერთობა შეიძლება გაპირობებული იყოს როგორც მორფოლოგიურად[44], ასევე ფონეტიკური ფაქტორებით)[45].

M. C. СУХИШВИЛИ

ОБ ОДНОМ КАРТВЕЛЬСКОМ СООТВЕТСТВИИ

Р е з ю м е

В статье дана попытка увязать древн.-груз. основу mc̣vis со сванской основой č̣uš.

---

42 შესაძლოა, მ-წკს-ში მ- ფონეტიკური დანართი იყოს, შდრ. ძვ. ქართ. **წულილი/მწულილი.**

43 „-ულ სუფიქსი გამოიყოფა **წულშიც**“ — წერს არნ. ჩიქობავა, იხ. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 43.

44 ადგ-ილ-ი და სადგ-ის-ი (?).

45 ფონეტიკურ ფაქტორში ივარაუდება იმ რიგის ცვლილებები, რაც ქართულში სონანტებს აუსლაუტში მოსდით: ტილ-ი — ტისვნა, ტიზნა „ხილვა“ ქეგლ, VI, წილი — წისვნა „ტილის კვერცხის (წილას) მოშორება“. მილულვა — მილეშვა; იხ. ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონეტატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. შენგელია
(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ქართული ჩეო სიტყვის ეტიმოლოგიისათვის*

საბას „სიტყვის კონაში“ ჩეო ასეა განმარტებული: „ჩეო ცუდი მოაბა Z. ცუდი მუაბა AB. მუაბა (+ცუდი, გაუთლელი CB) C.“[1] მუაბა საბასათვის გვარეობრივი ცნებაა, ჩეო — სახეობრივი: „მუაბა არაბთა ენათა არს, ხოლო ქართულად საკმარქმნილი მუაბად გარდაუცვალებიათ: ხისაგან სნეულთ მკრით სატარებლად შეშზადებულსა ეწოდების საქუმელი, ხოლო ანაზდად ცუდად შემზადებულსა — ჩეო...“[2]

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ნათქვამია: „ჩეო (ჩეოსი) I. ჯინი, ჯალამბარი... 2. კუთხ. (ლეჩხ.) მომცრო ძარი (სიმინდის საფშვნელად ან — ურემზე დაკრული — ქვის, ნაკელის და ა. შ. საზიდად), — ჩელტი (მნიშვ. 4)“[3]. ჩელტის მე-4 მნიშვნელობა კი ასეთია: „ჩელტი... 4. კუთხ. (რაჭ.) წნელისაგან მოწნული ნაპირშემაღლებული ჭურჭელი რისამე გადასაზიდად (იდგმება ურემზე)“[4].

ყველა ზემოაღნიშნულ განმარტებაში ერთი რამ საერთოა: ჩეო-ზე როცაა ლაპარაკი, ყველგან იგულისხმება ხის ნაწილების (წნელის, ტოტების, ძელაკების...) შეკვრით, დაწვნით მიღებული საგანი (სკაცე, ძარი, ჯალამბარი...).

ჩეო სიტყვასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იქცევს მისი ფონემური შედგენილობა, კერძოდ — სიტყვის ბოლოს ხმოვანთა მიმდევრობა ეო. როგორც ცნობილია, ერთი მორფე-

---

* წაკითხულია მოხსენებად ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIII სამეცნიერო სესიაზე 1977 წლის 2 ნოემბერს (იხ. „მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები“, თბ., 1977, გვ. 16).

1 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV_2 (ლექსიკონი ქართული), გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1966, გვ. 317.

2 მისივე, თხზულებანი, ტ. IV_1 (ლექსიკონი ქართული), გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1965, გვ. 529.

3 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, თბ., 1964, სვ. 491.

4 იქვე, სვ. 485.

მის ფარგლებში სიტყვის ბოლოკიდურად ხმოვანთა მიმდევრობა — საზოგადოდ, კერძოდ კი — ეო არ არის დამახასიათებელი ქართველური ენებისთვის; თუ ასეთი გვაქვს, ან მორფემათა საზღვარი უნდა ვიეარაუდოთ, ან სიტყვის ნასესხობა.[5]

ზანურში ეს სიტყვა არ არის დადასტურებული.

ქართული **ჩეო**-ს შესატყვისად სვანურში გვხვდება: ბზ., ლნტ. **ჩაჳ̈ჭ, ბჭ. ჩაჭ, ლშხ. ჩეჭ,** რომელსაც ასევე „წნული ძარის, ჯალამბრის“ მნიშვნელობა აქვს.

ცნობილი ბგერათშესატყვისობის შესაბამისად, ქართული ჩ-ს ადგილას სვანურში შგ უნდა გვქონოდა (მაგ., ქართ. ჩემი — სვან. მიშგუ), მაგრამ აღნიშნულ სიტყვაში ჩ გვაქვს, ე. ი. კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა დარღვეულია.

ქართული **ჩეო** სიტყვის უჩვეულო ფონემური შედგენილობა და სათანადო სვანურ სიტყვასთან არაკანონზომიერი ფონეტიკური მიმართება გვაფიქრებინებს, რომ ის საერთოქართველური მონაცემი არ უნდა იყოს. ქართველურ ენათა მასალის საფუძველზე ამ სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა თითქოს ვერ ხერხდება...

ყურადღებას იქცევს ადიღური სიტყვა **ჩჳშგ**<*ჭჳშგ „წნული ღობე“ (ამოსავალი ვარიანტი ადიღეური ენის შაფსუღურ დიალექტში დასტურდება). მას ნათელი ადიღური ეტიმოლოგია აქვს: **ჩგ**<ჭ´გ „წნელი“ + სუფიქსი **-შგ** „-იანი“ (შდრ. ადიღ. -ყაბ. **ფხჳ -შგ** „ცოცხალი“—**ფხგ** „სული“ + **-შგ**, ადიღ. **ფჭჳშგ** || ყაბ. **პყჳ-შგ** „ბოძი“—**ფჭგ** || **პყგ** „ტანი“ + **-შგ**)[6]. **ჩგ-** კომპოზიტების შემადგენლობაშიც გვხვდება: ადიღ. **ჩგჲგფხ** „წნული კარი“, **ჩგშათჳ** „დაწნული კალათა“...

ჩვენი ვარაუდით, ქართული **ჩეო** და სვანური **ჩჳშ||ჩაჳშ||ჩეჳშ** ადიღური ენებიდან უნდა იყოს შეთვისებული.

სემანტიკური სხვაობა ქართველურ და სათანადო ადიღურ სიტყვას შორის დიდი არაა.

ფონეტიკურადაც ადიღ. **ჩჳშგ**, ქართ. **ჩეო** და სვან. **ჩჳშ || ჩაჳშ || ჩეჳშ** ახლოა: ჩ-ს საკითხი მარტივია; ხოლო ადიღ. ჳ-ს, რომელიც აკუსტიკურად დაახლოებით ქართულ ა-სა და ე-ს შორისაა, მსესხებელ ენაში ა-ც შეეძლო მოეცა, ე-ც და უმლაუტიანი ჳ-ც; ადიღ. **შგ** დიფთონგია, რომელიც შეიძლებოდა გადმოსულიყო როგორც უ-ს, ისე ო-ს სახითაც.

---

[5] თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 31—32.

[6] Г. В. Рогава, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тб., 1956, გვ. 73, 87; М. А. Кумахов, Морфология адыгских языков, Москва — Нальчик, 1964, გვ. 126.

სვანური უმლაუტიანი ვარიანტი, მ. ქალდანის აზრით, უკანა მომდევნო თულების უმლაუტის მოქმედების შედეგია: **ჩᲐშ**<**ჩეშ** (ე. ი. ამოსავალია **ე**, რომელმაც მომდევნო **შ**-ს ზემოქმედებით უმლაუტიანი **Ა** მოგვცა). უკანასკნელისათვის კი ამოსავალია ქართული **ჩეო** (>**ჩეშ**)[7].

შესაძლებელია ეს სიტყვა ჯერ სვანურს ესესხა ადიღური სამყაროდან; ამ მოსაზრებას მხარს დაუჭერდა ის გარემოება, რომ ამჟამად ქართული ენის დიალექტთაგან **ჩეო** დადასტურებულია მხოლოდ სვანურის მოსაზღვრე ლეჩხუმურ დიალექტში. შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ორსავე ენაში დამოუკიდებლად იყოს შეთვისებული. საკითხს დამატებით კვლევა სჭირდება...

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული **ქავი** „ციხის გალავანი“ და სვანური **კაშ** „გალავანი“ (შესიტყვებაში **კაშიშ ყრრ** „გალავნის კარი“) დაკავშირებულია ადიღურ **ქ˘Აშგ** (<**ჩᲐშგ**) „ღობე“ სიტყვასთან და ზოგი იბერიულ-კავკასიური და სხვა ოჯახის ენათა სათანადო მასალასთან.[8]

თუ აღნიშნული დაკავშირება სწორია, მაშინ ქართული **ქავი** და სვანური **კაშ** უნდა განვიხილოთ როგორც ამ ენათა ადიღურ ენებთან უფრო ძველი დამოკიდებულების შედეგი, ხოლო ჩვენ მიერ განხილული ქართული **ჩეო** და სვანური **ჩᲐშ**||**ჩაშ**||**ჩეშ** — როგორც შედარებით ახალი ნასესხობა (შდრ. ადიღ. **ჩᲐშგ**<**ქᲐშგ**).

В. Г. ШЕНГЕЛИА

К ЭТИМОЛОГИИ ГРУЗИНСКОГО СЛОВА ჩეო

Резюме

ჩეო в грузинском языке имеет два основных значения: „плетеный кузовок“ и „плетеные иссилки“.

Фонематический состав этого слова является неестественным для грузинского языка: имеется в виду последоваельность гласных **ეო** в ауслаутс.

В занском языке это слово не засвидетельствовано.

---

[7] მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა. I. უმლაუტის სისტემა სვანურში, თბ., 1969, გვ. 72.

[8] В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, М.—Л., 1958, с. 573—574; А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, М., 1977, с. 128—129.

Грузинскому ჩო в сванском языке соотносится ჩშუ ‖ ჩაუ ‖ ‖ ჩეუ „плетеный кузовок". Тут нет закономерного звукосоответствия—груз. ჩ : сван. შჳ.

Из вышесказанного следует, что ჩო нельзя считать лексемой общекартвельского уровня.

В данном случае привлекает внимание общеадыгское слово čăwə<k˘ăwə „плетень", где čə<k˘ə „прут, хворост", а -wə—словообразовательный суффикс.

По-видимому адыгское čăwə „плетень" с некоторой фонетической и семантической модификацией проникло в грузинский и сванский языки.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. გვანცელაძე
(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

უარყოფის გამოხატვის საერთო პრინციპებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში

ძველ ქართულ ენაში ბუნებრივი იყო ტმესის ხმარება. დადგენილია, რომ ტმესი დასტურდება ძირითადად V-XI საუკუნეების როგორც თარგმნილ, ისე ორიგინალურ ნაწარმოებებში ზმნისწინიან და რთული შედგენილობის ზმნებში[1]. აღნიშნავენ იმასაც, რომ ძველ ქართულში ტმესი ერთნაირად არ არის გავრცელებული დრო-კილოთა ყველა ნაკვთში, იგი ყველაზე ხშირია მეორე სერიის ნაკვთებში, ნაკლებ გვხვდება I და III სერიის ფორმებში. თ. ცქიტიშვილი სამართლიანად მიუთითებს: „სერიათა მიხედვით ტმესის მოვლენის გავრცელების ასეთი მკვეთრი სხვაობა (რაც მთავარია, II სერიის ფორმებში მისი სიხშირე) და აგრეთვე მარტივ ზმნისწინიან და მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში სიტყვა-ნაწილაკთა შეუდარებლივ ხშირი ჩართვა... მოვლენის საკმაო სიძველეზე უნდა მიუთითებდეს, რასაც ტმესის ბუნებისა და ისტორიის გასათვალისწინებლად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება"[2].

ძველ ქართულში ტმესის დროს ზმნურ ფორმაში შეიძლება ჩაერთოს ნაწილაკები (-ვე-, -ღა-, -ცა-, -მცა-, -რე-, -მი-, -ძი-, -ღათუ-, -ნუ-, -არა-, -ვერ-, -ვეღარ-, -თურე-, -თუმცა-), ნაცვალსახელი, ზმნისართი, შორისდებული და კავშირი[3]. მათგან ჩვენ მხოლოდ უარყოფის ნაწილაკჩართულ ტმესის შემთხვევებზე შევჩერდებით სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით.

ძველქართულ ტექსტებში დასტურდება უარყოფით ნაწილაკიანი ტმესის შემდეგი მაგალითები: მი-**ნურაჲ**-ვართჳ (პარხლის მრავალთ. № 95, 1298 b)[4], შე-**ვერას**-უძლებდეს (№ 2124, 106 v)[4], აღ-**ნუვინ**-ანთის

---

1 თ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ტმესი ძველ ქართულში, „მაცნე", 1966, № 3, გვ. 131.

2 იქვე, გვ. 132.

3 იქვე, გვ. 133.

4 ვიმოწმებთ ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს მიხედვით: ორმაგი უარყოფა ქართულში. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეული", I—II. თბილისი, 1923-1924, გვ. 85.

(მრ., 4,21)[5], მო-**ნუ**-ისთვლიან (მ., 7, 16 ც)[5], და-**ვერ**-ვმალოთ (სინ. მრაქ. 152, 29)[5], შე-**ვერა**-ვალს (ამირანდარეჯ. 80, 12)[5], წა-**ველარ**-უხვალდნენ (ამირანდარეჯ. 24, 1)[5]. შე-**არა**-ხუალთ (მ., 23, 14, იმავე ტექსტის F ხელნაწერში არის აღწერითი ფორმაც — არა შეხუალთ)[6]. როგორც ამ მაგალითებიდანაც ჩანს, ტმესის შემთხვევაში შესაძლებელია სამივე ქართული უარყოფითი ნაწილაკის (არ, ვერ, ნუ) ჩართვა ზმნისწინსა და ზმნის ფუძეს შორის, მაგრამ უკვე XI-XII საუკუნეებიდან იწყება ტმესის მოშლა და „ვეფხისტყაოსანში“ მას, როგორც ფიქრობენ, შოთა რუსთველი მხოლოდ ალიტერაციისათვის იყენებს[7]. თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში უკვე აღარ ღასტურდება ტმესის მაგალითები: უარყოფა აღწერითი გზით — დამოუკიდებლად ხმარებული უარყოფითი ნაწილაკებითღა გამოიხატება. თანამედროვე ქართულისებური ვითარებაა ზანურსა და სვანურშიც, სადაც უარყოფის აღსანიშნავად დამოუკიდებელი ნაწილაკები იხმარება: სვან. **დე, მა||მა, ნე, დრ||დრ, მრ||მო, წრ||წო**...,[8] ზან. **ნუ, ნუმუ, ვა, მოთ**[9]. თუმცა ზანური ენის მეგრულ დიალექტში გვაქვს პარალელური ფორმები, როცა უარყოფითი **ვა** ნაწილაკი ზმნისწინთა შორისაა მოქცეული ან წინ უძღვის **ქო** ნაწილაკიან ზმნას. შდრ. მაგალითად: დოთვადოხოდე←დოთევალოხოდუნ „არ ჯდება“. კილვეძირე←კილავაძირე „არ იხედება. ვერ ატანს“, მაგრამ **ვა**ქოძირესო „ქე არ ნახეს...“[10].

ცნობილია, რომ ქართული ტმესისებური წარმოებები ყველაზე უფრო აფხაზურ-ადიღური ენებისთვისაა დამახასიათებელი და ამ ენებში უარყოფის ორგანული გამოხატვა ძალზე ბუნებრივია[11]. მეტიც, ამ ენებისათვის, განსაკუთრებით აფხაზურისა და აბაზურისათვის უარყოფის ასეთი წარმოება (პრეფიქსად ხმარებული უარყოფითი ნაწილაკით) ეთადერთიც კია აორისტსა და მისი ჯგუფის დრო-კილოთა ფორმებში. აქ უარყოფა მხოლოდ ორგანულად ე. ი. ზმნის ფუძეში აფიქსაციით იწარმოება და უარყოფის **-მ-** ფორმანტი ხან პრეფიქსია და ხან — სუფიქსი. პრეფიქსად გვევლინება იგი დინამიკურ ზმნათა ფინიტური წარ-

---

5 თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130-133.

6 ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბილისი, 1979, გვ. 338.

7 თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

8 თ. შარაძენიძე, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში. იქვე, ტ. I თბილისი, 1946, გვ. 290-307; В. Т. Топурия, Сванский язык. ЯН СССР, т. IV, ИКЯ. М., 1967, გვ. 90.

9 К. Д. Дондуа, Грамматическое отрицание как проблема общего языкознания, რჩეული ნაშრომები. I. თბილისი, 1967, გვ. 257-258.

10 მ. ხუბუა, უარყოფითი ნაწილაკი **ვა** მეგრულში. სმამ, ტ. III, № 7, თბილისი, 1942, გვ. 744.

11 ქ. ლომთათიძე, ზმნის იმფინიტური წარმოების კვალი ძველ ქართულში. იქვე, ტ. IX-X, თბილისი, 1958, გვ. 111-112.

მოების აორისტის, ნამყო განუსაზღვრელის, ნამყო უკვეობითისა და ნამყო წინარე წარსულის ფორმებში, აგრეთვე იმავე დინამიკურ ზმნათა ინფინიტური წარმოების ყველა დროის ფორმაში. პრძანებითში, აბსოლუტივებში[12]. აფხაზურსა და აბაზურში უარყოფის -ჳ- პრეფიქსაციის დროს წესისაებრ ძირის წინ დაისმის სუბიექტის ნიშანთა შეჭდეგ (არა აქვს მნიშვნელობა ზმნა ზმნისწინიანია თუ უზმნისწინო), რითაც ეს ენები განსხვავდებიან ძველი ქართულისაგან, სადაც უარყოფითი ნაწილაკი სწორედ პირის ნიშნებს უძღვის წინ. შდრ. მაგალითად: აფხ. დ-აა-ჲ-გეჲტ, აბაზ. დჳგ -ჭა-ჲ-მ- დად „მან (მამაკ.) იგი (ადამ.) არ მოიყვანა“, ძვ. ქართ. შე-არა-ხ-ულთ.

უარყოფის პრეფიქსაცია ჩვეულებრივია ადიღეურ ენაშიც. ასეა, მაგალითად, საგარემოებო, მიმღეობურ, აბსოლუტივის, მასდარის, კითხვითის, ბრძანებითის ფორმებში. მაგ: უ-მჷ-კი! „არ წახვიდე!“[13] ყაბარდოულშიც იგივე მჷ- პრეფიქსი გვაქვს, ხოლო უბიხურში უარყოფის სუფიქსური წარმოების გვერდით გვაქვს პრეფიქსული წარმოებაც, რომელიც დამახასიათებელია აწმყოში, ოპტატივში, ბრძანებითში, მიმღეობურ და აბსოლუტივის ფორმებში, სადაც უარყოფის მ(ა)-პრეფიქსი ზმნის ძირის წინ დაისმის. მაგ.: ასგ-ჳ-დჷყათოჷნ „მე მას არ ვაჩერებ“ თასგ-მ-ჭჷნ „არ შევდივარ“.[14]

როგორც აღნიშნულიდანაც ჩანს ძველ ქართულსა, ზანური ენის მეგრულ დიალექტსა და აფხაზურ-ადიღურ ენებს უარყოფის გამოხატვაში ბევრი რამ აქვთ საერთო, თუმცა სხვაობაც გვაქვს. აფხაზურ-აბაზურის მონაცემების ძველ ქართულ ტმესთან შედარების შედეგად მიიჩნევენ, რომ ტმესი ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი, ხოლო ქ. ლომთათიძე დამატებით იმასაც აღნიშნავს, რომ ტმესი ქართულში ზმნათა ინფინიტური წარმოების ნაშთი ჩანს[15].

უარყოფის ტმესისებური წარმოების შემთხვევები ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაშიც დასტურდება. როგორც აღნიშნავენ, ნახურ ენებში უარყოფის ცა და მა ნაწილაკები ცალკე იხმარება, მაგრამ ჩაჩნურში გვაქვს ისეთი მასდარებიც, სადაც ეს ნაწილაკები ფუძეშია

---

12 მ ი ს ი ვ ე, ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. იქვე, ტ. V, თბილისი, 1953, გვ. 203-208.

13 Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка. Краснодар—Майкоп, 1966, გვ. 239—254; М. А. Кумахов, Адыгейский язык, ЯН СССР, т. IV, ИКЯ..., გვ. 160.

14 Грамматика кабардино-черкесского литературного языка. I. Фонетика и морфология. М., 1970, გვ. 132; А. К. Шагиров, Кабардинский язык. ЯН СССР. т. IV, ИКЯ..., გვ. 174; М. А. Кумахов, Убыхский язык, იქვე, გვ. 700.

15 ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ზმნის ინფინიტ. წარმ. კვალი..., გვ. 116; თ. ც ქ ი ტ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

ჩართული: ჰალაცალათთარ „აუდგომლობა, невставание“[16]. იმავე ჩანურში არც უარყოფით ნაწილაკთა ზმნურ ფუძეში ჩართვაა უცხო: დჩა-ცა-ვახა „არ წავიდა“, დჩა-მა-ვურ! „არ წახვიდე!“ (რ. ფარეულიძე).

ანალოგიური ვითარება გვაქვს დაღესტნის ზოგ ენაშიც. ასეა, მაგალითად, ლაკურში, სადაც უარყოფითი -მა-, -ჭა- ნაწილაკები ზმნის ფუძეში ჩაირთვის. აქ პარალელურად შეიძლება გვქონდეს როგორც მა-ჩიჩარა! „არ წერო!“ ისე ჩი-მა-ჩარა! ჭა- ჩიჩინნა || ჩი-ჭა-ჩინნა „არ დავწერ“[17]. თაბასარანულ ენაში ღარ „არ არის“ კოპულა-ნაწილაკის მეშვეობით იწარმოება უარყოფითი ფორმები ყველა ზმნური ფორმისაგან. აგი მუდამ პრეფიქსი ან ინფიქსია (ფონეტიკური ცვლილებით), გარდა ზმნის პირიანი ფორმებისა. მაგ: აპუბ„ კეთება“—ღარ -აპუბ „არ კეთება“, ურსუბ „შეხტომა“—უღრუსუბ „არ შეხტომა“[18]. ასეთივეა ვითარება სხვა ლეზგიურ ენებშიც: აღულურში უარყოფა ჩვეულებრივ პრეფიქსაციით გამოიხატება (ღი-, ღა-, ღ-, ღ- ელემენტები). მაგრამ თუ ზმნა პრევერბიანია, უარყოფის აფიქსი-ნაწილაკი მაინც ძირის წინ აღმოჩნდება: რუხას „კითხვა“—დუ-რუხას „არ კითხვა“; ჯიკას „დაკეტვა“—ჰი-დი-კას „არ დაკეტვა“, ჰი-მი-კა! „არ დაკეტო“![19] ასევე „იქცევა“ რუთულურ ენაში უარყოფის მა აფიქს-ნაწილაკიც: გი-მა-ჭ! „არ უყურო!“[20] წახურშიც ძირის წინ დაისმის ღ- || დი, ღ- || იმ- ელემენტები, ოღონდ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა ზმნა აბსოლუტივის, მიმღეობის ან „მიზნობრივი“ მნიშვნელობით იხმარება. მაგ: გემაეს „ტირილი“ — გი-დე-შეეს; გემაი! „იტირე!“—გი-მე-შაი! „არ იტირო!“.[21] ასეთივე სურათი გვაქვს კრიწულში, ბუდუხურსა და უდიურში. მაგალითად: კრიწ. ქოცლიჯ „ყურება“—ქო-დაცლიჯ..., ბუდუხ. ყა-დალ-სარა (I კლ., მხ. რ.) „არ ივლის“, ყა-მა-ბსალდა! „ნუ ივლით (მამაკ!“) უდ.: ვართამ. თე-ზ-ბო || ბო-თე-ზ,ნიჯ. ზუ თე-ზ-ბალ || ბალ-თე-ზუ „არ გავაკეთებ“, მა-უფა || უ-მა-ფა! „არ თქვა!“[22].

გ. თოფურია, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა უარყოფის წარმოების საკითხი ლეზგიური ენების ბრძანებითის ფორმებში, აღნიშნავს: „...თითქმის ყველა ლეზგიურ ენაში უარყოფით ბრძანებითში (და მხო-

---

[16] დ. იმნაიშვილი, უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები იბერიულ-კავკასიურ ენებში. იქვე, ტ. IV, თბილისი, 1953, გვ. 58; Структурные общности кавказских языков. М., 1978, გვ. 78.

[17] Г. Б. Муркелинский, Лакский язык. ЯН СССР, т. IV, ИКЯ..., გვ. 500.

[18] Б. Г.-К. Ханмагомедов, Табасаранский язык. იქვე, გვ. 556.

[19] А. А. Магометов, Агульский язык. იქვე, გვ 574.

[20] Е. Ф. Джейранишвили, Рутульский язык. იქვე, გვ. 587.

[21] Б. Б. Талибов, Цахурский язык. იქვე, გვ. 603-604.

[22] Ш. М. Саадиев, Крызский язык. იქვე, გვ. 637; Ю. Д. Дешериев, Будухский язык. იქვე, გვ. 652-654; ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა. გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი. თბილისი, 1971, გვ. 102-103.

ლოდ აქ!) დასტურდება მ- ელემენტი, რომელიც, როგორც წესი, პრეფიქსს წარმოადგენს. ზოგ შემთხვევაში იგი შეიძლება ინფიქსის სახითაც შეგვხვდეს, მაგრამ ასეთი ზმნები, ჩვეულებრივ, რთული ფუძისა ჩანან, ან უარყოფითობის პრეფიქსის წინამავალი ელემენტი რაღაც მორფოლოგიური ოდენობაა. ამდენად, მ- ყველა შემთხვევაში პრეფიქსია"[23] (იგივე შეიძლება ითქვას სხვა დასახელებულ ენათა შესახებ: უარყოფა ყველგან პრეფიქსაციით იწარმოება).

ეს მ- ელემენტი საერთო ლეზგიურ ოდენობადაა მიჩნეული. იმავე მ- ელემენტის შესახებ გ. ბურჭულაძე წერს, რომ იგი სხვა მოდალურ ელემენტებთან ერთად საერთო კავკასიური მონაცემია.[24] ჩვენის მხრივ უნდა დავუმატოთ, რომ მ- ელემენტის გარდა, იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო კუთვნილებაა აგრეთვე დ- უარყოფითი ელემენტიც, მაგრამ ჩვენ აქ სხვა რამ გვაინტერესებს: ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ენაში (ძველი ქართული, ზანური ენის მეგრული დიალექტი, აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული, უბიხური, ჩაჩნური (და ალბათ ინგუშურ-ბაცბურიც), ლაკური, თაბასარანული, აღულური, რუთულური, წახური, კრიწული, ბუდუხური, უდიური) საერთოა უარყოფის გამოხატვის პრინციპი: ამ ენებში ჩვეულებრივია ტმესის ტიპის უარყოფა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უარყოფის აფიქს-ნაწილაკები ჩართულია ზმნისწინის ან რაიმე სხვა ელემენტის შემდეგ ზმნურ ფუძეში.

რა ვითარებაა დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებში? დაღესტნის ენათა ერთ ნაწილში, გარდა ტმესის ტიპის უარყოფის აფიქსური წარმოებისა, გვაქვს უარყოფის აღწერითი წარმოებაც, როცა ძირითად — დადებითი ფორმით წარმოდგენილ ზმნაში უარყოფითობის შინაარსი უარყოფით მეშველ ზმნას შეაქვს. ასეთი წარმოება გვაქვს ხუნძურში (მეშველი ზმნა ჰეჭო „არ არის"), ანდიურში (სუ) ბოთლიხურში (ხუჭი, ლ'იჭი, გუჭი), ღოდობერიულში (ივუჩი), ბაგვალურში (ვაჭე), ჭამალურში (იკვ, იხვ), დიდოურში (ანუ), ხვარშიულში (გობი), ჰინუხურში (გომ, გომე). იმავე ლეზგიურ ენებში, სადაც როგორც აღინიშნა, ტმესის ტიპის უარყოფითი ფორმები გვაქვს, პარალელურად აღწერითი წარმოებაცაა გავრცელებული. ასეა, მაგალითად, თაბასარანულში (მეშველი ზმნა დარ „არ არის"), აღულურში (და), რუთულურში (დიშ||ჯიშ||ჩიშ), წახურში (დეშ), კრიწულში (დარ, დაბ, დაღ), ბუდუ-

---

[23] გ. თოფურია, უარყოფითი ბრძანებითისა და მისი საწარმოებელი ფუძის შესახებ ლეზგიურ ენებში (წინასწარი მოხსენება). თსუ შრომები, B 3 (142). თბილისი, 1972, გვ. 76.

[24] Г. Т. Бурчуладзе, О некоторых модальных частицах в лакском и их параллелях в некоторых других иберийско-кавказских языках. იკეუ, ტ. IV, თბილისი, 1977, გვ. 224.

ხურში (დაბ||დაფ||დად, დარ) ხინალუღურში (ნდა)[25]. თითქმის ყველა ამ ენაში (როგორც ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის, ისე ლეზგიურისაში) შეინიშნება უარყოფითი მეშველი ზმნის აფიქსად ქცევის ტენდენცია. მაგალითად, ანდიური მეშველი ზმნა სოუ → -სოუ || -სა[26]. (ამჯერად სუფიქსაციის საკითხებს არ განვიხილავთ).

თანაბედროვე ქართველურ ენათა მსგავსადვე დამოუკიდებელი ნაწილაკებით იწარმოება უარყოფა ნახურ ენებსა და უდიურშიც: ჩაჩნ. ца гина „არ უნახავს", ბაცბ. цо ӯӡт „არ მიდის", უდ. ма бэ! „არ გააკეთო!"[27]

ამრიგად, იბერიულ-კავკასიურ ენებში უარყოფის გამოხატვის ორი ძირითადი პრინციპი გვაქვს: ტმესისებური ორგანული წარმოება, როცა უარყოფითი აფიქს-ნაწილაკები ჩართულია ზმნურ ფუძეში და აღწერითი წარმოება, როცა უარყოფითი ნაწილაკი იხმარება როგორც დამოუკიდებელი სიტყვა. პირველი პრინციპით გამოიხატება უარყოფა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველა ქვეჯგუფში მეტ-ნაკლებად, ხოლო მეორის მიხედვით — ყველა ქვეჯგუფის ენებში, გარდა აფხაზურ-ადიღურისა (ზოგ ენაში ორივე პრინციპი მოქმედებს ერთდროულად. მაგ: ძველ ქართულში, ზანური ენის მეგრულ დიალექტში, ნახურ და ლეზგიურ ენებში).

რომელი პრინციპია უძველესი და რომელი ახალი? ძველი ქართული ტმესის ისტორია, რომლის თვალის გადევნების საშუალებაც გვაქვს წერილობითი წყაროების არსებობის წყალობით, გვიჩვენებს, რომ ტმესისებური წარმოება უეჭველად ძველია[28]. ანგარიშგასაწევია აფხაზურ-ადიღურ ენათა მონაცემებიც, სადაც უარყოფის აღწერითი წარმოება არ დასტურდება. ამ ენათა ზმნის ფუძეში ჩართული უარყოფის ელემენტი პრეფიქსად გვაქვს ძირითადად აორისტის ჯგუფის დროებში ძველი ქართულის ტმესის მსგავსად, რაც აღნიშნული წარმოების შედარებით სიძველეზე მიუთითებს. ამასთანავე სხვა ენებშიცა და აქაც უარყოფის პრეფიქსაცია დამახასიათებელია ბრძანებითის ფორმებისათვისაც, რაც ისევ და ისევ ამ წარმოების სიძველეზე მიუთითებს. ცნობილია ისიც, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში პრეფიქსაცია უფრო ძველია, ვიდრე სუფიქსაცია[29].

---

25 ცნობები ამოკრებილია კრებულიდან Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки. М., 1967.

26 И. И. Церцвадзе, Андийский язык. იქვე, გვ. 289.

27 ЯН СССР, т. IV, ИКЯ, გვ. გვ. 205, 241, 684.

28 ქ. ლომთათიძე, ზმნის ინფინიტური წარმოების კვალი. გვ. 112-113.

29 არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ორი ძირითადი საკითხის შესახებ. წიგნში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1979, გვ. 273.

მეორე მხრივ, საინტერესოა, რომ იმ დაღესტნურ ენებში, სადაც უარყოფის აღწერითი წარმოება გვაქვს, ჩვენს თვალწინ ხდება უარყოფითი კოპულა-ნაწილაკის სუფიქსად ქცევა ანდიური ენის მსგავსად, ხოლო ის ენები, რომლებისთვისაც არ არის დამახასიათებელი ტმესის ტიპის წარმოება, ტიპური გრამატიკული კლასის კატეგორიის მქონე ენებია (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები), რომლებშიც ზმნისწინები თითქმის არა გვაქვს[30]. ამ უკანასკნელ ფაქტს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ტმესის ტიპის წარმოების ისტორიის გასათვალისწინებლად, ვინაიდან ტმესის დროს უარყოფითი ნაწილაკები სწორედ პრევერბსა და ძირს შორის (სუბიექტის ნიშნის წინ ან მომდევნოდ) ჩაერთვიან.

ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის უარყოფის გამოხატვის ამ ორი პრინციპის ასეთი განაწილება იბერიულ-კავკასიურ ენებში. პრინციპულ ერთიანობას ამჟღავნებენ ის ენები, სადაც გრამატიკული კლასის კატეგორია და კლასოვანი უღვლილება დღემდე მყარადაა შენარჩუნებული (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები). ამ ენებში პრევერბთა ნაკლები გავრცელებულობა სახელის ბრუნების თავისებურებებით იხსნება: აქ გვაქვს ე. წ. ლოკატიურ ბრუნვათა სერიები, რომლებიც ზმნისწინთა ფუნქციებს კისრულობენ — გადმოსცემენ ლოკალურ ურთიერთობებს, იმ ენებში კი, სადაც გრამატიკული კლასის კატეგორია მთლიანად მოიშალა ან შერყეულია (გრამატიკული კლასის კატეგორიის შერყევაში ვგულისხმობთ როგორც პირის კატეგორიის გაჩენას, ისე გრამატიკული კლასის კატეგორიის შიგნით დამატებითი ქვეკლასების ჩამოყალიბებასაც), ზმნის სისტემა გართულდა, საჭირო გახდა სუბიექტისა ან სუბიექტ-ობიექტის ასახვა ზმნაში, რაც სახელის განტვირთულობის შენარჩუნებას ანდა მის ხელახალ განტვირთვას უწყობს ხელს. სახელის სიმარტივის პირობებში კი ზმნა კისრულობს მის ფუნქციათა ნაწილს, რაც პრევერბთა ჩამოყალიბების საწინდარია. თავის მხრივ პრევერბები დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარეობენ, რაც ნათლად ჩანს აფხაზურის მაგალითზეც[31].

აღნიშნულიდან გამომდინარე, უარყოფითი ნაწილაკებიც, მსგავსად ზმნისწინებისა, დამოუკიდებელი სიტყვები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ უფრო ახლოს იდგნენ ზმნასთან, ვიდრე ზმნისწინები. უარყოფითი

---

30 არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. გვ. 163-164.

31 ქ. ლომთათიძე, რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში. იქვე, ტ. IV, თბილისი, 1953, გვ. 84.

ნაწილაკები ზმნისწინებზე ადრე უნდა შეხორცებოდნენ ზმნას[32], მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ კლასოვანი უღლილების შერყევის ანალოგიის შემდეგ მოხდებოდა, რასაც უნდა გამოეწვია ის, რომ ზოგ ენაში ტმესის ტიპის წარმოების დროს უარყოფითი აფიქს-ნაწილაკები უშუალოდ ზმნის ძირის წინ დაისვა სუბიექტის ნიშნის მომდევნოდ (აფხაზურ-ადიღური ენები), ზოგში კი — უკვე ჩამოყალიბებული პიროვანი უღლილების პირობებში — სუბიექტის ნიშნიან ზმნურ ფორმას უძღვის წინ (მაგ: ძველი ქართული). შემდგომში, როცა ზმნისწინი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ზმნას, იწყება ზმნის განტვირთვა უარყოფის აფიქს-ნაწილაკთაგან და ისინი ხელახლა ყალიბდებიან ნაწილაკებად. დასაშვებია ისიც, რომ ზოგ ენაში უარყოფითი ელემენტები იმთავითვე დამოუკიდებელ ნაწილაკებად დარჩა.

ზმნისწინი რომ შეიძლება იწვევდეს უარყოფითი ელემენტის მოძრაობას, ნათლად ჩანს შემდეგიდან: ზმნისწინის დართვისას ზმნა ხშირად ახალ სემანტიკას იძენს და ერთი და იმავე ზმნის პრევერბიანი და უპრევერბო ვარიანტები სხვადასხვა მნიშვნელობისაა. შდრ. ქართ. კეთება, შეკეთება, აფხ. ა-გვლარა „დგომა“, აა-ნ-გვლარა „დადგომა, შეჩერება“... ახჭაზურში უარყოფის მ ელემენტი ხშირად გადმოინაცვლებს ხოლმე პრევერბის წინ ასეთ ზმნებში დგ-მ-გვლეჲტ „არ დადგა“, დ-აანგ-მ-გვლეჲტ || →დ-მ-აანგვლეჲტ „არ შეჩერდა“.

ამრიგად, იბერიულ-კავკასიურ ენებს ბევრი რამ აერთიანებს უარყოფის გამოხატვის თვალსაზრისით, თუმცა არც სხვაობაა გამორიცხული. უარყოფის გამოხატვის ორივე პრინციპი — როგორც ტმესის ტიპისა, ისე ალწერითი, უდავოდ ძველია, მაგრამ უფრო ძველი მაინც ალწერითი წარმოება ჩანს.

Т. И. ГВАНЦЕЛАДЗЕ

ОБ ЕДИНЫХ ПРИНЦИПАХ ВЫРАЖЕНИЯ ОТРИЦАНИЯ В ИБЕРИЙСКО-КАВКАЗСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

В статье выделены два общеиберийско-кавказских принципа выражения отрицания: тмезисообразное образование и опи-

32 შდრ. ამ მხრივ სვანურის მონაცემები, რომელშიც უარყოფითი ნაწილაკები და ქა, ჩუ პრევერბები ზმნის ფუძეში არ შედიან, დამოუკიდებლად იხმარებიან, მაგრამ მათი ერთდროული გამოყენების დროს უარყოფითი ნაწილაკი ექცევა ზმნასა და პრევერბს შორის: ქადეშ ჰჯსკნეხ „ვერ ხტებოდნენ“, (ძვ. ქართ. „გა- ვერ-ხტებოდნენ“): სვანური ენის ქრესტომათია. თბილისი, 1978, გვ. 35. აქ ტმესის ტიპის წარმოების ჩანასახთან გვაქვს საქმე.

сательное выражение негации. Тмезисообразные формы, т. е. такие глагольные формы, в которых включены отрицательные частицы, характерны для древнегрузинского языка, мегрельского диалекта занского языка, всех абхазско-адыгских языков, чеченского, лакского и языков лезгинской подгруппы, а описательные — почти для всех иберийско-кавказских языков, за исключением абхазско-адыгских. В одном и том же языке возможно сосуществование обоих принципов (ср. удийский язык).

Исходя из факта отсутствия тмезисообразных отрицательных форм в языках аварско-андийско-дидойской подгруппы, которые считаются классическими языками с классным спряжением, автор считает, что возникновение тмезисообразных отрицательных форм вызвано полным разрушением или же расшатыванием классного спряжения в других иберийско-кавказских языках.

რ. ოსტომ ფარეულიძე
(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ანთროპონიმთა ბრუნება ჩაჩნური ენის ქისტურ დიალექტში

სახელთა ბრუნების საკითხი ერთ-ერთი საინტერესო და რთული უბანია ჩაჩნური ენის მორფოლოგიაში. სახელთა ბრუნებას არაერთი სტატია და სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნეს მკვლევრებმა: პ. უსლარმა, დ. იმნაიშვილმა, ნ. იაკოვლევმა, ი. დეშერიევმა, ი. არსახანოვმა, ნ. ბიბულათოვმა, ა. თიმაევმა... სხვა ნახურ ენათა კვლევისას ჩაჩნური ენის სახელთა ბრუნებასაც იხილავენ და რიგ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამენ მკვლევრები: ზ. მალსაგოვი, დ. მალსაგოვი, რ. გაგუა, ა. ჭურჭიევი...

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგინეთ ანთროპონიმთა, ანუ აღამიანის საკუთარ სახელთა, ბრუნების ნიმუშები და ბრუნების ტიპების დადგენის ცდა ქისტურ მეტყველებაში.

ცნობილია, რომ არსებით სახელთა ბრუნების საკითხი ჩაჩნურში მეტად რთულია. სირთულეს ქმნის ფონეტიკურ პროცესთა ფართო მოქმედება, სახელთა ერთ ჯგუფში სხვადასხვა ხასიათის ე. წ. ჩანართი ელემენტების წარმოშობა მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვებსა და მრ. რიცხვში, მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოების თავისებურებანი და სხვა.

ანთროპონიმებს ირიბ ბრუნვებში არ ემატებათ რაიმე ელემენტი, არ ეწარმოებათ მრავლობითი რიცხვი. ანთროპონიმთა ამ „უპირატესობამ“ და ქისტურ მეტყველებაში მათი ბრუნების თავისებურებამ ჩაჩნურ სალიტერატურო ენასთან შედარებით განაპირობა, რომ სახელთა ბრუნების შესწავლა ქისტურში სწორედ ანთროპონიმებით დაგვეწყო.

მასალა შეკრებილია პანკისის ხეობის ქისტურ სოფლებში: დუისში, ჯოყოლოში, ბირკიანში, ძიბახევში, ომალოსა და შუა ხალაწანში. სოფ. ბირკიანსა და ომალოში ღრმა მოხუცებისაგან ჩაწერილია ძველი ანთროპონიმები, რომელთა ძირითადი ნაწილი ამჟამად აღარ იხმარება. აღნუსხულია აგრეთვე ადამიანთა მეტსახელები და ტოპონიმებში გა-

მოვლენილი ანთროპონიმური ერთეულებიც. მთლიანი მასალა ექვსი ათასზე მეტ ერთეულს შეადგენს.

პანკისურ ქისტურს საკანდიდატო დისერტაცია მიუძღვნა ი. ალიროევმა — „ჩაჩნური ენის ქისტური დიალექტი“[1]. ამ შრომაში სახელთა ბრუნებას დათმობილი აქვს სულ ხუთი გვერდი, ხოლო ანთროპონიმთა ბრუნება კვლევის მიღმა რჩება.

ნახური ენების ცნობილი მკვლევარი დ. იმნაიშვილი ქისტურ მეტყველებას ჩაჩნური ენის მთის დიალექტს უწოდებს და მასში გამოყოფს ხილდიხაროულ და მაისტურ კილოკავებს. მკვლევარი ა. მაგომედოვი საერთოდ უარყოფს ქისტური დიალექტის არსებობას, რადგან, მისი აზრით, ამ დიალექტზე მოსაუბრეთა მეტყველება თვით ჩაჩნეთის ტერიტორიაზეა წარმოდგენილი[2]. ასე, რომ ჯერ კიდევ დაუდგენელია ქისტური მეტყველების სტატუსი. ჩვენ ვიზიარებთ დ. იმნაიშვილის მოსაზრებას. ქისტურში, მართლაც, ორი კილოკავი გამოიყოფა: ხილდიხაროული და მაისტური.

ქისტური ქართული ენის გარემოცვაშია და მის ძლიერ ზეგავლენას განიცდის, რითაც ის ძირეულად განსხვავდება ჩაჩნური ენის ყველა დიალექტისაგან, ინგუშური ენისაგან. მოსახლეობის ურთიერთწერევის ნიადაგზე ქისტურ მეტყველებაში შეინიშნება უნიფიკაციის საწყისი ელემენტები.

ცალკე კვლევის საგნად გვესახება ქისტურის ხილდიხაროული (ს. ომალო) კილოკავის მიმართება ჩაჩნეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილ ხილდიხაროულთან. აქვე აღვნიშნავთ, რომ მაისტურში ორი თქმა გამოიყოფა საკუთრივ მაისტური ან დუისური და ჯოყოლოურის[3].

---

1 И. Ю. Алироев, Кистинский диалект чеченского языка. Известия ЧИНИИИЯЛ, т. 3, вып. 2. Языкознание. Грозный, 1962.

2 А. Г. Магомедов, Система гласных чечено-ингушского языка, Грозный, 1974, გვ. 6.

3 თ. გონიაშვილის ცნობით, სოფ. ჯოყოლოში მოსახლეობის ერთი ნაწილი გადმოსახლებულია ჩაჩნეთის მელხისტის თემიდან. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მეტყველებაში, კერძოდ ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში, მელხისტი დასტურდება მითხო-ს სახით, რაც მელხ-ის კანონზომიერი შესატყვისია ბაცბურში, მეტყველება კი შესაბამისად არის მითხოური. მითხოური დღესაც დასტურდება ჩაჩნეთში, ოღონდ არა ისტორიულ მითხოში, არამედ ჩაჩნეთის ბარში. მითხოურ მეტყველებას საგანგებოდ სწავლობს ჩაჩნეთ-ინგუშეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი რ. სალამოვა. ამ მეტყველებაზე ცნობების უქონლობის გამო ვერაფერს ვიტყვით ჯოყოლოურის მიმართების შესახებ აღნიშნულ მეტყველებასთან. მაისტური კი სოფ. დუისშია წარმოდგენილი. მიუხედავად სხვადასხვა წარმომავლობისა დუისურ და ჯოყოლოურ თქმებს კვლევის ამ ეტაპზე ერთ, მაისტურ კილოკავში ვაერთიანებთ.

ამდენად, ტერმინი „ქისტური დიალექტი“ პანკისის ხეობაში წარმოდგენილი ქისტური მეტყველების აღსანიშნავად სამუშაო ტერმინად რჩება.

ჩაჩნურში საკუთარ სახელთა ბრუნების სამ ტიპს გამოყოფენ: სრულს, შერწყმულსა და გამარტივებულს.

ბრუნების სრული ტიპი ორ ჯგუფად იყოფა: ა) თანხმოვანფუძიანი სახელები, როგორიცაა, მაგ.:

სახ.	დᲐუდ
ნათ.	დᲐუდ-ა
მიც.	დᲐუდ-ა-ნა
ერგ.	დᲐუდ-ა
თან.	დᲐუდ-ა-ცა
შედ.	დᲐუდ-ა-ლ
გამს.	დᲐუდ-ა-ხ
ადგ.	დᲐუდ-ა-გა (→დაუდ-ჲე)

ამ ჯგუფის სახელებს ნათესაობითი ბრუნვის ხმოვნითი ნაწილი გაჰყვება ყველა ბრუნვაში. აღვნიშნავთ, რომ ნათესაობითის Აⁿ ხმოვანი მიღებულია ი⁵-ისაგან, ი-ს დასუსტების გზით (დ. იმნაიშვილი, ნ. ბიბულათოვი...).

ბ) მეორე ჯგუფში შედის სონორებზე დაბოლოებული სახელები, როგორიცაა, მაგ. რამზᲐნ. ამ სახელებში მიცემითსა და ადგილობითში დაკარგულია ნათესაობითის ფორმანტის ხმოვანი, ასე რომ გვექნება: ნათ. რამზᲐნ-Აⁿ მიც. რამზᲐნ-ნა...

შერწყმულ ტიპში შედის სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოში აქვთ მოკლე ხმოვანი ა, ა ერწყმის ნათესაობითის ფლექსიას და გვაღებთ გრძელ ხმოვანს:

სახ.	ვᲐხა
ნათ.	ვᲐხᲐⁿ (←ვახა-Ეⁿ←ვახა-ინ)
მიც.	ვᲐხ-Ა-ნა
ერგ.	ვᲐხა-ს
თან.	ვᲐხ-Ა-ცა
შედ.	ვᲐხ-Ა-ლ
გამს.	ვᲐხ-Ა-ხ
ადგ.	ვᲐხ-Ა-გა

სრულ და შერწყმულ ტიპებს ბრუნებისას ორფუძიანობა ახასიათებს. II ფუძე ნათესაობითის ფორმაა.

ბრუნების III ტიპი არის გამარტივებული სახეობა. აქ შედის გრძელ ხმოვანზე გათავებული სახელები. ბრუნება ერთფუძიანია და წარმოებელი ფუძე სახელობითის ფორმაა:

სახ.	მჭსჳ	თან.	მჭსჳ-ცა
ნათ.	მჭსჳ-ნ	შედ.	მჭსჳ-ლ
მიც.	მჭსჳ-ნა	გამს.	მჭსჳ-ხ
ერგ.	მჭსჳ-ს	ადგ.	მჭსჳ-გა

ჩაჩნური ენის ქისტურ დიალექტში თანხმოვანფუძიან სახელებში ბრუნების ერთი ტიპი გვაქვს, ე. ი. მნიშვნელობა არა აქვს, თავდება თუ არა სახელი სონორზე, როგორც ეს ჩაჩნურშია, მაგ.:

სახ.	ვისსარგ	ხიზირ
ერგ.	ვისსარგ-ჲე	ხიზირ-ჲე
ნათ.	ვისსარგ (←ვისსარგ-ა[ნ])	ხიზირ-ა-ნ
მიც.	ვისსარგ-ა-ნ[4]	ხიზირ-ა-ც
თან.	ვისსარგ-ა-ც	ხიზირ (←ხიზირ-ა[ნ])
შედ.	ვისსარგ-ა-ლ	ხიზირ-ა-ლ
გამს.	ვისსარგ-ა-ხ	ხიზირ-ა-ხ
ადგ.	ვისსარგ-ა-გ	ხიზირ-ა-გ

როგორც ბრუნების პარადიგმიდან ჩანს, ნათესაობითის ბრუნვის ნიშანმა ნაზალურობა დაკარგა (რაც კარგად ჩანს ხმოვანფუძიან სახელებში) და ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვანიც ჩავარდა. ასე რომ ნათესაობითი ფორმა გარეგნულად არ განსხვავდება სახელობითის ფორმისაგან. ეს მოვლენა მეორეულია და განპირობებულია ქისტურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესებით.

საინტერესო ჩვენებას იძლევა ქისტურის მაისტური კილოკავი. აქ ნათესაობითში პარალელურად გვხვდება როგორც სუფიქსდაკარგული. ისე სუფიქსიანი ფორმები. გვაქვს მ უ ჰ ა მ ა დ კ ა ნ თ „მუჰამედის ვაჟი“ და მ უ ჰ ა მ ა დ-ი კ ა ნ თ.

ხილდიხაროულში დამოწმებული **ა** სუფიქსის ნაცვლად მიცემითში, შედარებითში, გამსჭვალვითსა და ადგილობითში მაისტურში დასტურდება **ა** და **ი** სუფიქსები — ნათესაობითის ხმოვნითი ნაწილები, რომელთაც შესაბამისი ბრუნვათა ნიშნები ერთვის. უპირატესობა მაინც **ა**-ნიან ვარიანტებს ეძლევა. ამ **ა**-ნმა ჩაჩნურსა და მის დიალექტებში **ი**-ნი საერთოდ განდევნა ხმარებიდან, მაისტურში კი გაბატონების ტენდენციას ინარჩუნებს.

---

4 სადავოა, თუ რა არის მიცემითის ნიშანი ჩაჩნურ ენაში: -ნ(ა) თუ ა. წინამდებარე სტატიაში -ნ(ა) სუფიქსის გამოყოფა პირობითია, ეს საკითხი ცალკე შესწავლას მოითხოვს.

ხილდიხაროულისაგან განსხვავებით, სადაც -ჲე დაბოლოება გვაქვს ერგატივში, მაისტურში -(ა)ს დასტურდება, ჩაჩნურში -ა. ერგატივში -(ა)ს სუფიქსი უთუოდ ძველია, საკვლევია ამ ფორმანტთა ურთიერთმიმართება.

ხმოვანფუძიანი სახელები ნათესაობითში -ი-ს გვიჩვენებენ. -ი სხვა არაფერია, თუ არა ნათესაობითის -ი[5] ფორმანტი იმ განსხვავებით, რომ -ი წინამავალ ხმოვანთან დიფთონგს ქმნის, მაგ.:

სახ.	ბჲარსა
ერგ.	ბჲარსა-ს
ნათ.	ბჲარსა-ჲ (←ბიარსა-ი←ბიარსა-ი[5])
მიც.	ბჲარსა-ჲ-ნ
თან.	ბჲარსა-ჲ-ც
შედ.	ბჲარსა-ჲ-ლ
გამს.	ბჲარსა-ჲ-ხ
ადგ.	ბჲარსა-ჲ-გ

ანალოგიურად იბრუნვიან ჳ-ზე, ე-ზე, ო-ზე, უ-ზე დაბოლოებული სახელები (ჱჳავ, ელანე, ძიქო, ჯოჯუ).

ხმოვანფუძიანი სახელებისათვის ნიშანდობლივია ის, რომ ნათესაობითის ფორმანტი სახეზეა როგორც თვით ნათესაობითში, ისე მისგან ნაწარმოებ ყველა ბრუნვაში. ამასთან ამ ტიპის სახელებში ხილდიხაროული ერგატივში გვიჩვენებს -ს ფორმანტს.

ი-ზე დაბოლოებული სახელები ხილდიხაროულსა და მაისტურის დუისურ თქმაში იბრუნვიან ა-ზე დაბოლოებული სახელების ანალოგიურად — ორფუძიანი ბრუნების პრინციპით, ოღონდ აქ დიფთონგის ნაცვლად ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი ერწყმის ფუძისეულ ი-ს და აგრძელებს მას, მაგ.:

სახ.	გივი
ერგ.	გივი-ს
ნათ.	გივ-ე (←გივი-ჲ ←გივი-ი[5])
მიც.	გივ-ე-ნ და ა. შ.

ი-ზე დაბოლოებულ სახელებში ბრუნვის ნიშნად ე-ს გამოყოფა პირობითია, რადგან იგი ორი კომპონენტისაგან — სახელის ფუძის ბოლოკიდური ხმოვნისაგან და ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილისაგან შედგება.

ი-ზე გათავებული სახელები დასტურდება ჯოყოლოურ თქმაშიც. მაგრამ იგი შედის ბრუნების იმ სახეობაში, რომელშიც ვაერთიანებთ ხილდიხაროულისა და მაისტურის გრძელ ი-სა და ი-ზე გათავებულ სახელებს. ჯოყოლოურ თქმაში გრძელ ი-ზე დაბოლოებული სახელები

არ დასტურდება, შდრ.: ხილდიხაროული ძარაჲ, მაისტურის დუისური თქმა ძარეჲ და ჯოყოლოური ძარი (ქალის სახელია), რომელიც მიღებული ჩანს ასე: ძარაჲ→ძარეჲ→ძარიჲ→ძარ̄→ძარი.

შეიძლება ამოსავალი ფორმა ცნობილიც არ იყოს, მაგრამ ხილდიხაროულსა და მაისტურის დუისურ თქმაში დადასტურებულ გრძელ ი-ნზე დაბოლოებულ სახელებს ჯოყოლოურ თქმაში კანონზომიერად შეესატყვისება მარტივი ი. მაგ.: ნასი̄, ეში̄... (ხილდიხაროული და მაისტურის დუისური თქმა) და ნასი, ეში (ჯოყოლოური).

მოგვაქვს ი-სა და ̄-ზე დაბოლოებული ანთროპონიმების ბრუნების ნიმუშები ხილდიხაროულსა და მაისტურის დუისურ თქმაში, პარალელურად კი მარტივ ი-ზე დაბოლოებული სახელების ბრუნების ნიმუში ჯოყოლოურში:

	ხილდ.	დუისური თქმა	ხილდ. და დუის. თქმა
სახ.	ხაძაჲ	ხაძეჲ	ეშ̄
ერგ.	ხაძაჲ-ს	ხაძეჲ-ს	ეშ̄-ს
ნათ.	ხაძაჲ(←ხაძა-ი⁵)	ხაძეჲ (←ხაძე-ი⁵)	ეშ̄(←ეში-ჲ←ეში-ი⁵)
მიც.	ხაძაჲ-ნ	ხაძეჲ-ნ	ეშ̄-ნ
თან.	ხაძაჲ-ც	ხაძეჲ-ც	ეშ̄-ც
შედ.	ხაძაჲ-ლ	ხაძეჲ-ლ	ეშ̄-ლ
გამს.	ხაძაჲ-ხ	ხაძეჲ-ხ	ეშ̄-ხ
ადგ.	ხაძა-გ	ხაძეჲ-გ	ეშ̄-გ

ჯოყოლოური თქმა

სახ.	ხაძი	ეში
ერგ.	ხაძი-ს	ეში-ს
ნათ.	ხაძი (←ხაძ̄←ხაძი-ჲ←ხაძი-ი⁵←ხაძა-ი⁵)	ეში (←ეშ̄←ეში-ჲ←ეში-ი⁵)
თან.	ხაძი-ც	ეში-ც
შედ.	ხაძი-ლ	ეში-ლ
გამს.	ხაძი-ხ	ეში-ხ
ადგ.	ხაძი-ვ	ეში-ვ

ამ შემთხვევაშიც, როგორც ზემოთ თანხმოვანფუძიანებთან, ნათესაობითს ბრუნვის ნიშანი არა აქვს, სახელობითი და ნათესაობითი ერთმანეთს ემთხვევა. სახელობითი ისტორიულად ნათესაობითია ი ნიშნით, იგივე ითქმის ̄-ნის შესახებაც, რადგან იგი დაიშლება ასე: ი+ი→ი+ჲ⇒ე̄. თუ ამ ვარაუდს გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ ბრუნების

თვალსაზრისით ეს სახელები არაფრით არ განსხვავდებიან სხვა ხმოვანფუძიანი სახელებისაგან (ი-ს წინ, მართლაც, სრული ხმოვანი გვაქვს). ასე რომ ამ შემთხვევაშიც ორფუძიანი ბრუნების პრინციპი ძალაში რჩება.

ჩაჩნური საკუთარი სახელი ვ ა ხ ა ქისტურში წარმოდგენილია ვ ა ხ ა ჲ ფორმით, რაც ნათესაობითის ფორმაა. მაგრამ ინტერპრეტირებულია სახელობითად, ნათესაობითის ფორმანტს ფუნქცია დაკარგული აქვს. ორაზროვნებას ენა თავს აღწევს იმით, რომ ნათესაობითში წარმოდგენილ სახელს უთუოდ ახლავს თავისი საზღვრული. სწორედ საზღვრულთან ურთიერთობაში ჩანს, რომ ის ნათესაობითის ფორმაა და არა სახელობითისა.

მოკლედ შევჩერდებით **ჲე** და **ჶო** დიფთონგებით დაბოლოებულ სახელებზე. ასეთი სახელებია, მაგ.: ჩალხჲე, ბერდჲე, ..., ძანჶო, ჲაზჶო...

ამ ტიპის სახელებში ხილდიხაროულში ნათესაობითსა და მისგან ნაწარმოებ სხვა ბრუნვებში აღდგება **ჲა** და **ჶა** დაბოლოება, შდრ.:

სახ.	ჩალხჲე	ძანჶო
ერგ.	ჩალხჲე-ს	ძანჶო-ს
ნათ.	ჩალხჲა-ჲ	ძანჶა-ჲ
მიც.	ჩალხჲა-ჲ-ნ...	ძანჶა-ჲ-ნ....

მაისტურის ორივე თქმაში **ჲე**, დუისურში **ჶო** დიფთონგები უცვლელია, მაგ.:

სახ.	ჩალხჲე	ძანჶო
ერგ.	ჩალხჲე-ს	ძანჶო-ს
ნათ.	ჩალხჲე-ჲ	ძანჶო-ჲ
მიც.	ჩალხჲე-ჲ-ნ...	ძანჶო-ჲ-ნ...

ცნობილი მოსაზრების თანახმად, **ჶო** მომდინარეობს **ჶა**-საგან. **ჶა** დასტურდება ჯოყოლოურში, სადაც გვაქვს ასეთი ფორმა: ძ ა ნ ჶ ა. **ჶა** დაბოლოებიანი სახელები კი ბრუნებისას არ განსხვავდებიან სხვა ხმოვანფუძიანებისაგან.

ასე რომ **ჲე** და **ჶო** დიფთონგებზე დაბოლოებული ანთროპონიმები მხოლოდ ხილდიხაროულში გვიჩვენებენ სხვაობას, მაისტურში კი იბრუნვიან ხმოვანფუძიანების მსგავსად.

ერგატივი ანთროპონიმებში სახელობითისაგან იწარმოება. ბრუნვათა რიგში კი მისი ადგილი ტრადიციულად მეოთხეა — სახელობითის, ნათესაობითისა და მიცემითის შემდეგ. რამდენადაც ერგატივი სახელობითისაგან იწარმოება, სხვა ბრუნვები კი ნათესაობითი ბრუნვის

ფორმას იყენებენ საწარმოებელ ფუძედ, ვფიქრობთ, რომ ერგატივის ადგილი ბრუნვათა რიგში მეორე უნდა იყოს, სახელობითის შემდეგ. ნათესაობითი შესაბამისად მეორიდან მესამე, ადგილზე გადავა.

ვფიქრობთ, რომ ეს ვარაუდი უნდა გამართლდეს არამარტო ანთროპონიმებში, არამედ საზოგადო სახელებშიც.

ამრიგად, ქისტურ დიალექტში ანთროპონიმთა ბრუნების ერთი ტიპი დასტურდება, კილოკავებში სხვაობა განპირობებულია დერივაციის ფაქტორებით და ფონეტიკური პროცესებით. ჩაჩნურ სალიტერატურო ენასთან განსხვავებაც ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი.

Р. И. ПАРЕУЛИДЗЕ

СКЛОНЕНИЕ АНТРОПОНИМОВ В КИСТИНСКОЙ РЕЧИ ЧЕЧЕНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

1. Анализируемые антропонимы собраны нами в кистинских селах Ахметского района. По возможности восстановлены древние имена, в топонимах выделен антропонимический материал. Число рассматриваемых имен составляет приблизительно 6000 единиц.

2. При склонении личные имена характеризуются следующими особенностями: не образуют множественного числа, в косвенных падежах не выявляются вставочные элементы, свойственные нарицательным именам. В этом смысле кистинская речь не отличается от чеченского литературного языка.

3. В чеченском литературном языке различается три типа склонения: полный, слитный, упрощенный. В хилдихаройском и маистинском подговорах кистинской речи засвидетельствован один тип склонения антропонимов. Различия, наличные в этих подговорах, обусловлены деривацией и фонетическими процессами. Именно это и является причиной отличия от литературного языка. Учитывая отмеченные процессы, три типа, выделенные в литературном языке, сводятся к одному.

4. Эргатив и родительный падеж образуются от именительного, а остальные падежи в качестве основы используют форму родительного падежа без элемента н. В научной литературе эргативу в падежной системе отводится четвертое место. Учитывая своеобразие склонения антропонимов, эргатив должен непосредственно следовать за именительным — необходимо заменить последовательность падежей.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ბურჭულაძე
(ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

პირის დაბოლოებანი და ზმნის უღვლილების ტიპები ლაკურში

სპეციალურ ლიტერატურაში ზმნის უღვლილების ტიპები ლაკურში განხილულია სუბიექტის ფორმისა და ზმნაში მისი მარკირების თვალსაზრისით[1].

გარდამავალ ზმნათათვის უღვლილების სამი ტიპია გამოყოფილი[2]:

1. სუბიექტური
2. ობიექტური
3. სუბიექტურ-ობიექტური ანუ ნარევი.

---

[1] С. М. Хайдаков, Очерки по лакской диалектологии, М., 1966, გვ. 158—167.

[2] ლაკურის ახლომონათესავე დარგუულში კი „გარდამავალ ზმნას გააჩნია ობიექტურ-სუბიექტური უღვლილება, გარდაუვალს—სუბიექტური“ (А. А. Магометов, Личное спряжение в даргинском языке (сравнительно со спряжением в табасаранском и лакском языках), იქვე, XIII, თბ., 1962, გვ. 321). თუ გარდამავალ ზმნაში უახლოესი ობიექტი I ან II პირითაა გადმოცემული, მაშინ ზმნაში მათი პირი და გრამატ. კლასია გამოხატული: ჰბუნი **ნუ** ვ-ალა-**რა** „შენ მე მიცნობ“ ნუნი **ჰბუ** ვ-ალა-**რი** „მე შენ გიცნობ“, სუნიინ **ნუ** ვ-ალა-რა „ის მე მიცნობს“, სუნიინ **ჰბუ** ვ-ალა-**რი** „ის შენ გიცნობს (А. А. Абдусаламов, Категория грамматических классов в даргинском глаголе (по данным диалектов), Сборник научных сообщений Дагестанского гос. университета, Махачкала, 1964, გვ. 50). „როცა მოქმედება მეს ამე პირზეა მიმართული, მაშინ ზმნა მას კლასის ნიშნით უკავშირდება, პირის დაბოლოება კი ეთანხმება სუბიექტს, რაც გვაძლევს კიდეც ზმნის სუბიექტურ-ობიექტურ გამოხატვას“ (И. И. Мещанинов, Проблемы развития языка, Л., 1975, გვ. 209, შენიშვნა 16). ეს კი გულისხმობს გარდამავალი ზმნის ორმხრივ შეთანხმებას: პირში—ქვემდებარესთან, ხოლო გრამატ. კლასში—პირდაპირ დამატებასთან. იმავდროულად, ზმნა მართავს ქვემდებარეს ერგატივში, ხოლო პირდაპირ დამატებას სახელობითში—შეხიშნავს სხვაგან ლაკურ-დარგუული ენების ზმნის მაგალითზე ი. მეშჩანინოვი (იხ. მისი: Эргативная конструкция в иберийско-кавказских языках и её характерные особенности в биайнском (урартском (языке, კრებულში: Вопросы изучения иберийско-кавказских языков, М., 1961, გვ. 10, შენიშვნა 5).

გარდაუვალ ზმნებში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიყო უღვლილების ერთი ტიპი — „მარკირების თვალსაზრისით ობიექტურ და სუბიექტურ-ობიექტურ უღვლილებათა თანმხვედრი“[3].

I. **გარდაუვალ ზმნათა უღვლილება.** გარდაუვალ ზმნებში პირი, რიცხვი და გრამატ. კლასი გამოხატულია სახელობითში დასმული სუბიექტისა:

მხ. რიცხვი

ნა იზ-ვ-რა (ბ-, დ-)[4]	„მე ვდგები ხოლმე“
ინა იზ-ვ-რა („ “)	„შენ დგები ხოლმე“
თვ იზად-∅ („ “)	„ის დგება ხოლმე“

მრ. რიცხვი

ჟუ ბ-იზ-ვ-რუ (დ-)	„ჩვენ ვდგებით ხოლმე“
ზუ ბ-იზ-ვ-რუ („)	„თქვენ დგებით ხოლმე“
თაჲ ბ-იზაჲ-∅ („)	„ისინი დგებიან ხოლმე“

II. **გარდამავალ ზმნათა უღვლილების ტიპები.** გარდამავალ ზმნათა ზემოთ ჩამოთვლილი უღვლილების ტიპები განვიხილოთ ცალ-ცალკე:

ა) სუბიექტური უღვლილება

გარდამავალ ზმნათა სუბიექტურ უღვლილებაში აერთიანებენ ისეთ ფორმებს, რომლებსაც პირის დაბოლოებად სამსავე პირსა და ორსავე რიცხვში ერთი და იგივე მორფემა მოუდით. ასე, მაგალითად[5]:

აწმყო მტკიცებითი

მხ. რ.: ნა, ინა, თანალ ჩიჩაჲსჲა-რ „მე კი ვწერ“, „შენ კი წერ“, „ის (ზედმიწ. „მან“) კი წერს“

მრ. რ.: ჟუ, ზუ, თაჲნნალ ჩიჩაჲსჲა-რ „ჩვენ კი ვწერთ“, „თქვენ კი წერთ“, „ისინი (ზედმიწ. „მათ“) კი წერენ“

ნამყო უსრული

მხ. რ.: ნა, ინა, თანალ ჩიჩაჲვა-∅ „მე ვწერდი“, „შენ წერდი“ „ის (ზედმიწ. „მან“) წერდა“

---

[3] С. М. Хайдаков, დასახ. შრ., გვ. 158.

[4] ∅-იზ-ვ-რა—I გრამატ. კლასისათვის, ბ-იზ-ვ-რა — III გრამატ. კლასისათვის, დ-იზ-ვ-რა—II, IV გრ. კლასებისათვის მხ. რიცხვში. მრ. რიცხვში: ბ-იზ-ვ-რუ—I-III გრ. კლასებისათვის, დ-იზ-ვ-რუ—IV გრ. კლასისათვის.

[5] С. М. Хайдаков, დასახ. შრ., გვ. 158-161; ქვემოთ მოყვანილი უღვლილების პარადიგმები ნაწილია იმისა, რაც აღნიშნულ ნაშრომშია.

მრ. რ.: ჟუ, ზუ, თაჲნნალ ჩიჩაჲვა-∅ „ჩვენ ვწერდით“, „თქვენ წერდით“, „ისინი (ზედმიწ. „მათ“) წერდნენ“

ნამყო წინარეწარსული[6]

მხ. რ.: ნა, ინა, თანალ ჩიჭჩუსხიჲა-∅ „მე უკვე კარგა ხანია დავწერე“, „შენ უკვე კარგა ხანია დაწერე“, „მან უკვე კარგა ხანია დაწერა“

მრ. რ.: ჟუ, ზუ, თაჲნნალ ჩიჭჩუსხიჲა-∅ „ჩვენ უკვე კარგა ხანია დავწერეთ“, „თქვენ უკვე კარგა ხანია დაწერეთ“, „მათ უკვე კარგა ხანია დაწერეს“

მომავალი დრო

მხ. რ.: ნა, ინა, თანალ ჩიჩინსხა-რ „მე დავწერ“, შენ დაწერ“, „ის (ზედმიწ. „მან“) დაწერს“

მრ. რ.: ჟუ, ზუ, თაჲნნალ ჩიჩინსხა-რ „ჩვენ დავწერთ“, „თქვენ დაწერთ“, „ისინი (ზედმიწ. „მათ“) დაწერენ“

ზემოთ მოყვანილ პარადიგმებში არაა გათვალისწინებული ის, რომ -∅ და -რ, ვითარცა პირის დაბოლოებანი, ყველგან უახლოესი ობიექტისაა; ამიტომაცაა ისინი სამსავე პირსა და ორსავე რიცხვში. თუ ვცვლით ობიექტის პირს, მაშინ ეს ზმნაში სათანადოდ აისახება. მაგალითად:

ნა ჩიჩაჲსხა-რა ინა „მე კი ⌈ჩა⌋გწერ შენ“
„ ჩიჩაჲსხა რუ ზუ „მე კი ⌈ჩა⌋გწერთ თქვენ“
ინა ჩიჩაჲსხა-რა ნა „შენ კი ⌈ჩა⌋წერ მე“
„ ჩიჩაჲსხა-რუ ჟუ „შენ კი ⌈ჩა⌋ გვწერ ჩვენ“

მაშასადამე, ფაქტობრივ ესაა ობიექტური უღვლილება და არა სუბიექტური, რადგანაც ზმნის პირთა მიხედვით ცვლა აშკარად ობიექტის მიხედვით ხდება. რაც შეეხება გრამატ. კლასს ზმნაში, იგი, როგორც წესი, უახლოესი ობიექტისაა:

ინა ∅-ათჲაჲსა-რა ნა „შენ მე (მამაკაცს) კი მცემ“
„ ბ-ათჲაჲსხა-რა „ „შენ მე (გოგონას) კი მცემ“
„ დ-ათჲაჲსხა-რა „ „შენ მე (ქალს, ცოლს) კი მცემ“

---

[6] ს. ხაიდაყოვისათვის ეს ნაკვთი ნამყო სრულია (დასახ. შრ., იქვე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ზმნაში გრამატ. კლასი, პირი და რიცხვი გამოხატულია უახლ. ობიექტისა; მის მიხედვით ხდება უღვლილება და, ამდენად, ბუნებრივია, ასეთი უღვლილება მივიჩნიოთ ო დ ე ნ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ.

ბ) ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა

ობიექტური უღვლილების ძირითად ნიშნებად მიჩნეულია „ზმნის პირველსა და მეორე პირში რიცხვის ფორმანტთა არსებობა და ქვემდებარის, რომელიც მესამე პირის ნაცვალსახელით ან არსებითი სახელითაა გადმოცემული, ერგატივში დაყენება“[7]. ასე, მაგალითად[8]:

ა წ მ ყ ო მ ტ კ ი ც ე ბ ი თ ი

თანალ ჩიჩაძსა-რა ნა „ის (ზედმიწ. „მან“) კი [ჩა]მწერს მე“

„ ჩიჩაძსა-რუ ჟუ „ის („ „) კი [ჩა]გვწერს ჩვენ“

„ ჩიჩაძსა-რა ინა „ის („ „) კი [ჩა]გწერს შენ“

„ ჩიჩაძსა-რუ ზუ „ის („ „) კი [ჩა]გწერთ თქვენ“

„ ჩიჩაძსა-რ თუ „ის („ „) კი [ჩა]წერს მას“

„ ჩიჩაძსა-რ თაძ „ის („ „) კი [ჩა]წერს მათ“

ნ ა მ ყ ო წ ი ნ ა რ ე წ ა რ ს უ ლ ი

თანალ ჩიჭჩუსჲიძა-ჭ ნა (ჟუ) „მან უკვე კარგა ხანია ჩამწერა (ჩაგვწერა) მე (ჩვენ)“

„ ჩიჭჩუსჲიძა-ჭ ინა (ზუ) „მან უკვე კარგა ხანია ჩაგწერა (ჩაგწერათ) შენ (თქვენ)“

„ ჩიჭჩუსჲიძა-∅ თუ (თაძ) „მან უკვე კარგა ხანია ჩაწერა ის (ისინი)“

მ ო მ ა ვ ა ლ ი დ რ ო

თანალ ჩიჩინსა-რა ნა „ის (ხედმიწ. „მან“) მე ჩამწერს“

---

7 დასახ. შრ., გვ. 162.

8 საილუსტრაციო მასალა ნაწილია იმისა, რაც დასახ. შრომაშია მოყვანილი, გვ. 162-164.

„ ჩიჩინისჲა-რუ ჟუ „ის (ხედმიწ. „მან“) ჩვენ ჩაგვწერს“

„ ჩიჩინსჲა-რა ინა „ის („ „) შენ ჩაგწერს“

„ ჩიჩინსჲა-რუ ზუ „ის („ „) თქვენ ჩაგწერთ“

„ ჩიჩინსჲა-რ თჳ „ის („ „) მას ჩაწერს“

„ ჩიჩინსჲა-რ თაჲ „ის („ „) მათ ჩაწერს“

ასეთ შემთხვევებში რიცხვის ფორმანტებად მიჩნეულია -რა, -რუ მორფემათა -ა და -უ ელემენტები: -ა მხ. რიცხვის ნიშანია და -უ მრ. რიცხვისაო; რაც შეეხება -რ-ს, ასევე სხვა ნაკვთებში პირის -ჲ დაბოლოებას, ისინი დროის გამომხატველ აფიქსებადაა ინტერპრეტირებული[9].

-ა მხ. რიცხვის ნიშანი ვერ იქნება (მხოლოობითს საზოგადოდ თავისი ნიშანი არ გააჩნია; მისი ნიშანი უ ნ ი შ ნ ო ბ ა ა), ასევე — -უ — მრ. რიცხვისა. -ა და -უ -რა, -რუ მორფემათა განუყოფელი ელემენტებია[10]. რაც შეეხება -რ და -ჲ აფიქსების დროის გამომხატველ მორფემებად მიჩნევას — ესეც საეჭვოა: -რ-ს შემცველი აფიქსები ს ა მ ს ა ვ ე დროში დასტურდება, ხოლო -ჲ დღეს პ ი რ ი ს ნ ი შ ა ნ ი ა, რომელიც გენეზისურად I გრამატ. კლასის ნიშანს უკავშირდება[11].

მოყვანილ პარადიგმათა მიხედვით ცხადია, რომ ყველა შემთხვევაში უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა, მაგრამ, როგორც შეენიშნეთ ზემოთ, აქვეა განსახილველი ნა, ინა ჩიჩაჲსჲა-რ „მე კი ვწერ“, „შენ კი წერ“ რიგის შემთხვევებიც რადგან ო რ ს ა ვ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი პ ი რ ი ს დ ა ბ ო ლ ო ე ბ ა უ ა ხ ლ ო ე ს ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს ა ა.

მაშასადამე, სპეციალურ ლიტერატურაში გარდამავალ ზმნებში გამოყოფილი სუბიექტური და ობიექტური უღვლილებანი ლაკურში ფაქტობრივ წარმოადგენს ე რ თ ს უღვლილებას — ო ბ ი ე ქ ტ უ რ ს.

---

[9] დასახ. შრ., გვ. 161-162. სხვა ნაშრომში -რა, -რუ (და მათგან პოზიციურად მიღებული -ნა, -ნუ, -და,-დუ...) უკვე მიჩნეულია პირისა თუ რიცხვის ნიშნებად (იხ. მ ი ს ი: Система глагола в дагестанских языках (на материале аварского, цахурского и арчибского языков), М., 1975, გვ. 154)

[10] ამათ შესახებ იხ.: Г. Т. Б у р ч у л а д з е, О вспомогательном глаголе ur(b-, d-) „есть“ в лакском языке, იკეკ, V, თბ., 1978, გვ. 299-301; მ ი ს ი ვ ე: Вопросы становления личного спряжения в лакском языке, იკეკ, VI, თბ. 1979, გვ. 226.

[11] Г. Т. Б у р ч у л а д з е, Вопросы становления личного спряжения..., გვ. 232—234.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება

აქ განიხილავენ ისეთ შემთხვევებს, როცა პირველსა და მეორე პირში სუბიექტის პირია გამოხატული (სათანადო ნაცვალსახელი სახელობითშია), ხოლო მესამე პირი უნიშნოა (პირის ნაცვალსახელი აქ უკვე ერგატივშია). უღვლილების ამ ტიპს მიჰყვებიან აწმყო განგრძობითის (სინთეზურის), აწმყო მტკიცებითისა და ნამყო უსრულის დიურატიული ფორმები[12]:

აწმყო განგრძობითი (სინთეზური)

მხ. რიცხვი

ნა ჩიჩ-ა-**რა** ჩაღარ	„მე ვწერ ხოლმე წერილს“
ინა ჩიჩ-ა-**რა** „	„შენ წერ ხოლმე წერილს“
თანალ ჩიჩაჲ-∅[13]	„ის (ზედმიწ. „მან“) წერს ხოლმე წერილს“

მრ. რიცხვი

ჟუ ჩიჩ-ა-**რუ** ჩაღარ	„ჩვენ ვწერთ ხოლმე წერილს„
ზუ ჩიჩ-ა-**რუ** „	„თქვენ წერთ ხოლმე წერილს“
თაჲნნალ ჩიჩაჲ-∅	„ისინი (ზედმიწ. „მათ“) წერენ ხოლმე წერილს“

აწმყო მტკიცებითი დიურატიული სახისა

მხ. რიცხვი

ნა ჩიჩ-ლა-ჩისჲა-**რა**[14] ჩაღარ	„მე კი ვწერ (ახლა) წერილს“
ინა ჩიჩ-ლა-ჩისჲა-**რა** „	„შენ კი წერ („) წერილს“
თა ‖ თანალ ჩიჩ-ლა-ჩისჲა-**რ** ჩაღარ	„ის‖მან კი წერს (ახლა) წერილს“

მრ. რიცხვი

ჟუ ჩიჩ-ლა-ჩისჲა-**რუ** ჩაღარ	„ჩვენ კი ვწერთ (ახლა) წერილს“

---

[12] С. М. Хайдаков, Очерки по лакской диалектологии, გვ. 165—167.

[13] ლაკური ენის რიგ თქმაში მესამე პირი ზოგჯერ მარკირებულია: თანალ ჩიჩაჲ-**რ** „ის (ზედმიწ. „მან“) წერს“.

[14] მართალია, ასეთ ფორმებში წარმოდგენილია დიურატიულობის -ლ(ა)-, მაგრამ სათანადო ზმნური ფორმები მომენტობრივი შინაარსისაა (Г. Б. Муркелинский, Грамматика лакского языка, Махачкала, 1971, გვ. 179, 197; И. Х. Абдуллаев, Категория грамматических классов и вопросы исторической морфологии лакского языка, Махачкала, 1974, გვ. 157, 177).

ზუ ჩიჩ-ლა-ჩისჲა-რუ ჩაღარ	„თქვენ კი წერთ (ახლა) წერილს“
თაჲ || თაჲნნალ ჩიჩ-ლა-ჩისჲა-რ ჩაღარ	„ისინი||მათ კი წერენ (ახლა) წერილს“

ნამყო უსრული დიურატიული სახისა[15]

მხ. რიცხვი

ნა ჩიჩ-ლა-ჩისჲიჲა -ჟ ჩაღარ	„მე ვწერდი (იმ მომენტში) წერილს“
ინა ჩიჩ-ლა-ჩისჲიჲა-ჟ ჩაღარ	„შენ წერდი (იმ მომენტში) წერილს“
თჳ || თანალ ჩიჩ-ლა-ჩისჲიჲა-∅ ჩაღარ	„ის||მან წერდა (იმ მომენტში) წერილს“

მრ. რიცხვი

ჟუ ჩიჩ-ლა-ჩისჲიჲა-ჟ ჩაღარ	„ჩვენ ვწერდით (იმ მომენტში) წერილს“
ზუ ჩიჩ-ლა-ჩისჲიჲა-ჟ ჩაღარ	„თქვენ წერდით (იმ მომენტში) წერილს“
თაჲ || თაჲნნალ ჩიჩ-ლა-ჩისჲიჲა-∅ ჩაღარ	„ისინი||მათ წერდნენ (იმ მომენტში) წერილს“

როგორც ვნახეთ, პირთა აღნიშვნის პრინციპი სამსავე შემთხვევაში იდენტურია:

1. ნა ჩიჩ-ა-რა „მე ვწერ ხოლმე“ რიგის ფორმები ლაკურში მიღებულია ნა ჩიჩაჲ+ურა-საგან, სადაც ურა (ბ-, დ-) „არის“ მეშველი ზმნაა, ხოლო ჩიჩაჲ — ჩიჩინ „წერა“ ზმნის მიმღეობის მოკლე ფორმა[16]. მაშასადამე, ჩიჩარა, ჩიჩარუ ... წარმოშობით შედგენილი ზმნა-შემასმენლებია და, ამდენად, მთლიანად ვარდაუვალი. ამიტომაცაა, რომ სათანადო ფორმებში სუბიექტის პირი აღინიშნა.

მესამე პირის ნაცვალსახელი ერგატივშია (თანალ, თაჲნნალ), რადგან აქ ძირითადი ზმნა მეშველი ზმნის გარეშეა (ჩიჩაჲ-∅ „წერს ხოლმე“, „წერენ ხოლმე“); მაშასადამე, ზმნა-შემასმენელი კვლავ გარდამა-

---

15 ასეთივე სურათია იტერატიულ ნამყო უსრულშიც, რაც აიხსნება იმით, რომ ნამყო უსრულ დიურატიულსა და იტერატიულს ერთი საწარმოებელი ფუძე აქვთ — მიმღეობის მოკლე ფორმა. პირის დაბოლოებანიც ორივეგან გენეტურად იდენტურია (ამის შესახებ იხ. Г. Т. Бурчуладзе, Вопросы становления личного спряжения... გვ. 201-202).

16 გ. ბურჭულაძე, გრძელი ხმოვნები ლაკურში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1976, № 2, გვ. 132, შენიშვნა 43. მ ი ს ი ვ ე: Вопросы становления личного спряжения ... გვ. 188, 225.

ვალი მნიშვნელობითაა. შემთხვევითი არც ისაა, რომ ასეთ შემთხვევებში ზმნას უჩნდება მოთხოვნილება უახლოეს ობიექტს გაუჩინოს ზმნაში პირის ნიშანი:

თანალ ჩიჩაჲ||ჩიჩაჲდ-რ „ის (ზედმიწ. „მან") წერს ხოლმე"[17].

სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება ნათლად ჩანს, როცა ზმნას უნარი აქვს გრამატ. კლასის მიხედვით ცვლისა: ასეთ შემთხვევაში ზმნაში პ რ ე ფ ი ქ ს ი თ აღნიშნულია უახლ. ობიექტის გრამატ. კლასი, ხოლო ს უ ფ ი ქ ს ი თ — სუბიექტის პირი:

ნა ∅-ათჲა-რა ინსან „ᲔᲔ ვცემ ხოლმე ადამიანს, კაცს"

„ ბ-ათჲა-რა დუშ „მე ვცემ ხოლმე გოგონას"

„ დ-ათჲა-რა შჲარსჲა „მე ვცემ ხოლმე ქალს, ცოლს"

ჭუ ∅-ათჲა-რუ ინსან „ჩვენ ვცემთ ხოლმე ადამიანს, კაცს"

„ ბ-ათჲა-რუ დუშ „ჩვენ ვცემთ ხოლმე გოგონას"

„ დ-ათჲა-რუ შჲარსჲა „ჩვენ ვცემთ ხოლმე ცოლს, ქალს"

უღვლილების ამავე ყალიბს მიჰყვებიან კატეგორიული პერფექტისა და პირობითი პირველის ნაკვთებში პ ი რ ვ ე ლ ი პირის ფორმები: ე რ თ გ ა ნ ა ც და მ ე ო რ ე გ ა ნ ა ც ზ მ ნ ა შ ი ს უ ფ ი ქ ს ი თ ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს პ ი რ ი ა გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი, პ რ ე ფ ი ქ ს ი თ კ ი — გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ი უ ა ხ ლ ო ე ს ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს ა:

კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ი პ ე რ ფ ე ქ ტ ი
მხ. რ ი ც ხ ვ ი

ნა ∅-ათჲა-ჯ ინსან „მე ვცემე ადამიანი, კაცი"

„ ბ-ათჲა-ჯ დუშ „მე ვცემე გოგონა"

„ დ-ათჲა-ჯ შჲარსჲა „მე ვცემე ცოლი, ქალი"

[17] ეს -რ— -რი, მაგრამ იგი აქ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი მორფემაა და არა მეშველი ზმნისაგან მიღებული. ამიტომაცაა, რომ მის წინ მდგომი ა კომპლექსი უცვლელია (იხ. Г. Т. Бурчуладзе, Вопросы становления личного спряжения... გვ. 225).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟუ ∅-ათხავ-რდუ ინსან „ჩვენ ვცემეთ ადამიანი, კაცი“[18]

„ ბ-ათხავ-რდუ დუშ „ჩვენ ვცემეთ გოგონა“

„ დ-ათხავ-რდუ შხარსხა „ჩვენ ვცემეთ ცოლი, ქალი“

პირობითი პირველი

ნა (ჟუ) ∅-ათხაჩიჲა-ჩ ინსან „მე (ჩვენ) თუ ვცემდი (ვცემდით) ადამიანს, კაცს“

ნა (ჟუ) ბ-ათხჩიჲა-ჩ დუშ „მე (ჩვენ) თუ ვცემდი (ვცემდით) გოგონას“

„ („) დ-ათხაჩიჲა-ჩ შხარსხა „მე (ჩვენ) თუ ვცემდი (ვცემდით) ცოლს, ქალს“

სუბიექტის პირის აღნიშვნა კეტეგორიულ პერფექტში პირის დაბოლოების წარმომავლობასთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ივარაუდება, რომ -ჩ მხ. რიცხვში, ხოლო -რ-დუ-ს -რ მრ. რიცხვში წარმოშობით ის გრამატ. კლასის ნიშნებია, რომლებიც ადრე მიმღეობაში გვქონდა, ხოლო შემდეგ სათანადო ზმნურ ფორმებს გადმოჰყვნენ კლასოვან-პიროვანი უღვლილების პარადიგმაში. ბუნებრივია, რომ ათ აქაც სუბიექტის პირი აღნიშნეს, პირი იმისა, რასაც ისინი გამოხატავდნენ ადრევე მიმღეობაში[19].

რაკი პირობით პირველშიც იგივე -ჩ დაბოლოებაა, გასაგებია, რომ მან იქაც სუბიექტის პირი აღნიშნა.

2. გარდამავალ ზმნათაგან -ლ- მორფემით ნაწარმოები ფორმები ნა ჩიჩ-ლა-ჩისხარა „მე კი ვწერ (ახლა)“, ნა ჩიჩ-ლა-ჩისხიჲაჩ „მე ვწერდი

---

[18] ათხავ-რდუ (ბ-, დ-) „ვცემეთ“ რიგის შემთხვევებში ხმოვნის სიგრძე საკომპენსაციო ჩანს. ვვარაუდობთ, რომ -რდუ ელემენტის -რ-ს (წარმოშობით გრამატ. კლასის ნიშანს) ხმოვანი ახლდა (*-რა; შდრ. ჯუნ-ნა ხ̄უსხა←*ჯუნ-რა ხ̄უსხა „ხნიერად ქცეული ქალი“), რომლის დაკარგვის შედეგად დაგრძელებულა წინამავალი ა(*-რა→რ კი გამოწვეული ჩანს მასზე -დუ→-რუ ელემენტის დართვით): *ათხა-რა -რუ→*ათხავ-რ-რუ→ათხავ-რ-დუ (დისიმილაციით).

[19] გამოწვლილვით ამის შესახებ იხ. Г. Т. Бурчуладзе, Вопросы становления личного спряжения.... გვ. 229—234.

(იმ მომენტში)“ რიგისა წარმოშობით გარდაუვალი უნდა ყოფილიყო[20]. ამდენად, აქაც, ბუნებრივია, სუბიექტის პირი აღნიშნულიყო.

აქედან კი გამოდის, რომ ლაკურში ისტორიულად სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება არც უნდა გვქონოდა: გარდამავალ ზმნაში აღინიშნებოდა მხოლოდ უახლოესი ობიექტის კლასი, რიცხვი და პირი.

ამდენად, ლაკურში დღეს არსებული სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება გარდამავალი ზმნებისა — მეორეული ყოფილა.

უნდა დავასკვნათ:

ლაკურში ისტორიულად უღვლილების ორი ტიპი უნდა გვქონოდა: ა) სუბიექტური (გარდაუვალ ზმნათათვის), ბ) ობიექტური (გარდამავალ ზმნათათვის).

III. **პირთა რაოდენობისა და უღვლილების ბუნების შესახებ ლაკურ ზმნაში.** ზმნის პირიანობის საკითხი, ბუნებრივია, დაისმის იმ ენათა მიმართ, რომლებსაც აქვთ პირთა მიხედვით ცვლის უნარი. ლაკურ ზმნაში კი პირი მორფოლოგიურადაა გარჩეული: გარდამავალ ზმნებში უახლოესი ობიექტის პირია ასახული, გარდაუვალში — სუბიექტისა.

რაკი ლაკური ზმნა ან მხოლოდ სუბიექტის მიხედვით იცვლება, ან — უახლოესი ობიექტისა, ამდენად იგი მუდამ ერთპირიანია, მასში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ნიშანი პირისა.

მართალია, კლასნიშნიან ზმნებში თითქოს ორი პირია აღნიშნული:

ნა ∅-ათხშ-რა ინსან	„მე ვცემ ხოლმე კაცს, ადამიანს“
ინა ბ-ათხშ-რა დუშ	„შენ ცემ ხოლმე გოგონას“
„ დ -ათხშ-რა შხარსხა	„შენ ცემ ხოლმე ცოლს, ქალს“
	და ა. შ.

მოყვანილ ფორმებში პრეფიქსებით (∅-, ბ-, დ-) უახლოესი ობიექტის გრამატ. კლასია აღნიშნული, ხოლო სუფიქსით (-რა) — სუბი-

---

20 -ლ(ა)- მორფემით დიფერენციულობის გამოხატვა მეორეულია და შეძენილი; თავდაპირველად -ლ(ა)-, საფიქრებელია, გარდამავალ ზმნათაგან გარდაუვალებს აწარმოებდა. -ლ(ა)- მორფემის ამოსავლად *-ალ-აა ნავარაუდევი (იხ.: გ. ბურჭულაძე, გემინატთა პოზიციური ცვლილებისათვის ლაკურში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1974, № 3, გვ. 125-126), რასაც დარგუულ და ხუნძურ ენათა მონაცემები უმაგრებს მხარს, ხუნძ. -ар (საიდანაც ივარაუდება ლაკ.-დარგ. *-ал მიღებულად) მორფემით კი „...არაგანგრძობითი გარდამავალი ზმნებისაგან ნაწარმოები განგრძობითი ზმნებიც გარდაუვალი ზმნისათვის დამახასიათებელ სინტაქსურსა და მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებს ამჟღავნებენ“ (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1961, გვ. 346; დაყოფა ავტორებისაა — გ. ბ.). ჩანს, ეს თვისება ლაკური *-ალ მორფემისათვისაც იყო დამახასიათებელი (გამოწვლილვით ამის შესახებ იხ. Г. Т. Бурчуладзе, Вопросы становления личного спряжения... გვ. 190—195).

ექტის პირი. ცხადია, პრეფიქსითა და სუფიქსით აქ სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიაა გამოხატული.

პირის დაბოლოება ლაკურში მუდამ ერთია; სულერთია, ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი[21]. ლაკურმა ენამ (მისი დიალექტებისა და თქმათა ჩათვლით) არ იცის ერთი შემთხვევაც კი, რომ გარდამავალ ზმნაში უახლოეს ობიექტთან ერთად სუბიექტის პირიც ასახულიყოს. თუ ზმნაში სუბიექტის პირი აისახა, მაშინ გამორიცხულია უახლოესი ობიექტის პირის აღნიშვნა. რაკი ზმნის პირიანობა ზმნაში წარმოდგენილ შესაბამის მორფემათა მიხედვით უნდა განისაზღვროს[22], ამდენად, ლაკური ზმნა მუდამ ერთპირიანია.

ზმნის ერთპირიანობა ლაკურში შედეგია პირთა აღნიშვნის პრინციპისა: ეს უკანასკნელი კი ლაკურში წარმოადგენს კლასოვანი უღვლილების კალკს — გარდაუვალ ზმნაში სუბიექტის პირია აღნიშნული, გარდამავალში კი — უახლოესი ობიექტისა, მსგავსად გრამატიკული კლასისა. ამიტომაცაა ლაკურ ზმნაში უახლოესი ობიექტისა და სუბიექტის პირის დაბოლოებანი მასალობრივ და გენეზისურად იდენტური.

მართალია, უღვლილება ლაკურში დღეს კლასოვან-პიროვანია, რამდენადაც ზმნაში ერთდროულად შეიძლება აისახოს როგორც გრამატ. კლასი, ასევე პირი სუბიექტისა თუ ობიექტისა, მაგრამ, მაინც, პირთა აღნიშვნის თვალსაზრისით უღვლილება ლაკურში პიროვანია — პირის ნიშნები აქ მხოლოდ პირისაა, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ კლასს განეკუთვნება სახელი (სუბიექტი თუ ობიექტი).

Г. Т. БУРЧУЛАДЗЕ

ЛИЧНЫЕ ОКОНЧАНИЯ И ТИПЫ СПРЯЖЕНИЯ ГЛАГОЛОВ В ЛАКСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В специальной научной литературе для непереходных глаголов выделен один тип спряжения, а для переходных гла-

21 შდრ. თაბასარანული, რომელშიც „შეიძლება წარმოდგენილი იქნას არა მარტო სუბიექტის ნაცვალსახელური აფიქსაცია, არამედ, ერთდროულად, ობიექტისაც“ (ამის შესახებ იხ.: А. А. Магометов, Табасаранский язык, Тб., 1965, გვ. 203).

22 ამის შესახებ ქართული ენის მასალაზე იხ.: გ. ბურჭულაძე, ინტერესის მიცემითის შესახებ ქართულში, კრებულში: „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 1978, გვ. 75-76.

голов — три типа (С. М. Хайдаков). В статье они рассмотрены порознь.

I. **Спряжение непереходных глаголов.** Здесь имеется субъектное спряжение; в глаголах маркированы грамматический класс и лицо субъекта, стоящего в именительном падеже.

II. **Типы спряжения переходных глаголов.** Для переходных глаголов в статье рассмотрены следующие типы спряжения:

1) Субъектное спряжение;

2) Объектное спряжение;

3) Субъектно-объектное, или смешанное спряжение.

Выделенные в специальной литературе типы субъектного и объектного спряжений в переходных глаголах в лакском языке фактически представляют собой один тип спряжения — объектное спряжение.

По субъектно-объектному спряжению спрягаются формы настоящего времени синтетического образования (наст. дюративное), дюративные формы настоящего утвердительного и прошедшего несовершенного времени; формы I лица в категорическом перфекте и условном первом. В работе показано, что:

а) маркированность субъектного лица в формах категорического перфекта вызвана происхождением личного окончания;

б) формы типа čičāra „я пишу (вообще)", „ты пишешь (вообще)" по происхождению непереходны и, естественно, что в таких глаголах отразилось бы лицо субъекта;

в) дюративные формы от переходных глаголов по происхождению тоже непереходны, и поэтому и здесь должно было быть маркировано лицо субъекта.

В статье делается вывод, что исторически в лакском языке для переходных глаголов имелось лишь объектное спряжение: в переходных глаголах обозначались грамматический класс, число и лицо ближайшего объекта, стоящего в именительном падеже.

III. **О количестве лиц и природе спряжения в лакском языке.** Поскольку лакский глагол изменяется по лицам субъек-

та или объекта, постольку он всегда **монопе**рсонален: в глаголе представлено лишь одно личное окончание.

Правда, классные глаголы как будто «двухличны» (полиперсональны): па b-atɔ-ā-ra duš „я избиваю (вообще) девушку".

В приведенной глагольной форме грам. класс обозначается при помощи префикса (b-), а лицо субъекта — при помощи суффикса (-ra). Разумеется, префикс и суффикс здесь выступают как маркеры различных морфологических категорий.

Одноличность глагола в лакском — это результат действия принципа обозначения лиц в лакском языке. Принцип же обозначения лиц в лакском представляет собой кальку классного спряжения: в непереходных глаголах маркировано лицо субъекта, а в переходных — объекта, что подобно обозначению грам. классов в глаголе; таким образом, в лакском глаголе личные окончания субъекта и объекта идентичны —и материально и генетически.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. კანდელაკი
(საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრი)

კოდირების ერთი სისტემის შესახებ ასომთავრულში

ჩვენი ინტერესი ასომთავრულისადმი შემდეგმა გარემოებამ განაპირობა. რამაზ პატარიძემ თავის წიგნში „ქართული ასომთავრული“ პირველმა წამოწია წინა პლანზე ანბანის რიცხვითი მახასიათებლები (ძირითადად რიგის რიცხვები) და მათი საშუალებით შეეცადა აღმოეჩინა ასომთავრულში დაშიფრული „წარმართული კალენდარი“. თამაზ ჩხენკელმა სტატიების სერიაში, რომელიც მან „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოაქვეყნა, (1977, № 8; 1978, № 8; 1979, № 2; 1981, № 4) გაიზიარა რა ელენე მაჭავარიანის დებულება ასოთა „კვადრატული ბუდის“ შესახებ, შეეცადა ასონიშნების მოხაზულობის არქეტიპის აღდგენას გეომეტრიული მოსაზრებების საფუძველზე. შემდეგ მან მიაგნო გრაფიკულ რიცხვებს და ისინი გემატრიით რიგ-სათვალავთან და თანმიმდევრებთან დააკავშირა.

ამგვარად გამოიკვეთა ჩვენთვის საინტერესო პრობლემა — ანბანი როგორც რიცხვით-გეომეტრიული სისტემა და მისი კავშირი კალენდარულ რიცხვებთან. რიცხვითი სისტემა ცხადი იყო: რიგი და სათვალავი. რაც შეეხება გეომეტრიას, მისაგნები იყო ისეთი თვალში საცემი ნიშნების არჩევა, რომლებიც ასონიშნის უხეშში, მაგრამ დროში ცვალებადობის მიმართ მდგრადი მახასიათებლები იქნებოდნენ ასონიშნის საერთო იერის შესანარჩუნებლად. ამაში დიდად დაგვეხმარა აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის წიგნი „ქართული პალეოგრაფია“, რომელშიაც ყურადღებაა გამახვილებული ასოთა მოქცევაზე, მათ დახშულობასა და ღიობაზე. ჩვენც სწორედ ამ მიმართულებით წარვმართეთ ჩვენი კვლევა.

§ 1. საკითხის დასმა და ძირითადი შედეგები.

ასომთავრულში ინტერესს იწვევს ე. წ. ღერძული სიმეტრიის ასონიშნები

ⴆ	ⴖ	ⴗ	ⴘ	ⴙ	ⴚ	ⴟ
4	9	22	23	24	25	34

რომელთა წონები დაშლილია ორ ჯგუფად: სეგმენტად [22, 25] = 22, 23, 24, 25, და სამეულად 4, 9, 34. სამართლიანია შემდეგი 4 + 9 + 34 = 47, 22 + 23 + 24 + 25 = 94 = 2 . 47. 47-თან დაკავშირებით კვლავ ყურადღებას იპყრობს სეგმენტი [22, 25], რომლის ბოლოებიდან თანაბრად დაშორებული რიცხვების ჯამი უდრის 47-ს: 22 + 25 = 47, 23 + 24 = 47, ხოლო, რაც შეეხება შესაბამის წყვილთა რიცხვით მნიშვნელობებს ისინი გვაძლევენ 1100 : 500 + 600 = 1100, 400 + 700 = 1100. თუ გავიხსენებთ, რომ 1100 ნორმალური სახით (კანონიკურად) იწერება მე-19 და 28-ე ასონიშნებით:

1000	100	1000 + 100 = 1100
ჩ	ტ	
28	19	28 + 19 = 47,

ჩვენი ყურადღება მახვილდება 47-ის მეტად საინტერესო დაშლაზე 47 = 19 + 28. საქმე ისაა, რომ 19, 28 უმნიშვნელოვანესი კალენდარული რიცხვებია (იხ. [1], [2]), 19 წელი — მთვარის მოქცევა, 28 წელი — მზის მოქცევა. 47-ის სასარგებლოდ ლაპარაკობს კიდევ ერთი ფაქტიც: ასომთავრულში ერთადერთი ასონიშანია ისეთი, რომელიც შესაძლებელია ორმაგ ღერძულ სიმეტრიას უშვებდეს. ეს ასონიშანი რიგით ოცდამეოთხეა; 24 კი 47-ის ცენტრია, რაც ნიშნავს შემდეგს: თუ 47 ელემენტს ერთ რიგად დავალაგებთ, მაშინ 24-ე ცენტრალურ ადგილს დაიკავებს. ეს ფაქტი არითმეტიკულად ასე გამოიყურება 24 = (1 + 47) : 2. ამგვარად, ასომთავრულის ღერძული სიმეტრიის ასონიშანთა რიცხვით მახასიათებლებში, ზემოთ ჩატარებული მსჯელობის საფუძველზე, შესაძლებელია ასეთი რიცხვებისა და დამოკიდებულებების განხილვა; 94, 47, 28, 19. 94 = 2 . 47. 47 = 19 + 28, 24 = (1 + 47) : 2 (24—47-ის ცენტრი). თავისთავად კალენდარული რიცხვების 19-ის და 28-ის ერთდროული ფიქსაცია პრინციპული მომენტია (იხ. [1] [2]). მეორეს მხრივ ღერძული სიმეტრიის ასონიშანთა წონების ასეთნაირ დაჯგუფებას 4, 9, 34 და 22, 23, 24, 25 შესაძლებელია მიეცეს ძალიან დიდი მნიშვნელობის კალენდარულ-ქრონოლოგიური ინტერპრეტაცია. ჩვენი მიზანი იყო გამოგვერკვია, რამდენად შემთხვევითია ასეთი დაჯგუფების ფიქსაცია. უფრო სწორად: გვენახა, ასომთავრულის შიგნით ისეთი სისტემის არსებობა, რომელიც ღერძული სიმეტრიის ასონიშნებისა და იქ წარმოჩენილი რიცხვების სასარგებლოდ იმუშავებდა.

აღმოჩნდა, რომ ასომთავრულში არსებობს კიდევ ორი ერთმანეთისაგან დამოკიდებული გრაფიკული ნიშანი: 1. ასონიშნის მოქცევა

* ბრტყელ ფიგურას გააჩნია ღერძული სიმეტრია, თუ არსებობს წრფე, რომლის მიმართ არეკვლით იგი თავის თავში გადადის:

2. ასონიშნის დახშულობა და ღიობა. ამ ნიშანთა სპეციალური დაჯგუფებანი ქმნიან შესაბამისად ორ პარალელურ სისტემას. ყოველი მათგანის მიზანია, ერთის მხრივ, წარმოგვიდგინოს ღერძული სიმეტრიის ასონიშნები და, მეორეს მხრივ, კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვას იქ წარმოჩენილ რიცხვებს 19-სა და 28-ს და დამოკიდებულებებს $47 = 19 + 28$, $24 = (1 + 47) : 2$, ანუ: რომ ასონიშანი ქანი მზე — მთვარის გამაერთიანებელი რიცხვების ცენტრშია. გამოირკვა, რომ მოქცეული ასონიშნებია სისტემა უშვებს კონტროლს სრულყოფილი რიცხვებით.

ქვემოთაღწერილი სისტემა მთლიანად ეყრდნობა ასომთავრულ ასონიშნების შემდეგნაირ მოხაზულობებს, რიგებს (წონებს) და რიცხვით მნიშვნელობებს (სათვალავებს):

1	2	3	4	5	6	7	8	9
Ⴑ	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ
1	2	3	4	5	6	7	8	9
10	20	30	40	50	60	70	80	90
Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴠ	Ⴡ	Ⴢ
10	11	12	13	14	15	16	17	18
100	200	300	400	500	600	700	800	900
Ⴣ	Ⴤ	Ⴥ	Ⴧ	Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	Ⴃ	Ⴄ
19	20	21	22	23	24	25	26	27

1000	2000	3000	4000	5000	6000	7000	8000	9000
Ⴍ	Ⴎ	Ⴏ	Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ
28	29	30	31	32	33	34	35	36

10000
Ⴖ
37

§ 2. ასონიშნების მოქცევა

ასონიშნის მოქცევა დაკავშირებულია შემდეგ გრაფიკულ ელემენტთან, რომელსაც ჩვენ მოხერხებულობის მიზნით სვეტი ვუწოდეთ. ვიტყვით, რომ ასონიშანს სვეტი გააჩნია, თუ მის მოხაზულობაში არსებობს ისეთი ვერტიკალური მონაკვეთი, რომლის სიგრძე ასონიშნის სიმაღლის ნახევარზე მეტია. ასონიშანს მარცხნივ (მარჯვნივ) მოქცეული ვუწოდოთ, თუ მას გააჩნია ისეთი სვეტი, რომ მთელი მოხაზულობა სვეტის მარცხნივაა (მარჯვნივაა). ასეთი განმარტების მიხედვით ასომთავრულში ჩვენ გვაქვს

მარცხნივ მოქცეული ასონიშნები

Դ Ղ Ն Շ Կ Ց Ջ
5 10 17 18 22 26 27

მარჯვნივ მოქცეული ასონიშნები

Ի Ծ Ճ Ս Ը Ւ Ք Ձ
8 11 14 20 21 28 31 33

არსებობს კიდევ ერთი ასონიშანი, რომელიც მოქცეულია როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ.

Ո
25

მას ჩვენ სპეციალურად განვიხილავთ კონტროლის დროს. ახლა კი შეუდგეთ, ასე ვთქვათ, მკაცრად მოქცეული ასონიშნების დაჯგუფებათა შესწავლას.

ორი და მხოლოდ ორი დაჯგუფება არსებობს ისეთი, სადაც ერთმანეთის მომდევნო სამი მოქცეული ასონიშანი იყრის თავს

Ս Ը Կ Ց Ջ Ւ
20 21 22 26 27 28

თუ ამ კიდურა სამეულებს შევავსებთ გამორჩენილი ასონიშნების სამეულით, შევამჩნევთ საინტერესო ფაქტს: სამივე მათგანს ექნება ღერძული სიმეტრია და როგორც ჩვენ § 1-იდან უკვე ვიცით, ასეთი დაჯგუფება სისტემაში ერთადერთია. (სამი თანამიმდევარი 23, 24, 25 — სამივე ვერტიკალური სიმეტრიით). სურათი მეტად ეფექტურია, თუ წარმოჩენილ ცხრაეულს ბუნებრივად სამ-სამად დავალაგებთ.

Ս Փ Կ
Ը † Ջ
Կ Ո Ւ

ამ ფიგურის ყოველი სტრიქონის შუა ასონიშანი ვერტიკალურად ღერძული სიმეტრიისაა, რომელიც საგანგებოდ ზის საპირისპიროდ მოქცეული ასონიშნების უშუალო გარემოცვაში. ფიგურის ცენტრშია ასომთავრულის ის ერთადერთი ასონიშანი, რომელიც ორმაგ ღერძულ სიმეტრიას უშვებს. თითქოს მოქცეული ასონიშნების ერთი ჯგუფი ღერძული სიმეტრიის ასონიშნებს წარმოგვიდგენს. ეს მოსაზრება დასტურდება კიდევ ორგზის:

1. პირველი და ბოლო ღერძული სიმეტრია, წონებით 4 და 34, მონიშნულია შესაბამისად პირველი და ბოლო მოქცევების (5, 33) უშუალო მეზობლობით

ბ	ղ		ჲ	ყ
4	5		33	34

2. დარჩენილი მე-9 ღერძული სიმეტრიის ასონიშანი კი, უბრალოდ, მოქცეული ასონიშნების უშუალო გარემოცვაშია; ისინი საპირისპიროდ არიან მოქცეულნი და თითქოს იჭერენ ცხრიანს

ი	ღ	ղ
8	9	10

ამგვარად, მოქცეული ასონიშნების ერთი ჯგუფი მოემსახურა ღერძული სიმეტრიის ფიქსირებას. ამჟამად პასუხი უნდა გაეცეს ასეთ შეკითხვას: არის თუ არა მოქცეულ ასონიშნებში რაიმე ისეთი, რომელიც დამოუკიდებლად ხაზს უსვამს იმ რიცხვებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც § 1-ში ჩატარებული მოსაზრებების თანახმად, ღერძული სიმეტრიით არის ხაზგასმული. იმ რიცხვებთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო პირველმა და ბოლო მოქცევებმა (5, 33): ისინი საპირისპიროდ არიან მოქცეულნი და სიმეტრიულად არიან განლაგებულნი მე-19 ასონიშნის მიმართ. არითმეტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ მათი წონების ჯამი $5+33=2\cdot 19$, ანუ როგორც ამბობენ ხოლმე, ისინი მოპირდაპირენი არიან 19-ის მოდულით (mod 19). აქვე აღვნიშნოთ, რომ თვით მე-19 ასონიშნის უშუალო გარემოცვაც ანალოგიურად არის გაწყობილი. მე-18 ასონიშანი და მე-20 მოპირდაპირენი არიან როგორც გრაფიკულად (საწინააღმდეგოდ მოქცეულნი), ისე არითმეტიკულად — მოდულით 19: $18+20=2.19$:

ქ	ძ	ს
18	19	20

აღმოჩნდა, რომ მოქცეული ასონიშნები ემორჩილებიან შემდეგ მნიშვნელოვან ურთიერთდამოკიდებულებებს:

გარდა მარჯვნივ მოქცეული მე-8 ასონიშნისა, ყოველ მარჯვნივ მოქცეულ ასონიშანს გააჩნია ისეთი ერთადერთი მარცხნივ მოქცეული ასონიშანი, რომ მათი წონების ჯამი 19-ის ჯერადია, ანუ ისინი მოპირდაპირე არიან არითმეტიკულადაც (mod 19). ვუწოდოთ ასეთ წყვილებს ძლიერად ბმული. აი როგორი სურათია:

ი	?	ჩ	ყ	ჩ	ղ	ს	ქ
8		$11+27=2\cdot 19$		$14+5=1\cdot 19$		$20+18=2\cdot 19$	

ⴆ ⴝ ⴈ ⴄ ⴖ ⴗ ⴆ ⴑ

$21+17=2\cdot19$ $28+10=2\cdot19$ $31+26=3\cdot19$ $33+5=2\cdot19$

მოქცევათა 19-თან კავშირი აშკარაა. ძლიერად ბმული წყვილების ფონზე, მოქცეული ასონიშნების შიგნით მოვიძიოთ მარტოდ მარტო დარჩენილ მე-8 ასონიშნის (mod 19) მოპირდაპირე, თუკი ასეთი არსებობს, და რომელიც ცხადია უკვე საპირისპიროდ მოქცეული აღარ იქნება. ასეთი მოქცეული ასონიშანია რიგით მე-11. ჩვენ მივიღებთ წყვილს:

ⴀ ⴈ $20+8=28$

ⴖ ⴊ

$11+8=19$

ამგვარად, თუ არაპოზიციურ სისტემაში კანონიკური სახით ჩავწერთ 28-ს, მაშინ შესაბამისი ასონიშნების წონა 19-ის ტოლია.

დ ა ს კ ვ ნ ა. ასომთავრულში მოქცეული ასონიშნები წარმოგვიდგენენ ღერძული სიმეტრიის ასონიშნებს და აქედან გამომდინარე (§ 1) რიცხვებსა და დამოკიდებულებებს — 94, 47, 28, 19: $94=2\cdot47$, $47=19+28$, 24-ი 47-ის ცენტრი ($24=(1+47):2$). მოქცეული ასონიშნები, ძლიერად ბმული წყვილების მეშვეობით, უშუალოდ კიდევ ერთხელ აფიქსირებენ და ხაზს უსვამენ რიცხვებს 19-სა და 28-ს. სისტემაში განსაკუთრებულად ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ მზე — მთვარის შემკრები რიცხვის 47-ის ცენტრში განლაგებულია ასომთავრულის ერთადერთი ორმაგად ღერძული სიმეტრიის ასონიშანი ქანი.

†

§ 3. ღია და დახშული ასონიშნები.

შემდეგი რიცხვით-გრაფიკული სისტემა, რომელიც ასომთავრულში § 2-ში აღწერილი სისტემისაგან დამოუკიდებლად და მის პარალელურად მუშაობს, ეყრდნობა სრულიად განსხვავებულ გრაფიკულ ნიშანს და მოიპოვებს ზუსტად იმავე ინფორმაციას: იგი ემსახურება ღერძული სიმეტრიის ასონიშანთა დაჯგუფების წარმოჩენას და დამოუკიდებლად უსვამს ხაზს და აფიქსირებს მასში ჩადებულ რიცხვებს 94, 47, 28, 19 და დამოკიდებულებას $47=19+28$, რაც შეეხება 47-ის ცენტრს 24-ს, აქ იგი შეწყვილებულია მე-10 ასონიშანთან ისე, რომ მიიღება წყვილი:

ⴁ †

ეს გრაფიკული მახასიათებელია ასონიშნის დახშულობა და ღიობა. ასონიშანს დახშული ეწოდება, თუ მისი ამოგდებით სიბრტყიდან სიბრტყე იშლება ორ ან ორზე მეტ ურთიერთნაკვეთ ნაწილებად, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ღია ვუწოდოთ. ამ განმარტების მიხედვით ჩვენ გვაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია ასონიშნები*

Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴢ Ⴣ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ

დახშული ასონიშნები

Ⴜ Ⴝ Ⴢ Ⴣ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ

ორი და მხოლოდ ორი დაჯგუფება არსებობს ისეთი, სადაც ერთმანეთის მომდევნოდ სამი დახშული ასონიშანი იყრის თავს

Ⴆ	Ⴇ	Ⴈ	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ
11	12	13	21	22	23

თუ ამ ფრაგმენტს გამორჩენილი ასონიშნებით შევავსებთ, მივიღებთ შემდეგნაირ სიმეტრიულ სურათს: აღმოჩნდება, რომ ბოლოებიდან თანაბრად დაშორებული ასონიშნები ან ორივე ერთდროულად დახშული იქნება, ან ორივე ერთდროულად ღია. ამ სურათის გაფართოება, ზემოაღნიშნული სიმეტრიულობის შენარჩუნებით, შესაძლებელია მხოლოდ ერთი ერთეულით მარცხნივ და შესაბამისად მარჯვნივ ისე, რომ მიიღება თხუთმეტეული კიდურა წევრებით:

Ⴉ	Ⴔ
10	24

და ეს თხუთმეტეული იქნება ერთადერთი აღნიშნული სიმეტრიულობის თვისებით:

Ⴜ Ⴉ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴍ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴔ Ⴘ Ⴙ
დახშული ღია

თხუთმეტეულის [10, 24] კიდურა წევრების ფიქსაცია თავისთავად საინტერესო მომენტია. გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ ჩვენს წინაშეა მინიშნება ასეთ პროცედურაზე: განვიხილოთ თხუთმეტეულების კიდურა წევრები და დაუკვირდეთ მათ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს პირველი ასეთი სეგმენტის [1, 15]-ის კიდურა წევრების მოხაზულობა: ორივე ღია ასონიშანია. ანალოგიურ სურათს მივიღებთ, თუ მე-15 ასონიშნიდან გადავზომავთ თხუთმეტეულს [15, 29], რომლის კიდურა წევრები კვლავ იმავე კანონზომიერებას ემორჩილება.

---

* Ⴋ, Ⴗ, Ⴋ, Ⴙ ასონიშნები დახშულია, ხოლო Ⴜ, Ⴋ, Ⴘ—ღერძული სიმეტრიისაა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1-დან 29-მდე სულ 15 ცალი თხუთმეტეულია [1, 15], [2, 16],... [15, 29]. ნაშ, ავღწეროთ მათი კიდური წევრები და ვნახოთ რა გამოვა.



ჩვენ წინაშეა პირველი თხუთმეტი თხუთმეტეულის კიდურა წევრები, როგორც ვხედავთ, გარდა ორი წყვილისა, რომლებიც სურათში მონიშნული არიან ისრებით, ყოველ წყვილში ორივე ასონიშანი ან ერთდროულად დახშულია, ან ერთდროულად ღია. ე. ი. ასომთავრულში პირველი თხუთმეტი ასონიშნისათვის (გარდა მე-8 და მე-11 ასონიშნისა) სამართლიანია შემდეგი: თუ ასონიშნის წონას წაუმატებთ 14-ს (ანუ შევადგენთ თხუთმეტეულს), მაშინ, თუ ასონიშანი დახშული (ღია) იყო კვლავ მიიღება დახშული (ღია). 15-იდან 13 თანხვდენა?! ეს საკმარისად დიდი გარანტიაა იმისათვის, რომ სურათის დამრღვევი მე-3 და მე-11 ასონიშნები მონიშნულად ჩავთვალოთ. ეს წყვილი ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი წყვილია (§ 2). მოქცეულმა ასონიშნებმა ბმული წყვილების მეშვეობით სწორედ მათ გაუსვეს ხაზი. ეს წყვილი მეტად პრინციპულ კალენდრულ ინფორმაციას ატარებს: იგი კანონიკურად სათვალავით ჩაწერს 28-ს, ხოლო წონით 19-ს. მაგრამ, როგორც ეს სურათიდან კარგად ჩანს, მხოლოდ ამ მნიშვნელოვანი ფიქსაციით არ ამოიწურება დახშული და ღია ასონიშნების როლი. მათი წყალობით ფაქტიურად გამოყოფილია ასეთი მნიშვნელოვანი დაჯგუფება:



რომლის ქვედა სტრიქონი სხვა არაფერია, თუ არა ღერძული სიმეტრიის მქონე ასონიშნების გასაოცარი სეგმენტი (§ 1). რაც შეეხება პირველ სტრიქონს, იგი კვლავ მეტად მნიშვნელოვან თვისებას ატარებს. მართლაც, განვიხილოთ მისი წონები და სათვალავები:

8 9 10 20
8 9 10 11

ამგვარად, თუ განვიხილავთ მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 ასონიშნების მიმდევრობას, მაშინ ბოლოებიდან თანაბრად დაშორებული ასონიშნები არაპოზიციურ სისტემაში კანონიკურად ჩაწერენ შესაბამისად 28-ს და 19-ს.

20	8	20+8=28	10	9	10+9=19
ϟ	⊦		⅂	Ꮆ	
11	8	11+8=19	10	9	

ცხადია, ეს ზოგადი ფაქტია, რომელიც ასომთავრულში მონიშნულია ღია და დახშული ასონიშნების სპეციალური სისტემითა და დაჯგუფებით. და ბოლოს 8+9+10+20=47; ე. ი. დაჯგუფებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ არსებითია 47-ის წარმოდგენა 19-ისა და 28-ის ჯამად. განხილვა დამთავრებულია. დასკვნა კი, გადმოცემის მოხერხებულობის მიზნით, ამ პარაგრაფის დასაწყისშია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თხუთმეტეულს [10, 24] ბევრი საინტერესო თვისება აღმოაჩნდა. ამასთან დაკავშირებით (იხ. [3].. აქვე მოცემულია მთელი სისტემის მოკლე აღწერაც).

§ 4. სისტემის კონტროლი

ჩვენ ვალად გვადევს ორმაგად მოქცეული ასონიშნის განხილვა

700
Ո
25

ერთის შეხედვით მაჩვენებლები 25, 700 თითქოს სისტემაში არ არის ჩართული. საქმე ისაა, რომ 700 : 25 = 28, რა თქმა უნდა 28-ის გამოჩენა ჩვენთვის დადებითი მოვლენტია, მაგრამ არსებითი მოვლენტია ის, რომ აქ ხაზგასმულია გაყოფადობის ფაქტი: წ ო ნ ა ჰ ყ ო ფ ს ს ა თ ვ ა ლ ა ვ ს. აქედან გამომდინარე ჩვენ ვალდებული ვართ გაყოფადობა უფრო დეტალურად გავაანალიზოთ. ცხადია, პირველი ათი სიმბოლო ავტომატურად გაყოფადია. ამ შემთხვევაში უბრალოდ წონა და სათვალავი ერთმანეთს ემთხვევა და განაყოფი უდრის ერთს. ეს ასე ვთქვათ ტრივიალური შემთხვევებია. გაცილებით საინტერესოა არატრივიალური შემთხვევები. სისტემაში (სიგრძით 37) ასეთი სიმბოლო სულ შვიდია. მათ შემდეგი წონები და სათვალავები აქვთ:

60	90	200	600	700	3000	9000
15	18	20	24	25	30	36

აღმოჩნდა, რომ ასომთავრულში როგორც ტრივიალური, ისე არატრივიალური გაყოფადი ასონიშნების დაჯგუფებანი მონიშნულნი არიან ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი სიმეტრიულობის პრინციპით: ბოლოებიდან თანაბრად დაშორებული სიმბოლოები ან ორივე ერთდროულად დახშულია, ან ორივე ერთდროულად ღია:

Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	Ⴚ	Ⴛ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴠ	Ⴡ	Ⴢ
15	18	20	24	25	30	36

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყოფადობა კიდევ რამდენიმე გზის გვისაჩინოებს 47-ის ცენტრს — 24-ე ასონიშანს ⏀-ს.

რადგან „ასომთავრულით“ განხორციელებული რიცხვითი სისტემა ათობითია, ამიტომ ბუნებრივია ვეძებოთ ისეთი დაჯგუფებანი, რომელთა სრული სათვალავი სრულ წონაზე გაყოფილი განაყოფში ათს გვაძლევს. (დაწვრილებით იხ. [3]). ასეთია Ⴑ (200 : 20 = 10); შემდეგ: ⴕⴑⴒ — 100 + 200 + 300 = 600, 19 + 20 + 21 = 60, 600 : 60 = 10, მაგრამ სათვალავით 600-ს 24-ე ასონიშანი ⏀ აბორციელებს. გარდა ამისა, ათობით სისტემაში არსებობს მაქსიმალური ინტერვალი ზემოთ აღწერილი თვისებით — ეს არის ასონიშნები მოყოლებული Ⴗ-დან ⏀-ის ჩათვლით, ანუ ინტერვალი Ⴗ⏀, რომლის სათვალავი 2560-ია, წინა კი 255. გარდა ამისა, ჩვენ დავინახავთ, რომ გაყოფადობა იყო გზა კიდევ ერთი შესანიშნავი დაჯგუფების დასაფიქსირებლად, რომლის ცენტრში კვლავ 24-ე ასონიშანი ზის. ეს დაჯგუფება მჭიდრო კავშირშია ე. წ. სრულყოფილ რიცხვებთან, ამიტომ თუ ისინი მკითხველს მოკლედ მაინც არ გავაცანით, ქვემოთ თქმულს დამაჯერებლობა დაეკარგება. ნატურალურ რიცხვს სრულყოფილი ეწოდება, თუ იგი თავის საკუთარი გამყოფების (ე. ი. 1-იანის ჩათვლით, თავის თავის გარდა) ჯამის ტოლია. პირველი ასეთი რიცხვია 6. მისი საკუთარი გამყოფებია 1, 2, 3 და 1 + 2 + 3 = 6; მეორე ასეთი რიცხვია 28 საკუთარი გამყოფებით 1, 2, 4, 7, 14 და 1 + 2 + 4 + 7 + 14 = 28. მრავალი საუკუნის მანძილზე სრულყოფილი რიცხვები დიდი სიმძაფრით იზიდავდა მკვლევართ. დისკუსია მათ ირგვლივ მეტად ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა; დაწყებული მისტიკიდან და დამთავრებული უმაღლესი რანგის მათემატიკური გამოკვლევებით. ცენტრალური ადგილი ამ პრობლემატიკაში უკავია ევკლიდის თეორემას, რომლის თანახმად, თუ რიცხვი $(2^k - 1)$ მარტივი რიცხვია, მაშინ რიცხვების ჯამი 1-დან $(2^k - 1)$-მდე, ანუ $1 + 2 + \cdots + (2^k - 1) = 2^{k-1}(2^k - 1)$ სრულყოფილია. (აქვე გავიხსენოთ, რომ 1-იანისაგან განსხვავებულ ნატურალურ რიცხვს მარტივი ეწოდება, თუ გარდა 1-იანისა და თავის თავისა იგი არაფერზე არ იყოფა). ამგვარად, სრულყოფილი რიცხვების პოვნის პრობლემა ევკლიდეს თეორემის თანახმად მიიყვანება $(2^k - 1)$ ტიპის მარტივი რიცხვების პოვნის პრობლემაზე.

აქვე აღვნიშნოთ, რომ პირველი ოთხი ასეთი მარტივი რიცხვი და ევკლიდეს თეორემის თანახმად პირველი ოთხი სრულყოფილი რიცხვი ცნობილი იყო ძველ საბერძნეთში. აი ისინიც:

3	7	31	127
6	28	496	8128

დღეს კაცობრიობას თანამედროვე სწრაფქმედი ელექტრონული გამომთვლელი მანქანების წყალობით ხელთ აქვს 27 სრულყოფილი რიცხვი. დღესაც რიცხვთა თეორიაში ღიად არის დარჩენილი ორი საკითხი: სასრულია თუ არა სრულყოფილი რიცხვები? არსებობს თუ არა კენტი სრულყოფილი რიცხვი? სრულყოფილ რიცხვებთან დაკავშირებით იხ. [4] გვ. 34.

განვიხილოთ ახლა არატრივიალურად გაყოფადი შვიდეული, რომლის სრული წონა

$$15+18+20+24+25+30+36=168$$

შემდეგ მნიშვნელოვან თვისებებს ავლენს:

1. $168=6\cdot 28$ ამგვარად არაპოზიციური თვლის სისტემის (სიგრძით 37) არატრივიალურად გაყოფადი სიმბოლოების სრული წონა პირველი და მეორე სრულყოფილი რიცხვების ნამრავლია.

2. $168=3+7+31+127$ ე. ი. არატრივიალურად გაყოფადი სიმბოლოების სრული წონა წარმოადგენს იმ ოთხი მარტივი რიცხვის ჯამს, რომლებიც ევკლიდეს თეორემის თანახმად, იძლევიან პირველ ოთხ სრულყოფილ რიცხვს

$$\begin{aligned} &1+2+3 && =6\\ &1+2+3..+7 && =28\\ &1\ \ 2\ \ 3+\ldots.\ +31 && =496\\ &1\ \ 2\ \ 3+\ldots.\ +127 && =8128 \end{aligned}$$

3. თუ გავიხსენებთ არატრივიალურად გაყოფადი სიმბოლოების წონებს 15, 18, 20, 24, 25, 30, 36 და იმას, რომ $168=7\cdot 24$, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არატრივიალურად გაყოფადი სიმბოლოების ცენტრში ზის 24-ე ასონიშანი, როგორც თავის პოზიციით, ისე წონითაც.

ეჭვი არ არის, მიგნებულია 24-ე ადგილის განსაკუთრებული როლი. ერთის მხრივ, ძირითად კალენდარულ რიცხვებთან, ხოლო, მეორეს მხრივ, სრულყოფილ რიცხვებთან დამოკიდებულებაში. ამ ერთობლიობის ცენტრში განხორციელებულია † ასონიშანი, სრულყოფილ რიცხვებთან დაკავშირებით აქვე უნდა აღინიშნოს 31-ე სიმბოლოს განსაკუთრებული როლი.

1. ევკლიდეს თეორემის თანახმად: 1+2+3+ ... +31=496, ე. ი. იძლევა მესამე სრულყოფილ რიცხვს. ანუ: ჩვენ თუ ავიღებთ 31 სიმბოლოს და მათ გადავნომრავთ, მაშინ სრული წონა მესამე სრულყოფილი რიცხვია.

2. 31-ე მარტივი რიცხვია 127, რომელიც კვლავ ევკლიდის თეორემის თანახმად (1+2+ ..... +127=8128) უკვე მეოთხე სრულყოფილ რიცხვს იძლევა.

3. 31-ე სიმბოლოს რიცხვითი მნიშვნელობაა 4000, რომლის საკუთარი გამყოფების ჯამია 4 . 47 . 31=2 . 94 . 31, მაგრამ 2+31+94=127!

სხვათა შორის, რიცხვი 94 და ანბანის წილი (31-ე სიმბოლო) აშკარად ხაზგასმულია ცნობილ თხზულებაში „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“. პირველი მათგანი მიჩნეულია როგორც სასწაული, ხოლო მეორე კი როგორც მოწამე ანუ დამადასტურებელი.

სრულყოფილ რიცხვებთან, 31-თან და 94-თან, მჭიდრო კავშირშია მოუქცეველი სვეტის მჭონე ასონიშნები (ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ სისტემაში არაფერია გაუაზრებელი, ყველაფერი ერთი მიზნისკენაა მიმართული). ამოვწეროთ ისინი:

ⴡ	ⴢ	ⴣ	ⴤ	ⴥ	⴦	ⴧ	⴨	⴩	⴪	⴫	⴬	ⴭ
2	3	6	7	9	12	13	19	23	24	30	36	37

მათი რაოდენობა 13-ია. ცენტრში მე-13 ასონიშანი მანი ზის. სრული წონა 13-ის ჯერადია: 2+3+6+7+9+12+13+19+23+24+30++36+37=13 . 17. ცენტრალური ასონიშანი მანი ფიგურას ორ ნაწილად შლის (იხ. ნახ.): მარცხენა და მარჯვენა ექვსეულებად. ყოველ ექვსეულში სამ-სამი ასონიშანია, რომელთაც მარტივი წონები აქვთ (2, 3, 7), (19, 23, 37) და მათი სრული წონაა 7 . 13, რომელიც 1-დან 13-მდე რიცხვების ჯამია. თვით ექვსეულების წონები კი შესაბამისად 3 . 13 და 13 . 13-ია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 13 . 13=169-მდე სულ 3 . 13=39 მარტივი რიცხვია; ესენია:

2	3	5	7	11	13	17	19	23	29	31	37	41
43	47	53	59	61	67	71	73	79	83	89	97	101
103	107	109	113	127	131	137	139	149	151	157	163	167

რომელთა სრული წონა 31 . 94-ია. და რაკი მარტივმა რიცხვებმა ასე ძლიერად იჩინეს თავი, აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: როგორც ზემოთ ვნახეთ, 31, ევკლიდეს თეორემის თანახმად, მესამე სრულყოფილ რიცხვს იძლევა, 496-ს: 1+2+3+ ... +31=496, ხოლო მარტივი რიცხვების რაოდენობა 1-დან 496-მდე 94 ცალია: კიდევ ერთი კავშირი

31-სა და 94-ს შორის განხორციელებულია მოუქცეველი ასონიშნების მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

[1] Климишин И. А. Календарь и хронология — М. Наука, 1981.
[2] Бикерман Э. Хронология древнего мира. — М. Наука, 1975.
[3] Канделаки Н. П. Об отмеченных интервалах — Т. Труды, ВЦ АН ГССР, т. XXI; I, 1981.
[4] Эдвардс Г. Последняя теорема Ферма — М. «Мир», 1980.

Н. П. КАНДЕЛАКИ

ОБ ОДНОЙ СИСТЕМЕ КОДИРОВАНИЯ В «АСОМТАВРУЛИ»

Резюме

На базе осевой симметрии буквенных знаков проведен анализ числовой и геометрической структуры древнегрузинского алфавита «Асомтаврули». Найдены две системы отметки, которые действуют независимо друг от друга. Первая из них тесно связана с ориентацией буквенного знака, а вторая —с его индексом (замкнутостью; открытостью). Каждая система с одной стороны фиксирует знаки с осевой симметрией (порядковые номера этих знаков следующие: 4, 9, 22, 23, 24,25, 34) и расшифровывает числовую информацию, закодированную опять в совокупности знаков с осевой симметрией. Эта информация в основном следующая: 19, 28: $47=19+28$; 24 является центром 47, т. е. $24=(1+47):2$ и, наконец, пара знаков с порядковыми номерами 10, 24. Завершающей фазой найденной системы кодирования является ее глобальный контроль совершенными числами.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საენათმეცნიერო საუბრების“ სხდომებზე 1980—1981 წლებში წაკითხულ მოხსენებათა სია

1. ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, განსაზღვრება სვანურში (8. I. 1981);
2. ლ. ა ი ვ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, ზმნის წარმოების საკითხები მამუკა ბარათაშვილის თხზულებების მიხედვით (16. X. 1980);
3. მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის წვლილი ქართველოლოგიაში (5. XII. 1980);
4. ა. ა რ ა ბ უ ლ ი, შედგენილი შემასმენლისა და III სერიის ანალიზურ ფორმათა დიფერენციაციის ისტორიისათვის ძველ ქართულში (14. II. 1980);
5. ა. ა რ ა ბ უ ლ ი, კ. დოდაშვილის პოეტიკური ნაშრომები (16. IV. 1981);
6. ა. ა რ ა ბ უ ლ ი, ერთი ქართველური ძირის შესახებ (16. VI. 1981);
7. შ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ურთიერთობის გამომხატველი ერთი ტიპის ზმნათა ოპოზიციური ფორმები (27. VI. 1980);
8. შ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, იდიომურობის საკითხისათვის ქართულში (8. I. 1981);
9. შ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ბიძინა ფოჩხუას ხსოვნას (19. VI. 1981);
10. გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი, ტოპონიმ „მცხეთის“ ისტორიისათვის (5. III. 1981);
11. გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი, ზოგი ქართული ტოპონიმის წარმოქმნის საკითხისათვის (30. IV. 1981);
12. გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი, ქართულ ტოპონიმთა წარმოქმნის ზოგი საკითხისათვის (15. V. 1981);
13. ბ. ბ ე რ ს ი რ ო ვ ი, იუგოსლაველი ადიღელები და მათი მეტყველების თავისებურებანი (8. I. 1981);
14. ი ა ნ ბ რ ა უ ნ ი, ბასკურ და ქართველურ ენათა ნათესაობის პრობლემა (18. IX. 1980);
15. გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ინფიქსურ კლას-ნიშანთა ცვლილებისათვის ლაკურში (8. I. 1980);
16. გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ბრძანებითის იტერატიულ ფორმაზე შესახებ ლაკურში (13. III, 1980);
17. გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ისევ ვით თანდებულის შესახებ ქართულში (27. VI. 1980);
18. გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, არნ. ჩიქობავას მონოგრაფია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ (18. XII. 1980);
19. გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გარჩევისათვის ლაკურ სახელებში (8. I 1981);
20. გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, -ნ-იერ, -ნ-ეულ, -ნ-არ და -ა სუფიქსებით ნაწარმოები მჭონებლობის სახელები ქართულში (19. III. 1981);
21. გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის საკითხი (15. V. 1981);
22. გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, „კვერცხის“ აღმნიშვნელი საერთო იბერიულ-კაკასიური ფუძეები (19. VI. 1981);
23. თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, უარყოფის მეორეული აფიქსაციის შემთხვევები აფხაზურ-აბაზურ ენებში (2. X. 1980);

24. თ. გვანცელაძე, აფხაზურ-ქართული ლექსიკური ურთიერთობიდან (5. XII. 1980).
25. ალ. გვენცაძე, „გრამატიკის“ საგნის დაზუსტებისათვის (15. V. 1981);
26. გ. გოგოლაშვილი, დიალექტიზმები დავით კლდიაშვილის პროზაში (8. I. 1980);
27. გ. გოგოლაშვილი, მეორე სერიის მწკრივთა შედგენილობისათვის ქართულში (27. VI. 1980);
28. გ. გოგოლაშვილი, ნამყო ძირითადის წარმოების თავისებურებანი (13. XI. 1980);
29. გ. გოგოლაშვილი, მეორე კავშირებითის წარმოება ქართულში (19. II. 1981);
30. გ. გოგოლაშვილი, -ე სუფიქსიანი მეორე კავშირებითი ძველ ქართულში (19. VI. 1981);
31. გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის საკითხისათვის (22. X. 1981);
32. კ. დანელია, ბიბლიური ტექსტის ძველი ქართული თარგმანის მხატვრული ენის საკითხისათვის (10. IV. 1980);
33. გ. თოფურია, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა ამჟამად უცხოეთში (5. XII. 1980);
34. ნ. კანდელაკი, კოდირების ერთი სისტემის შესახებ ასომთავრულში (2. IV. 1981);
35. ნ. კიზირია, ფონემატურ ერთეულთა ბგერითი და არაბგერითი ასოციაციები ქართულში (24. IV. 1980);
36. მ. კიკონიშვილი, -ი ელემენტის ერთი ფუნქციისათვის ინგალოური დიალექტის კაკურ კილოკავში (19. VI. 1981);
37. ი. კიკნაძე, ერთი ენობრივი ტენდენციის შესახებ თანამედროვე ქართულში (8. I. 1981);
38. ე. კოშორიძე, რევაზ ინანიშვილის ენის ზოგიერთი თავისებურება (10. IV. 1980);
39. დ. მელიქიშვილი, მესამე პირის (||ჩვენებით) ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი (8. I. 1980);
40. ა. პაპიძე, მყოფადის კავშირებითისა და მეორე კავშირებითის ურთიერთობისათვის ქართულში (27. VI. 1980);
41. თ. სანიკიძე, ზოგი ინტერნაციონალური ტერმინისათვის აკაკის ენაში (28. V. 1981);
42. მ. სუხიშვილი, ერთი სვანურ-ქართული საერთო ფუძის შესახებ (8. I. 1980);
43. მ. სუხიშვილი, კ. დოდაშვილის მეცნიერული ღვაწლი (16. IV. 1981);
44. მ. სუხიშვილი, ქართველური შესატყვისობანი (19. VI. 1981);
45. ი. ტაბატაძე, მ. ჯავახიშვილის მხატვრული პროზის ლინგვისტური ანალიზის საკითხები (19. VI. 1981);
46. თ. უთურგაიძე, სახელის ფუძისათვის ქართულში (8. I. 1981);
47. თ. უთურგაიძე, კ. დოდაშვილის ფონეტიკური ნარკვევები (16. IV. 1981);
48. ლ. ღვინჯილია, მახვილის დისტინქტური ფუნქციისათვის მეგრულში (22. V. 1980);
49. ბ. შავიშვილი, ზმნა X საუკუნის ერთ მეხურ იადგარში (8. I. 1980);
50. ლ. შალვაშვილი, და ნაწილაკის საკითხისათვის ქიზიყურის მიხედვით (15. V. 1981);

51. ვ. შენგელია, -ე-ზე დაბოლოებულ ტოპონიმთაგან ნაწარმოები სადაურობის სახელები ქართულში (19. VI. 1981);
52. რ. შეროზია, პოტენციალისის გამოხატვის ზოგიერთი შემთხვევა ძველ ქართულში (8. I. 1980);
53. რ. ჭიკაძე, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების სპეციფიკურობის საკითხი ქართულში (15. V. 1981);
54. ა. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები („მკის", „მუჭი", „მკალი"//„კალია") (8. X. 1981);
55. ნ. ჭუმბურიძე, შედარება აგიოგრაფიულ ძეგლებში (19. VI. 1981);
56. ბ. ჯორბენაძე, სულიერისა და უსულოს გრამატიკული რაობისათვის ქართულში (8. I. 1980);
57. ბ. ჯორბენაძე, სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა განაწილებისათვის (27. III. 1980);
58. ბ. ჯორბენაძე, მხატვრული ტექსტის ენობრივი შესწავლის ზოგიერთი საკითხისათვის (10. IV. 1980);
59. ბ. ჯორბენაძე, მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიური საშუალებანი ქართულში (8. V. 1980);
60. ბ. ჯორბენაძე, მოქმედებითისა და ვნებითის ფუძეთა დაპირისპირების პრინციპისათვის ქართულში (27. VI. 1980);
61. ბ. ჯორბენაძე, ფონეტიკური და სემანტიკური ფაქტორების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში (27. XI. 1980);
62. ბ. ჯორბენაძე, დინამიკურობისა და სტატიკურობის მორფოლოგიური დაპირისპირების ტენდენციისათვის ქართულში (8. I. 1981);
63. ბ. ჯორბენაძე, ხმოვანთავსართების რაობისათვის ქართულში (13. V. 1981);
64. ბ. ჯორბენაძე, ალ. ყაზბეგის მხატვრული ენისა და სტილის საკითხები (19. VI. 1981).

სარჩევი

ფ. უთურგაიძე, სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში 4
ჰ. არონსონი, ფუნქციის ფორმალური კორელატები ქართულ ბრუნებაში 24
ბ. ჯორბენაძე, მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა დაპირისპირების პრინციპისათვის ქართულში 33
გ. გოგოლაშვილი, სუბიექტური მესამე პირის -ს, -ა, -ო სუფიქსთა განაწილებისათვის ახალ ქართულში 46
ლ. გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო თანამიმდევრობისათვის ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში 54
შ. აფრიდონიძე, იდიომი და იდიომურობა 64
ი. კიკნაძე, ერთი ენობრივი ტენდენციის შესახებ თანამედროვე ქართულში 75
ი. ტაბატაძე, მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული სტილის ლინგვისტური ანალიზის ზოგიერთი საკითხი 89
მ. კობალაძე, მწერლის ენის შესწავლის ორი ასპექტის შესახებ . . . 98
მ. ბერიძე, ჯავშირებითის წარმოების ერთი თავისებურებისათვის მესხურში 108
მ. კობაიძე, ბრძანებითი კილო მთიულურ დიალექტში 115
მ. კიკონიშვილი, -ი ელემენტის ერთი ფუნქციისათვის ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში 124
ბ. ცხადაძე, -ევან, -ეან, -იან სუფიქსები ძველ ქართულში . . . 128
ა. არაბული, -ია დაბოლოებისა და მეშველზმნიან ფორმათა საკითხი I თურმეობითში 139
კ. დანელია, ძველი ქართულის ლექსიკიდან: მსხოვრი (მსხორი) . . . 148
ა. ჭინჭარაული, ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან 163
დ. მელიქიშვილი, ძველი ქართულის ლექსიკიდან: განი (საგანი), პირი, მიზანი 163
ნ. ჭუმბურიძე, შედარება ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში . . 179
გ. ბედოშვილი, მოსაზრებანი ტოპონიმ „მცხეთის“ წარმოშობის შესახებ 187
შ. სუხიშვილი, ერთი ქართველური შესატყვისობის შესახებ 197
ვ. შენგელია, ერთი ადიღური წარმომავლობის სიტყვა ქართველურ ენებში 206
თ. გვანცელაძე, უარყოფის გამობატვის საერთო პრინციპებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში 210
რ. ფარეულიძე, ანთროპონიმთა ბრუნება ჩაჩნური ენის ქისტურ დიალექტში 219
გ. ბურჭულაძე, პირის დაბოლოებანი და ზმნის უღვლილების ტიპები ლაკურში 227
ნ. კანდელაკი, კოდირების ერთი სისტემის შესახებ ასომთავრულში . . 240
„საენათმეცნიერო საუბრების“ სხდომებზე 1980—1981 წლებში წაკითხულ მოხსენებათა სია 253

СОДЕРЖАНИЕ

Ф. Г. Утургаидзе, К определению основы имен в грузинском языке 22

Г. И. Аронсон. Формальные корреляты функций в грузинском склонении 24

Б. А. Джорбенадзе, Принципы противопоставления форм действительного и страдательного залогов в грузинском языке . . 45

Г. Б. Гоголашвили, К распределению суффиксов третьего лица субъекта -s, -a, -o в новогрузинском языке 56

Л. Г. Гегучадзе, К вопросу о последовательности форм глагольных рядов в предложении с однородными сказуемыми . . . 63

Ш. Т. Апридонидзе, Идиома и идиоматичность 74

И. Г. Кикнадзе, Об одной языковой тенденции в современном грузинском языке 87

И. П. Табатадзе, Некоторые языковые особенности художественного стиля М. Джавахишвили 96

М. И. Кобаладзе, О двух аспектах изучения языка писателя . 106

М. М. Беридзе, Особенности образования некоторых форм сослагательного наклонения в месхском диалекте грузинского языка . 114

М. И. Беридзе, Повелительное наклонение в мтиульском диалекте грузинского языка 122

М. Г. Киконишвили, К одной функции элемента -i в какском говоре ингилойского диалекта грузинского языка 127

Б. А. Цхададзе. Суффиксы **-evan, -ean, -ian** в древнегрузинском языке 137

А. И. Арабули, Вопрос об окончании -ia и вспомогательных глаголах в результативном 147

К. Д. Данелия, Из лексики древнегрузинского языка 160

А. Л. Чинчараули, Из лексики «Вепхисткаосани» 166

Д. Н. Меликишвили, Из древнегрузинской лексики 178

Н. З. Чумбуридзе, Сравнение в древнегрузинском языке . . . 186

Г. В. Бедошвили, Из истории топонима «Мцхета» 195

М. С. Сухишвили, Об одном картвельском соответствии . . . 205

В. Г. Шенгелия, Слово адыгского происхождения в картвельских языках 208

Т. И. Гванцеладзе, Об единых принципах выражения отрицания в иберийско-кавказских языках 217

17. საქართველოს ძეგლები

Р. И. Пареулидзе, Склонение антропонимов в кистинской речи чеченского языка 226
Г. Т. Бурчуладзе, Личные окончания и типы спряжения глаголов в лакском языке 237
Н. П. Канделаки, Об одной системе кодирования в «Асомтаврули» 252
Список докладов, прочитанных на заседаниях научного семинара «Лингвистические беседы» в 1980—1981 годах 253

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი **ნ. ცაგარეიშვილი**
მხატვრული რედაქტორი **ი. ჩიქვინიძე**
ტექნიკური რედაქტორი **ვ. ხუციშვილი**
კორექტორი **ნ. ქანთარია**

გადაეცა წარმოებას 16.07.82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.08.83.

უე 01250. საბეჭდი ქაღალდი 60×84¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16.

სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 14,51.

ტირაჟი 500. შეკვეთა № 2548.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.
საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ. 19.
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЛИНГВИСТИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ

(На грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1983